ახალი საუნჯე

ტექსტების და
კონტექსტების
ჟურნალი

№10 (52) ოქტომბერი, 2017 წელი

ფასი
2 ლარი

Василь Махно

ნომრის ავტორები
ალექს ჩილვინაძე & ვასილ მახნო

პოეზია
თეა თოფურია
ნინი ელიაშვილი
ქეთი გზირიშვილი
მარი მესხი

პროზა
გოჩა გვასალია
ლია გაგრატიონი
გვანცა დოლუაშვილი

დრამატურგია
გია ეძგვერაძე

ნოგელი – 2017

მწერლის ცხოვრება
ბოლესლავ ჰრუსი

ახალი თარგმანები
უილიამ კარლოს უილიამსი
მასიმილიანო გოვერნი

№10 (52) ოქტომბერი, 2017 წელი

ახალი საუნჯე

ტექსტების და კონტექსტების ჟურნალი

პროექტის ავტორი: ვაჟა წოწკოლაური
მთავარი რედაქტორი: შოთა იათაშვილი
რედაქტორი-სტილისტი: ლელა კოდალაშვილი
დიზაინი და დაკაბადონება: ნიკა ხვედელიძე

სარედაქციო კოლეგია: დავით ანდრიაძე, გია ეძგვერაძე, დათო ტურაშვილი, ეკა ქევანიშვილი, ზაზა შათირიშვილი, დავით ჩიხლაძე, გია ხადური

ნომერზე მუშაობდნენ: ეკა ქევანიშვილი, ალექს ჩიღვინაძე, თამარ კოტრიკაძე, თეა თოფურია, ნინი ელიაშვილი, ქეთი გზირიშვილი, მარი მესხი, გოჩა გვასალია, ლია ბაგრატიონი, გვანცა დოლუაშვილი, გია ეძგვერაძე, მანანა მათიაშვილი, ამბროსი გრიშიკაშვილი, ქარდა ქარდუხი, მაია ტურაბელიძე

გამომცემლობა «საუნჯე»
მის.: ალ. ყაზბეგის 32/34
ტელ.: 2141214, 2395587, 2397188
Skype: saunje-saunje
ელ-ფოსტა: saungeo@gmail.com;
www.saungeo.ge

1. ნომრის ავტორები

ალექს ჩიღვინაძე

ეკა ქევანიშვილი – ალექს ჩიღვინაძე – უცხო ტერიტორიაზე

ერთხელ ალექს ჩიღვინაძემ თქვა, არ არის მთავარი, რომ იცხოვრო, მთავარია, იმოგზაუროო. და მე მაშინ ჩემთვის გამეცინა, იმიტომ, რომ როცა ამ ავტორს ვკითხულობდი, სულ მქონდა განცდა, რომ მან შემოგვიარა, დაგვაკვირდა, დაწერა, წაგვაკითხა და მერე ახალი სიტყვების საძებნელად წავიდა – სამოგზაუროდ. რაღაცის დასაგროვებლად. ახლა სხვებზე დასაკვირვებლად. სულ თავიდან ის «ვარდისფერი ავტობუსით» მოვიდა. მე მაშინ გავიცანი ის და მისი მეგობრები, სხვა «ავტობუსელები», რომლებიც არ ჰგავდნენ მათ თანამედროვე დამწყებ პოეტებს პათეტიკური შინაარსის ლექსებით. პირიქით, ისინი ღიად წერდნენ უხერხულ თემებზე. ალექსა მათ შორის ყველაზე ჩუმი იყო და, ჩემი აზრით, ყველაზე დიდ სიჩუმეზე წერდა კიდეც. დროდადრო ვაკვირდებოდი ხოლმე, ხან მისსავე ბლოგზე, ხან ონლაინ სივრცეში ჩნდებოდა თავისი ლექსებით. მერე უცებ პიესების კრებულიც გაჩნდა. მას მერე სულ ვფიქრობ, რომ ეს ავტორი რაღაც დიდის და კარგის დასაწერად ემზადება.

სალამი, ალექს, დიდი ხანია, აღარ შევხვედრივართ ერთმანეთს. იქ ხარ დღეს, სადაც გინდოდა ყოფილიყავი?

შემიძლია გიპასუხო ასე: იქ ვარ, სადაც მინდა ყოფნა, მაგრამ ეს არ გამორიცხავს ჩემი სხვაგან ყოფნის სურვილსაც. თუმცა ვხვდები, რომ რაღაც უფრო მეტყველი ექსპოზიციური ნაწილი გჭირდება, ვიდრე ჩემი ყოფნა-არყოფნის მონოლოგი შეიძლება იყოს. ასე რომ, შემდეგი კითხვა დამისვი.

იმ დღის მერე, მე რომ გაგიცანი, უკვე ბევრი წელი გავიდა – შენი, როგორც მწერლის ცხოვრებაში რა შეიცვალა კარგისკენ, რა პირიქით და რა დარჩა ისევ ისე, ძველებურად?

ახლა უფრო მყარი სკამი მაქვს. მართალია, არც ისე კომფორტულია, მაგრამ, სამაგიეროდ, მყარია. ადრე ხშირად ვამტვრევდი სკამებს, იმიტომ, რომ ხანდახან ზედ გადაწოლა მიყვარს, რწევა. სკამის გარდა იდეები მაქვს და დრო – ამ იდეების შესამოწმებლად. ადგილი, სადაც შემიძლია წყნარად ვიმუშაო ან არ ვიმუშაო. ეს მეორე კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ არაფრის კეთებისას ყველაზე კარგად ხვდები, ვინ ხარ და რა პრობლემები გაქვს.

შენი ყოველდღიური ცხოვრება ვისას ჰგავს – მწერლის და დრამატურგის, ტელეწამყვანის, ჟურნალისტის, მოხეტიალის თუ ვისას?

მოდი, გამორიცხვის მეთოდით მივყვეთ. ტელეწამყვანები როგორ ცხოვრობენ, არ ვიცი. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე თვით ყოველდღიური გადაცემის თანამწამყვანი ვიყავი, არც მაშინ მიცხოვრია ამით. ჟურნალისტი? იშვიათად ახლაც ვწერ ჟურნალებისთვის ან ინტერნეტ-პორტალებისთვის და ჩემი ხეტიალიც უმეტესწილად ამ მასალების კეთებას უკავშირდება, ასე რომ, მოხეტიალის ცხოვრებაც არ მერგება. უფრო, ალბათ, მწერლის ცხოვრებას წააგავს ჩემი ყოველდღიურობა, ყველაზე ხშირად მაინც ფურცელთან ვზივარ, მაგრამ ხანდახან ფურცელი არის არა კარი, არა ფანჯარა, არა

რუპორი, არამედ, უბრალოდ, კედელია, თეთრი კედელი, რომლის მიღმაც არაფერია.

რუტინა გჯობნის ხოლმე? თუ მაინც წერ და წერ?

ბოლოს ყველაფერი მაინც რუტინად იქცევა. აი, სულ რომ ქილერი იყო ან პატრიოტთა ალიანსის მდივანი, თუ ყოველდღიურად ერთი და იგივეს კეთება გიწევს, გადის დრო და შენი ქმედებები ავტომატური ხდება, რასაც არ უნდა აკეთებდე. ჰოდა, როგორც კი ამას ვგრძნობ და, არ დავმალავ, ხშირად ვგრძნობ ხოლმე ამას, ვცდილობ, ამოვვარდე, სადღაც გადავუხვიო. ხან ვახერხებ, ხან ვერა. აი, თუ დაკვირვებიხარ, როცა სეირნობ, როცა ნაცნობ ადგილას ხარ, უფრო ხშირად ჩერდები და ფიქრობ, აი, ახლა საით, ქიქოძეზე შევუხვიო თუ ასათიანს გავუყვე, დადიანზე ჩავუხვიო და თავისუფლების მოედანისკენ წავიდე თუ... როცა უცნობ ქალაქში სეირნობ, არც კი ფიქრობ, არა აქვს მნიშვნელობა, სად გაუხვევ, მაინც არ იცი, რა დაგხვდება წინ და მიდიხარ დაუფიქრებლად, მსუბუქად. ეგრეა ყოველდღიურობაც. ამიტომ ვცდილობ, ხშირად მოვხვდე უცხო ტერიტორიაზე – მეტი დისკომფორტი ტვინს.

ახლა რაზე მუშაობ? უფრო სწორად, ასე გკითხავ – რაზე უფრო ხშირად მუშაობ და რას მოაქვს მეტი სიამოვნება?

ახლა ვმუშაობ სცენარზე, რომელიც საკუთარი პიესის, «უხერხემლოს» მიხედვით დავწერე. ახლა მეორე დრაფტს ვწერ რეჟისორთან ერთად. ეს პიესა ტრილოგიის მეორე ნაწილია. უფრო სწორად, გახდა მეორე ნაწილი, რადგან

თავიდან არ მქონდა ასე დაგეგმილი, უბრალოდ, როცა «უხერხემლო» დავწერე, მივხვდი, რომ წინა პიესას აგრძელებდა – მშობლების ისტორია, რომლებიც წლების წინ გაგდებული შვილის გვამს ჩამოასვენებენ და ამ დროს პანაშვიდზე არავინ მიდის, რადგან მათი შვილი ტრანსსექსუალია და სოფელი არც სასაფლაოზე დაკრძალვის უფლებას იძლევა. ირიბი პარალელია ანტიგონესთან, ნუ რაღა ირიბი, ინტერპრეტაციაა – ეს არის პიესა, სადაც მშობლები იბრუნებენ შვილს. პირველი პიესა – «მარინა რევია» – არის დედაზე, რომელიც გამოდის ციხიდან, ბრუნდება სახლში უცნობ შვილებთან და ამ ტრილოგიის მესამე პიესაც, რომელიც ჯერ მხოლოდ იდეის დონეზეა, ამავე თემას უტრიალებს: მშობლებს შვილებში, დანაშაულს, რომელიც ყოფს და აერთიანებს დროის შეგრძნებას და ნოსტალგიას.

ბოლო დროს ყველაზე მეტად პიესებზე მუშაობა მსიამოვნებს. როცა რაღაც ჩანაწერს ვეძებ ძველ რვეულში, მგონია, ერთდროულად რამდენიმე ადამიანის დღიურს ვკითხულობ. ხანდახან საერთოდ არ მახსოვს, რა ხდება. ვინ არის ქეთი, რომელსაც ორი წელია არ უნახავს მამა. არადა, მამა ვერ ხვდება, რაზეა მისი შვილი ნაწყენი. ან ოცი წლის ბიჭმა უსინათლო დედა სცემა და დედა ფანჯრიდან გადახტა და თვითმკვლელობა სცადა. ეს მგონი მართალი ამბავია. მერე იწყება იმის აღწერა, როგორ რჩება ნაცემი დედა მარტო ოთახში. შპალერი ჩამოხეულია? დედა კედელს ეფერება. რატომ ეფერება? ეს ლაქაა? რაზე შეიძლება ფიქრობდეს? ახსენდება, როგორ არწევდა შვილს? რომ გაახსენდეს მისი ბავშვობა, ალბათ თავსაც არ მოიკლავდა. რა გზას გადის ფანჯრამდე? რას ეყრდნობა. ფანჯრიდან რას ვხედავთ? ნაგვის ურნებზე მტრედები სხედან? როდის იღებს ნაცემი დედა გადაწყვეტილებას,

რომ გადახტეს? ხტება. რამდენიმე წამი ჰაერში და ხმაური ესმის შვილს. რაღაც დაეცა ასფალტზე. ჰგონია, რომ ნაგვის მოზრდილი შეკვრა გადააგდეს. არადა, დედაა. წამებით აცდა. უნდოდა შესულიყო და ბოდიში მოეხადა და დააგვიანა. რა აყვირებთ მეზობლებს? ხედი ზემოდან. აი, რაღაც ასეთი ჩანაწერებით არის სავსე. ეს ფრაგმენტები შეიძლება გამოვიყენო სადმე. შეიძლება – არც და დარჩეს რვეულში. რომლებსაც მერე გადავყრი და ნაგავსაყრელზე, ალბათ, ცეცხლს წაუკიდებენ. შეიძლება მერე ამ რვეულების დაწვის პროცესი აღვწერო, და სადაც აღვწერ, მერე ის რვეულიც დაწვან.

ხშირად ვეკითხები ხოლმე ავტორებს, როგორ ირჩევენ თემებს წერისას – საიდან მოდის, ის, რაც შენთან მოდის და თუ იყოფა შენთვის საწერი და სათქმელი მარადიულ და დღეს სათქმელ, თუ შეიძლება ასე ვუწოდოთ, აქტუალურ თემებად?

მაგალითად, ამ ზაფხულს შატილში შევხვდი ექიმს, რომელიც მომიყვა, რომ მისი ცოლი დაიხრჩო მდინარეში. ძროხებთან წასულს ფეხი აუსრიალდა თუ ყინული ჩაუტყდა. მგონი ორი დღე ეძებდა. ბოლოს გაყინულ მდინარეში მიაგნო. თითქოს ვიღაცამ მითხრა – გაჩერდიო. გავჩერდი და მართლაც მისი თმები დავინახეო. ჰოდა, იმ მდინარეს მივუყვებოდით, შატილიდან მუცოსკენ. მთელი გზა ლაპარაკობდა. მანქანაში მუსიკა იყო ჩართული. მერე რაღაც მომენტში გაჩუმდა და მივხვდი, რომ ის ადგილი გავიარეთ, სადაც თავისი ცოლი იპოვნა წლების წინ. აი, ეს არის, რაზეც მინდა დავწერო. ამ სიჩუმეზე. ასეთ სიჩუმეზე. ეს არის ჩემთვის მარადიული.

აქტუალურს რაც შეეხება, ხშირად ვფიქრობ, საერთოდ რატომ ვწერ. აი, ვიყურები აივნიდან და საშინელი ქარია,

ძალიან აქტუალური სიცივეა და მუშები მშენებლობაზე, არავითარი უსაფრთხოების ნორმები, მთელი დღე მუშაობენ, ბურღავენ. ვიღაც «ძელეცის» ჩალიჩით მოპოვებული ნებართვა, უაზრო შენობა. 80 წლის ბაბუაჩემი, ისევ დილის ექვს საათზე წავიდოდა სამსახურში. ქუჩის გადაღმა ლომბარდის ერთ კვადრატულ მეტრ ფართში ახალგაზრდა გოგო ზის ჩაწითლებული თვალებით. სუპერმარკეტია ქვევით, ერთი დეპუტატის არისო და იქ თვრამეტი წლის გოგოს ჩამოეძინა სალაროსთან, იმიტომ, რომ უკვე მეორე ღამეა, მორიგეა. იმ დღეს ხელი მაჩვენა, ნახე, ვიღრძეო. რა დაგემართა-მეთქი და კარტოფილის ძაან მსუბუქი ტომრები რომ მოაქვთ, იმის ბრალიაო. სუსტი გოგოა. მე კიდევ თბილად ვზივარ მაგიდასთან და ვწერ? ვინ მომცა ამის უფლება? ამხელა ფუფუნება საიდან და ის მაინც ხომ უნდა ვიცოდე, რას ვაკეთებ? რატომ ვწერ? რისთვის? რა გამართლება მაქვს? ვიღაცებს აქვთ განცდა, რომ ეს ასე უნდა იყოს. მათ ეკუთვნით. მე არ მაქვს ამის განცდა.

შენთვის თუ არსებობს რეცეპტები ლიტერატურაში?

რეცეპტები, რა თქმა უნდა, არსებობს. მგონია, რომ ნებისმიერს შეუძლია სიუჟეტის აგება, მოხდენილი აღწერა, პერსონაჟების ხასიათების გამოკვეთა, ტექნიკა, მაგრამ, შეიძლება, ეს ყველაფერი ჰქონდეს, მაგრამ კარგი რომანი ვერ დაწეროს. კიდევ არის, მოდი, დავარქვათ, ინტუიცია, როცა მწერალმაც კი არ იცის, საიდან მოიტანა ესა თუ ის გადაწყვეტა, ესა თუ ის შტრიხი, დეტალი, რომელიც ყველაფერს თავდაყირა აყენებს. აი, მაგალითად, თუ

გახსოვს პაზოლინის «დედა რომაში», ბოლოს სიმღერა ციხეში. აი, რაღაც მსგავსს ვგულისხმობ, ლიტერატურიდან უცბად ვერ გავიხსენე მაგალითი და სამაგიეროდ, საუკეთესო მწერალი რეჟისორი გამახსენდა.

რისი ცოდნა გჭირდება ხოლმე ახალი წიგნის, ტექსტის დაწყებამდე მის შესახებ?

ყველაფრის... და თუ ვინმე ისეთმა არ მირჩია, ვისაც ვენდობი და ბევრს არავის არ ვენდობი, ჯერ ვკითხულობ რეცენზიებს, სანამ გადავწყვეტ წაკითხვას, ცუდი წიგნების კითხვის ან ცუდი ფილმების ყურების დრო სადღა მაქვს.

წერის პროცესში როგორი ხარ? აი, გარედან რომ ვინმემ შეგხედოს, რას დაინახავს?

ახალგაზრდა კაცს ლეპტოპით. ხშირად ამ ლეპტოპთან გადაშლილი რვეულით, სადაც შენიშვნები და მონახაზებია. თუ მოსასმენი აპარატურაც ექნება, შეიძლება მუსიკის ხმაც გაიგოს. მუსიკა მეხმარება კონცენტრაციაში. ბოლო ორი კვირაა, მობის რაღაც ოთხსაათიანი ალბომი მაქვს აჩემებული. წყნარ-წყნარი მუსიკა, იოგასთვის და ძილის წინ მოსასმენად გავაკეთე და მე კონცენტრაციაშიც მშვენივრად მეხმარება. კიდევ – თეთრ კატას, რომელიც კლავიატურაზე გაწოლილი მხვდება, როცა მე ოთახიდან გავდივარ.

წერა შენთვის დაღლაა თუ პირიქით, ენერგიით დამუხტვა?

რა თქმა უნდა, დიდი ენერგია გჭირდება საწერად. ამიტომ, თუ ვწერ, დილით ვწერ. შუადღისთვის უკვე გამოშტერებული ვარ და უნდა გავიარ-გამოვიარო, რომ შემდეგ კიდევ შევძლო რამის გაკეთება.

ბოლოს რომელი მწერალი აღმოაჩინე შენი თავისთვის? აი, რომ თქვი: ჯანდაბა, ნეტა მე დამეწერა ეს ტექსტი. ან რაღაც ეგეთი. ანდა – არსებობს ისეთი წიგნი, რომლის ავტორიც დაუფიქრებლად იქნებოდი?

ბოლოს დიდი ხანია, ნელა, აუჩქარებლად ვკითხულობ «ულისეს». ბოლოს წავიკითხე ქართველიშვილის «მოცემულობა». ფასდაკლება იყო მაღაზიაში და შემთხვევით წავაწყდი. რომანი არც არის, დიდი ნოველაა. მაგრამ გამახსენდა, რა კარგი მწერალია დათო. მომენატრა მასთან ლაპარაკი. წავიკითხე ქეთი ქანთარიას თარგმნილი ბრუნო შულცი. ერთი მოთხრობაა «ნებროთი», ჩემი აზრით, საუკეთესოა.

რა იყო ყველაზე მწარე კრიტიკა, რაც შენ, როგორც ავტორს, მიგიღია? და პირიქით, შექება?

ვინც მაქებს, ეგრეევე ჩემს ნდობას კარგავს. მწარე კრიტიკა არ ვიცი, მაგრამ ერთხელ, როცა ბუშის ქუჩას უიტმენის სახელი დავარქვით, – ისეთი იდეა იყო, მხოლოდ დადებით შეფასებას რომ ელი, – თან დაგვიჭირეს და ამ დროს ვკითხულობ დათო ბარბაქაძის ღია წერილს, სადაც ამბობს, რომ კულტურულად უმწიფარი და პოეტურად უსუსურია ეს ყველაფერი. იმ მომენტში შეიძლება გავღიზიანდი, იმიტომ რომ ამ წერილშია ფრაზები: «თუ იცი, რამდენი ენა იცოდა ფუკომ შენს ასაკში...» და ვფიქრობ, ფუკო მდიდარ ოჯახში დაიბადა და მე გლდანში დავიბადე, ჩემი ტოლები იმით ამაყობდნენ, ვის მეტი კაცი ჰყავდა დაჭრილი. მაგრამ საბოლოოდ, აი, ამ წერილმა, ძალიან კარგი სამსახური გამიწია. იმიტომ, რომ იქ არის ლაპარაკი რთული გზით სიარულზე და პატიოსან შრომაზე. შეიძლება, ყოველთვის ვერ ვახერხებ ამას, მაგრამ გული ყოველთვის

იქით მიმიწევს. შეიძლება, დათომ არც იცის, როგორი მადლიერი ვარ მისი.

შენი გმირები რამდენად ემყარებიან რეალურ ადამიანებს?

რა თქმა უნდა, ემყარებიან და მთავარი შეკითხვა მგონია, თუ როგორ უნდა გადაიტანო ის, რაც ცხოვრებაში ხდება, ლიტერატურაში, რა უნდა დაამატო, რომ დაგიჯერონ. რვეულში წავაწყდი ერთი თვის წინ ბათუმში გაკეთებულ ჩანაწერს: ჩაუვლია მოპედს და ამ მოპედზე ტიპს ხელში ეჭირა გიგანტური, რბილი პანდა. ზუსტად ერთ წუთში ჩაუვლია ველოსიპედისტს, რომელსაც საჭეზე თეთრი მამალი დაესვა. მერე ღამე ჩამივლია გონიოში, სადაც თითქმის დამთავრებული სახლის აივანზე იჯდა ზანგი მუშა, ედგა ლუდის ქილა და სვამდა. ეს ყველაფერი ერთ საათში. აღვწერე და რა, არაფერი, მაგრამ იმ მომენტში აშკარად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია ჩემზე.

როგორ ფიქრობ, რომელი ლიტერატურული ჟანრისაა მომავალი ლიტერატურაში?

მგონი, საერთოდ აღარ იარსებებს ჟანრები. უკვე აღარ არსებობს. ჩემი რომანის ფრაგმენტში, რაც ამ ჟურნალში იბეჭდება, არის ფრაზა: «ჟანრები ახლა ისეა არეული, როგორც თეთრეული სარეცხის კალათში».

ვინ არის ყველაზე ცნობილი მწერალი, ვისაც ცხოვრებაში ცოცხლად შეხვედრიხარ და ვისაც შეხვდებოდი?

ვერ ვიხსენებ. მართლა. არადა, შევხვედრივარ თითქოს ვიღაცებს. ბუნდოვნად მახსოვს. თუმცა ამ ცნობილ მწერლებთან შეხვედრები დიდად არ მიზიდავს. ადრე მომწონდა. ხელიდან არ გავუშვებდი არცერთ შანსს. ახლა მკიდია. არც ამ ლიტერატურულ შეხვედრებზე დავდივარ. თუ მწერალი მაინტერესებს, მის წიგნს წავიკითხავ. ლუდის

დალევა და ლაპარაკი ბარში შემთხვევით გაცნობილ ტიპთანაც საინტერესო შეიძლება იყოს, ბევრად საინტერესოც კი.

პოეზიაზე მინდა გკითხო – შენი აზრით, «პოეზია არ იყიდება» – ეს ფრაზა რამდენად არის სიმართლე?

ის, რომ პოეტური კრებულები შედარებით მცირე ტირაჟით იბეჭდება და ხშირად ეს მცირე ტირაჟებიც არ იყიდება, შენც კარგად იცი. მგონია, რომ კარგი პოეტები არც არასოდეს იყიდებოდნენ. სადმე რომ ვნახო, პოეტური კრებული ბესტსელერია, არ ვიყიდი. არ ვენდობი ეგეთ პოეტს. ცნობილი და პოპულარული პოეტები ძირითადად იდიოტები არიან.

არის შენს ლექსებში ისეთი ლექსი, რომელიც არასოდეს დაძველდება? თუ კი – რომელი?

შეიძლება არის რამდენიმე ჰაიკუ, იმიტომ, რომ ჰაიკუ არ არსებობს ცუდი ან კარგი. ჰაიკუ ან არი, ან არ არის. შეიძლება, რამდენიმე მომენტის შენახვა მეც მოვახერხე. ისე კი, ზოგადად, ზედმეტად გონებაგაფანტული ვარ პოეტისთვის.

როგორ ფიქრობ, 21-ე საუკუნის პოეზიამ რა ტრანსფორმაცია განიცადა? ახასიათებს რამე ნიშანი, რასაც გამოყოფდი?

წინის წინა შეკითხვაში დავიწყე ნაწილობრივ ამ კითხვაზე პასუხი. ოცდამეერთე საუკუნეში შეუძლებელია, იყოს, ვთქვათ, ნიკოლოზ ბარათაშვილის ან რემბოს მსგავსი პოეტი. დღეს მგონია, რომ, პირველ რიგში, პოეტი

აუცილებლად კარგი მთარგმნელია, ვის ლექსებშიც სხვადასხვა ეპოქის პოეტების ხმების ექო ისმის, გარკვეულწილად გიდი და დროში მოგზაურია, ინტელექტუალია, მჭვრეტელია და, ამასთან, მარტივია.

ქართველ ავტორებს თუ კითხულობ? თუ კი, რა ნიშნით არჩევ ხოლმე? და თუ კი, როგორ დაახასიათებდი იმ პროცესს, რაც დღეს ქართულ ლიტერატურაში ხდება?

რა თქმა უნდა, ვკითხულობ. ძალიან მიხარია, რომ ვთქვათ, ჩემი მეგობრები, წერენ ისე, როგორც ჩემი საყვარელი მწერლები წერდნენ. ვთქვათ, ზურა ჯიშკარიანი. ახლახან დაამთავრა რომანი და წავიკითხე, ხარისხით არ ჩამოუვარდება ბეროუზს. თუნდაც მისი ესეები თუ მოთხრობები, – არ ვიცი რა არის, – ხომ ვთქვი, აღარ არის ეს ჟანრები. საერთოდ, ბევრ ქართველ ავტორს ვკითხულობ, თუნდაც იმათ, ვინც demo.ge-სთვის მიგზავნის ტექსტებს. ეს არის პორტალი, რომელიც პაატა შამუგიამ გააკეთა და ერთად ვმართავთ უკვე მეცხრე წელია და უკვე დიდი არქივი დაგროვდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ვერც ჰონორარს ვუხდით ვინმეს, ხანდახან იმდენ დროსაც ვერ ვუთმობთ, რამდენიც სჭირდება, ვერ ვიცლით სათარგმნელად, მაინც გვიგზავნიან ტექსტებს, რიგ შემთხვევაში ახალ და მოულოდნელ ტექსტებსაც და demo.ge-ზე გამოქვეყნება დღემდე ხარისხის ნიშანია. სიტყვაზე, ბოლო პერიოდში ხშირად იდება აქ ირაკლი ყოლბაიას თარგმანები. 22 წლის არის, არ ვიცი, როგორ ახერხებს ამდენის თარგმნას, წერს კიდევ უფრო მეტს, და

მგონია, რომ შეუძლებელია ის ენერგია და შრომა, რასაც ის ამ ყველაფერში დებს, სადმე გაქრეს. ასე რომ, ქართული ლიტერატურა იქ არ არის, სადაც ფურშეტები და გაჩახჩახებული დარბაზებია, იქ არ არის, სადაც კარიერა და კაბინეტებია, იქ არის, სადაც მას არ ელიან. ასეთი მოულოდნელი იყო შუღლაძის «გადამალვაც». იმიტომ გახდა პოპულარული – ისეთი გმირის შემოყვანით, რომლის მსგავსიც მანამდე არ ყოფილა ქართულ ლიტერატურაში.

პიესების წერის სურვილი რამ მოიტანა? თეატრი გიყვარს? და თუ – კი, რა არის, რაც მასში გიზიდავს?

უფრო ვეძებ იმ თეატრს, რომელსაც შევიყვარებ. დღეს საქართველოში თეატრს ფუნქცია აქვს დაკარგული. დღეს ქართული სპექტაკლების უმრავლესობა არამხოლოდ გაუმართავია, არამედ გაუმართლებელია. იდგმება იმიტომ, რომ დაიდგას. დამდგმელ რეჟისორსაც კი არაფერს აძლევს, არათუ მაყურებელს. კითხვებსაც არავინ სვამს: საერთოდ, რა არის თეატრი? რას ემსახურება? და ამიტომაც არავინ ელოდება ახალ სპექტაკლს, როგორც ელოდებოდნენ და ელოდებიან, ვთქვათ, გერმანიაში, ირლანდიაში, ინგლისში, პოლონეთში. აქ ეს მოლოდინი არ არის. იმიტომ, რომ არ გვჯერა, რომ ვინმე გაგვაკვირვებს. გაგვაკვირვებს სათქმელით, ოსტატობით, სითამამით, ფანტაზიით. ასე რომ, სანამ თეატრს შევიყვარებთ, ჯერ უნდა მოვძებნოთ თეატრი. დამეხმარა სამეფო უბნის თეატრში თემურ ჩხეიძის სახელოსნო, ბოლო პიესები სწორედ ამ სახელოსნოს ფარგლებში დავწერე და იქ დავიწყე იმაზე ფიქრი, რომ, პირველ რიგში, უნდა ვიცოდეთ, როგორი თეატრისთვის გვინდა, რომ ვწეროთ, უნდა ვიცოდეთ, რის თქმას ვცდილობთ და უნდა აღვადგინოთ ნდობა, რასაც აუცილებლად მოჰყვება სიძულვილი, შიში

და, რაც მთავარია – მოლოდინი, ინტერესი და პატივისცემა.

მომავალში რა გეგმები გაქვს?

მომავალ თვეში გამოდის ჩემი და ჩემი გოგოს (არ მიყვარს სიტყვა ცოლი) პირველი საბავშვო, სურათებიანი წიგნი. «ზოლიანი კატა» გამოსცემს (ახალი, გადასარევი გამომცემლობაა. «ჰიპა ირჩევს პროფესიას» – ასე ჰქვია წიგნს. ჰიპა ჩვენი კატაა. ტექსტი ერთად განვავითარეთ. საერთოდ, ჩემი გოგო ჩემზე ბევრად კარგად წერს და კიდევ უფრო კარგად ხატავს და მგონია, რომ მშვენიერი წიგნი გამოგვივიდა. საერთოდ აღმოვაჩინე, რომ ბავშვებისთვის წერა ყველაფერს მირჩევნია. უკვე მეორე წიგნზეც დავიწყეთ მუშაობა, თან, მომავალ თვეში შვილს ველოდებით და, იმედი გვაქვს, რომ ჩვენი წიგნი მასაც მოეწონება.

გაბმული საუბარი (ფრაგმენტი რომანიდან)

ყოველ ღამე, როცა ჩემი გოგო იძინებს, მე ფრთხილად ვითავისუფლებ ხელს, რომელზეც მას თავი უდევს, ვიწევი ქვევით და ყურს ვადებ მუცელზე. ჯერჯერობით არაფერი ისმის, მაგრამ ვიცი, იქ არის. ტუჩებს ვუახლოვებ. დაჭიმულ კანზე რბილი, წითელი მატლის დესანტს ვსვამ. მწერები ერთმანეთისკენ იწევენ. ჰაერს ისრუტავენ. ჰეი, გესმის? პასუხი არ არის. მას ჯერ წინა აქვს პირველი სიტყვა და პირველად სულაც არ იყო სიტყვა, სიტყვა მერე გამოიგონეს, რადგან დასაწყისი სჭირდება ყველაფერს. სიცოცხლეს წინ ტირილი უსწრებს, გრძელ დისტანციაზე მორბენალს სხვა მორბენალი, შეუდარებლად შორს გაჭრილი საკუთარ მარტოობაში.

ახლა შენც მარტო ხარ, მიუხედავად იმისა, რომ ჭიპლარით ხარ მიერთებული სხვა ადამიანს და წყლები, რაც გარს გარტყამს, ყველაზე დიდი ოკეანეა სამყაროში არსებული ოკეანეებიდან და შენი ცურვა დაუსრულებელი და თავგანწირული ოდისეაა. დაბადება დიდ გამბედაობას მოითხოვს ჩვენგან. შიშები მერე იწყება, თორემ თავიდან ყველანი გმირები ვართ, უშიშრები, ვითარცა უხორცოები და შენც არ იქნები გამონაკლისი.

შენი დანახვა მხოლოდ ექიმი-რადიოლოგის თანდასწრებით შეგვიძლია. თუმცა ალბათ მალე ყველა ორსულს ექნება ერთი არხი ტელევიზორში, რომელზეც გადართავს უძილობის დროს და უყურებს, როგორ ვითარდება ემბრიონი, გულისცემის ფონზე დააკვირდება შავ მატერიაში მოძრავ, განვითარებად სხეულს. ჩანაწერს გადაახვევს, დაინახავს, როგორ ჩნდებიან სისხლძარღვები, თვალის პირველ გახელას ნახავს და

გაუთავებელ ტრიალს, მხატვრულ ტანვარჯიშს – ჭიპლარით შესრულებულ ურთულეს და უნაზეს ნომრებს, რის შემდეგაც დაიწყება სარეკლამო პაუზა: «შეინახეთ თქვენი ახალშობილის მარკირებული უჯრედები თხევადი აზოტის საცავებში უსასრულოდ, -196 გრადუსზე და გამოიყენეთ ის ცხოვრების ბოლომდე».

შენ გატყობ, რომ ეს თვალთვალი დიდად არ გსიამოვნებს. რამდენჯერმე იცვალე გვერდი ერთი წუთის განმავლობაში. ხედავ კუტუს? ხედავ? – იმეორებს ექიმი. თითქოს იმის გამო, რომ ბიჭი ხარ, ჩემგან შექებას ელის. ან თვითონ მაქებს. ვერ ვხვდები. კუტუს კი არა, თავი რომელია, იმას ვერ ვარჩევ. ვამბობ და დედაშენს ვუღიმი. პასუხად ისიც მიღიმის. დედაშენს – ამ სიტყვას ჯერ ვეჩვევი. აი, მამა კიდევ მაბნევს. რეზინის ხელთათმანში მოქცეული გადამწოდი დედაშენის მუცელზე დასრიალებს. ექიმი ჩამოთვლის: ხერხემალი. გული, ფილტვები. ეკრანზე ლაქები იცვლიან ფორმებს. აი, ეს შავი კი წყალია.

ჯერ დაახლოებით 150 გრამი ხარ. სადღაც ჩემი საჩვენებელი თითის სიმაღლე. შეიძლება შუათითის სიმაღლესაც მიაღწიე უკვე. არ ვიცი. ცოტა ხნის წინ დაიწყე მოძრაობა და ეს დედაშენს ძალიან სიამოვნებს. მე კიდევ დღეს პირველად მომხვდა შენგან და ეს იყო ყველაზე მოულოდნელი აპერკოტი ჩემს სიცოცხლეში. ნოკაუტში არ ჩავვარდნილვარ, მაგრამ ბევრიც არ მაკლდა. დედაშენი კი გაირინდება და გისმენს. თითქოს შენს ამ ახლადდაწყებულ ცეკვაში საკომუნიკაციო ნიშნებს ეძებს.

ყოველღამე, სანამ დამეძინება, ჩამოვდივარ შენთან და ვლაპარაკობ. ისევე, როგორც მერცხლები იწევიან გაავდრების წინ მიწასთან ახლოს, რადგან მწერები წვიმის წინ ატმოსფეროს მაღალი ფენებიდან შედარებით თბილ,

დაბალ ფენებში გადმოინაცვლებენ ხოლმე და მათ მიჰყვებიან ეს კაი მჭამელი ჩიტებიც. არა, კრონოსივით შენს შეჭმას არ ვაპირებ, უბრალოდ, გელაპარაკები, როგორც დიდი ხნის უნახავ მეგობარს. მეგობარს არა. არ ვიცი, ასე ვისთან ვილაპარაკებდი. ალბათ არავისთან და ამიტომაც ვლაპარაკობ შენთან. შემიძლია, გენდო ბოლომდე. მართალია, სხვებიც არიან, ვისაც ვენდობი, მაგრამ ეს განსაკუთრებული ნდობაა, რასაც გიცხადებ. ვერ აგიხსნი, რატომ არის განსაკუთრებული. საერთოდ, ბევრ რამეს ვერ აგიხსნი.

ბიჭუნა, ჩვენი ოთახი მდინარე რომ იყოს, იქ აუცილებლად ეკიდებოდა ბებერი, რომელიც მოჰყვებოდა ასეთ ზღაპარს: იყო და არა იყო რა, ერთ დიდ მუცელში ცხოვრობდა პრინცი, რომელსაც გარეთ დევი დარაჯობდა. ბებერი გაამუქებდა და იტყოდა, რომ დევს მინიმუმ ცხრა თავი ჰქონდა და ცხრა ბალიში ფასკუნჯის ფრთებით გამოტენილი. ამ ცხრა თავს ცხრა თავი სიზმარი ესიზმრებოდა და ყველა სიზმარში იყო ეს პრინცი. მაგრამ ვინაიდან ჩვენი ოთახი მდინარე არ არის და იქ არც ბებერი ჰკიდია, ამბებს ისევ მე მოგიყვები. მე კი მხოლოდ იმაზე ვყვები, რაც ყოფნასა და არყოფნას შორისაა, არც იმას ვამტკიცებ, რომ იყო, არც იმას, რომ არ ყოფილა, არც მათ ურთიერთგამომრიცხავ თანაარსებობაზე მივანიშნებ.

დაბადების შემდეგ გოლიათების სამყაროში მოხვდები. ჯერ დაინახავ სინათლეს, მერე ფერებს და მოძრაობას. არაფერი გემახსოვრება. პატარა მკერდი გაგებერება, როგორც დაუკრეფავი ლეღვი, წვიმის წვეთებით ავსებული. ვიღაცის ძლიერი ხელი ფრთხილად აგწევს ჰაერში და მიგაფრენს ერთ დაღლილ ქალთან. მის კანთან შეხება და მისი ხმა მოგცემს იმედს, რომ ყველაფერი გაირკვევა და ყველაფერი თავის ადგილას დადგება.

ცოტა ხანში გააცნობიერებ, რომ გოლიათების სამყაროში მოხვდი და დაიწყებ კვლევა-ძიებას. თანდათან დაგავიწყდება, რას იძიებდი და დაიწყებ მათ მიბაძვას. აქვე გაგაფრთხილებ, რომ მოერიდე ხშირად ნახმარ სიტყვებს და სიტყვებს, რიხით წარმოთქმულს. ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა პატრიოტიზმი და ტრადიცია, მამული, ღმერთი და ა.შ. იკბინებიან ეს სიტყვები, უზარმაზარ პირებს აფჩენენ და ყველაფერს ყლაპავენ, საკუთარი მნიშვნელობით დაწყებული და შენი მომავლით დამთავრებული. მოერიდე სიტყვას რელიგია. მოერიდე სიტყვას მშობელი. მოერიდე სიტყვა პასუხებს. მოერიდე სიტყვას ზღმარტლი – ეს ისე, ჟღერადობის გამო. დროთა განმავლობაში გოლიათები დაპატარავებას დაიწყებენ, სანამ მიხვდები, რომ ეს გოლიათები კი არ პატარავდებიან, თურმე შენ იზრდები. საბოლოოდ კი ისევ შეიცვლი აზრს და იფიქრებ, რომ დაპატარავება და გაზრდა დიდად არც განსხვავდება ერთმანეთისგან, ჩვენ ვიზრდებით იმისთვის, რომ დავპატარავდეთ, გავხდეთ ციცქნა მარცვლის ოდენა, დაფარულები შავი მიწის მძიმე ბელტებით, მზის მტევანზე დაბრძანებული მტვრის ნაწილაკი, კიდევ უფრო მცირეც, თვალით უხილავი.

მერე ერთ ფოტოს განახებ. ფოტოზე წარწერაა: «სამყაროს ყველაზე მაღალი ადამიანი მამასთან ერთად.» თავიდან ვერც კი ხვდები მამა რომელია. იბნევი, რადგან მიჩვეული ხარ, რომ წესით მამა შვილზე მაღალი უნდა იყოს. ფოტოზე კი ორი მეტრის და სამოცდაათი სანტიმეტრის სიმაღლის ბიჭუნას უყურებ, რომელსაც მამა წელამდე ძლივს წვდება. რაღაცნაირად საწყლად დგას ეს კაცი, გიგანტად ქცეულ შვილთან ერთად. მე მთელი თხუთმეტი წელი ალბათ შენზე მაღალი ვიქნები, მერე ვინ იცის, იქნებ შენც გამასწრო სიმაღლეში. დამხედო მაღლიდან და შეამჩნიო, რომ თმა

მითხელდება, ის მხრები, სადაც იჯექი ხოლმე, არც ისე ფართე ყოფილა და კისერი არც ისე სქელი. ასეა, ჯერ მშობლები უყურებენ, როგორ იზრდებიან შვილები, ხოლო შემდეგ შვილები – როგორ პატარავდებიან მათი მშობლები, და აი, აქ იწყებენ ჩვენი შიშები გარეთ გამოსვლას.

წითელი არენის ცენტრში იდგა ქალი. მკლავები გაეშალა, ზედ კი გველი გაწოლილიყო. მამა ამშვიდებდა შვილს, გველებს რძეში უყრიან წამალს და გველები ძილ-ბურანში არიან მერეო. გოგონა სანახაობას თვალს ვერ სწყვეტდა. ენა გველივით დაეხვია ხის ჩხირზე და მასზე შერჩენილ წითელ, გლუვ, ტკბილ ნამტვრევებს შორის სახიფათოდ ამოძრავებდა, როგორც მათრახს გაფანტულ ცეცხლში, როგორც ხელიდან გავარდნილ წყლიან მილს მინდორზე. მამა იმეორებდა: გველებმა რომ არ დაახრჩონ პატრონები, მათ რძეში უყრიან წამლებს და გველი გვერდს აუვლის გუბეებში არეკლილ ქალაქს, მხეცების დასაბმელად განკუთვნილ თოკებს, აუვლის გვერდს კარვებს და ფეხსაცმელს, აუვლის გვერდს თივას და მივა რძესთან. დალევს და დაეძინება. ღრმად. გვერდით რომ მიუწვე, ვერაფერს გაიგებს. ვერც მაშინ, თუ ხელში აიყვან, ყელზე შემოიხვევ და ფოტოს გადაიღებ. თვალი რომც გაახილოს და მოუნდეს შენი დახრჩობა, სხეულს ვერ დაიმორჩილებს. მე კი მეშინოდა, რომ ერთხელაც გველი გაიღვიძებდა. გააღვიძებდა მოუხერხებელი მასხარის დაცემის ხმა ან მისი საყვირის მაღალი რეგისტრი, გააღვიძებდა თუთიყუშის ლოცვა-ბუტბუტი, გააღვიძებდა მგლის ყმუილი, ლომის ღრიალი და ჩვენი ტაში. მინდოდა მეყვირა, მაგრამ ხმის ამოღებას ვერ ვბედავდი. მეშინოდა, რომ ეს გველი ჯერ მის პატრონს დაახრჩობდა. შემდეგ ბავშვებს წინა რიგებში. საბოლოოდ კი მოვიდოდა ჩემთან. გასწევდა

გვერდზე დედაჩემს და მამაჩემს. შუაზე გაყოფილ გრძელ ენას გამოყოფდა და წამოვიდოდა მოწყვეტით, როგორც სილა, მოქნეული. მე თვალებს დავხუჭავდი და ვეღარ დავინახავდი ბრწყინვალე აკრობატს, მობზრიალეს ჰაერში.

ცირკზე გამახსენდა. იყო ერთი კაცი, ტროცკი. მეცხრამეტე საუკუნეში დაიბადა და მეოცეში მოკლეს. მე მეოცეში დავიბადე და ოცდამეერთეში ჯერჯერობით ცოცხალი ვარ. შენ ოცდამეერთე საუკუნეში დაიბადები. ანუ ადამიანი, ვისზეც გიყვები, ადამიანი, ვინც ჰყვება და შენ, ვისთვისაც ვყვები, გადაჭიმულები ვართ სამ საუკუნეში. შენ წაიკითხავ, რომ მეორე მსოფლიო ომი მეოცე საუკუნეში მოხდა და იტყვი, რომ ეს წინა საუკუნეში მოხდა. რა დრო გასულა. მე კი როცა ვკითხულობდი მეოცე საუკუნეში მომხდარ ისტორიულ მოვლენებზე, არ მქონდა განცდა, რომ ეს შორეულ წარსულში მოხდა. უცნაური რამაა დრო. სკოლაში ალბათ აუცილებლად უნდა იყოს გაკვეთილი დროზე, სადაც გვასწავლიან დროის მოძღვრებას, შესავალს მაინც, გვასწავლიან, როგორ გავუმკლავდეთ ნოსტალგიებს, როგორ დავაღწიოთ თავი გამუდმებით ცვალებად წარსულს, როგორ არ მოვტყუვდეთ მომავლით, გვასწავლიან გეგმების დალაგებას. მაგრამ არაფერი მსგავსი. სკოლაში დრო მხოლოდ მათემატიკაში გხვდება. ჩვენ ვიცით მანძილი, ვიცით ტრანსპორტის სიჩქარე და უნდა გავიგოთ, მარტივი ფორმულის დახმარებით რა დრო დასჭირდება ამ მანძილის გავლას. ჩვენ არაფერი ვიცით ჩვენს სიჩქარეზე, მძღოლზე და სხვა მგზავრებზე, ადგილზე, სადაც ეს ტრანსპორტი უნდა მივიდეს.

ბიჭუნა, ძალიან რთულად ხომ არ ვლაპარაკობ? რა დრო, რა ნოსტალგია, ვინ ტროცკი და მარტოობა. ყველაფერი ერთმანეთში ავურიე. ასეა ჩვენი გონება მოწყობილი.

ერთიდან მეორეზე დახტის, როგორც ჩიტები ახლადაყვავებული ხის ტოტებზე, როგორც ფუტკარი ყვავილიდან ყვავილზე. სანამ ეს ფუტკარი არ იპოვნის სავსე ვარდს, არ ჩაწვება მასში, როგორც სულთანი დაპყრობილი ქალაქის ჭრელ აბანოში, გვერდზე მწვანე ფოთოლ-პირსახოცები, სხვა წითელი აბაზანები. ცაზე კი ღრუბლები, როგორც ნახატები ცისფერ კედლებზე, რომელთა დახრის კუთხესაც უკვე არავინ ასწორებს.

ტროცკი იხსნებს გამოსვლებს ცირკში. ძირითადად გამოსვლები იყო საღამოს. ხანდახან ღამით. ცირკი «მოდერნი»: იყო სავსე მუშებით და ჯარისკაცებით, მარტოხელა დედებით, ქუჩის ბავშვებით, სოფლიდან გამოქცეული გლეხებით, გასრესილი ლოთებით და მოგზაურებით. ბავშვები მამებს კისრებზე მოექციათ და მათ მამების გაზეთილ თმებზე ეწყოთ პატარა, გაშავებული ხელები. ბავშვები წოვდნენ ძუძუს. ყველა ხარბად ნთქავდა მის სიტყვებს. ბავშვები მშვიდად წოვდნენ მკერდს, საიდანაც ყვირილი ამოდიოდა ყვავილივით, რომელიც წამიერად ჰყვავის. იფეთქებს და იშლება, ფერი უმკვეთრდება, უღიავდება, ფერები ემატება, იშლება და უცბად ხმება. იქ შეკრებილი მასაც ერთ გიგანტურ ჩვილს ჰგავდა, გამხმარი ტუჩებით რევოლუციის ძუძუს რომ წოვდა. რძე იყო შავი, ჭვარტლი ცურავდა რძეში. რძე იყო გაჟღენთილი ალკოჰოლით და რძეს დაჰკრავდა გემო ნავთობის.

მოდი, ცირკიდან თეატრში წავიდეთ, წინა საუკუნეში ცირკმა ერთხელ გადაარჩინა თეატრი. მსახიობებს ასწავლა მოძრაობა. შეიტანა ის საფრთხე, რასაც ქალის გაშლილ ხელზე გაწოლილი გველი დაატარებს. შენ ერთხელ მაინც გეტყვიან, რომ ცხოვრება თეატრია და მოდი, პირველი მე ვიქნები, ვინც ამას გეტყვის.

დაბადებისთანავე ფარდას ჩასწევენ და პროჟექტორების სინათლეში ამოჰყოფ თავს. ჟანრი არ ვიცი. ჩვენს დროში ჟანრები ისეა არეული ერთმანეთში, როგორც ბინძური ტანსაცმელი სარეცხისთვის განკუთვნილ კალათში. შენ ყოველ მათგანს მოირგებ, რომ მერე ყველა გვერდზე მოისროლო და წინ წაიწიო, წინ გახვიდე, ავანსცენაზე დადგე, თვალი მოავლო დარბაზს, გაუსწორო მზერა სიბნელეს და სიბნელეში ამოიკითხო, რომ მთელი ეს დრო ვინც გეგონა მაყურებელი, თურმე სკამი იყო მხოლოდ ცარიელი. მთელი ეს დრო, ეს მქუხარე აპლოდისმენტები, ერთი ხელით დაკრული ტაში იყო და მეოთხე კედელიც სიდიდით ჩინურ კედელს არ ჩამოუვარდება.

შენი პირველი სცენა იქნება სახლი, რომელიც კიდევ უფრო დიდ სცენაზე დგას. თავიდან ჩვენ ქალაქში ვიცხოვრებთ და მერე ვნახოთ. ამ ქალაქის სიმბოლო არის არა ანძა, მთაწმინდა ან ქართვლის დედა და, რა თქმა უნდა, არც ეს კოლბებივით შენობებია, შენ ამ ყველაფერს მალე ნახავ. ამ ქალაქის სიმბოლო ერთი ქვის ანგელოზია. უფრო სწორად, მისი თავი. სადგურის მოედანზე, გადასასვლელ ხიდთან, ძველი ბიბლიოთეკის შენობა დგას. წარწერა შენარჩუნებულია, ფუნქცია არა. თავის დროზე იქ დევნილები შეუსახლებიათ. როგორც ძველი შენობების უმრავლესობა თბილისში, ეს შენობაც ორნამენტებით არის გაწყობილი. ერთ-ერთი ფანჯრიდან შეშის ღუმელის მილია გამოყოფილი, რომელიც პირდაპირ ერთ-ერთი ანგელოზის თავის ქვეშ გამოდის. დროთა განმავლობაში ამ ანგელოზის სახე ისე გაშავებულა, რომ მაღაროელთან უფრო მეტი აქვს საერთო, ვიდრე ზეცის ბინადართან. ჰოდა, მგონია, რომ სწორედ ეს თაბაშირის თავი არის მხოლოდ ჩვენი ქალაქის კი არა, არამედ მთელი ჩვენი ისტორიის ზუსტი სიმბოლო. ეს შავი ანგელოზი უნდა გავყიდოთ

სუვენირების მაღაზიებში. აი, რა უნდა ვანახოთ, როცა ჩვენს ქვეყანაზე რამეს გვკითხავენ. წინა საუკუნის დასაწყისში ჯერ ეტლიდან გადმოსულ ბურჟუებს დაჰყურებდა თავზე, მერე ბიბლიოთეკაში მისულ იმედებით გატენილ საბჭოთა მოქალაქეებს, იღლიაში ამოჩრილი კაპიტალით ან «კრაზანათი», ახლა კი გარე მოვაჭრეებს დაჰყურებს თავზე, რომლებსაც როდის აყრიან, ღმერთმა უწყის. შეიძლება უკვე აყარეს კიდეც, დამალეს, ვითომ არც არსებობენ. ერთხელ ალბათ ამ ანგელოზსაც გაათეთრებენ, თუ მანამდე არ ჩამოინგრა შენობა, ბიბლიოთეკის ნაცვლად იქ «texas Ciqen»-ს ან H&M-ს გახსნიან, ან უფრო რეალურია, რომ ბანკი გახსნან.

მაგრამ არც ასე ცუდად არის საქმე. აქ რაც არ უნდა ბევრი იარო დღის განმავლობაში, არა წინასწარ განსაზღვრული მარშრუტებით, უმისამართოდ, მაინც ყოველდღე აღმოაჩენ რაიმე ახალს. მიაბიჯებ მზით განათებულ ქუჩაზე და უცბად ხედავ ეზოს, რომელიც მანამდე არ შეგიმჩნევია, ეზოს ბნელი გვირაბის ბოლოს, მყუდროს, მწვანეს, გრილს. ყველა ეზოში განსხვავებული სკამები დგას, დამტვრეული, ჩამოღუნული კალათბურთის ფარი, წინ ბურთის გასათამაშებელ ადგილს გაჭირვებით რომ გამონახავ. ზოგან კედლები სუროს დაუფარავს, გაცვეთილა, ზოგან ახლადშეღებილია და საღებავის სუნი გცემს. ახლა საჭმლის სუნებს აღარ იტყვი? ზოგი თევზს წვავს. ვიღაც მურაბას ხარშავს. დამპალი ხის ფანჯრების გვერდით ვიღაცას ახალი გაპრიალებული მეტალოპლასტმასის ფანჯრები ჩაუსვამს. ზოგ ეზოში სიჩუმეა, ზოგიერთ სახლში ხმამაღლაა ჩართული ტელევიზორი. ზოგიერთი ფანჯრის მიღმა სახლში მარტო დარჩენილი დიასახლისი მღერის და აუთოებს, მომენტებში კი შეავლებს თვალს ქუჩას, სკოლიდან შვილების დაბრუნება რომ არ გამორჩეს.

მიდიხარ და ხვდები, რომ რაც არ უნდა ბევრი იარო, კიდევ უფრო მეტი სიარული გინდება. რაც არ უნდა მეტი ნახო, კიდევ უფრო მეტი გრჩება სანახავი და აცნობიერებ, რომ იზოგავ ქალაქს. ეცნობი და თან იხსენებ.

მივდივარ და ვუყურებ შენობებს, ეზოებს. ადრე აქ იყო შესასვლელი. დავრჩენილვარ კიდეც. როცა შუქს ვაქრობდით, გვესმოდა, რომ ხეებზე შემოსხდარი ბავშვები ლაპარაკობდნენ ერთმანეთში. ხეებს ამცდარი ჩიტები ლაპარაკობდნენ ბავშვებში. ღამეს ყელში სინათლის ფხები გასჩხეროდა. მეტროს ბოლო მატარებელი იგვიანებდა. ნაქირავებ სახლებში შეყუჟულებს დილაობით გვესმოდა, როგორ ჩეხავდა ყასაბი ხორცს, როგორ იფშვნებოდა ძვლები. ხის მორის ნაპრალებში ჩარჩენილი ხორცი ლპებოდა, როგორც ბავშვის კბილებში ჩარჩენილი ჩიჩია. ადრე აქ სიცოცხლე იყო. ადრე აქ ხე იდგა. ნიავი ოდნავ არხევდა ნაძვის ტოტებს და აბრეშუმის პერანგებს და ტრუსებს. ბილბორდზე ერთი ბანკის რეკლამას ანაცვლებდა მეორე ბანკის რეკლამა. ჯერ ერთი ყვავი ჩნდებოდა ცაში. შემდეგ გუნდად სხვა ფრინველები.

ქალაქში ცხოვრება იმასაც ნიშნავს, რომ შეიძლება, წყალი ჩაუვიდეს მეზობელს. მილი გასკდეს. შუაღამისას ამოგივარდეს ხალათმოცმული. ძირითადად ქალები ამოდიან, ამოდიან, აღებ კარს ნამძინარევი და მათი სახე, ო, ღმერთო, მათი სახეები – შენ მათ წაართვი ყველაფერი, შენ მათ დაუნგრიე ცხოვრება. ამიტომაც დგას და გიყურებს. «წყალი. წყალი ჩამომდის!» – ამბობს და ვერ ხვდები, რა აკავებს, რატომ არ გეცემა თვალებში და თვალებს არ ამოგთხრის. ისე გიყურებს, რომ გეგონება, შენ სპეციალურად ხვრეტდი ამ დედამოტყნულ მილს, წყალი რომ ჩასვლოდა, მის უგემოვნოდ შერჩეულ შპალერზე გველივით ჩასულიყო სინესტე. დგახარ უცხო სახლში.

სუსტად განათებულ ოთახში. საწოლი აშლილია. უყურებ თაროზე ჩარჩოში ჩასმულ ფოტოებს. სადღაცაა გადაღებული. ბარსელონას ჰგავს. თუმცა შეიძლება ბათუმიც იყოს. ჰპირდები, რომ წყალს გადაკეტავ, ფეხაკრეფით ივლი, დილით კი მიიყვან ხელოსანს და ყველაფერს გაარკვევ. კედლებს გაუწმენდ, შპალერი თუ გამოიბერა, გაუკრავ თავიდან. ჭერსაც შეუთეთრებ, იმ დედამოტყნულ ფოტოებზე მტვერსაც გადაუწმენდ, რო რამე იყოს, ოღონდ თავი დაგანებოს, ოღონდ ნუ დგას ასეთი სახით. ემშვიდობები და მერე დგახარ აივანზე.

ქალაქში საუკეთესო ადგილები პარკებია. პარკში ყველა თაობის ადამიანს ხედავ. განვითარების ყველა ეტაპზე. ბავშვებს, დაბრკოლებების გადალახვას რომ ცდილობენ და ბებრებს, მშვიდად რომ ეფიცხებიან ზამთრის მზეს. იცი, ბიჭუნა, დღეს პირველი თეთრეული გიყიდეთ. იცი, რა ლამაზია? კენგურუს ხელი აქვს ჩაკიდებული სირაქლემასთვის და სადღაც გარბიან. უზარმაზარი მაღაზია იყო. დავდიოდით მე და დედაშენი და აკვარიუმები, სანათები, ლამპები და საწოლები, ამ საწოლებს ქვეშ მაგიდა, თაროები, ხალიჩები. სალაროს ვეძებდით. სალაროსკენ ხომ ისეთი ნივთები დევს, ხელს რომ უნდა გააყოლო. აქ კი არა. მაღაზია არ მთავრდებოდა. მაღვიძარები -პანკები, გიჟები და გადარეულები, რაინდები ისრებით, ზუსტები და ჩამორჩენილები, დასაქოქები და დაქოქილები, მთელი თარო მაღვიძარების, მიტკლები და მაკრატლები, ქოთნები, ბალიშები, ჭიქები, საინები, ნაირ-ნაირები, ისარი იატაკზე. მიჰყევით ისარს და ის მიგიყვანთ სალაროსთან, მაგრამ არ მივყავართ. არ ჩანს მოლარე. სამაგიეროდ სარწყავები და სახეხები, კიბე, ფანარი. საწოლები მოძრავი მატრასებით, აი, საავადმყოფოებში რომ უდგამენ პულტზე თითის დაჭერით, რომ გიცვლის

წოლისთვის მომგებიან პოზიციას, ისევ თაროები, თოჯინები გაყინული თვალებით. ძლივს მივაგენით გასასვლელს და გარეთ გამოვედით.

ქუჩა იყოს ფართო და დაუმთავრებელი. მის მიღმა მიემართებოდნენ სხვა ვიწრო ქუჩები. უცნობები, პერპენდიკულარულები, მოხვეულები, მიხვეულები, შეტეხილები. კაცი იწვა ცივი კიბის საფეხურზე და მღეროდა, ერთ ფრაზას იმეორებდა: «ისევ მიდიხარ, ისევ მშორდები, ისევ ეშვება ღამე, აღარასოდეს განმეორდები, ვხედავ ითვლიან წამებს.” მეტყველება ერეოდა, ბოლოს სიტყვებს ვერც არჩევდი. ხალხის ნაკადი, მტვრიანი ხილი, ლოთები, მიწისქვეშა გადასასვლელი. უკან კი მისი ხმა და გასვრილი, დასახიჩრებული, დაგრეხილი სხეული. ჩვენ კი შენი თეთრეული გვეჭირა ხელში. თეთრეული რომელზეც კენგურუ და სირაქლემა სადღაც გარბიან. მივყვებით. ვსხდებით სადღაც და შორიდან ზარების რეკვის ხმა ისმის, ფრინველებიც აფრინდებიან და ზარების რეკვის მინავლებულ ხმას მათი ფრთების ტყლაშა-ტყლუში გადაფარავს. ისინიც წავლენ და დარჩება სიჩუმე. ფოთლებს მიღმა მზე და სიჩუმე.

ასე ვეწერებით ჩვენ ცალხაზიან ქალაქებში, ჩვენი სვლა რას ამბობს, რას ვამბობთ პარკში წამომსხდარები? უღიმღამო ან მხიარული სვლებით? მარშებით? დედაშენი ახლა დადის კენგურუსავით და მე ვუყურებ და ვამბობ, ღმერთო, მართლაც რა ლამაზად ეწერება ამ ქუჩების ხაზიან ქალაქში, ამ ხასხასა მწვანე მინდვრის ფურცელზე.

ყოველ ღამით ჩამოვდივარ შენთან, ვხუჭავ თვალებს და თითქოს ქუთუთოები მკლავებია, გულში რომ გიკრავენ. ჩემო ბიჭუნა, ეს ოთახი, შეიძლება, მართლაც მდინარეა ან ზღვა, საწოლი კი გემია ზღვაში, უფრო ნავი ან ტივი, ჩვენი

ცურვა დაუსრულებელი ოდისეა, როგორც ვთქვით, როგორც ვივარაუდეთ.

* * * (იყო ისეთი შემთხვევაც რომ თენდებოდა...)

იყო ისეთი შემთხვევაც რომ თენდებოდა
სადაც ასფალტის გზები კრავდნენ კამარას
და გადადიოდნენ მინდორზე ყირამალას
სადაც ნაგავი და მეტაფიზიკა ხვდებოდა ერთმანეთს
და აბორიგენი მანაგუათი სავსე ფიალით ლოცავდა
გორაკებს
იქ ერთმანეთზე დავდეთ ფსონები
და რა თქმა უნდა წავაგებდით
იყო იქ მთვარეც ღრუბლების ჩადრით
და ფეთქდებოდნენ ვარსკვლავები
და კარის ჭრიალზე ცეკვავდა მარტოობა
ვადასტურებ, რომ ნამდვილად იყო შემთხვევა
როცა გათენდა
ვიღაცამ ხელისკვრით დილის მხარეს
გახსნა ფანჯარა
თუმცა ანარეკლი მიუწვდომელი აბონენტივით
გასხლტა
დარჩნენ მუშები და ამწეები როგორც
დედამიწის ტორტზე სანთლებივით ჩარჭობილი
ჯარისკაცები
ქუჩა უფსკრული იყო
პირდაფჩენილი და მშიერი
შენობების ჩრდილებს კი მაწანწალას თხელი ჩრდილი
სამართებელივით სერავდა

* * * (მუხლზე დამეცა ფოთოლი...)

მუხლზე დამეცა ფოთოლი
არადა მეგონა
წინ მთელი ზაფხულია

* * * (ნუთუ იღიმის...)

ნუთუ იღიმის –
ბოლო ფრინველმაც
მიატოვა ჩამომხრჩვალის
ტუჩების ბუდე.

* * * (იეჰოვას მოწმეებთან ვაკანსიაა...)

იეჰოვას მოწმეებთან ვაკანსიაა
ეძებენ იმას ვინც ხატავს ქრისტეს
და ბაიკერ მოციქულებს
და ხატავს თოვლს
მონაზვნის ყვავილებით მორთულ საფლავზე
და იმავე მონაზონს ბავშვს
უდარდელად რომ წამომჯდარა
ჩრდილის კულისებში
და ლოკავს ნაყინს
ეწვეთება დაჩხაპნილ მუხლზე
იმ ნახატზე ყველა ბავშვს ერთხელ მაინც
რომ ჩუქნის ასფალტი

პაატა შამუგიასთან და ზურა ჯიშკარიანთან ერთად

* * * (ბამბის ნაყინი გაივსო მტვრით...)

ბამბის ნაყინი გაივსო მტვრით
და მწერებით
ენა უახლოვდება ბზიკს
ცხოვრებაში არავითარი სევდა მე არ ჩამიდენია
სიტყვა ეშლება ბავშვს ქუჩაში
ცოდვის ნაცვლად სევდა თქვა და
მერე მთელი გზა ვიმეორებ
ცხოვრებაში სევდა მე არ ჩამიდენია
არც სიხარული მაინცდამაინც
ვით მდინარე ჩაედინება თავსხმისას ზღვაში
რასაც ჩავდივარ არც კი ვიცი რატომ ჩავდივარ
სიცოცხლე ხომ სულ ზეპირად იცის სიკვდილმა
არ ეშლება და იმეორებს
ყლაპავს ამ ამბებს
სანამ სხეული გახდება ვიღაც
თუნდაც მერცხალი ქვის ჭერთან ახლოს
ცა ხომ შორს არის
როგორც ტუალეტი სოფლის სახლის
როგორც ღმერთები ამა სოფლის
აბონენტებო გასულებო
რა დატოვეთ ზონაზე
ოფლი?
რამდენი დრო გვაქვს
დასაშვებად შეცდომების
და ცრემლებად ჩამოდენის
და სიზმრების
ვით ბნელ ფანჯრებში
შუქია ფანრის

* * * (უკანასკნელი ამოსუნთქვის ბორცვი...)

უკანასკნელი ამოსუნთქვის ბორცვი
სანამ სიკვდილი გაივაკებს
და შორიდან არ მოვკრავთ თვალს
საკუთარ სხეულს
სახლს დანახულს მატარებლიდან
ეჰ, უანგარო ტკივილებო
რამდენ ხანს იჯდა სიბნელეში მოხუცი მამა?

* * * (ღამე სიბნელის არქიტექტორი...)

ღამე სიბნელის არქიტექტორი
დილის დემონტაჟს ხვდება მდუმარედ
დუღს მზე და გარეთ გამოდის მდგმური
შავი სათვალით სიზმარს მოათრევს
ამჩნევს ახლოდან ჩრდილების მორევს
კატას გაზმორილს
და თითქოს ამ გზას ქარის გაზომილს
სახლები იჭერს
მას კი არავინ
და ისიც მიდის
არ დაბრუნდება

* * * (სიტყვები ჰგვანან იმ მიმტანებს...)

სიტყვები ჰგვანან იმ მიმტანებს
ვინც შეკვეთა მიიტანა სხვა მაგიდაზე
სიტყვები ჰგვანან იმ გემებს რომ ჩაიძირნენ
სიტყვები ჰგვანან ჰუმანიტარულ დახმარებას,
რომელიც მუდამ იგვიანებს
სიტყვები ჰგვანან მკვდარი ბავშვის უხმარ პამპერსებს
სიტყვები ჰგვანან გაფუჭებულ მეხამრიდებს
სიტყვები ჰგვანან იმ გუბეებს რომ გაჩნდნენ ზღვასთან
სიტყვები ჰგვანან მუმიებსაც
და ჰგვანან მიწას შიგ დამარხული განძით,
ნაგვით, მკვდრებით, თესლებით.

* * * (ვიბარებ ჯართს ვჭრი რადიატორებს...)

ვიბარებ ჯართს ვჭრი რადიატორებს
ქალაქის ხეებს და ქალაქის ფანტომებს
გარეუბნების უძველეს ტომებს
ქალაქის კვართს და უჩინარ სატორებს
ვტოვებ მე ზურგსუკან
ვიბარებ ჯართს ვჭრი რადიატორებს
ღმერთები როცა მზეს ჩვენ ჩრდილებს ანდობენ
და რადიაციულ ტორებს ზედ გვაწყობენ
დავობენ ამხობენ გვირგვინებს ადნობენ
ვიბარებ ჯართს ვჭრი რადიატორებს
რა დილა თენდება რატომ მიმატოვე

ამონარიდები – სამაგიეროდ, უბრალოდ, ფეხაკრეფითა და თითქმის გამანადგურებლად – დავით ბუხრიკიძე

სამეფო უბნის თეატრში დრამატურგ ალექს ჩიღვინაძის უცნაური, თითქმის დეტექტიური სიუჟეტის პიესა, სახელწოდებით, «ოლიმპიური თამაშები» მთავარი ოლიმპიური დევიზის – «სწრაფად, მაღლა, ძლიერად!» – გარეშე დადგეს. ახალგაზრდა რეჟისორმა, თათა პოპიაშვილმა ამავე თეატრის კარგად ცნობილი მსახიობების დახმარებით, «საოფისე დეტექტივს» პარტერის სივრცე დაუთმო და თან ირონიით ნაკვები ფსიქოლოგიაც დაურთო. […]

პიესა «ოლიმპიური თამაშები» მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კონკურსის – «ახალი ქართული პიესა» – გამარჯვებულია. წარმოდგენაში ტექსტი გვარიანად შემოკლებულია და საგრძნობლად გადამუშავებული. თითქმის აღარ დარჩა მონოლოგები, ხოლო ფრაზები გაცილებით სხარტად, ორაზროვნად და ირონიულად წარმოჩინდა. ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ პიესის ნაცვლად კინოსცენარის მიხედვით დადგმულ სპექტაკლს უყურებთ.

…ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების გახსნამდე ცოტა დრო რჩება. თანამედროვე ოფისში გამოკეტილი თანამშრომლები ოლიმპიადის საზეიმო ცერემონიალის მთავარ იდეაზე მუშაობენ და ცდილობენ, ამისათვის რაღაც ნაციონალური არქეტიპები მოძებნონ, ან ახალი და თანამედროვე იდეები გამოჩხრიკონ. მოქმედება ერთდროულად პარტერსა და სცენაზეა განაწილებული. ეს

ერთი, მთლიანი სივრცეა, რომელშიც ერთიანდება სამუშაო ადგილიც და პროკურატურის ოთახიც. ამაზე მკაფიოდ მიგანიშნებთ თანამედროვე ოფისის სკამები, მაგიდები, ქაღალდები, პლასტმასის ბოთლები...

ოლიმპიურ თამაშებსა და პროკურატურას, ერთი შეხედვით, არაფერი აქვთ ერთმანეთთან საერთო, მაგრამ მოგვიანებით ირკვევა, რომ ოფისში აფეთქება მოხდა და ოთხივე თანამშრომელი – ნინო, დეა, ვახო და თემო ტერორისტულ აქტშია ეჭვმიტანილი! გამომძიებელი ქალი (რომელსაც ქეთა შათირიშვილი თამაშობს) მაყურებელთა დარბაზში ზის, თვალს ადევნებს მოქმედებას და დროთა განმავლობაში თანამშრომლებს დაკითხვას უწყობს.

რეჟისორი წარმოდგენის ბოლომდე ინარჩუნებს ნეიტრალურ თხრობას და მაყურებელს «ღია ფინალს» სთავაზობს, რაც საშუალებას აძლევს, ინტუიციასა თუ ვარაუდებს თავისუფლად მიენდოს. ამ მოდეტექტივო პიესაში ავტორი ჟანრისათვის აუცილებელ, მაგრამ ბანალურ შეკითხვას – ვინ არის დამნაშავე? – არ პასუხობს. ის თითქოს გვერდიდან, გულგრილად, მაგარამ მიზანდასახულად აკვირდება პერსონაჟებს და რეჟისორს დაახლოებით ასეთ ამოცანას უსახავს: იმგვარი ლოგიკითა და ინტონაციით ილაპარაკოს «ჩამოხრჩობილის» სახლზე, რომ თოკი არსად ახსენოს.

და მართლაც, «ოლიმპიური თამაშები» არის სპექტაკლი, რომელშიც თავად დანაშაულამდე მისასვლელი ბილიკები და ამ ბილიკებზე «მორბენალი» პერსონაჟების აკვიატებები, თუ ფსიქიკური ტრავმები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე თავად დანაშაული. ასე რომ, ჩაკეტილი სივრცე და დანაშაული (რაც ლამის იდეალური სქემაა დეტექტივებში), დრამატურგისა და, შესაბამისად,

რეჟისორისთვისაც მხოლოდ საშუალებაა პერსონაჟთა დასახასიათებლად; მათი შინაგანი მდგომარეობისა და თვისებების წარმოსაჩენად. [...]

გამომძიებლის კითხვები მთელი სპექტაკლის განმავლობაში კონტრაპუნქტივით ჩაგვესმის, თუმცა აფეთქების შემდეგ ამერიკაში გაწვრთნილი, ათას ტრენინგგავლილი, ცივი და რაციონალური გამომძიებელი უკვე ავანსცენაზე გადაინაცვლებს. ის დაკითხვას «ლაივში» განაგრძობს.

რაღაც მომენტში გეჩვენებათ, რომ პიესა აგატა კრისტის დეტექტივს ემსგავსება, თუმცა სპექტაკლის ბოლომდე გაურკვეველი რჩება, ვინ ააფეთქა ოფისის საწყობი, რომელსაც მსხვერპლი მოჰყვა. სამაგიეროდ, ცხადია, რამდენი ფსიქოლოგიური პრობლემა, უიმედობა და სასოწარკვეთა იმალება ამ ცინიკური სიტყვა-პასუხით შეიარაღებულ, შინაგანად გამოცარიელებულ ადამიანებში.

და იმისათვის, რომ ეს სიცარიელე შეავსოს, რეჟისორს არ სჭირდება ხმამაღალი ოლიმპიური ლოზუნგები, რადგან ყველაფერი უბრალოდ, ფეხაკრეფითა და თითქმის გამანადგურებლად ხდება. დეაც დაახლოებით ამასვე ამბობს ფინალში: «ჯოჯოხეთი – აი, რა გვაერთიანებს ქრისტიანებს!»

12 აპრილი, 2016 წელი, «ლიბერალი»

«9/11 ტრაგედიის შემდეგ ტერორისტებმა გაავრცელეს მიმართვა: «ჩვენ უფრო მეტად გვიყვარს სიკვდილი, ვიდრე თქვენ – სიცოცხლე». სიკვდილ-სიცოცხლის დისპოზიცია ასეთი სიმწვავით დადგა ჩვენს დროშიც. რა უნდა დაუპირისპიროს არტისტმა ასეთ მომაკვდინებელ სისასტიკეს, სიკვდილის და სიცოცხლის დაუსრულებელ

ტავტოლოგიას? ახალი ესთეტიკური პროექტები ჩავარდა. რა იქნება შემდეგ? ალექს ჩიღვინაძის პიესებში ამაზე პასუხს ვერ იპოვნით. აბა, რატომ უნდა წავიკითხოთ? არ ვიცი. მე მხოლოდ ის ვიცი, რომ ეს მშვენიერი პიესებია – დინამიკური, ჩამთრევი, მწვავე».

პაატა შამუგია
წინათქმა წიგნისთვის «ქალაქის მერის ცოლის საყვარელი»

ვასილ მახნო

ვასილ მახნოს პოეტური პერიოდული სისტემა – ბიოგრაფია

ინტერნეტ-დიალოგი შოთა იათაშვილთან. 13 ოქტომბერი, 2017 წელი



დაიბადა 1964 წელს ტერნოპოლის რაიონის ქალაქ ჩერტკოვოში. დაამთავრა ტერნოპოლის პედაგოგიური ინსტიტუტი და ასპირანტურა. დაიცვა დისერტაცია მეოცე საუკუნის გამოჩენილი უკრაინელი პოეტის, ბოგდან-იგორ

ანტონიჩის (1909-1937) შემოქმედებაზე. ასწავლიდა ტერნოპოლის და კრაკოვის უნივერსიტეტებში. ოცზე მეტი წიგნის ავტორია პოეზიაში, პროზასა და ესეისტიკაში. თარგმნის პოლონურ, სერბულ, გერმანულ და ამერიკულ პოეზიას. მისი ნაწარმოებები თარგმნილია 25 ენაზე, მათ შორის ინგლისურად, ივრითზე, ესპანურად, ლიტვურად, გერმანულად, პოლონურად, რუმინულად, რუსულად, ჩეხურად, სერბულად. მისი წიგნები გამოცემულია ისრაელში, პოლონეთში, რუმინეთში, სერბეთში და აშშ-ში. ლაურეატია რამდენიმე პრემიის, მათ შორის – «BBC-ის წლის წიგნი» (2015). 2000 წლიდან ცხოვრობს ნიუ-იორკში.

როდის ვისაუბროთ-მეთქი, ვკითხე. ახლა ავტობუსში ვზივარ და ასე, ერთ საათში მოვიცლიო, მითხრა და ფოტოდოკუმენტი – ავტობუსის ფოტოც გადმომიგზავნა. კაი-მეთქი, მივუგე და პირველი შეკითხვაც გაჩნდა, რომელიც მაშინვე მივწერე, რათა სანამ გზაში იყო, ეფიქრა. მასთან საღამო იყო, თბილისში დილის სამი საათი...

შოთა იათაშვილი: შენ ახლა გზაში ხარ, ავტობუსში. ნიუ-იორკის ქუჩებში მოძრაობ. როგორც შენი ბიოგრაფიიდან ჩანს, გზები შენს ცხოვრებაში ხშირად იცვლებოდა. ალბათ იყო საყვარელი გზები, რომლებსაც ხშირად გადიოდი, კარგად იცოდი და ძვირფასი იყო შენთვის. ალბათ იყო გზებიც, რომლებიც მხოლოდ ერთხელ გაიარე, მაგრამ რაღაც ძალიან დასამახსოვრებელი მოხდა იქ. შეგიძლია, რამდენიმე მათგანი აღწერო? და ის, რაც იქ ხდებოდა, რასაც ამ გზებზე ხედავდი, როგორ გადადიოდა შენს პოეზიაში?

ვასილ მახნო: გზები ჩემთვის იყო არამხოლოდ აბსტრაქტული მეტაფორა, არამედ რაღაც მიმართულებები, თუკი ყველაფერს მივიღებთ მხედველობაში:

ბიოგრაფიასაც, ქალაქებსაც, პოეზიასაც. ჩემმა ბავშვობამ სოფელში ჩაიარა, რადგან მშობლები ერთმანეთს გაშორდნენ და ჩემთვის ადგილსამყოფელი უნდა მოეძებნათ. ბავშვობის გზები ცოტა არ ყოფილა. მომწონდა მინდვრები, მდინარეები. ყველაფერი ეს მეხსიერებაში ჩამრჩა და ახლა ხანდახან ლექსების სახით მოდის ხოლმე. მაგრამ მთავარი, რაც დამამახსოვრდა, ეს იყვნენ ადამიანები, გარს რომ მერტყნენ. ისინი სხვა ეპოქებიდან იყვნენ. ბევრს ახსოვდა პირველი მსოფლიო ომი და მეორე მსოფლიო ომი, საბჭოთა ხელისუფლების მოსვლა 1939 წელს და ბევრი რამ, რაც მათ გადაიტანეს. ამ სამყაროში ძალიან საინტერესო იყო ცხოვრება. ეს მე აღვწერე ესეში «ქათმები არ ფრენენ». შემდეგ იყო კრივოი როგის გზები, სადაც დედამ და მამინაცვალმა წამიყვანეს. იქ სრულიად სხვა ატმოსფერო იყო, ჰაერის სულ სხვა გემო. შემდეგ იყო ტერნოპოლი და ახლა – ნიუ-იორკი. ამჟამად ყველაზე ხშირად ჩემი გზები საჰაეროა. ნიუ-იორკიდან მივფრინავ ევროპაში ან აზიაში და ვგრძნობ, თუ როგორ ხდება ამ ცხოვრებაში ყველაფერი ერთი მთლიანობა, როგორ შეიძლება, ყველაფერი იქცეს პოეზიად ან პროზად. რა მნიშვნელოვანია, გქონდეს შენი გზა და მისი გაგება.

შ. ი. «და ვგრძნობ, თუ როგორ ხდება ამ ცხოვრებაში ყველაფერი ერთი მთლიანობა» – ასე თქვი. როგორ ფიქრობ, იგივე მოსდის პოეზიასაც თუ არა?

ვ. მ. ვფიქრობ, რომ – კი. მხატვრული ტექსტი ხომ ენასთან ბრძოლაა, ანუ ენის გათავისუფლებაა ზედმეტი სიტყვებისაგან, ანუ ენის საკუთარი პერიოდული სისტემის შედგენაა. ეს სისტემა მთლიანი მაშინ ხდება, როცა ყველა ელემენტი აღმოჩენილია. მაგრამ რაღაც ელემენტები მაინც ჯერ კიდევ აღმოსაჩენია და ერთდროულად არის სისრულის და უკმარისობის განცდა.



შ. ი. ანუ პოეტები სხვადასხვა ქვეყნებში აღმოაჩენენ ხოლმე სხვადასხვა პოეტურ ფორმებს, ხერხებს. ეს ადრეც ხდებოდა, მაგრამ ეროვნული კულტურები მაშინ უფრო ჰერმეტული იყო, ახლა კი ვინაიდან სამყარო «ერთი დიდი სოფელია», უკვე შესაძლებელია პერიოდული სისტემის შედგენა, არა?

ვ. მ. ფორმალურად პოეზია ალბათ გახდა ერთფეროვანი. ყველა ფორმალური პოეტური სქემა ხომ თითქოსდა არსებობს. ანუ ამ მხრივ, ვფიქრობ, უკვე ბევრს ვერაფერს მოვიფიქრებთ. მხოლოდ სიღრმისკენ თუ ვივლით.

შ. ი. მაგრამ ახალი ელემენტები ხომ მაინც აღმოსაჩენია. თავად არ თქვი?

ვ. მ. რა თქმა უნდა. ანუ რჩება პატარა ნაპრალი აღმოჩენებისთვის. ის არსებობს.

შ. ი. და შენ ეძებ მათ? თუ ადრე ეძებდი, ახლა კი დაანებე თავი, რადგან უკვე გაქვს შენი გამოკვეთილი ფორმები. ანუ ფიქრობ, რომ რაღაც აღმოაჩინე?

ვ. მ. რთული კითხვაა, იმიტომ, რომ შეიძლება ეძებო როგორც ფორმის, ასევე შინაარსის დონეზე.

შ. ი. ფორმაზე ვილაპარაკოთ.

ვ. მ. ფორმის დონეზე, ჩემი აზრით, პასუხი მოძებნილია. ვერლიბრმა ყველაფერი გახსნა. როცა უიტმენმა ბალახის ფოთლის ენით დაიწყო ლაპარაკი, მსოფლიო პოეზია

დამუნჯდა აზრებისა და ფორმების ამ ნიაღვრისგან. როცა მაიაკოვსკიმ დაიწყო სტრიქონების დატეხვა, ანდა ხლებნიკოვმა თავისი «ზაუმის» ენის გამოგონება, მაშინ პოეზია ეძებდა და აფართოებდა თავის შესაძლებლობებს. ინგლისურენოვან პოეზიაში იმავეს შვრებოდნენ პაუნდი და ელიოტი. მაგრამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ გინსბერგმა და ო'ჰარამ დაიწყეს ქუჩის ენით ლაპარაკი და არა დროის, არამედ ადგილის ხმაურის შესაძლებლობები გახსნეს... მე ვწერ ვერლიბრსაც და რითმიან ლექსსაც – ეს ჩემი შინაგანი ბრძოლაა საკუთარ თავთან. მაგრამ ხომ ასე იყო უისტან ჰიუ ოდენიც თუ ფილიპ ლარკინიც. ანუ მეოცე საუკუნე პოეტური ფორმების დიალოგია.

შ. ი. შეგიძლია, იგივე ხაზი აღწერო უკრაინულ პოეზიაში? რა ცვლილებები ხდებოდა, სად იყო გარდატეხები...

ვ. მ. იგივე ხდებოდა უკრაინულ პოეზიაშიც. კერძოდ, მეოცე საუკუნეში, როცა ჯერ ფუტურისტები, მერე, 60-იან წლებში დრაჩი, კიევის სკოლის პოეტები და ნიუ-იორკის ჯგუფის პოეტები მიზანმიმართულად წერდნენ ვერლიბრს და იმედი ჰქონდათ, რომ რითმას დაამარცხებდნენ. ფორმალურად ჩვენს პოეზიაში ახლაც ეს ბრძოლა მიდის. ახალგაზრდა პოეტებიდან ბევრი წერს რითმიან ლექსს და ბევრი ვერლიბრს. რას ნიშნავს ეს? ვინაა ნოვატორი? ჩემი აზრით, ეს კამათი მარადიულია.

შ. ი. ნიუ-იორკის სკოლა ახსენე. როდის ჩამოყალიბდა იგი? ემიგრანტები იყვნენ მასში?

ვ. მ. 50-იანი წლების დასაწყისში. ისინი იყვნენ ახალგაზრდები, რომლებიც აშშ-ში ჩამოვიდნენ მშობლებთან ერთად. ანუ პოეტებად ჩამოყალიბდნენ ამერიკაში, მაგრამ შეინარჩუნეს უკრაინული ენა. ამასთან, ინგლისურიც არ იყო მათთვის უცხო.

შ. ი. ვინ იყო ამ ჯგუფში?

ვ. მ. ბოგდან ბოიჩუკი, ბოგდან რუბჩაკი, იური ტერნავსკი, ვერა ვოვკი, ემა ანდიევსკაია... იური ტერნავსკი და ემა ანდიევსკაია ყველაზე რუვოლუციურები იყვნენ.

შ. ი. რაიმეთი ჰგავდნენ ისინი ამერიკელი პოეტების ცნობილ ნიუ-იორკის სკოლას?

ვ. მ. ვერ შევადარებდი, თუმცა კი ისინი თანატოლები არიან და ნიუ-იორკში ერთსა და იმავე ქუჩებში დადიოდნენ. მათთვის მთავარი მაინც უკრაინულია, ნიუ-იორკის სკოლას კი სხვა ესთეტიკა აქვს. თვით მათ სკოლაშიც, ვთქვათ, ეშბერი სრულიად სხვანაირია, ვიდრე ფრენკ ო'ჰარა, და იმიტომ, რომ ეშბერი დიდი ხანი, 50-იანებში ცხოვრობდა პარიზში.

შ. ი. და ახლა შეიძლება ითქვას, რომ ნიუ-იორკის ეს უკრაინული ჯგუფი ისევ არსებობს თუ შენ უბრალოდ პოეტი ხარ, რომელიც ამ ქალაქში ცხოვრობს?

ვ. მ. ჰო, უბრალოდ პოეტი ვარ, რომელიც ნიუ-იორკში ცხოვრობს.

შ. ი. და შენ ყველაზე მეტად ვინ დაგეხმარა საკუთარი ესთეტიკის ფორმირებაში? უკრაინელებიდანაც და მსოფლიო პოეზიიდანაც.

ვ. მ. პირველ რიგში, ეს ბოგდან-იგორ ანტონიჩია, რომელზეც თავის დროზე დისერტაცია დავწერე. იგი მეოცე საუკუნის უნიკალური უკრაინელი პოეტია. მომწონდა ივან დრაჩი. მუდამ გაოცებული ვკითხულობდი პოლონელებს – მილოშს, ჰერბერტს, რუჟევიჩს. მომწონდა ლორკა. და პაუნდი მისი ზეამოცანით პოეზიაში.

შ. ი. თანამედროვე უკრაინული პოეზია ძალიან ძლიერი და მრავალფეროვანია. როგორია მისი ძირითადი მახასიათებლები?

ვ. მ. პოეზია უკრაინაში მუდამ პროზაზე ძლიერია. ეს უკვე ტრადიციაა.

შ. ი. ასეა საქართველოშიც. ზარმაცები ხომ არა ვართ?

ვ. მ. ალბათ ეგეცაა, მაგრამ მთავარი მაინც ეროვნული აზროვნების წყობაა.

შ. ი. თუმცა თანამედროვე უკრაინელი პოეტები ცდილობენ ამ ტენდენციის დარღვევას: ანდრუხოვიჩი, ჟადანი, ზაბუჟკო რომანებს წერენ.

ვ. მ. მეც ვწერ ახლა რომანს, რათა მშობლიურ პროზას დავეხმარო. რაც შეეხება პოეზიას, შემიძლია, ორი ათეული თანამედროვე პოეტი დაგისახელო, რომლებიც უკრაინის ნაკრებს ადგენენ. ისინი ბევრ ენაზე ითარგმნებიან და საერთაშორისო მოედნებზე თამაშობენ.

შ. ი. ეს ვიცი კარგად და ამიტომაცაა, რომ რამდენიმე თქვენი თავდამსხმელი «ახალი საუნჯის» ნომრის ავტორი უკვე იყო.

ვ. შ. ეს ძალიან მიხარია. მნიშვნელოვანია, რომ ჩვენი ახალგაზრდული პოეზიაც ასევე საინტერესო და პერსპექტიულია. თუმცა პროზაში ყველაფერი ასე ოპტიმისტურად არაა. წიგნი ბევრი გამოდის, მაგრამ ეს ბელეტრისტიკაა. ბევრ პროზას რომანს ვერც უწოდებ. ისინი ზედაპირულებია. თანამედროვე ცხოვრება ცალმხრივად, მხოლოდ სოციალური კუთხითაა ნაჩვენები. არაა ნატიფი ფსიქოლოგიზმი და მსგავსი კომპონენტები. ვერ ვიტყვი, რომ ჩვენ არ გვქონია დიდი პროზის

ტრადიცია, მაგრამ მან გაგრძელება ვერ ჰპოვა. თითოეული თაობა თითქოსდა თავიდან იწყებს გამორბენას.

შ. ი. და პოეზიას რა განასხვავებს, რა იცავს ზედაპირულობისგან? ძლიერი მეტაფორულობა? ირონია? ენერგეტიკა? რა?

ვ. მ. ალბათ პოეზიაში გადამწყვეტი მაინც მეტაფორაა. მასში, როგორც მოლეკულაში, მთელი სამყაროს სტრუქტურაა. და თანამედროვე ენა, რომელიც ამ მეტაფორას დროის ბასრ ხმას აძლევს.

შ. ი. ასევეა შენს პოეზიაშიც?

ვ. მ. მიჭირს საკუთარ ლექსებზე ლაპარაკი, თუმცა რომ ვუფიქრდები, მგონია რომ როგორც პაბლო ნერუდამ თქვა – საცხოვრებელი ადგილი – დედამიწა არის ჩემი განმასხვავებელი ნიშანი. ანუ სამყაროს, ქვეყნების, ქალაქების მრავალფეროვნება და მათი ნატიფი დეტალები.

შ. ი. ანუ შენი ლექსები ჰაერში ნაკლებად დაფარფატებენ ანგელოზებთან ერთად, არა?

ვ. მ. რატომ, ქრისტიანული მოტივები მაქვს. გამოცემული მაქვს წიგნი «იერუსალიმური ლექსები», თუმცა ეს უფრო მსოფლმხედველობითი ლექსებია და ადგილის ფილოსოფიური შეგრძნება.

შ. ი. ანუ მოტივები არის, მაგრამ ეს მოტივები მაინც მიწაზე იშლება. ამ გაგებით ვთქვი.

ვ. მ. ჰო, ასეა.

შ. ი. ერთი ასეთი შეკითხვა: გამომდინარე იქიდან, რომ ლექსებში მრავალფიგურიან სურათებს ხატავ თავისი ლანდშაფტებით და პერსონაჟებით, მუდამ გრძელი

ლექსები გამოგდის. არასდროს გქონია მინიმალიზმისკენ სწრაფვა?

ვ. მ. ახლა გამიჩნდა. ბოლო წიგნში «ქაღალდის ხიდი» ძირითადად ხუთსტრიქონიან ლექსებს ვწერდი და ამას წინასწარგანზრახვით ვაკეთებდი. მომინდა, რაც შეიძლება ცოტა სიტყვით რაც შეიძლება მეტი მეთქვა.

შ. ი. ასაკთან ხომ არაა ეს დამოკიდებული?

ვ. მ. ალბათ. რაც დრო გადის, ყოველი სიტყვის ფასი უკეთ გვესმის.

შ. ი. და წერის სიხშირე დაეცა თუ არა ასაკთან ერთად?

ვ. მ. როგორც წესი, ახალ წიგნს 2-3 წელიწადში ვწერ, დაახლოებით 50 ლექსს.

შ. ი. მეც ასეთი ტემპი მქონდა, მაგრამ ახლა უკვე 5 წელი მჭირდება.

ვ. მ. მესმის. არ გინდა გამეორებები, ყოველ სიტყვას აფასებ, და ეს მოქმედებს, მაგრამ რა უცნაურიც არ უნდა იყოს, ამერიკაში რომ გადავედი, უფრო მეტის წერა დავიწყე. და სხვადასხვა ჟანრში: ესეები, პროზა. რაღაც შეიცვალა ჩემში.

შ. ი. შეიძლება იმიტომ, რომ ახალ გარემოში ნაკლები გამეორებაა.

ვ. მ. ალბათ. თან მითუმეტეს, როცა ეს გარემო ნიუ-იორკია.

შ. ი. და ინგლისურად წერ?

ვ. მ. დუბრავკა უგრეშიჩმა თქვა: ხორვატ მწერლად ხორვატულ პასპორტს არ ვუქცევივარო. მხოლოდ გამოსვლების ტექსტებს ვწერ და ჩემი უფროსი გოგო მირედაქტირებს. მე უკრაინელი პოეტი ვარ. ცოტა ვიცი

პოეზიაში სხვა ენაზე გადასვლის წარმატებული შემთხვევა. ამისთვის საჭიროა ნაბოკოვივით ბავშვობიდან სამ ენაში ცხოვრობდე.

შ. ი. ჰო, პროზაში მეტი შემთხვევაა გადასვლის, ვიდრე პოეზიაში. როგორია, როცა გვერდიდან უყურებ საკუთარ ქვეყანას და ლიტერატურას?

ვ. მ. მე ხშირად ვარ უკრაინაში. და მაქვს შეგრძნება, რომ გვერდით კი არა, უკრაინული ლიტერატურის შუაგულში ვარ. ცხადია, დისტანციის მომენტიც მაქვს, მაგრამ ეს კიდევ უფრო საინტერესოა: იყო «შიგნითაც» და «გარეთაც».

შ. ი. რაკურსი ცვალო.

ვ. მ. ჰო, რაკურსი. ოპტიკა. ამაშია მთელი მუღამი. ბოლო დროის ჩემი ბევრი ლექსი და პროზა ეძღვნება უკრაინას, ისტორიას, ბავშვობას, მშობლიურ ქალაქს, თუმცა იყო დრო, როცა ნიუ-იორკმა გადაფარა ყველაფერი. აი, ასე ხდება ოპტიკის შეცვლა. ნიუ-იორკმა მომცა ისეთი დურბინდები, რომლებსაც მანამდე არასდროს ვიყენებდი.

შ. ი. როგორია უკრაინული ენა? როგორია მისი ხასიათი? როგორია მისი ფსიქიკა? როგორც ადამიანი რომ აღწერო.

ვ. მ. მე მეჩვენება, რომ მღელვარეა, როგორც კორომი გაზაფხულზე და ნაზია, როგორც მწვანე წყალი წყნარ მდინარეში.

შ. ი. ადამიანს კი არა ბუნებას შეადარე. ისე, ესეც საინტერესოა.

ვ. მ. არ ვიცი, რაღაცნაირად ასე უფრო ახლოა ახლა. ალბათ იმიტომ, რომ ოკეანის პირას ვზივარ და მისი სტიქია საერთოდ არ ჰგავს უკრაინულს. და ასე მომინდა უკრაინული ენის დახასიათება.

შ. ი. მე მგონი, ისეთი შეკითხვაა, შეგვიძლია, ამითი დავამთავროთ საუბარი.

ვ. მ. მართალი ხარ!

ლექსები

თარგმნა შოთა იათაშვილმა

ფიესტის შესახებ

დრო – თითქოსდა – გაიყინა ყასბის ფარდულში –
ხარის ენა დაკიდებული – წინა კვირას რომ მოიტანეს
ჩრდილოეთიდან – ჩიკაგოდან – 30-იან წლებში მომხდარი
ისტორიული ბრძოლებიდან
დევს სასიკვდილო მოხრიალე ხმით – მძიმე
კილონახევრიანი ხმით ყასაბმა რომ მოიპოვა ვეებერთელა
სხეულიდან ცხოველისა

ის უნდოდათ მიეყიდათ ერთი ლათინოამერიკული
კომპანიისთვის
რომელიც აწყობდა თურმე ფიესტებს და სამხრეთის
შტატებიდან ყიდულობდა ცხოველებს მაგრამ ხეირიანი
მყიდველი ნახა ფერმერმა და
ხარს რომელიც ყოველწლიურად ძროხების ნახევარს მის
ნახირში აორსულებდა არ მოუწია გამხდარიყო ფიესტის
მსხვერპლი – იშვიათი პეპელასავით გაჩხვლეტილი –
ხელით შეშლილი ზოოლოგისა –
არ მოუწია სადღაც ლათინოამერიკული ქალაქის
მოხრეშილ არენაზე დასტვენილი ყოფილიყო
პუბლიკის მიერ
ქალაქში სადაც მაცხოვრებლები მთელი წელი ემზადებიან
ზეიმისათვის:
მამაკაცები – ფარფლებიანი ქუდის ჩრდილიდან სქელ
სიგარებს რომ ეწევიან და ფეხზე ჩექმები ამოუცვამთ
მომძვრალი ქუსლებით – ფიესტის თემაზე სიტყვებს
ერთმანეთს ზანტად ესვრიან – მიაჩნიათ რომ კაცური საქმე
სწორედ ესაა ხარების ხოცვა

ქალები და გოგონები კი ჩაიცვამენ ფერად კაბებს და
ლითონის სამშვენისებს დაიკიდებენ წავლენ ქალაქში

იაფიანი სუნამოების საყიდლად და ყურადღებას არ მიაქცევენ უზრმაზარი ხის ქვეშ მსხდარი მამაკაცების ბრიყვულ ყბედობას – ერთადერთი სოფელში ბავშვები იმარაგებენ ათას წვრილმანს ალაგებენ გამხმარ კუებს უცხოელთათვის – სუნიანი ხორცები მანამდე ამოაჩიჩქნეს და სუპები გააკეთეს – ნარჩენები კი უპატრონო ძაღლებს აჭამეს – განსაკუთრებული მოთხოვნილება არის კუებზე

ო ცხელო რიტმო ამ მუსიკისა:
ხმები ქვიშით სავსე ტომრებს ჰგავს რომელსაც ზურგზე გვკიდებენ ხოლმე
ხმები კაკტუსის ეკლებია რომლებიც უხეშ ტანისმოსს და კანს გვიხვრიტავს
ხმები ცხარე კეტჩუპია ზედ რომ ასხამენ ყველანაირ კერძს

ყასბებმა ოთხში ამოიღეს ეს ზეიმი

მათ: გააფრთხილეს ჭაბუკი ოქროსნაყშებიან კოსტიუმში – რომელიც როგორც ზოოლოგი – შამფურზე იმ ხარის აცმითაა დაკავებული – რომ იწონის ნახევარ ტონას –

მათ: მიატოვეს ხის ქვეშ მჯდარი კაცები თავიანთ დაუსრულებელ საუბრებში იმ ფიესტაზე არასოდეს რომ არ იქნება

მათ: აწყენინეს ქალებსა და გოგონებს რომლებიც მაინც წავიდნენ ქალაქში და შეიძინეს კაბები და სამშვენისები – მაგრამ არასდროს არ მოირგებენ

მათ: მიატოვეს გამომშრალი კუები დახლზე – ბაბილონის გოდოლივით ახონხლილი ერთმანეთზე – და გამძღარი ძაღლების გვერდით მდგარი ბავშვები

ეს ყველაფერი შეგიძლია მოათავსო მოგონებების ტომსიკაში ისე როგორც მოგზაური ამარილებს საჭმელს

რათა კარგა ხანს ეყოს

მარტოობის ასი წელიწადი აურელიანო ბუენდიასთან

დარწმუნებული ვიყავი რომ «მარტოობის ას წელიწადს»
მარტოობის მხოლოდ და მხოლოდ რამოდენიმე კვირა
ძალუძს გამილამაზოს
ამიტომაც პირველ გვერდზე გადაშლილი წიგნი იდო
მაგიდაზე
პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია უტრიალებდა ლითონის
ქილას და ყავა უნდოდა რომ მოეხარშა
შენც ყოველ დილით ქერის ყავას კოვზს ურევდი
ვინაიდან სხვას არც სვამდნენ ჩვენს ადგილებში

პირველ გვერდს კი ვეღარ გასცდი
პოლკოვნიკი გაიყინა ლითონის ქილის გახსნის მომენტში
შენ შეგეძლო მხოლოდ და მხოლოდ წარმოგედგინა იმ
კოლუმბიურ ყავას როგორი სუნი და გემო შეიძლებოდა
რომ ჰქონოდა
გარდა ამისა იმ რეცეპტის დამახსოვრება გსურდა
რომლითაც პოლკოვნიკი ყოველ დილით ყავას ხარშავდა
და კიდევ გვარების – გაორებულის – ესპანურ-
ლათინოამერიკულის – ერთმანეთზე გადაჯაჭვულის
ესპანური ტრადიციით და ამ წიგნში მიმოფანტულის:
პირველი – მამის მეორე – დედის: გემოს აძლევდნენ
ადუღებულ ყავას ისინი

შენ შეგეძლო პოლკოვნიკისთვის გეკითხა კარგი
სიგარეტის ყიდვა სად იყო შესაძლებელი თუმც ისე მოხდა
ვერ მოასწარი – რადგან კეთილმა მეზობელმა რომელიც
თუთუნს ეწეოდა მთელი ცხოვრება – შარშანდელი
მოსავლიდან მოგიტანა თამბაქოს მშრალი რამდენიმე
ფურცელი და სიგარეტის ქაღალდის თხელზე თხელი

რულონი – თავად იგი უფრო ხშირად გაზეთს ხმარობდა: ამბობდა რომ შრიფტი სიგარეტს უფრო ძლიერს ხდის

ასე გავიდა რამდენიმე დღე:

მე დროს ვწელავდი აქეთ-იქით მიმოფანტულ ხელნაწერთ შორის – ჭიანჭველურ ჩანაწერებზე დაყრილი ყავის ზედაპირზე

გამეფიქრა – არაა ცუდი რომ პოლკოვნიკი იყო და დილით სვამდე ნაღდ ყავას

მაგრამ მეტის წაკითხვა მაინც აღარ მომინდა: ამიტომაც
პოლკოვნიკმა წყლის ადუღება მოასწრო მხოლოდ
მეზობელი შემეკითხა წიგნის შესახებ: რამდენიმე ფურცელს თუთუნის გასახვევად ხომ არ მივცემდი
მე ვუპასუხე: არ შემიძლია – ახლა დავიწყე კითხვა მაგრამ რაღაც ხელს მიშლის წინ ვერ მივდივარ

პოლკოვნიკი აურელიანო ბუენდია ამასობაში სადღაც გაქრა მეზობელიც არ მოდიოდა

მე დამრჩა: 1) რამდენიმე ჭიქა ყავა და 2) რამდენიმე დღე გამგზავრებამდე

გამგზავრებამდე ერთი დღით ადრე კვლავ გამოჩნდა მეზობელი გაზეთების მთელი დასტით და მიკითხავდა ახალ ამბებს კოლუმბიაზე და მის ნარკოსინდიკატებზე

მე მას ვუთხარი – რომ ის მწერალი ვისი წიგნის გაბოლებაც მას უნდოდა – კოლუმბიელი არის და ეწევა კუბურ სიგარებს

მეზობელმა გაიხსენა რომ ქალაქის მაღაზიაში ერთხელ ასეთი სიგარები დაინახა თუმც არ იყიდა იმიტომ რომ ძვირი იყო და დაამატა: მაგის მოწევა რომ დამეწყო დამცინებდნენო

დავემშვიდობეთ ერთიმეორეს

მორიდებით მკითხა მან ბოლოს ხომ არ შემეძლო
გამომეგზავნა მისთვის ასეთი სიგარები – და ჩამოსვლამდე
წიგნი ჩემთვის ეთხოვებინა
შემპირდა რომ წაიკითხავდა მოსაწევად არ მოიხმარდა

მე ვიცოდი რომ უკან აღარ დავბრუნდებოდი მაგრამ ეს მას
არ ვუთხარი არ ვაწყენინე
«მარტოობის ას წელიწადს» მოვკიდე ხელი და მივაწოდე –
ქერის ყავით მოთხუპნული და
ნესტიანი თუთუნის სუნით
პოლკოვნიკმა აურელიანო ბუენდიამ როგორც იქნა
გამოცალა ყავის ჭიქა და ფანჯარაში გაიხედა
არ ახსოვდა საკუთარი დაბადების წელი მაგრამ ზუსტად
იცოდა რომ მხოლოდ ერთი მოდუღება
ყავაღა დარჩა

იეგუდა ამიხაი

[1]

ჰერბერტმა მომიყვანა იეგუდა ამიხაი და მე
ჰერბარიუმივით გავაშრე იგი
და წარწერა კაკტუს *საბრას* ქვეშ დავტოვე თუმცა კი ამიხაი
გერმანიაში დაიბადა
ხოლო საბრა წმინდა მიწაზე დაბადებული ებრაელია

ამიხაის ფურცელი ისე დიდხანს იდო რომელიღაც
გერმანულ წიგნში
სიურეალიზმის შესახებ რომ იერუსალიმის ქვების სუნი
აუვიდა და მე ამ ქვებს
ვიყენებდი ლექსებს შორის როგორც შავ ნიშნულებს თეთრ
ტილოზე
და მათ ხავსი მოეკიდათ *ბორცვთა და დროთა წიგნში*
დავით სანდუ და მარგალიტ მატიტიაგუ[2] მიყვებოდნენ მე
ამიხაის შესახებ
როცა ჩვენ სანდუდან მივდიოდით ნოვი სადის სინაგოგაში
და მარგალიტთან ერთად სასტუმრო *კაზინოს* რესტორანში
თეთრ პურს ვაწებდით თაფლში
რომელიც ხელებიდან იდაყვებამდე მოგვედინებოდა

როცა ვკითხულობდით ლექსებს მისი ხსოვნის საღამოზე
ნიუ-იორკში
ყველას დავურიგეთ ლექსების ასლები ივრითზე და
ინგლისურზე
და მთელი დარბაზი მღეროდა ივრითზე ისე თითქოს
მანამდე ბუფეტში პირი
ზეთისხილით ამოივსეს

მაშინ საღამოთი ქროდა ძლიერი ქარი და დრო იყო ტაქსის გამოძახების
ქოლგები ხელიდან გვეგლიჯებოდა და ისინი
მიფრინავდნენ თავიანთ მფლობელებთან ერთად ნიუ-
იორკის უნივერსიტეტის უბანში და არავინ იყო რომ
გვეკითხა ებრაული ცენტრის მისამართი
და ერთ უკაცრიელ ქუჩაზე ერთმა შემთხვევით გამვლელმა
გოგონამ
მიმითითა შენობაზე რომლის შორიახლოს უაზროდ
ვწრიალებდი ნახევარი საათი
და როცა ჩვენ ვლაპარაკობდით მას ხელიდან გამოეგლიჯა
ქოლგა და მე გავიქეცი მის დასაჭერად რადგან
დანაშაულის გრძნობა მომაწვა ხოლო იგი გაღიმებული
წვიმის ქვეშ იდგა

* * * (უკრაინელმა პოეტმა...)

უკრაინელმა პოეტმა

უნდა წეროს რითმიანი ლექსები
წადით თქვენი...

კუსავით ზურგით უნდა ათრიოს გამრუდებული ისტორიის ტვირთი
ავადმყოფობები სავარაუდოდ ალკოჰოლიზმით გამოწვეული

თუმცა
ღამის 12 საათზე შეიძლება შეიყუჟო ერთი ახლობლის სახელოსნოს
ბაკნის ქვეშ და დილამდე სვა მასთან ერთად
მიაყოლო ზეთის საღებავები და ტილოს დასაჭიმი ქვეჩარჩოების ნახერხი
და დაგავიწყდეს ცოლთან დარეკვა, ისე უბრალოდ, ყოველი შემთხვევისთვის...

დილიდან კი დაეყუდო მაღაზიასთან
თოვლის პალტოზე შავ ღილებად მიკერებულ ყვავებთან ერთად
და დადაისტივით ივარჯიშო სიტყვების ფუძეებით სანამ არ მიხვალ
სრულ აბსურდამდე – 11-იდან იყიდება ალკოჰოლი –

და იცოდე რომ სამკუთხა წრეების და ელიფსური კვადრატების
ესთეტიკის დასასრულია შავი კვადრატი
– თვალებში მუქდება ჭეშმარიტება –

იკითხო სპეციალური ლიტერატურა ალკოჰოლიზმზე – და გიკვირდეს
რამდენს გაუმართლა ჩვენგან

გაგახსენდეს რომ შევჩენკოც ჩვენსავით იყო...
და ნახევარი საათი იყო ბედნიერი ამ შედარებით

ისე რომ არც გაგახსენდეს:
ბოდლერი – მეყვავილე
ვერლენი და რემბო – პარიზელი ბოჰემისტები
ელიოტი – უნაყოფო მიწის ბანკირი
პაუნდი – რადიოკომენტატორი და გიჟი
(ამერიკელი სამხედროების ღრმა რწმენით)

ბაბილონის მდინარეებთან უკვე ვერაფერს გამოჩეკავ
– იხვი ნამდვილად არა ხარ –

ხოლო სენის ნაპირებზე: 14 ათასი მხატვარი დახატავს გასაყიდად
ჯოკონდას: შიშველს ან წვერმოშვებულს – სულერთია
მთავარია და ვინჩიმ ვერ იცნოს – თუმცა მას არაფერი
გაუგია copyright-ის შესახებ –

ჰუძონსა და ისტ-რივერს შორის კი –
პოეტი ნიუ-იორკში
– ზეციდან მოვლენილი მტრედი –
უკანასკნელი ამბებიდან იცი რომ 138 ათასი ნარკომანი
დღეში სამჯერ ნემსის თერაპიითაა დაკავებული –
ხოლო ჰომოსექსუალები და ლესბოსელები – მოწყალების
და-ძმები – ახლობლის სიყვარულით

ურიები კი მესიას ელიან

რაღა რჩება:
დაუბრუნებელი ვალები

სამსჯავროზე გამოძახება
ბილეთი ბელგრადამდე

– კალმისტარი – ქაღალდი –
– ამომშრალი მელანი – კომპიუტერის შავი სისხლი –

და ეს ნარკოტიკული დამოკიდებულება: ჩაიწერო ხოლმე სიტყვები
– როცა მორფოლოგია მორფს ჰგავს –

არ გეშინია დოზის გადაჭარბების?
– გეკითხებიან –

რადგან ერთჯერადი შპრიცების ხელოვნებაში
ადამიანის გამშრალი სისხლით კავდებიან სიყვარულით

ძაფი

წვრილი ძაფივით ძვრები
ვიწრო
ნემსის ყუნწით
ამ ცხოვრებაში

და გარბიხარ
იმწუთასვე
ამ ცხოვრებიდან

არსაიდან – ალბათ – არსად

ერთხელ ასე გამოძვერი
დედის საშოდან

ამოგაფრქვიეს მისმა
მუცლის კუნთებმა ისე
როგორც ვულკანმა ლავა და შენ
იმწუთასვე მოიბუზე
სიცივისგან
და მარტოობისგან

ყუნწი სულმუდამ ვიწროვდება

– მოკლდება –
– წვრილდება –
ეს ძაფიც და

გასაღებს ეძებ
ზურგსუკან რომ
კარი დაკეტო

რაღაცას გინდა გაემიჯნო

და ცხოვრების ძაფს
ქვემოთა წევ

ჯერ იმიტომ რომ
ამოიღო
სარძევე კბილი

მერე
კვანძები რომ შეკრა
რაღაცის გასახსენებლად

თანდათანობით კვანძების რიცხვს
ვეღარც ითვლი და

დანაკარგთა
უხეშ კვანძებად
გარდაიქმნება
თხელი ძაფი
ბაგირი ხდება
და მისი თრევის
ძალაც აღარ გაქვს

ამ ბაგირით ნემსის ყუნწში
ვერანაირად ვეღარ გაძვრები
ისევე როგორც
გადაჭედილ ავტობუსში
ვერ შეეტენები

და რჩები მარტო
გაჩერებაზე

ხოლო მომდევნო ავტობუსი
აგვიანებს როგორც ყოველთვის

ისტორიის კერძო კომენტარი

«და წავიდა ზოგი ხალხი ჩრდილოეთისკენ
ხოლო ზოგი – სამხრეთისაკენ
და ათასი წლით დაშორდნენ ისინი ერთიმეორეს
და რომლებიც წინ წავიდნენ
უკან ტოვებდნენ ქალაქებს სოფლებს
საფლავებს და დამტვრეულ ჭურჭელს
ხოლო რომელთაც დააგვიანეს
მათ გავლილ გზაზე სიჩუმეს
კრეფდნენ და აგროვებდნენ» –

როდესაც ეს წაიკითხე
გასაღებით ჩასაკეტ და
ვერცხლისფერი კუთხედებით
მოშეჭედილ წიგნში

ვერ მიხვდი
თუ რომელ ხალხს ეკუთვნოდი

ვინაიდან იმ ნაპრალში
რომელიც გაჩნდა –
როცა ერთნი ჩრდილოეთისკენ გაეშურნენ
მეორენი კი სამხრეთისკენ –
ქვიშიანი ქარი ქრის მხოლოდ
შენ ბნელ სიტყვებს ათვალიერებ
და ყრუ ჭიხვინი
მოფორიაქე ცხენების გესმის

ვენეციური ლომი – იოსიფ ბროდსკის შესახებ

თარგმნა თამარ კოტრიკაძემ

დავიწყებ იმით, რომ 2008 წლის ცივ გაზაფხულზე მანჰეტენის «მცირე იტალიის» რესტორნის ვერანდაზე ევა ჰოფმანთან ერთად ვიჯექი და ათასნაირ წვრილმანზე ვესაუბრებოდი.

ევა ტონიკიან ჯინს წრუპვდა, მე – ლუდს. ევა «The New York Times»-ის ყოფილი რედაქტორი, მწერალი და ესეისტია, ცამეტი წლის ასაკში ოჯახთან ერთად მიატოვა კრაკოვი და ვანკუვერში დასახლდა, რაც შემდგომში გვიან შეძენილი ენის სფეროში მის მოღვაწეობაზე აისახა. ასევე, როგორც გაირკვა, «ტერნოპოლშჩინასთანაც» ჰქონია გარკვეული კავშირი.

საუბარი სრულიად შემთხვევით იოსიფ ბროდსკიზე ჩამოვარდა. შემთხვევით თუ განგებ, ორიოდე სიტყვით მოვიხსენიეთ პოეტი, რომელიც, სხვათა შორის, აქედან შორიახლოს, მორტონ-სტრიტ 44-ში ცხოვრობდა. სიტყვა «შორიახლოს», რასაკვირველია, მეტაფორა გახლავთ, თუმცა არცთუ მეტისმეტად ჰიპერბოლიზებური, რადგანაც მცირე იტალია სოჰოს მეზობლობს, ის კი, თავის მხრივ, – გრინვიჩ-ვოლიჯს, ხოლო ეს ბროდსკის სახლისაგან მართლაც სულ ორიოდე კვარტლის მანძილზეა.

ევამ, სხვათა შორის, ცოტა ხნის წინანდელი შემთხვევა გაიხსენა, განტერის კოლეჯის სტუდენტებს რომ უკავშირდება. მათ მოწვეული პროფესორის სტატუსით ასწავლის. ერთი მეცადინეობისათვის ტექსტები დაარიგა, მისი აზრით, საუკეთესოდ რომ ასახავს მეხსიერების თემას. მათ შორის – ბროდსკის ესეც სახელწოდებით

«ერთნახევარი ოთახი», თავის დროზე ინგლისურად რომ დაიწერა, – და, ევას გასაოცრად, აღმოჩნდა, რომ სტუდენტების უმრავლესობას ბროდსკის შესახებ არაფერი სმენია. ამის შემდგომ, სინანულით ვისაუბრეთ დროისა და ხსოვნის, თუ რაღაც ამგვარის შესახებ. ოფიციანტმა ანგარიში მოგვიტანა. ერთურთს დავემშვიდობეთ და ჩვენ-ჩვენ გზაზე გავწიეთ. შეხვედრის წმინდად ნიუ-იორკული დასასრული: ისე გაქრე, როგორც შაქარი იხსნება ყავაში.

რაკიღა ხშირად ვსტუმრობდი «Cornelia Street Cafe»-ს, ერთხელაც გადავწყვიტე, მენახა, მაინც სად მებარეობს ეს მორტონ-სტრიტი, სადაც პოეტს დიდი ხნის მანძილზე მოუწია ცხოვრება. ვერ ვიტყვი, რომ განაკუთრებულ სიამოვნებას მანიჭებს გახმაურებულ სახელებთან დაკავშირებული ადგილების ნახვა, მაგრამ «Cornelia Street Cafe»-ში შვიდწლიანი რეგულარული გამოსვლების შემდეგ მორტონ-სტრიტის სტუმრობისაგან თავი ვეღარ შევიკავე. როგორც გაირკვა, «Cornelia»-დან მორტონ-სტრიტამდე სულ რაღაც ხუთი წუთის სავალი ყოფილა. ამისათვის ბლიკერ-სტრიტი და მე-7 ავენიუ უნდა გადაკვეთო და მაშინვე მორკალულ მორტონ-სტრიტზე აღმოჩნდები.

ამ ქუჩის 44 ნომერი წითელი აგურის ოთხსართულიანი სახლია, მთავარი შესასვლელისაკენ დამრეცი კიბე ადის. თვალში გეცემა ახლადშეღებილი მთავარი კარის ფსევდობერძნული სტილი; არავითარი მემორიალური დაფა არ ჰკიდია, იშვიათი გამვლელები კი (ეს ქუჩა მართლაც მშვიდი და უკაცურია) სახლის წინ არც ჩერდებიან, არც კი უყურებენ.

ახლა ძნელი სათქმელია, ბროდსკი მაინცდამაინც აქ რამ მოიყვანა: შემთხვევითობამ თუ ვინმეს რჩევამ. შესაძლოა, ნიუ-იორკში ბინის ძებნისას მრავალი გარემოების

გათვალისწინება მოუწია: ფასიდან სიმყუდროვემდე: მანჰეტენის ცენტრი, აქვე უამრავი კაფე და რესტორანია, ჰუძონი და პლაჟიც ახლოსაა და, გარდა ამისა, პეიზაჟი – აქ რაღაც მოუხელთებლად ევროპული მაინც შეიგრძნობა. ან იქნებ ევროპელები ამას საკუთარ თავს მხოლოდ შთააგონებენ და ამით ცდილობენ, ამერიკის არჩევანი გაამართლონ?

მანჰეტენის 52-ე ქუჩაზე მდებარე «რუსულ სამოვარში» – რესტორანში, რომლის მფლობელები თავის დროზე იოსიფ ბროდსკი, მიხაილ ბარიშნიკოვი და რომან კაპლანი იყვნენ – მეორე სართულზე დროდადრო ლიტერატურული კითხვები იმართება. პირველ სართულზე უშუალოდ რესტორანია განლაგებული. მარცხივ გარდერობია, მარჯვნივ – ბაყაყისფერი ბარის დახლი და, რაც ყველაზე მეტად იზიდავს ყურაღებას – სხვადასხვა ხარისხის არყის ბოთლების წყება, მერე – თეთრი როიალი, რომელზედაც ჩვეულებრივ საშა იზბიცერი უკრავს. მარჯვნივ – აგურის კედელი იმ ცნობილ ადამიანთა სურათებით, ამ რესტორანს სხვადასხვა დროს რომ ეწვივნენ: ბელა ახმადულინადან მილოშ ფორმანამდე.

ჰოდა, მეორე სართულზე, მართკუთხა დარბაზში, სადაც ნიუ-იორკის რუსულენოვანი საზოგადოება ლიტერატურულ შეხვედრებს აწყობს, მარცხენა კუთხეში, სამოვრების ქვეშ მომცრო მაგიდაზე იოსიფ ბროდსკის ბრინჯაოს სტატუეტი დგას. ეს არსებითად იმ ცნობილი ფოტოსურათის გამეორებაა, რომელზედაც პოეტი მისთვის მოულონელად შუა ქუჩაში აღბეჭდეს, იღლიაში ამოდებული პორტფელით, ქარისაგან აფრიალებული შარფის ბოლოებით და ლაბადის კალტებით. პოეტის სხეულის დინამიკა საკმაოდ ზუსტად გადმოგვცემს მის აჩქარებას და, საფიქრალია, ერთგვარ ნერვულ დაძაბულობასაც.

აკრძალული ბროდსკი

ჩემმა თაობამ ბროდსკის სახელი პირველად, ალბათ, პერესტროიკის პერიოდში გაიგონა, როდესაც მოსკოველმა ჟურნალისტმა გენრიხ ბოროვიკმა ცენტრალური ტელევიზიით აჩვენა ფილმი ისრაელსა და ამერიკაში ებრაული ემიგრაციის შესახებ. ფილმი აშკარად პროპაგანდისტული იყო: ისრაელში მცხოვრები ერთ-ერთი ოჯახი თვალცრემლიანი ევედრებოდა საბჭოთა მთავრობას მოქალაქეობის დაბრუნებას და იფიცებოდა, რომ შეგვეძლოს, ფეხითაც კი დავბრუნდებოდითო. ფილმში ისიც იყო ნაჩვენები, ამერიკაში ემიგრანტი პენსიონრები ვიდეოზე საბჭოთა ფილმებს როგორ უყურებენ, ხოლო ბოჰემური ახალგზარდობა გაზეთ «პრავდას» წერილების სათაურების გამოყენებით სახუმარო გამოსვლებს აწყობს: «პრავ-და-და-და». ჟურნალისტი კომენტარს აკეთებდა: აი, შეხედეთ, რა ნაძირლებმა დატოვეს ჩვენი ქვეყანა. მაგრამ ერთ-ერთმა ამ ნაძირალამ თქვა; «აბა, ვის სჭირდება აქ, ამერიკაში რუსული ლიტერატურა? ჰო, კარგი, სოლჟენიცინი, ჰო, კარგი, ბროდსკი...» აი, პირველად – ყოველ შემთხვევაში, ჩემთვის – სწორედ ასე გაიჟღერა პოეტის სახელმა. მაშინ, ცხადია, არაფერი ვიცოდი არც მის სასამართლო პროცესზე, არც სოფელ ნორენსკაიაში გადასახლებაზე, არც ამერიკაში გამგზავრების დეტალებზე, არც ოდენზე, არც მის ლექსებსა თუ ესეებზე.

ბროდსკის აკრძალვა სავსებით ამართლებდა სისტემას, რომელიც ყველას ადებდა ტაბუს, ვინც მას რაიმე ფორმით არ ემორჩილებოდა. იოსიფ ბროდსკის სახელსაც ამგვარი ტაბუ ედო. დევნილი, რომელიც აიძულეს, სსრკ დაეტოვებინა, რუსული კულტურიდან თითქოს სამუდამოდ ამოეშალათ. დროთა განმავლობაში, მას მერე, რაც

ნობელის პრემია მიენიჭა, საბჭოთა კავშირში ბროდსკით გატაცება დაიწყო. ის სანობელე შარავანდედისაგან განუყოფელ ფიგურად იქცა.

მოგვიანებით, როდესაც მისი 1964 წლის ჩანაწერები, მისი ცხოვრების ლენინგრადული პერიოდის შესახებ მოგონებები, მარიანა ბასმანოვასთან რთული სასიყვარულო ურთიერთობისა თუ ახმატოვასთან მეგობრობის მასალები გამოქვეყნდა, როცა ცნობილი გახდა მისი, როგორც პოეტის, დამოკიდებულება მანდელშტამსა და ცვეტაევასთან, აგრეთვე ოდენთან შეხვედრა და ამერიკაში ცხოვრების ზოგიერთი დეტალი – ამ ყოველივემ უწინდელზე უფრო მტკიცედ დამარწმუნა იმაში, რომ ტექსტების მიღმა კიდევ სხვა, ინტელექტუალური ბროდსკი არსებობს და რომ მტკიცება, თითქოს ნებისმიერი პოეტის ბიოგრაფია მთლიანად მის ლექსებშია მოცემული, მხოლოდ სანახევროდაა მართალი, თუ მეოთხედით არა.

სამართლიანობის გულისათვის უნდა ითქვას: საბჭოთა კავშირში ბროდსკის პუბლიკაციების არარსებობას ის ინაზღაურებდა, რომ დასავლეთში, სადაც არაოფიციალურ ლიტერატურას ყოველთვის გულდასმით აკვირდებოდნენ, მისი ლექსებისა და წიგნების თარგმანები რეგულარულად გამოიცემოდა. მართლაც, საბჭოთა ობივატელის თვალით თუკი შევხედავთ, რის იმედი უნდა ჰქონოდა პოეტს, რომელიც გადასახლებაშიც იყო, ერთხანს საგიჟეთშიც იჯდა, ფაქტობრივად არსად უმუშავია, უცხოელებთან გამუდმებით ურთიერთობდა და ლენინგრადული ბოჰემის საეჭვო წრეებში ტრიალებდა, რომლებსაც სუკი დაჟინებით უთვალთვალებდა, თუმცაღა ბროდსკი არასოდეს ყოფილა დისიდენტი.

რაიმე ანალოგიის ძებნისას, პირველ რიგში, ვასილ სტუსი ვაგონდება. რატომ? გარკვეული მსგავსებების და განსხვავებების გამო. თუმცა სტუსი სრულებით არ ჰგავს ბროდსკის, ისინი მაინც ერთი თაობის ადამიანები არიან. გარდა ბევრი სხვა გარემოებისა, ბროდსკისა და სტუსის ზნეობრივი წყობა და პოეტიკა მსგავსია იმით, რომ ორივემ უარი თქვა ძალაუფლებასთან ამა თუ იმ სახის თამაშზე, უკუაგდო კომპრომისის იდეა და პოეტური სიტყვის სიღრმისეულ შრეებს ჩაუღრმავდა. ამიტომაც, როგორც სტუსის, ასევე ბროდსკის მრავალ ლექსში მონაწილეობს კულტუროლოგიური ელემენტი, აბსტრაქტული და ეგზისტენციური ცნებები, იგრძნობა სინამდვილის ფილოსოფიური დანაწევრებისაკენ მიდრეკილება, გზის არჩევნის პრობლემები, პოეტისა და ხელისუფლების ურთიერთმიმართების თემა... მსგავსება იმაშიც შეინიშნება, რომ ბროდსკიც და სტუსიც რ. მ. რილკესთან დიალოგს აწარმოებდნენ – ეს ის პოეტია, რომელიც ევროპული მოდერიზმისთვისაც და მათთვისაც ნიშანდობლივ ფიგურას წარმოადგენდა: ბროდსკიმ დაწერა ესე «ოთხმოცაათი წლის შემდგომ», რომელშიც ის რილკეს ლექსს «ორფევსი, ევრიდიკე, ჰერმესი» აანალიზებს, ხოლო სტუსი რილკეს თარგმნიდა.

მათი სხვაობა რაღაში მდგომარეობდა? ჯერ ერთი, ლენინგრადული და დონბასური ბავშვობა, ინტელიგენტური და გლეხური წარმომავლობა, ებრაელობა და უკრაინელობა ისტორიისა და იმპერიის გარემოებებში. ბროდსკის ისტორიული შეხედულებები – ესაა ფრაგმენტული ებრაული ისტორია ან ამაზე სიტყვის გადაკვრა («ებრაული სასაფლაო», «ებრაელი ფრინველი ყვავი...»), ბიბლიური თემები («გაქცევა ეგვიპტეში»), გაპიროვნებული ელინური და რომაული ისტორია,

გამქრალი იმპერიების კულტურა, უახლესი ისტორია («ჟუკოვის სიკვდილზე», «ლექსი 1980 წლის ზამთრის კამპანიის შესახებ»). ამასთან, სტუსს ისტორია ხშირად დამარცხებიდან გამოჰყავს («ასი წელია, სეჩი დაიღუპა» («Сто р????окЁв, як сконала С??Ёч...»), «თვითმჭვრეტელის მატიანეს მიხედვით» («За л???????? ??????????), Ётописом Самовидця»), «მ. გ. ჩერნიშევსკის ტრენები» («Т??????рени М. Г. Чернишевського»)) და სწორედ ამით აიხსნება იმპერიასთან მისი მიმართება. ამიტომაც მათი ლექსები, რომლებშიც პირდაპირ თუ გაშუალებულად ჟღერს «იმპერიული» მოტივები, ამ ორ პოეტს ბარიკადების საპირისპირო მხარეებზე აყენებს. ებრაელი ბროდსკი და უკრანელი სტუსი განსხვავებულად ხედავდნენ იმპერიას, მისდამი საკუთარ დამოკიდებულებას და, ბოლოს და ბოლოს, მის აღსასრულსაც. ბროდსკისთვის იმპერიის სსრკ-დან პოსტსაბჭოთა რუსეთად ტრანსფორმაცია სრულიად ბუნებრივი მოვლენაა, სტუსთან კი ყოველივე ბევრად უფრო რთულადაა. დარწმუნებული არ ვარ იმაში, რომ ის უკრაინის რუსეთისაგან გამოცალკევების მომხრე იყო, თუმცა თვლიდა, რომ რუსეთ-უკრაინის ისტორიული «მეგობრობა» გარკვეულ ეტაპზე უნდა შეწყვეტილიყო მანამ, ვიდრე უკრაინა ამ თავსმოხვეული მეგობრობისაგან თავს არ გაითავისუფლებდა. ამიტომაც იმპერია თუმცა გმობდა ბროდსკის პოეტურ პოზიციას, მაგრამ რუსული ენისა და კულტურის შუამდგომლობის ხარჯზე პოეტს მაინც «თავისიან» დამნაშავედ აღიქვამდა, ისეთად, სწორი გზიდან რომ გადაუხვია. სტუსი კი იმპერიისათვის ნებისმიერ ვითარებაში უცხო დამნაშავე იყო, მისი არსებობის წმიდათაწმიდა საფუძვლების ხელყოფას რომ ცდილობდა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სტუსს იმპერიიდან გაძევების ოდნავი იმედიც კი არ ჰქონდა, ის განადგურებისათვის იყო განწირული.

ოდნავი ეჭვიც კი არ მეპარება იმაში, რომ ბროდსკის «გაუმართლა». გადასახლებაშიც გაუმართლა, რადგან მის შესახებ დასავლეთმა გაიგო, გარემოცვაშიც გაუმართლა, რადგან მისი კეთილისმყოფელი გავლენა განიცადა (ლენინგრადი, ახმატოვა), ამერიკაშიც გაუმართლა (ისევ და ისევ სამეგობრო წრე და გარემოცვა – ოდენი, მილოში, პასი, სონტაგი, სტრენდი, ჰეკტი, უოლკოტი). ცხადია, მთელი ეს «იღბლიანი» გარემოებები სულ არაფრად ეღირებოდა, რომ არა მისი პოეზია.

ბროდსკი-პოეტი

ბროდსკის რამდენიმე ლექსი პირველად რომ წავიკითხე, ასე მეგონა, მთელ სხეულში დენმა გამიარა. მისი პოეტიკა არ ჰგავდა არცერთ მათგანს, რასაც მთავარი სამოციანელები გვთავაზობდნენ: ეს არც ახმადულინას მელოსი გახლდათ, არც ვოზნესენსკის ფუტურიზმი/ავანგარდიზმი, არც ევტუშენკოსეული პუბლიცისტიკა. ბროდსკის პოეზიის ბუნება ცალსახად განსხვავდებოდა თანამედროვეობის აღიარებული და დამკვიდრებული პოეტიკებისაგან. ევგენი ბარატინსკისა და ჯონ დონის გავლენას ბროდსკის პოეზიაზე უკვე მთელი ტრაქტატები აქვს მიძღვნილი, ისიც დადგენილია, მისი შემოქმედება რუსული რიტმიკისა და მელოდიკის რომელ ტრადიციებს ავითარებდა. ჩემი რწმენით, ბროდსკისთან მნიშვნელოვანია პოეზიაში იდეის განცდა – მისი მეტაფიზიკური შედუღაბება იუდეურ და ქრისტიანულ საფუძვლებთან. სხვათა შორის, ბროდსკის იდიოსტილის მთავარი მაჩვენებელი საკუთარი წიგნებისადმი მისი კონცეპტუალური მიდგომაა: ზოგჯერ ისეთი შთაბეჭდილება გვრჩება, თითქოს ის ლექსებს კრებულისათვის კი არ არჩევდა, ასე თუ ისე, ბანქოს ქაღალდივით კი არ ურევდა, არამედ თითქოს პირიქით – ამ ლექსებს სწორედ

კონკრეტული კონცეპციისა და საერთო იდეიდან გამომდინარე წერდა.

ამიტომაცაა ბროდსკი განხვავებული ჟღერადობის, ტემბრისა და მელოსის პოეტი, ქალაქის პოეტი, პოეტი ადამიანისა და ბუნების ეგზისტენციისა, კულტუროლოგიური ქვეტექსტით დატვირთული გაპიროვნებული ისტორიისა. ეს ბროდსკის თანამედროვე რუს პოეტებთანაც აკავშირებს და ისეთ სლავებთანაც, როგორიც არიან მილოში, ჰერბერტი, შიმბორსკაია, სტუსი, ასევე, მეტწილად, მარგინალური ტერიტორიების მკვიდრ ინგლისურენოვან პოეტებთან, – იმ ტერიტორიებს ვგულისხმობ, სადაც ისტორიას (იმპერიას და კოლონიას) კოლექტიურ და ინდივიდუალურ მეხსიერებაში ჯერ კიდევ საპატიო ადგილი უკავია (მაგალითად, დერეკ უოლკოტთან, შედარებით ნაკლებად – შეიმუს ჰინისთან). აკავშირებს და, ამავდროულად, უპირისპირებს კიდეც.

ლენინგრადული პეიზაჟების შესახებ ბროდსკიმ ისაუბრა თავის ცნობილ ესეში «ერთნახევარი ოთახი». საამისოდ სრულიად შეგნებულად შეარჩია ინგლისური: ბროდსკის აზრით, სწორედ ამ ენას ძალუძს, ტექსტი დროის ეროზიისაგან დაიცვას. ერთნახევარი ოთახი ის სივრცეა, საბჭოთა ხელისუფლებამ ომის ვეტერან ალექსანდრე ბროდსკის რომ გამოუყო. სწორედ აქ იზრდებოდა და ყალიბდებოდა მომავალი პოეტი. თუმცა ბროდსკის ესე უფრო მეხსიერებას ეძღვნება, ვიდრე სივრცეს. ამ ტექსტში ის ყურადღებას ამახვილებს დანაშაულის განცდაზე – მშობლების მიმართ, რომლებმაც ამერიკაში ვაჟიშვილთან გამგზავრების უფლება სიცოცხლის ბოლომდე ვერ მოიპოვეს, და ხსოვნაზე – იხსენებს იმ საგნებს, რომლებიც გარს ერტყა მშობლიურ ბინაში, კომუნალური ბინების სუნს, მათ ბინადართ, ქუჩების სივრცეს, ეკლესიების

არქიტექტურას, მეხსიერების კუნთს მშვილდის ლარივით ძაბავს და ამერიკის მოქალაქის ამჟამინდელ მდგომარეობას უმიზნებს, თითქოს ამ კუნთის გამძლეობას ამოწმებდეს.

ქალაქი, რომელშიც ბროდსკი იზრდებოდა, იმპერიის ქალაქია, რაც, პირველყოვლისა, არქიტექტურაზე, ქალაქის პეიზაჟის ამ ვიზუალურ ინტერპრეტაციაზე აისახა, რომლის ძლევამოსილება და გოროზი იერი, საბჭოურ-პროლეტარული სტერეოტიპებისაგან დამოუკიდებლად, ქვეცნობიერზე ახდენს ზეგავლენას. შეუძლებელია, ეს ბროდსკის სიმპათიებზე არ ასახულიყო.

ბროდსკისთვის პოეზიაში იმდენად თვითგამოხატვა კი არა, რამდენადაც რაღაც სხვა იყო მნიშვნელოვანი. მისი ტექსტების ფორმა საკმარისად ტრადიციულია, თუმცა ის სტროფის კონსტრუქციის დონეზე ცდილობდა ამ ფორმის ნოვატორულ რღვევას, იყენებდა ანჟამბემანებს, რუსული ენის ბგერით რეგისტრთა შესაძლებლობებს, ერთურთს უხამებდა პეიზაჟებს, განცდებს, ინტელექტუალურ გამაღიზიანებლებს. ბროდსკი იმ ეპოქაში მოღვაწეობდა, როდესაც უდიდეს სლავ პოეტებს (პირველ რიგში, პოლონელებს – მილოშს, ჰერბერტს, რუჟევიჩს, შიმბორსკას) არც რითმა ამძიმებდათ და არც რიტმი, პოეზიის ქვაკუთხედად მასავით ისტორია – მეხსიერება – დრო მიაჩნდათ. მათი გაპიროვნებული ისტორია რუსულისაგან განსხვავდებოდა, თუმცა ერმა, რომელსაც ისინი წარმოადგენდნენ, არანაკლები კატაკლიზმები განიცადა.

იმპერია ბროდსკის მიხედვით

ერთ-ერთი მიზეზი ამ ესეს დაწერისა არ ყოფილა მხოლოდ სურვილი კიდევ ერთხელ გადამეკითხა ბროდსკი ირენა

გრუდზინკაია-გროსისა და ლევ ლოსევის შემდეგ, რომელთაც თითქმის ერთდროულად გამოსცეს ბროდსკის შესახებ წიგნები პოლონურ და რუსულ ენებზე. და არც ბროდსკის კვლევაში წვლილის შეტანის სურვილი იყო ამის მიზეზი, არამედ ის პრობლემა, რომელსაც ხსენებული ავტორები არ გაურბიან, მაგრამ ბოლომდე ვერ ჭრიან – ესაა ბროდსკის ლექსი «უკრაინის დამოუკიდებლობაზე».

ამ ჩანაწერებისკენ ერთმა უბრალო შემთხვევამ მიბიძგა: ინტერნეტში წავაწყდი წერილს «შოკი ბროდსკისაგან», რომელიც საიტზე Sem40 გამოქვეყნდა. წერილის ავტორი სონია ტ. აღწერს ბროდსკის საჯარო კითხვას ნიუ-იორკში 1995 წელს, რომელიც, ალბათ, მისი უკანასკნელი საჯარო გამოსვლა იყო. ავტორი ამ საღამოს შთაბეჭდილებებს გვიზიარებს და გვიამბობს, როდესაც პოეტმა ეს ლექსი წაიკითხა, პროტესტის ნიშნად ავდექი და დარბაზი დავტოვეო.

გრუდზინკაია-გროსი აღნიშნავს, რომ «მის რუსულ პატრიოტიზმზე მოწმობს ასევე [...] ლექსი «ხალხი» და კიდევ ერთი ლექსი, რომელიც უკრაინას იმპერიული და ველიკორუსული პოზიციებიდან ესხმის თავს [...]. ეს ლექსი მან წაუკითხა ტომას ვენცლოვას, რომელმაც კერძო საუბარში მითხრა, პოეტს ვურჩიე, მისი დაბეჭდვისაგან თავი შეეკავებინაო».

ჩემი აზრით, ბროდსკის მსოფლმხედველობა მეტისმეტად წინააღმდეგობრივი და რთულია საიმისოდ, რომ ნაჩქარევად დავსვათ ისეთი აქცენტები, ყველას რომ დააკმაყოფილებს. ლაპარაკი აქ მის პოეტურ და ესთეტიკურ სიმპათიებსა თუ ანტიპათიებზე კი არ არის, არც პირად ადამიანურ ნაკლოვანებებსა თუ ღირსებებზე, არამედ იმ მსოფლმხედველობაზე, რომლის

გადასახედიდანაც უცქერდა სამყაროს და პოლიტიკური თუ ყოველდღიური მოვლენების კომენტირებას ახდენდა. აქ რთული პრობლემა იმალება: როგორ შეიძლება ბროდსკისთან თუ ვინმე სხვასთან ესთეტიკური ორიენტირები საზოგადოებრივისაგან განვაცალკევოთ, წმინდა ადამიანური სიმპათიები კი – საყოველთაოდ მიღებული პოლიტკორექტული შეხედულებებისაგან?

ერთი შეხედვით, ბროდსკისთვის, რომელიც იმპერიამ დააზარალა, – გადასახლებაში გააძევა, საშუალებას არ აძლევდა, თავი პოეტად ეგრძნო და ვერც შემდგომში შეელია თავის პრინციპებს, რის გამოც მშობლებს საშუალებას არ აძლევდა, ერთადერთი ვაჟი ამერიკაში ენახულებინათ, – ამ იმპერიის ნებისმიერი მარცხი, მისი ნგრევა და განადგურება სასიხარულო უნდა ყოფილიყო, ყოველ შემთხვევაში, მასში, სულ ცოტა, პირადი გამარჯვების განცდა უნდა აღეძრა, და არა – მისი გამოქომაგების სურვილი!

უკრაინის დამოუკიდებლობა მართლაც იქცა იმპერიის სიკვდილად, რამდენსაც არ ეცადა ეს უკანასკნელი მის შეჩერებას.

რა პოზიციებიდან ცდილობს ბროდსკი უკრაინის დანახვას? რუსი პატრიოტი ინტელექტუალის პოზიციიდან? პროდასავლურად განწყობილის/სლავიანოფილის? კოსმოპოლიტის პოზიციიდან?

კიდევ ერთი პრობლემა, რომლის განმარტებაც რთულია, მოხაზვა კი შედარებით ადვილი. იოსიფ ბროდსკი ამერიკაში იმყოფებოდა, სადაც ყოველივე ასე პოლიტკორექტულია, ურთიერთობდა ჩამოსულ მეგობრებთან, კომუნიზმის (მილოში), ანდა კოლონიალიზმის (უოლკოტი) მსხვერპლის

კომპლექსებისაგან რომ იტანჯებოდნენ, – აი, ამ ვითარებაში ბროდსკი თავისი ლექსით «უკრაინის დამოუკიდებლობაზე» ფაქტობრივად ეტიკეტის ყოველგვარ ნორმებს არღვევს. ის ისეთ ტექსტს ქმნის, რომელიც, საავტორო პუბლიკაციის შემთხვევაში მის პოზიციას განაზღვრავდა არამარტო უკრაინის, არამედ ლიტვისა და პოლონეთის მიმართაც, ეს ქვეყნები კი ბროდსკის უყვარდა და მათ წარმომადგენლებს შორის მეგობრებიც ჰყავდა.

ერთი მხრივ, ბროდსკის, როგორც რუსული ენისა და კულტურის მატარებელს, არაფერი აიძულებდა უკრაინის სიყვარულს, თუმცა, როგორც მისი გვარი გვამცნობს, მამის მხრიდან მისი წინაპრები წარმომავლობით ქალაქ ბროდიდან იყვნენ. ამგვარად, გარკვეული სენტიმენტები შეიძლებოდა ჰქონოდა, მაგრამ არ ჰქონია. რადგან, როგორც თვითონვე მოწმობს, მის ოჯახში არასოდეს იხსენებდნენ რევოლუციამდელ ცხოვრებას, და გასაგებია რატომაც. უეჭველია, მას არც რაიმე საოჯახო გადმოცემა მოუსმენია პოლონეთის ტახტისადმი დაქვემდებარებულ ვოლინში მცხოვრები შორეული წინაპრების შესახებ, თუმცა საუკუნოვანი უკრაინულ-ებრაული ურთიერთობების შესახებ კარგად იყო ინფორმირებული. ვფიქრობ, ზბიგნევ ჰერბერტს ბევრად მეტი საფუძველი ჰქონდა, უკრაინელებისა და ლვოვის შესახებ დაეწერა, სადაც გაიზარდა და მეორე მსოფლიო ომი გადაიტანა, – ფაქტობრივად, ჰერბერტი შეიძლება სასაზღვრო რეგიონის პოეტად ჩავთვალოთ, რომელსაც დამარცხების კომპლექსი აქვს. შესაძლოა, სხვა სასაზღვრო რეგიონის პოეტ ჩესლავ მილოშს არანაკლები მიზეზი ჰქონდა საიმისოდ, რომ ლიტვისთვის ბრალად დაედო საბჭოეთისაგან გამოყოფის

შემდეგ პოლონეთთან არგაერთიანების სურვილი, თუმცა ეს ბრიყვულ ხუმრობას უფრო წააგავს.

კაცმა რომ თქვას, 1988 წელს ლისაბონის კონფერენციაზე, სადაც მილოშთან, რუშდისთან და სონტაგთან ერთად იქნა მიწვეული, ბროდსკიმ მხარი დაუჭირა რუსეთს, არა მხოლოდ როგორც კულტურის იმპერიას, არამედ როგორც პოლიტიკურ იმპერიას, ამასთან ბუნდოვნად წარმოედგინა ცენტრალური ევროპის პრობლემები და მისი ისტორიული და სულიერი როლი. მისმა პოზიციამ კოლეგების მძაფრი უკმაყოფილება გამოიწვია. კონფლიქტის მოგვარებას ცდილობდა დერეკ უოლკოტი, თუმცა ის ევროპულ საქმეებში ცუდად იყო გათვითცნობერებული. ამგვარად, ყოფილ იმპერიათა და სასაზღვრო რეგიონთა პოეტები მაშინდელი ვითარების შეფასებაში ვერ შეთანხმდნენ.

იმპერიის ცნება ბროდსკის ლექსებში საკმარისად ხშირად ბერძნულ-რომაულ კონტექსტში წარმოგვიდგება. ამ კლასიკურ მოდელს პოეტი აღტაცებით თუ არა, მოწიწებით მაინც უცქერის. ვუშვებ იმ აზრს, რომ ამის მიზეზი დამპყრობლური ლაშქრობები, გაუთავებელი ომები და ახალ-ახალი ტერიტორიების მითვისება კი არა, – ის დიდი კულტურა გახლდათ, რომლითაც ნებისმიერ იმპერიას შეუძლია იამაყოს.

საბჭოთა იმპერია იღუპება, მას მნიშვნელოვანი ნაწილი, უკრაინა სწყდება და ეს ბროდსკის მხრიდან ბუნებრივ რეაქციას იწვევს. ჯერ კიდევ მანამდე, 1985 წელს, ის მილან კუნდერასთან პოლემიკაში შევიდა. და, რასაც არ უნდა წერდნენ ამის შესახებ, კერძოდ, რუსი ინტერპრეტატორები, ერთი რამ ცხადია: ესაა ორი ურთიერთსაპირისპირო მსოფლმხედველური სისტემის – ევროპისა და აზიის – ორთაბრძოლა; კუნდერა და ბროდსკი

ამ ორ ძალას განასახიერებენ: ევროპულ რაციონალურ აზრსა და აზიურ ემოციურ თავაშვებულობას, თავისი მისტიკითა და ადამიანური სულის უბნელეს კუნჭულებში ჩაღრმავებით. კუნდერასთვის რუსეთი, როგორც ასეთი, თავისთავად მუქარას ნიშნავდა, მასზე გაფიქრებაც კი ომთან და აგრესიასთან ასოცირდება. და, თუკი პოლემიკის ცენტრალურ ობიექტად ბროდსკიმ დოსტოევსკი აირჩია და მასზე ააგო კუნდერას წინააღმდეგ მიმართული არგუმენტები, ეს მხოლოდ და მხოლოდ ისტორიასა და კულტურასთან ანგარიშსწორების ყველაზე უხეირო მცდელობაზე მეტყველებს. რა მოხდებოდა, მილოშს საპასუხო იარაღად კაფკა რომ გამოეყენებინა?

შეიძლება დავეთანხმოთ ირენა გრუდზინსკაია-გროსის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ ბროდსკი დაიბადა და გაიზარდა ერთ იმპერიაში (სსრკ), ცხოვრობდა მეორეში (ამერიკა), საუკუნო განსასვენებელი კი მესამეში (რომი) ჰპოვა. ეს იმას როდი გამორიცხავს, რომ ბროდსკის ადამიანური სიმპათია ჰქონდა ზოგიერთი იმპერიული გარეუბნის – ვთქვათ, ლიტვისა თუ პოლონეთის – მიმართ, სხვები კი, – ამ შემთხვევაში, უკრაინა – არ უყვარდა.

ბროდსკის პოეტები

ბროდსკი ხშირად ლაპარაკობდა პოეზიაზე და თავის კანონიკას იმ თავისთვის მნიშვნელოვან პოეტებზე დაყრდნობით ქმნიდა, მისთვის მნიშვნელოვანნი რომ იყვნენ (ამგვარად, მას დიდი წვლილი მიუძღვის ცვეტაევასა და მანდელშტამის მსოფლიო აღიარებაში), ყურადღებით აკვირდებოდა ახმატოვას ლექსების ინგლისურენოვანი თარგმანების ხარისხს და მისი შემოქმედების უნიჭო ინტერპრეტაციებს მწვავედ აკრიტიკებდა.

რა თქმა უნდა, პუშკინი, ბარატინსკი, პასტერნაკი, ზაბოლოცკი ზემოთხსენებულ პოეტებთან ერთად მისი პიეტური გემოვნების საფუძველს ისევე წარმოადგენდნენ, როგორც ჯონ დონი, ოდენი, ფროსტი. არსად, არცერთი სიტყვით არ ახსენებს ამერიკულ სკოლას – ალენ გინსბერგს, ლორენს ფერლინგეტის, – ეს, აშკარად, მისეული არ არის.

ჩემთვის საინტერესო და გარკვეული გაგებით ნიშანდობლივია ფრაზა, რომელშიც ბროდსკი ერთურთს უპირიპირებს «ალექსანდრეს სტრიქონებსა» და «ტარასის ნაბოდვარს», – ორი ერის ეს ორი უდიდესი პოეტი აგრეთვე იქცა იმპერიის მსხვერპლად: პუშკინმა სამხრეთში მოიხადა გადასახლების ვადა, შევჩენკოს კი უფრო მკაცრი სასჯელი ერგო: ორენბურგის სტეპებში რიგით ჯარისკაცად მსახურება. შეუძლებელია, ბროდსკის, რომელიც თვითონაც იმყოფებოდა გადასახლებაში არხანგელსკის ოლქში, მანამდე კი პატიმრობაც მოიხადა, არ შეედარებინა – თუკი საერთოდ უფიქრია ამაზე – საკუთარი გადასახლების პერიოდის განცდები შევჩენკოს ბედთან. მას რომც არ წაეკითხა პოეტური ციკლი «საპყრობილეში», როგორც პოეტს, შეუძლებელია, გუმანით არ ეგრძნო, რომ ასი წლის შემდგომ თვითონაც, ფაქტობრივად, შევჩენკოს გზას იმეორებდა. ამავდროულად, ბროდსკისთან შევჩენკოს მიუღებლობა მხოლოდ «რევოლუციონერ-დემოკრატის» თუ «თვითნაბადი სახალხო მგოსნის» კლიშეებით როდი შემოიფარგლებოდა: ყველაფერი ბევრად უფრო რთულად იყო. სხვათა შორის, პუშკინიც პოლონეთის გამოყოფის წინააღმდეგი გახლდათ, თუმცა მას მიცკევიჩთან მეგობრობა აკავშირებდა.

მაშ, რაშია «ტარასის ნაბოდვარი»?

«რუსულ სამოვარში» ერთ-ერთ ლიტერატურულ კითხვაზე მარინა ტიომკინასთან შეხვედრა დავთქვი. თუმცა ამისგან არაფერი გამოვიდა, რადგან ვიღაცამ სტუდენტები მოიყვანა, დარბაზი წარმოუდგენლად გადაიტვირთა და მე და მარინამ ერთურთს მხოლოდ თავი დაუკარით, საუბარი კი მომავლისათვის გადავდეთ.

მარინასთან ელექტრონული მიმოწერიდან შევიტყვე, რომ ის ახლოს იცნობდა ბროდსკის, მის ესეებს ინგლისურად თარგმნიდა, ნიუ-იორკში პოეტის ცხოვრების დეტალების კურსშიც იმყოფებოდა. მარინამ თავისთან მიმიწვია. ჩელსის რაიონში ცხოვრობდა, ამიტომაც მე-14 ქუჩიდან საგანგებოდ 23-ზე გადავუხვიე, რათა სასტუმრო «ჩელსი» მენახა, რომლის ფასადიც ისევეა დახუნძლული მემორიალური დაფებით, როგორც ვეტერანის მკერდი – მედლებითა და ჯილდოებით.

მარინამ სუფრაზე დანა-ჩანგლები და თეფშები დააწყო და ვახშამი სწრაფად მოამზადა, ხოლო ყველს, ფრანგულ ღვინოსა და სანთლებს ჩემ მოსვლამდევე დაეკავებინა მაგიდაზე საპატიო ადგილი. წყნარ ნიუ-იორკულ ქუჩას თითქოს ზურგი შეექცია ქალაქის ხმაურისათვის, მე-7 ავენიუდან რომ მოდიოდა.

მარინასგან შევიტყე ნიუ-იორკში ბროდსკის ვაჟის ჩამოსვლისა და პოეტის გარდაცვალების შესახებ, – ბრუკლინში, პროსპექტ-ჰაიტზის რაიონში, იმ სახლში, რომელიც იყიდა და რომელშიც ოჯახთან ერთად გადავიდა, – კვლავაც გაუგებარია, შემთხვევით თუ საგანგებოდ, მაგრამ ამ სახლში სხვადასხვა დროს ცხოვრობდნენ: უოლტ უიტმენი, თომას ვულფი, უ. ჰ. ოდენი, არტურ მილერი, ტრუმენ კაპოტე, ნორმან მეილერი.

და როდესაც მარინას ვკითხე, თუ რას ფიქრობს ლექსზე «უკრაინის დამოუკიდებლობაზე», მან მისთვის დამახასიათებელი უცნაურად ნათელი სევდით მითხრა, ეს უკრაინოფობია პოსტჰოლოკოსტურ პერიოდში ებრაელობის ტრავმით აიხსნებაო. იმის თქმა უნდოდა, რომ პოლონეთსა და ლიტვას იოსიფმა აპატია.

მაშინ მომაგონდა ერთი ეპიზოდი სოლომონ ვოლკოვისა და ბროდსკის საუბრებიდან, რომელიც იტალიას ეხებოდა. ბროდსკიმ ეზრა პაუნდი და ოლგა რაჯთან სტუმრობა გაიხსენა. რომელიღაც ფესტივალზე ბროდსკის სიუზენ სონტაგთან ერთად მოუწია ყოფნა, სიუზენი პაუნდის უკვე ხნიერ სატრფოს შეხვდა და ბროდსკის სთხოვა, გაჰყოლოდა. ბროდსკი იხსენებს, რომ რაჯი საუბარში გამუდმებით ცდილობდა იმ მოსაზრების უარყოფას, თითქოს პაუნდი ფაშისტი და ანტისემიტი იყო და ამას სამწუხარო გაუგებრობას უწოდებდა. ბოლოს და ბოლოს, სონტაგმა მართებულად შენიშნა, რომ ამას ვერ დაეთანხმება, რადგან ამგვარ შემთხვევაში პაუნდი ტოკიო როვზს დაემსგავსებოდა – კოლაბორაციონისტ და ავანტიურისტ ქალს, რომელსაც ასევე მიჰყავდა პროპაგანდისტული რადიოგადაცემები, ოღონდაც ტოკიოდან, რომლებიც იაპონელების წინააღმდეგ მებრძოლი ამერიკელი ჯარისკაცებისადმი იყო მიმართული.

«HTB-ამერიკის» გადაცემის ჩაწერაზე ჰუძონის გასწვრივ თავსხმა წვიმასა და ქარიშხალში მივდიოდი. გზა ცარიელი იყო, იშვიათი მანქანები ჩემ «ტოიოტას» უსწრებდნენ და თითქმის ფანჯრებამდე წყლის ნაკადებს ასხამდნენ. სტუდიაში, როდესაც კამერებმა წითელი თვალები დაჭყიტეს, წამყვან მიხეილ გუსევთან ერთად ბევრ რამეზე ვისაუბრეთ და ბროდსკისაც მივადექით. წამყვანმა

გადაწყვიტა, ჩემთვის ამ ლექსის თაობაზეც დაესვა კითხვა, თუმცა იქვე დასძინა, ამგვარი რამ ბროდსკის რომ არ დაეწერა, ეს ლექსი საერთოდ ხსენების ღირსიც კი არ იქნებოდაო. შესაძლოა, მართლაც არ იქნებოდა ხსენების ღირსი.

რატომ იჩენს ბროდსკი შევჩენკოს მიმართ უსამართლობას?

შევჩენკო ბროდსკის საყვარელი პოეტების რიცხვს არ ეკუთვნოდა.

თუკი შევჩენკოს ბიოგრაფია რუსი პოეტისათვის საერთოდ ცნობილი იყო, ისიც, ალბათ, მხოლოდ ზედაპირულად. თუმცა, რაოდენ პარადოქსურიც არ უნდა იყოს, შევჩენკოსა და ბროდსკის ირიბად აკავშირებთ რამდენიმე მომენტი: ოპოზიციური პარადიგმა «პოეტი – ძალაუფლება», პატიმრობა, გადასახლება, ხელისუფლების მხრიდან დევნა, აკრძალვა (ერთისთვის – წერის, მეორესთვის – გამოქვეყნების) და ადგილი (შევჩენკოს დროს ეს სანქტ-პეტერბურგია, ბროდსკის დროს – ლენინგრადი). გარკვეულწილად ენაც საერთო აქვთ: შევჩენკოც ხომ წერდა რუსულად ლექსებსა და პროზას.

ლექსში «უკრაინის დამოუკიდებლობაზე», ისტორიული რემინისცენციებით დატვირთული ფიცხი გამოსვლის დასასრულს, ბოლო პწკარებში ბროდსკი მიმართავს პოეზიას, როგორც ისტორიის უზენაეს განაჩენს, რომელსაც ორი სახელით განსაზღვრავს – პუშკინი და შევჩენკო. ეს ბროდსკისთვის დამახასიათებელი და სავსებით გამართლებული ფინალია: ის პოეზიას ხელოვნების უზენაეს ფორმად თვლიდა, ენას კი – ხელოვნების უზენაეს ფორმად, ამიტომ ვერავითარ შემთხვევში ვერ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ისტორიით ან საკუთარი

ემოციური შეფასებებით. პუშკინი და შევჩენკო ის მსაჯულნი არიან, ვისი დახმარებითაც ბროდსკი უკრაინის დამოუკიდებლობას ამართლებს ან აცამტვერებს, ამ საზომებით განსაზღვრავს მის მიზანშეწონილობას. იქნებ სწორედ ამიტომაცაა, რომ ლექსში ხდება პუშკინთან დაკავშირებული ნეიტრალურ-პოზიტიური და შევჩენკოსთან დაკავშირებული უკიდურესად ნეგატიური გამონათქვამის გადატანა მთელ იმ აზრობრივ რიგზე, ამ სახელების უკან რომ დგას. ბროდსკი «ტარასის ნაბოდვარს» მხოლოდ პოეტური თუ ესთეტიკური სიმპათია-ანტიპათიის პოზიციიდან როდი აფასებს, რადგან ჩვენთვის უცნობია, შევჩენკოს რომელი ნაწარმოებები ჰქონდა წაკითხული მას და ჰქონდა თუ არა საერთოდ. შესაძლოა, მის შემოქმედებაზე ზოგადი წარმოდგენა ჰქონოდა, ან იქნებ 1961 წელს საბჭოთა პრესაში მისი გარდაცვალების ას წლისთავთან დაკავშირებული რაიმე პუბლიკაცია წაიკითხა, შეეძლო მისი რომელიმე ქრესტომათიული ლექსიც სცოდნოდა. განა ეს საკმარისია იმის მტკიცებისათვის, რომ შევჩენკოს ნაწერი მთლიანად ტყუილია, რომ უკრაინის მისეული ისტორია თუ ისტორიის უკრაინული ხედვა მითოსია და სხვა არაფერი, რომ ისტორიასა და მითოლოგიასთან შევჩენკოსეული თამაშის («სიზმარი» ან «კავკასია») ბინარულ ოპოზიციად პუშკინის «პოლტავა» გვევლინება?

«პოეტის მიერ გამოყენებულ მასალას საკუთარი ისტორია აქვს. ეს მასალა, თუ გნებავთ, თვითონაა ისტორია».

უნდა აღინიშნოს, რომ პუშკინი ბროდსკის «სიაში» იყო შესული. ახმატოვას გარემოცვაში პუშკინს, როგორც წესი, საპატიო ადგილი ეთმობოდა, თანაც ცარსკოე სელო, პეტერბურგი, მოიკა – ყოველივე ეს ლექსებისა და პოეტების შესახებ საუბრებში პუშკინის უცვლელ

მუნყოფნას აძლიერებდა. მარინა ვოლკოვას მიერ გადაღებულ ნიუ-იორკულ ფოტოსურათზე ბროდსკი ლექსიკონების, საბეჭდი მანქანისა და პუშკინის ბიუსტის გარემოცვაშია აღბეჭდილი.

ახმატოვასთან საუბარში ბროდსკი შემდეგნაირი მოდელის ფორმულირებას ახდენს: რეინი პუშკინია, ბობიშევი – დელვიგი, ნაიმანი – ვიაზემსკი, ხოლო თვით ბროდსკი ბარატინსკია. ზემოთ ხსენებული ირენა გრუდზინსკაია-გროსი ბროდსკისთან პუშკინისეულ მოტივებს პოულობს, პირველ რიგში კი ოვიდიუსისა და იმპერიის მოტივზე მიგვითითებს, პუშკინის კიშინიოვის პერიოდის ლექსებში რომ ჟღერს, ასევე ამახვილებს ყურადღებას პოემაში «ზოფია» შენიშნულ პუშკინისეულ ალუზიებზე. მკვლევარი იხსენებს, რომ, ბროდსკის აზრით, პოლონელებს დამოუკიდებლობისაკენ თანდაყოლილი სწრაფვა ახასიათებდათ. მაშ, რატომ ვერ ხედავდა ამ სწრაფვას უკრაინელებთან? მართლა ვერ ხედავდა თუ არ სურდა დაენახა?

«The New York Times»-ში დაბეჭდილ ბროდსკის წერილს, რომლის დასაწერადაც პოეტს ტოტალიტარიზმის ბუნებაზე, 1968 წლის პრაღის მოვლენებზე, დოსტოევსკიზე კუნდერას მკვეთრად ანტორუსულმა პუბლიკაციამ უბიძგა, ამგვარი პოლემიკური ფრაზა აქვს სათაურად: «რატომ იჩენს მილან კუნდერა დოტოევსკის მიმართ უსამართლობას?» გასაგებია, რომ ამგვარად დასმული კითხვა კონტრარგუმენტების გავლით არგუმენტების ძებნაზე იყო მიმართული. კუნდერა რუსულ კულტურას თავს არ დასხმია, მან მხოლოდ საკუთარი გრძნობები გამოხატა – ცენტრალური ევროპის იმ წარმომადგენლის გრძნობები, რომელიც რუსეთის ექსპანსიას შეიგრძნობს და სასიკვდილო საფრთხედ აღიქვამს, მიუხედავად იმისა,

რომ ეს კულტურა დოსტოევსკისა და ტოლსტოის სახელებითაა კურთხეული. ბროდსკის რეაქცია, როგორც ამ არსებითად იმპერიული კულტურის წარმომადგენლისა, – ამასობაში ეს კულტურა პრაღას ტანკებით უტევს, – პირველ ყოვლისა, საკუთარი თავის, როგორც ამ კულტურისა და მისი შინაარსის კომფორტულობის გამომხატველი პოეტის დასაცავად იყო მიმართული. ეს ინდივიდუალური კომფორტის დაცვა გახლდათ.

ცხადია, რომ ლექსი პუბლიცისტური წერილი არ არის, ხოლო პოეტური ტექსტის ბუნება სულ სხვა ინტელექტუალური და ემოციური გამაღიზიანებლების აკომულირებას ახდენს, ამიტომაც «უკრაინის დამოუკიდებლობაზე» მხოლოდ ერთ-ერთი ეპიზოდია საკუთარ ისტორულ და პოლიტიკურ მრწამსთან ბროდსკის ანგარიშსწორებაში, რომელიც მას ესთეტიკურ დონეზე აჰყავს. შევჩენკო და უკრაინა, კუნდერა და ჩეხეთი წინააღმდეგობას აღუძრავს, რადგან ამ ცნებათა შინაარსი მისი საკუთარი ისტორიის შინაარსს უპირისპირდება. მილოშსა და ბროდსკის შორის ლისაბონში გამართული, ცენტრალურ ევროპასთან დაკავშირებული პოლემიკა კიდევ ერთი მტკიცებაა იმისა, რომ ბროდსკი არ ყოფილა კარგი ტონის წესების დამცველი და მისი ემოციები ზოგჯერ საღ აზრზეც კი იმარჯვებდა.

დაბოლოს, უნდა ითქვას, რომ ლექსი არსებითად პროვოკაციულია, და არა პოლემიკური (ბროდსკისთან პოლემიზირება აქ თუნდაც იმიტომაა შეუძლებელი, რომ ის პოლემიკას ყველა კარს ურაზავს). თუკი ეს მართლაც ასეა, მაშინ პოეტმა რუსეთის ინტელიგენციის გარკვეული ნაწილის კოლექტიური არაცნობიერი გამოხატა, რომელსაც უკრაინის მიმართ მსგავსი პოზიცია უკავია. ამასთან, მსგავსი განწყობების რეანიმირება

თანამედროვე რუსეთში სახელმწიფო დონეზე იქნა აყვანილი, რაც უკრაინული ევროპოცენტრისტული ძალების მარცხმა და სისუსტემ განაპირობა.

იტალიის ხშირმა სტუმრობამ იოსიფ ბროდსკის თვალწინ ტრამვირებული ისტორიის იმპერიული არტეფაქტების პანორამა გადაუშალა, – კოლიზეუმის მეჩხერი კბილით – და, აგრეთვე, მარადისობის პანორამაც, რომელიც ნიუ-იორკს მხოლოდ ხანგამოშვებით ეწვევა ხოლმე, ვენეციაში კი სამუდამოდაა დაბინავებული – მის დატბორილ სივრცეში, ხომალდებისა და პირსების, პორტის ამწეების, წყალმცენარეთა სუნისა და თოლიების კივილის სტიქიაში. ლენინგრადში დაბადებულმა და ნიუ-იორკში გარდაცვლილმა პოეტმა, რომელმაც ვენეციაში ჰპოვა განსასვენებელი, ეს ქალაქები ყოვლად უჩვეულოდ აასხა თავისი ბიოგრაფიის ძაფზე, რომელიც არქიტეტურასა და წყალთან ასოცირდება, ეს წყალი კი მხოლოდ ნაპირთან მდგარ იახტებს როდი არწევს, არამედ ისტორიის რიტმებსაც, დროის ტალღისებურ სინუსოიდებს, პოეტების ბედისწერასა და ადგილობრივ მეთევზეთა ტივტივებსაც.

იოსიფ ბროდსკი წინააღმდეგობებისგანაა მოქსოვილი, თავის პოეზიაშიც და თავის ცხოვრებაშიც, რომელიც მრავლად შეიცავდა პოეტურ მითებს, გამოთხოვებებსა და დაბრუნებებს, ქუჩებსა და ქალაქებს, რუსულ სიტყვასა და ებრაულ ბედ-იღბალს. «ამქვეყნად ყველაფერში დამდეს ბრალი, გარდა ამინდისა». მე არ მსურს, იოსიფ ბროდსკის რამეში ბრალი დავდო, მსურს მხოლოდ გავუგო.

როდესაც ნიუ-იორკში ვაჟიშვილი ესტუმრა, ვიდრე ბროდსკი მთელ კომპანიას მორტონ-სტრიტიდან ორ ნაბიჯზე ჩაინა-ტაუნის ჩინურ რესტორანში წაიყვანდა, დიდხანს წყვეტდა, მანქანით წასულიყვნენ თუ ფეხით.

ბოლოს მანქანით წასვლა გადაწყვიტეს. მაგრამ ბროდსკის უნდოდა, შვილისთვის გამოსათხოვარი საჩუქარი გაეკეთებინა და გზად სამხედრო მაღაზიაში ამერიკელი მფრინავის საკმაოდ ძვირადღირებული ტყავის ქურთუკი უყიდა. პოეტის ამ ჟესტმა ყველა გააკვირვა, შვილის ჩათვლით, რადგან ამ ფასად შეიძლებოდა უამრავი ჯინსის, სპორტული ფეხსაცმლისა და მაისურის ყიდვა, შვილს კი სწორედ ეს უნდოდა და სთხოვდა კიდეც. მაგრამ ბროდსკიმ მას საჩუქარი საფირმო პარკით მიაწოდა და უთხრა: «ასეთი ქურთუკი არასოდეს მღირსებია, მაგრამ სულ ასეთზე ვოცნებობდი».

პოეტებს სჩვევიათ შეცდომების დაშვება, მწარე შეურაცხყოფის განცდა, აშკარა ჭეშმარიტებებზე თვალის დახუჭვაც კი, როდესაც მათ ისტორიას სხვათა ისტორიები ეღობება.

ბროდსკის სიკვდილის შემდეგ მისი საყვარელი ვენეციური ლომები მისი პოეზიის მუნჯ მოწმეებად და მცველებად ქცეულან; არხები მთვარის შუქზე ვენეციის მჭკნარ თითებზე ბეჭდებივით ბზინავენ, სან-მიქელე ზღვის მოქცევით იტბორება და ქვის ლომების ფრთები ქალაქს ტალღების იერიშისაგან იცავენ.

ზოგჯერ მეჩვენება, რომ პოეზია მართლაც იმ წყლებზე უფრო მაღლა დგას, ყოფილ რომის იმპერიას ბარბაროსთა ლაშქარივით რომ უტევს.

ამონარიდები

ვასილ მახნოს ლექსებს რამდენიმე წლის წინათ გავეცანი, როდესაც ვფურცლავდი ანთოლოგიას «საუკუნიდან საუკუნემდე. უკრაინული პოეზია», მოსკოვში, სლავურ ლიტერატურათა სერიაში რომ გამოიცა. მასში შესული ორი ლექსი პირადად მე უცნაურად ახლობელი მომეჩვენა, პოეზიის არსთან დაკავშირებულ ჩემს შეგრძნებებსა და შეხედულებებს დაემთხვა, თუმცა ეს ლექსები სულ სხვაგვარად იყო გაკეთებული – სხვა ენობრივი სტიქიის შიგნით, სხვა ოპტიკით, რომელიც, ობიექტთან, მგონი, უფროა მიახლოებული.

ინტერნეტის სივრცეებში იოლად მივაგენი მის ამერიკულ საიტსაც, (http://vasylmakhno.us), სადაც ლექსები და ესეებია გამოქვეყნებული. ლექსებმა გამაოცა სტროფიკისა და მეტრიკის მრავალფეროვნებით, განსხვავებული სიზუსტის რითმათა კაზმული ნახატით, რთული სინტაქსური პერიოდებითა და, საერთოდ, ლექსის მდიდარი ფაქტურით, ხოლო ესეებმა – მსჯელობის თავისუფლებითა და შეხედულებათა სიფართოვით, განსაკუთრებული ინტელექტუალიზმითა და მსოფლიო ლიტერატურისა და კულტურის მოვლენათა მიმართ რაღაც განსაკუთრებული რუდუნებითა და ჩაფიქრებით.

რაც მეტ პოეტურ სისტემასა და მსოფლმხედველურ გადასახედს ითავისებს პოეტი – შეგნებულად თუ გაუცნობიერებლად – მით უფრო ღრმავდება და მდიდრდება მისი საკუთარი პოეზია. ვასილ მახნოს ორიგინალური პოეტიკის ამოსავალ წერტილად გვევლინება არამხოლოდ უშუალო მიმართვა «დახვრეტილი აღორძინების» პოეტებისადმი – უკრაინული

პოეზიისათვის ვერცხლის საუკუნის თაობის ტოლფასნი რომ არიან – არამედ მე-20 საუკუნის ევროპული და ამერიკული პოეზიის საუკეთესო მიღწევებზე თავდაჯერებული ორიენტაციაც.

ვასილ მახნოს წიგნები ერთიმეორეს არ ჰგავს. თითოეული მათგანი ახალ პოეტიკას, ახალ ხედვას, ახალ განზომილებას შეიცავს. შეიძლება კიდეც მოგვეჩვენოს, რომ ისინი სხვადასხვა პოეტების მიერაა დაწერილი. განსაკუთრებით თვალშისაცემი ცვლილებები და ძვრები ამერიკაში მისი გამგზავრების შემდგომ შეინიშნება. ის, რაც მათ ამ ყოველივეს ფონზე აერთიანებს და ერთ განგრძობილ პოეტურ გამონათქვამად აქცევს, საერთო მუსიკალური თემაა, განხვავებული ჟღერადობით დამუშავებული. სიცოცხლის მუსიკა და ენის მუსიკა ერთურთს ხან სცილდება, ხანაც ერწყმის და პოეტს სხვაგვარი მუსიკით – პოეზიის მუსიკით – ავსებს, რომელიც მუდამ მოულოდნელი და გაბედულია.

მაქსიმ ამელინი

უეჭველია, უკანასკნელი პერიოდის უკრაინელი პოეტებიდან მახნო ყველაზე უფრო ხშირად ითარგმნება, თანაც, არამხოლოდ რუსულად: როგორც ვიკიპედია გვამცნობს, მის ლექსებს 25 ენაზე კითხულობენ. შესაძლოა, ამის მიზეზი ისაა, რომ ტერნოპოლში დაბადებული 51 წლის პოეტი, რომელიც უკვე 15 წელიწადია ნიუ-იორკში ცხოვრობს, მდიდარი მეტაფორიკიდან – რომელიც უკრაინული მოდერნისტული პოეზიის მეხსიერებას შეიცავს (ბოგდან-იგორ ანტონიჩის ჩათვლით, ვისაც მახნომ თავისი დისერტაცია მიუძღვნა) – ადვილად გადადის გაშლილ რეპორტაჟულ ტექსტზე, ამერიკულ პოეტურ დოკუმენტალიზმს მყარად რომ ეფუძნება.

დიმიტრი კუზმინი

ვასილ მახნოს ახალი პოეტური კრებული «ზამთრის წერილები» ეპისტოლარული ჟანრისაკენ იხრება. მოგზაურობა წიგნის განმსაზღვრელ პრინციპად და ქვეტექსტურ თემად წარმოგვიდგება.

თავის ადრეულ ნამუშევრებში მახნომ დაგვიდასტურა, რომ ის ქალაქის, ურბანული სივრცის პოეტია. ის ტრანსატლანტიკურ მაძიებლად გვევლინება, პოეზიაში გამუდმებით ახალ გზებს რომ ეძიებს. ახალ კრებულში შესული ლექსები წარმოადგენს ნიუ-იორკიდან, უკრაინიდან, კოლუმბიიდან, გერმანიიდან, რუმინეთიდან და სხვა ადგილებიდან გამოგზავნილ «წერილებს». «ზამთრის წერილები» მოგვატარებს ნიუ-იორკს, მეინს, ბომბეის, კოლუმბიას, რუმინეთს და ბოლოს კიევი-ბერლინის მატარებელში ამოგვაყოფინებს თავს, მისი ტიპიური მგზავრების – ნახევრად კრიმინალებისა და საეჭვო ვაჭრების – გარემოცვაში. ეს ლიმინარული სივრცე, მატარებლის ეს არსად ყოფნა, ეს ჰაერში გამოკიდულობა სიმბოლურად «ემიგრაციის კანონგარეშეთა» ბედს გულისხმობს; ჩემთვის ეს მატარებელი კრებულის ერთ-ერთი, ან იქნებ ერთადერთი ცენტრალური სახეა.

მახნოს მატარებელი იდეალური დროის მანქანაა, რომლის გამგზავრებისა და დანიშნულების ადგილები შინაარსის ასოციაციურ დროით კომპონენტს შეიცავს. ამ მაგისტრალის დასაწყისში ვხედავთ კიევს, ამჟამად სრულიად ახალ, უკრაინულ ქალაქს არყის უკრაინული (არასაბჭოური!) დასახელებებით («ბოგდან-ზინოვის ვერცხლის პორტრეტით» – იგულისხმება უკრაინელი გმირი მერძოლი ბოგდან ხმელნიცკი), მაგრამ ეს ძველი ქალაქიცაა, ის ისტორიითაა განმსჭვალული. გზა გადის

კრივოი როგზე – ცენტრალური უკრაინის მნიშვნელოვან ინდუსტრიულ ქალაქზე, რომელსაც საბჭოთა დროსაც ასეთივე მნიშვნელობა ჰქონდა და რომელიც ინდუსტრიული ქალაქის ყველა სენითაა შეპყრობილი: დანაშაულებრივი აქტივობის მაღალი პროცენტი, სიკვდილიანობა, ეკოლოგიური დაბინძურება. აქ ვხვდებით პროტაგონისტის მამას ახალგზარდობაში, «ჯონ ლენონის ასაკისა» რომ იყო და პატარა ქალაქში რომ ცხოვრობდა: «ორიოდე მანქანა, ქალაქის მერია, ბაზრის მოედანი...» (ლექსი «მამაჩემი»). მაგისტრალის ბოლოს ბერლინია – დასავლეთისა და გლობალიზაციის სიმბოლო: «ქალაქში ყავახანები ყავის მარცვლებივითაა მიმოფანტული» («ბერლინი/შარლოტენბურგი»). ეს თავისუფლებისა და გაუცხოების ქალაქია. ემიგრანტი პოეტისთვის საუკეთესო ადგილი სწორედ ის მატარებელია, სამყაროს (სამყაროთა) ამ ორ წერტილს შორის რომ მიმოდის. მატარებელში დრო გაჩერებულია და, ამავე დროს, როგორც აინშტაინი იტყოდა, ჩვეულებრივზე უფრო სწრაფად მირბის.

ოქსანა ლუციშინა

2. პოეზია

თეა თოფურია

ცის გახსნის შემდეგ

ერთხელ ასე მოხდა,
შვიდი ცა გაიხსნა და დაიხურა.
მე ვთქვი, მხოლოდ კარგს დავინახავ,
კარგს დავიმახსოვრებ.
ესეც სისუსტეა, მაგრამ არა უშავს, რაც საღია, ის
დამიტოვეთ.
მას შემდეგ დაჩეხილებივით არიან ადამიანები.
თითქოს გოლიათმა ჩაკბიჩა კაცი,
ზოგისგან მხოლოდ ხელი დარჩა, ზოგისგან – თავი,
ზოგი მთელდება და ისევ ილევა.
ერთი საერთოდ აღარ არის.
მიყვარდა და ვეღარ დავინახე.
ვიფიქრე, სადმე თუ მიიკუჭა, ყველგან ეძებეთ!
მითხრეს, თუ ხშირად ფიქრობდა შენზე, თავი დარჩებოდა,
თუ უყვარდი – გული,
თუ როდესმე ხელი გამოგიწოდა –
იმ ხელს წააწყდები,
თუ სიტყვით გაგამხნევა – ენას,
იქნებ, სისხლსაც, თუ ეს სისხლი სიმწრით ადუღდა.
რაღაც მაინც რომ გადარჩეს,
თუნდაც ოფლის ერთი წვეთი,
ორი სამყაროს საზღვარს რომ გააღებენ,
გადაიტან, იქ გაამრთელებ...

საღამოობით მოდიან ხოლმე ჩემი დაჩეხილი მეგობრები,
განახევრებული ნაცნობები –
ცის გახსნის მერე არ გვინახავსო, ამბობენ.

* * * (დღეს ლაღი დღეა...)

«თქვენი კაპიკი აქ მანეთად ფასობს» – თქვა კაცმა ჯოჯოხეთიდან და ისევ ცეცხლში გაუჩინარდა.

დღეს ლაღი დღეა,
დღეს ჭკვიანად არიან ჩემი მკვდრები.
გასუსულები წვანან საფლავებში.
ჭამაც მაცალეს, საქმეც,
ლამის შეყვარებაც მოვახერხე.
ვიფიქრე კიდეც საღამოსკენ,
მართლა ხომ არ დაიხოცნენ?
როდის ეგენი დაიმარხნენ,
რით ვერ ამოწყდნენ?!
დღეს ლაღი დღეა,
დღეს ჭკვიანად არიან ჩემი მკვდრები...

* * * (ცოტა ირონიაც შეიძლება...)

ცოტა ირონიაც შეიძლება –
ახლა რომ მოვკვდე,
აი, ახლა, ავდგე და მოვკვდე,
რამხელა სარგებლობას მოვიტანდი:
უსახლკარო სახლს იშოვიდა,
უმუშევარი – სამსახურს,
გასათხოვარი ჩემს მომავალ ქმარზე გათხოვდებოდა,
თავის ბავშვებს გააჩენდა, ჩემის მაგივრად.
სხვას დაუთმობდნენ ადგილს ავტობუსში,
სხვა მოიგებდა კონკურსებს, ლატარეას,
მეზობელიც, სარეცხის გაშრობას რომ არ ვანებებ,
თავისუფლად გამოფენდა თავის საცვლებს,
წინდებს, თეთრეულს...

დაფიქრებაც კი ძნელია,
ირონიული ლექსის ბოლოს აღარც გეცინება.

* * * (ეს ხალხი...)

ეს ხალხი,
ეს ამდენი მოგონილი ადამიანი,
ყველგან რომ არიან,
ჩაიდანშიც, საყავეშიც,
პურზე მოყრილი შაქარივით
რომ ვატან ცხოვრებას,
მეშინია მათი!
რომ მოვკვდები,
საიქიოში არ დამხვდებიან,
არც მერე მოვლენ.

ნეტავ, სულს ჩაუდგამდე, ღმერთო,
ჩემს მოგონილ ადამიანებს,
სამოთხეში მარტო აღარ ვიქნებოდი.

არიმათიელი

როდესაც უგემური დღეები მიეწყობა,
როდესაც ცხოვრება მუქდება, როგორც ზღვის სიღრმე,
სადაც წყლის სიმძიმისგან თევზებიც ვეღარ დაცურავენ,
როდესაც საიქიო იმდენად ახლოვდება,
თითქოს დამპყრობელმა მთელი სოფლით გადმოსწია
საზღვარი –
ყოველთვის იოსებ არიმათიელი მახსენდება,
ოდისევსივით ჭკვიანი და მამაცი კაცი,
ერთ დღეს ღმერთი რომ მოუკვდა
და ალბათ აღარც მას უნდოდა სიცოცხლე,
მაგრამ მაინც იყიდა ტილო,
მაგრამ მაინც ჩამოხსნა ჯვრიდან,
რადგან ხანდახან დგება დრო,
როცა შენ მარტო ხარ შენს მკვდარ ღმერთთან,
და, რა თქმა უნდა, ესეც უნდა გადაიტანო.

როდესაც უგემური დღეები მიეწყობა,
როდესაც ცხოვრება მუქდება და ასე შემდეგ,
მე ვიქცევი ისე, როგორც დიდი ხნის წინ იოსები –
საკუთარ საფლავს ვუთმობ ქრისტეს.
გადის დრო, ის ცოცხლდება
და ამ სასწაულს ვერასოდეს ვერ შევეჩვიე.

* * * (არ უთქვამთ, მაგრამ იგულისხმეს...)

არ უთქვამთ, მაგრამ იგულისხმეს,
ადამიანად გაჩენთ, ოღონდ კატასავით
სახურავებზე უნდა იარო და არ ჩავარდე!
ბეჭებში გასწორდი, ნუ იტყვი, რომ დარდმა მოგხარა.
წელის ტკივილიც თხელ კაბას დააბრალე.
თუ გკითხავენ, რამე მძიმე ხომ არ ასწიე?
არ უპასუხო – სიყვარული. ბანალურია.
თვალებში სისხლიც – მაღალ წნევას,
ხომ ვერ იტყვი, ერთი სული მქონდა მომეკლა...
ტაქიკარდიაც ამან იცის – გულში იმდენი რამე ჩარჩა,
საწყლად ფართხალებს.
კუნთს გადაკრული ქონის ფენა,
ორი კაცის წონას რომ უდრის,
თითქოს დაცვაა.
ის მეორე გამხდარს მალავს,
ის მეორე საგარეოა, დარბის, მუშაობს,
ხელფასსაც იმას ურიცხავენ, მას პატიჟებენ...
ნამდვილი კი, როგორც ნახირს ჩამორჩენილი საქონელი,
უეკლესიო სოფლის გზაზე თავისთვის მიდის
და კისერზე შებმულ ზარს მიაწკრიალებს,
საკუთარ თავს რომ არ დაეკარგოს.

* * * (რა უნდა ქნა, როცა შენი ლოცვა ღმერთამდე ვერ აღწევს...)

რა უნდა ქნა, როცა შენი ლოცვა ღმერთამდე ვერ აღწევს
და როგორც ცაში ასროლი ქვა უკან გიბრუნდება.
თითქოს უკარო კოშკის აღება დაგავალეს
და ახლა გარშემო უვლი, იძახი: «დაიქეცი, დაიქეცი...»
შენი ხმა, ჩაკარგული ცხოვრების წვრილმანებში,
ბავშვივითაა, კარადა რომ თავზე მოიმხო,
და ყველა ნივთი ზედ დაიყარა.
აი, ასეთი ლოცვაც არის – ჩანჩქერის პირას –
ყვირიხარ და მაინც არ ისმის.

რატომ არ ხვდებიან ძაღლები სამოთხეში?

დაბერდა ჩემი მსუნაგი ძაღლი
და მე სულ უფრო ხშირად ვფიქრობ,
რატომ არ ხვდებიან ძაღლები სამოთხეში,
ან სად ხვდებიან, როცა ხვდებიან?
სად უნდა მოხვდეს ძაღლი, თუ სული არა აქვს,
მაგრამ აქვს ცხოვრება, რომლის ერთი წელიც, ჩემს შვიდს
უდრის.
იქნებ, მათთვისაც არის რამე სამოთხის ბაღში,
რომელიმე ხის ქვეშ, რომელიმე მდელოზე?...
იქნებ ანგელოზების, წმინდანების, ნათესავების გარდა
არის კიდევ სამი ძაღლი, ორი კატა და თუთიყუში
და ისინიც გველოდებიან.
სასაცილოა, მაგრამ მერე რა,
თუ სამოთხეში გაიცინებს ადამიანი
და დაავიწყდება საჭმლის ნარჩენებით მოფენილი ოთახი,
როცა ძაღლი აღარ იყო,
მან კი ჩვეულებისამებ მაინც გადაუგდო პური.
და ისიც დაავიწყდება,
როგორ ჰგავდა ეს დაუღეჭავი ლუკმები მის დარდს,
ვერ დაღეჭილს,
ვერ მონელებულს.

32

კარგა ხანია შევამჩნიე,
ზოგი თვე ოცდათორმეტითაა.
ამ დღეს ხალხი,
თვითონაც რომ არ იცის ისე,
საუკუნო ბუნაგიდან გამოდის,
მზის გულზე დგება
და გულწრფელად ამბობს თავის საიდუმლოს.
აი, ასე, ყოველგვარი წამების გარეშე.
მაგრამ არავინ იჯერებს,
რადგან თითქმის არავინ იცის,
რომ ზოგი თვე ოცდათორმეტითაა
და იმ დღეს ხალხი რასაც ამბობს, მართალს ამბობს.

ნინი ელიაშვილი

* * * (ვერც ვარსკვლავები ამოკრიფეს შენი ლოცვიდან...)

ვერც ვარსკვლავები ამოკრიფეს შენი ლოცვიდან.
მიწისკენ დახრილს უნებლიეთ რომ გადმოგცვივდა,
მაშინ გამოჩნდა რა გტკიოდა, მაგრამ შიშობდი,
ვერაფერი რომ ვერ გესწავლა, საით იზამდი
პირს. იქ ქათქათებს ყველაფერი, როგორც ღვთისმშობლის
სახე, იქ, სადაც არ ზაფხულობ. მხოლოდ იზამთრებ.
ვერც ვარსკვლავებმა გაიკვლიეს ბნელში გზა-კვალი.
ხან, როგორც სიკვდილმისჯილს, ისე აგაკანკალებს,
ბრმა სიხარული, რადგან ეჭვობ, მუდამ ეჭვობდი,
რომ მათ სჭირდები. დამნაშავე თითქმის არა ხარ.
და უფლება გაქვს სიხარულით გული გეწვოდეს.
და უფლება გაქვს სიხარულზე იყო თანახმა.
ვერც ვარსკვლავებმა დაგავიწყეს შენი სიმძიმე.
შენ ცრემლი გითრთის და ჩამწყდარი ხმა გიციმციმებს.
რომ ყველაფერი სულერთია, თუ არ გაძალებს
ვინმე სიცოცხლეს, თუ არ ტყუი. რომ სულერთია
რამდენად არ გაქვს, რამდენად გაქვს და მიწანწალებ
ღამეში. ხვდები, რომ ეს ღამეც შემოგეთია.
ვერც ვარსკვლავები ამოკრიფეს შენი ლოცვიდან.
კიდეც გიკბინა შემპარავად მან, ვინც გკოცნიდა.
კვდები. არ ნანობ და უფრო დიდ სიკვდილს დაეძებ.
წერ, როგორც წერილს, საკუთარ თავს, სხვისი სახელით.
წერ, როგორც წყალზე, როგორც ცეცხლზე, როგორც ჰაერზე.
წერ მშვიდად, რადგან ვერასოდეს ვერ გაგამხელენ.

* * * (ვიღაცა მართმევს, რაც წლების წინ წვალებით ვხაზე...)

ვიღაცა მართმევს, რაც წლების წინ წვალებით ვხაზე,
რაც სიბნელეში დამუნჯებულს უნდა მეხილა.
ჩუმად ვარ ახლა და ვამზადებ სიტყვების ვაზნებს.
ჩვენს სულებს შორის არსებულმა უღელტეხილმა
იმდენად დაბლა დაგვაქანა, ვეღარ შევძელით
შიში გვემართა. ვერ შევცვლიდით მაღლა ახედვით
რაიმეს. ერთ დღეს, ვიცოდი, რომ დამიძახებდი
და ხმაგაუმტარ ნიჟარაში მშვიდად შევძვერი.
გიმზერდი. შენი სარკმლებიდან ჩქეფდა მდუღარე
ჰაერი. ჩემი ჰაერი კი ჰგავდა ცელოფანს.
მე აღარ მახსოვს ბოლოს გული ვის გავუხარე,
იმდენად მძიმე გახდა ჩემი მოუცლელობა.
და რა თქმა უნდა, ვიღაც მოვა. ვიღაც წამართმევს
ყველაფერს. ვდგავარ და მოხედვა სულაც არ მიჭირს
იქ, სადაც ძარცვა დაუწყიათ და ჩემს ნაბიჯებს
მთლიანად კრეფენ. ჩემს ციხეებს, ჩემს მისამართებს
აითვისებენ ახლა სხვები. და მე არ ვღელავ
მე მშვიდადა ვარ. მე ვდგავარ და ქარხნებს გავყურებ.
თითქოს ვიღაცას ვეუბნები: დაინახე, რა
სილამაზეა! მზერას ვერ ვწყვეტ ნაშალ აგურებს.
ალბათ, ვერაფრის დავიწყებას ვეღარ მოვასწრებ.
მე ავადა ვარ. დავსნეულდი მძიმე ეჭვებით.
ჰო, ასე ხდება, სანამ რამეს გადაეჩვევი,
მთელი ცხოვრება ფიქრში უსვამ წითელ ფლომასტერს.
სისულელეა. მე ვაგრძელებ ჩემს დაკვირვებას.
შორიდან ქარხნის მილებს ვზომავ ნატკენ თითებით.
თითქოს, თავს ვშველი. სანამ ეს დღეც ჩაიძირება
და ღამის ბინდში კვლავ გაბმულად ავქვითინდები.

ყოველთვის, როცა მიწევს ასეთ დღეებს შევება,
შემებრალება ხოლმე ბავშვი, ჭადრის ბურთულებს
რომ აგროვებდა... შემოდგომა. ქარი. ურთულეს
დღეებში ხშირად მივაკითხავ და მაძევებენ.
ისევ გადავცდი. მოკლედ, დგანან ქარხნის ეზოში
დიდი კაცები. მანქანები. ფიქრებს ვადევნებ
(ვერც კი მამჩნევენ. არ მგონია, ვინმეს ხელს ვუშლი)
სახურავებზე ცისკენ ხელებაწვდილ ანტენებს.
ყოველთვის, როცა სიმარტოვე ორმოს ადიდებს,
ნებისმიერი ქუჩის გავლით ვიწყებ ხეტიალს.
თითქოს, მიშველის ვინმე. რამე ამბავს მეტყვიან,
რაც გამახარებს. რომ დღის შუქზეც, შევძლო, ავტირდე.

* * * (მე დავიკარგე და არავის აღარ ვახსოვარ...)

მე დავიკარგე და არავის აღარ ვახსოვარ.
ვეძებ ჰაერში მუქი ფარდის ამოსაქსოვად
ჩხირებს და სანამ გამიხსენებს ვინმე, ფარდის ქვეშ
თავს ზარ-ზეიმით შევიპატიჟებ.

* * * (ჩემი მხრებია, რომ იხრება ჩემ თვალწინ. ქვითინს...)

«რომ შეგეკრიბა სიყვარული,
საკუთარ თავს არიგებდი მთელი სიცოცხლე.»

დავით ბარბაქაძე

«ერთი ვარ, რომელიც აღარა ვარ, დღეიდან არასდროს
აღარა ვარ,
ყოფნა სამუდამოდ დამეკოდა.»

შალვა ბაკურაძე

ჩემი მხრებია, რომ იხრება ჩემ თვალწინ. ქვითინს
რომ მოჰყვებიან და ცდილობენ ზურგი მაქციონ
ისე, რომ თითქოს არც ყოფილან, სუყველა თითის
სუყველა ხაზით აღვიბეჭდავ მე მათ საქციელს.
და რადგან ახლა არ მოვყვები ყოფნას. ქვიშა ვარ
რადგან, რომელიც არყოფნაში გადაიფანტა.
რადგან სიკვდილმა არაფერი არ დამიშავა.
რადგან სიცოცხლემ, კენჭებივით, წამომკრიფა და
მისროლა ზღვაში და მას მერე ნაპირს დავეძებ.
ნაპირზე, სადაც სიყვარული უფრო მყარია,
მე მელოდება მწუხარება სიცოტავეზე
და სიხარული იმაზე, რომ კვლავ მიხარია.
ჩემი ფრთებია, რომ იმტვრევა ჩემ თვალწინ, ცამდე
მართლები, მიწის გასაყართან როცა ვიბნევი.
დღეს, სულში როცა, წვიმის ნაცვლად, ღრუბლები ჩამდის,
არ მეშინია ჩემი სიბნელის.
და რადგან ახლა არ მოვყვები იმედს, ვერცერთი
ხმიდან ვეღარ ვგრძნობ, ვეღარ ველი მსუსხავ ჟრუანტელს.
სასაცილოა, ასაფრენად ადგილს ვეძებდი

და აფრენისას ჩემივე თავს ამოვუვარდი
გულიდან. როცა თანდაყოლილ გრძნობებს ვაზავებ
აწშეძენილში, ვმარტივდები თითქოს. მრიყავენ
სურვილებიდან და დავეძებ ახლა, ბრმასავით,
რომ გავიხსენო არყოფნამდე როგორ ვიყავი,
ჩემს თვალებს. ჩემი თვალებია, ასე ჩემს თვალ წინ
რომ ბრმავდებიან. რომ შესძულდათ ყველა ნანახი.
ვინც კი მეგონა სიხარულში სიტყვას შემაწევს,
ისე გამწირა, ერთი ცრემლიც არ მიკარნახა.
და რადგან ახლა არ მოვყვები სოფლებს, ქალაქებს.
რადგან არც ჩემგან აღარ გადის მათკენ ტრანსპორტი.
ღმერთმაც არ იცის რა სურვილი მალაპარაკებს
და მეც არ ვიცი ისევ რატომ უნდა მახსოვდნენ.
თუმცა კი ჩარჩათ ყველაფერი თვალებს ყოფნიდან
მოყოლებული არყოფნამდე. ხელში მეკავა
გეგმა, რომელზეც ასახული გზები მყოფნიდა
და ვამზადებდი ამ ყველაფრის წასალეკავად
ჩემს მკლავებს. ჩემი მკლავებია, რომ აკავებენ
სივრცეებს, სადაც რეალობას თვითონ ვიგონებ.
როგორც მახეში, ამ მკლავებში ვინც კი გაება,
წლებია უკვე, არ უნახავს მიწის სიგანე.
და რადგან ახლა არ მოვყვები ჯაჭვებს, ბორკილებს,
რადგან ყელში მაქვს ამოსული თავისუფლება.
ხან სიგიჟემდე მენატრება ჩემი ლოგინი,
რომელშიც თეთრმა ღამეებმა, როგორც ყულფებმა
მყლაპეს. რომელშიც დაიბადა ჩემი არყოფნა.
რომელშიც უმალ ბნელდებოდნენ თეთრი ზეწრები.
სადაც ვისწავლე სიმარტოვე იმ ხნის სამყოფად,
რომელსაც, ალბათ, ვერასოდეს ვერ მოვესწრები.
ჩემი გულია, რომ იშლება ჩემ თვალ წინ. გზიდან
წამოკრეფილი ორმოებით, ქვებით, ბელტებით.
რომელიც ვზარდე და რომელიც ვერასდროს მზრდიდა.

რომელსაც არცერთ ჩანაფიქრში არ ვუერთდები.
და რადგან ახლა არ მოვყვები ისრებს, კაუჭებს.
რადგან მომირჩა ყველაფერი, რადგან ვურჩები
ყველაფერს. ჩემი სიყვარული ეჭვს თუ გაუჩენს
მასაც კი, ვინც თავს დამდგომია გამაყუჩებლით.
ჩემი მხრებია. ჩემი ფრთები. ჩემი თვალები.
ჩემი მკლავები. ჩემი გული (ცდილობს არ სწყინდეს)
ახლა რომ უნდათ სიყვარულად დასუფთავებულ
ყოფნაში, ანუ არყოფნაში გადანაწილდნენ.

ქეთი გზირიშვილი

* * * (მთელი დღე ვლაპარაკობდი იქ...)

მთელი დღე ვლაპარაკობდი იქ,
სადაც ადრე იატაკს ჩავჩერებოდი
და ჩუმად ვარ სახლში,
სადაც შესაძლებელია ყველაზე ტკბილი სიტყვების თქმა.
მხოლოდ კლავიშებზე შეხების ხმა მესმის,
ან ფორთოხლის კანზე დანის დასმისას გასხმული შხეფის,
ან წყლის შიშინი ჩაიდნიდან,
ან ეზოს ჩორნას ყრუდ ნათქვამი ყეფა.
და კიდევ უფრო ვკუმავ პირს, როცა მახსენდება
როგორ იწვა ბარტყად ქცეული დეიდაჩემი მიკროსკოპის ქვეშ,
როგორ შემოდიოდნენ პატარა ქალაქის ქალები –
დიდი ქალაქის ქალებისგან განსხვავებით თვალნათლივ შელახულები,
ტლანქად გამოპრანჭულები,
სახელდახელოდ გადავარცხნილი თმითა და ასხმული სამკაულებით.
გაუხეშებულ მტევნებს შუშას აყრდნობდნენ
და ჩასცქეროდნენ ფუყე ნაჭუჭს;
თვალები უფართოვდებოდათ და
სანამ მათი ტუჩები მოძრაობდა,
მზერა სამკუთხა ყვრიმალებიდან
გაფიჩხებული თითებისკენ მიემართებოდა;
თან თავებს სინანულით აქნევდნენ:
– უი, როგორ დაპატარავებულა, როგორ გამხდარა და როგორი იყო.
მერე სხდებოდნენ და ჰყვებოდნენ მათ საერთო თავგადასავალს
და, ცოტა ხანში,

როგორც აკვარელის ფერები,
ისე ერეოდა მკვდრის ამბებს ცოცხლების
ყოველდღიურობა,
შვილების და შვილიშვილების რაოდენობა,
უქონლობის მიზეზები,
ჭირისუფლისკენ გამოსროლილი კითხვები;
ამ ყველაფერს კი უცხოეთში გადახვეწილი ცოლების
ამბები კრავდა
და ბეღურების ნისკარტები
(რომლებმაც რატომღაც სწორედ ამ დროს მოინდომეს
ფანჯრის რიკულებზე შეკრება)
ძლივს გასაგონ წკრიალს ურთავდა.

უცნაურია და, პატარა ქალაქის თაიგულებიც განსხვავდება
დიდი ქალაქიდან მოტანილი თაიგულებისგან.
სულ ორი მეყვავილე ზის ადგილობრივ ბაზარში
და ორივეს შავი ჭრაჭუნა ქაღალდი გააჩნია შესაფუთ
არსენალში,
რომელსაც შავსავე ბაფთებს ამაგრებენ სტეპლერით.
ყვავილებიც ერთად მოაქვთ ალბათ თბილისიდან –
მიხაკები და ჰერბერები, სეზონზე – კალაც.
მათი აწყობილი გვირგვინები კი მხოლოდ წითელი
მიხაკებისგან შედგება.
მათ ზუსტად იციან ქალაქის ახალი მკვდრების ვინაობა და
რაოდენობა,
ისევე, როგორც თბილისიდან მომავალი სამარშრუტო
ტაქსის მძღოლმა,
რომელიც აუცილებლად ჰკითხავს გვირგვინიან მგზავრს –
ვისთან მიდის
და გვირგვინის მოხერხებულად დადებას შესთავაზებს
საქარე მინასთან,
სანამ სხვა მინას მიუდგამს გვერდით.

როცა უკანასკნელი დიდი გტოვებს შენი ბავშვობიდან და
შენ ხდები უკვე დიდი,
სიკვდილის რიგში დგები.
და ისეთი მარტივი ხდება მისი დანახვა,
როგორც პატარა დიდი დეიდაჩემის;
შუშაზე ხელების დაყრდნობაც არ გჭირდება,
რადგან სადაც არ უნდა გაიხედო,
ყველგან სიკვდილია მიყუდებული.
და შენც ლაპარაკს იწყებ.
ბეღურები კი ფანჯრებზე ზანზალაკებს რეკენ.

* * * (ერთხელ, როცა ნულ კლასში ვიყავი...)

ერთხელ, როცა ნულ კლასში ვიყავი,
სკოლიდან ადრე გამოგვიშვეს.
ვიცოდი, რომ დედას უნდა
დავლოდებოდი მოსაცდელში,
მაგრამ ტყუპმა კლასელებმა,
რომლებმაც დედის სამსახურში
წასვლა გადაწყვიტეს,
მითხრეს, რომ ეშინოდათ გზის
და გავყოლოდი.
არ გამკარებია შიში გულში.
სიცილსა და ხტუნვაში
მივადექით დიდ შენობას,
რომლის წინ გავლისას
ახლაც მკაწრავს კანი.
ტყუპებმა მაკოცეს სათითაოდ
და კარში შეიმალნენ.
მე კი უცებ გავსივდი,
გავფუვდი
და ქარს მივეცი თავი.
საითაც წამიყვანდა,
იქით იყო დედაჩემი.
ჩემი თვალები აავსეს მანქანებმა
და ბეტონის გალავანმა,
სახლებმა და უცხო სახეებმა,
ძაღლებმა და
მატარებლის კივილმა.
მათთვის მხოლოდ ბუშტი ვიყავი,
ქარს რომ მიაქვს
უახლოეს ტოტთან გასახეთქად.

არავის უკითხავს,
რატომ მქონდა სველი თვალები.
ვერავის ვკითხე,
სად იყო ჩემი სათავე.

ახლაც ვერავის ვეკითხები.
ქარის იმედი მაქვს,
რომ მიმიყვანს კართან
და ღმერთი,
რომელიც მიწაზე დადის,
მის წინ იდგება,
როგორც თვალებგაფართოებული დედაჩემი,
და არ მისაყვედურებს,
მხოლოდ მეტყვის,
რომ ვიცოცხლებ.

მარი მესხი

სიკვდილის ფიბროზი

* * *

როცა თმის ღებვას თავს ანებებ,
ესე იგი, თავზე თეთრი, მსუბუქი ქულით
და მისი გაფანტული ღერებით
თანხმობას აცხადებ –
ღრუბლებს შეერიო.

* * *

ჩემს ტანზე
მამაჩემის ლურჯი პერანგი
მიწაში მწოლი მისი სხეულის
პარალელურად
ცვდება და ილევა.

* * *

ჩემი სიმძიმით წლებს ზემოდან ისე ვაწვები,
რომ ნელა-ნელა მიწაში ღრმად იტკეპნებიან,
ქვემოთ და ქვემოთ მიიწევენ,
უფრო ღრმად რომ დაიმარხონ თავი.
მხოლოდ რომელიმე დღე თუ მოახერხებს,
იმ მიწაში თავი ისე გადაინახოს,
რომ გაღვივდეს, გაღუნღულდეს
და ნელა-ნელა ამოიზარდოს.

* * *

გაქრობის ნიშნებს
ნელა-ნელა იძენს სხეული –
ჯერ სივარდისფერე ირევა ნაცრისფერში,
მერე ჩვენი ტანის მძაფრ სუნს მიწის მტკნარი

სუნი ერევა.
და რომელიღაც ჯერზე,
როცა სახელს დაგიძახებენ,
ვეღარ შეძლებ, რომ მიაწვდინო შენი პასუხი...

* * *

შეგიყნოსავთ მოხუცის გავლებული ჰაერი?
ყველა ერთნაირ სუნს რომ ტოვებს –
უფრო მიწისას რომ ჰგავს,
და ცოტათი ადამიანისასაც.

* * *

სასაფლაოზე კეფას მიწვავს
გამჭოლი მზერა –
რომელიღაც მიცვალებულმა
თვალი ცუდად გამომაყოლა.

* * *

ღამე დიდ ქალაქში,
სადაც სათითაოდ ქრება შუქი ყველა სახლში,
მერე – ცაზე ვარსკვლავები.
საბოლოოდ კი სრულ სიბნელესა და სიჩუმეში
წევხარ და
ვერ კვდები.

* * *

ეგ ხელიც, ისევე, როგორც მთელი შენი ტანი –
კვდება ნელ-ნელა.
და შენ კი, ვითომც არაფერი,
მაგ ნახევრად მკვდარი ხელით სვამ ჩაის,
მაგ ნახევრად მკვდარი ფეხებით დადიხარ,
მაგ ნახევრად მკვდარ თვალებს ახამხამებ,
მაგ ნახევრად მკვდარი ასოთი

ნახევრად მკვდარ ქალში შეგაქვს ცოცხალი სპერმა,
რათა სანამ მოკვდები,
ახალი წევრი ჩაწერო
სიკვდილის ჯარში მსახურებისთვის.

შეხება

* * *

ჩვენი სექსი ხანდახან ჰგავს
ბავშვების შეხვედრას,
ერთმანეთს რომ
უფრო და უფრო
საინტერესო სათამაშოებს აჩვენებენ.

* * *

ღალატი არყევს დაძველებულ სიყვარულს და
წლობით დაგროვილ მტვრის ბღუჯებს ფანტავს...
და ალაგ-ალაგ ჩნდება ვნების პრიალა,
მბზინვარე კანი.

* * *

ხანდახან ჩვენი სექსი სანოტო ფურცელს ჰგავს,
რომელზეც დაწერილია გენიალური მელოდია,
მაგრამ ის არ ისმის.

* * *

ხანდახან, როცა ერთად ვწევართ და
სიყვარულს ვეძლევით,
რომელიღაც ძველი სიტყვის
მემილიონე სინონიმს ვემსგავსებით –
თან ახალი ბგერებს ვაჟღერებთ და
თან ერთი და იგივე შინაარსისგან
გული გვერევა.

* * *

მზის სხივები ჟალუზებს შორის
ჩემს ტანს ისე ანაწევრებენ,

რომ განათებულ და ბნელ ნაწილებს
აღარ შეუძლიათ,
ერთმანეთს ჟრჟოლა მიაწვდინონ.

* * *

თვალებს რომ ვახელ,
შენიდან ვახელ,
ხოლო დახუჭვა
ჩემიდან ხდება.
თვალის წყვდიადის სტუმარი ხარ,
ათასი ბნელი საქმის იქ ჩამდენი.

* * *

შენი თითი ჩემს ტანზე ისე დაცოცავს,
როგორც გამნაღმველი – ველზე.
და ყოველ ბომბს, რომელსაც აღმოაჩენს,
გულმოდგინედ იმახსოვრებს,
რათა საჭირო დროს ააფეთქოს.

* * *

ჯერ ჩემი ჩრდილი გადმოგაწვა,
მერე ჩემი თმა შემოგესია სახეზე, მკერდზე.

* * *

შენი შეხება
ხანდახან
ქუჩაში უცხოს აკიდებას ჰგავს.

* * *

ხანდახან ჩვენი სექსი
უცნობი ადამიანების ხელის ჩამორთმევას ჰგავს,
რამდენიმე სიტყვას რომ გაცვლიან და
გაუცნობლად იშლებიან.

* * *

ხანდახან თითქოს კი არ მეფერები,
მკვებავ, მმკურნალობ...
ხანდახან კი ისე მეხები,
ასე მგონია,
საკუთარი ღერძი მეხრება.

* * *

შენი სიტყვები შუშის კაფსულებია.
შეიძლება, გასკდომისას
ერთნაირი წარმატებით აღმოჩნდეს
როგორც შხამი,
ასევე წამალი.

* * *

როცა მეხები,
სისხლძარღვები იმ მდინარეებივით მიდიდდებიან,
დაზეპირებულ კალაპოტებს რომ ლახავენ და
წყალდიდობით ემუქრებიან ძვლების ჯებირებს.

3. პროზა

გოჩა გვასალია

შეიხის შევარდნის იგავი

ვიე შეიხი ჰგიებდა იემენს, კაცი სვესვიანი და მორჭმით ტახტოსანი, წიგნთა მცოდნე და ქვეშევრდომთა მზრდელი, მოცნების მძებრთა მწყალობელი. ბედუინები თავის ვაჟთ მასთან აგზავნიდნენ აღსაზრდელად და სამსახურად. ღალიბი იყო სახელად სვემზიანი შეიხი. გული მისი ფრიად წარტაცებულიყო ნადირობით. ჰყავდა მას ნადირებით მონადირე საკვირველი შევარდენი. გაფრენილ ისარს ასწრებდა და რა ნადირ-ფრინველი გაასწრებდა? კაცთა შორის მოიწვართა შეიხის შევარდენი და ღირს-იჩინა მონადირებრივი კისკასობანი. რჯანი მისი დიდად სახელშეძენილ კაცთა შორის. სამკობლად მისა არნ მეყსეულობა და ფრთაელვარება. მისისა მონადირებრივი ბუღრობისაგან მონაბუქარი მთელ დუნიას გასწვდა, აზმად შეიდვა მგოსანთა დასში. შევარდენს შესჭვრეტდნენ მყურენი. გვამით ანდამი იყო, ხოლო ახოვნებით გავაზად გარდასახული მოყმე გეგონებოდა.

შეიხმა ღალიბმა მას სახელად რიჰუ ლ-ჰაკლი დაარქვა, რაიც მოარაბებრ ველის ქარს ნიშნავს. დიდი სახელი გაუვარდა შევარდენს არაბეთში. მოდიოდნენ მეფისწულნი არა მხოლოდ ჰიჯაზიდან, არამედ მაშრიყის შორეული სამეფოებიდან. დიდი ძღვენი შეაძლიეს შეიხ ღალიბს, რომ ეს შევარდენი მათთვის ეფეშქაშებინა. ზოგმა თოვლივით თეთრი არაბული რაშების რემა მოლალა, ზოგმა – დარჩეულ აქლემთა არვე, ზოგმა ომის ჟამს რუმიდან გამოტაცებული ტურფა ბანოვანნი აახლა შეიხს. დოსტად და ასაბიად ჰყავდა შეიხს რიჰუ ლ-ჰაკლი და განა მას რაშთა რემას ან ბანოვანთა მარაქას ანაცვალებდა?

შეიხის მეჯლისებანი ისე არ ჩაივლიდა, რომ რიჰუ ლ-ჰაკლი მისი ტახტის თავზე არ ყოფილიყო დურად მომჯდომელი. ღულამი ვითარც შეიხის თანამეინახეთ მიართმევდა ნუგბარს ლანგრით, ეგრეც შევარდენს ეზრუნვიდა. თავისი ხელისგულიდან აჭმევდა შეიხი ღალიბი რიჰუ ლ-ჰაკლის და მისი შემჭვრეტი ყრმასავით ხარობდა. განა ყუშხანაში ქორ-მიმინოთა შორის ამყოფებდა შეიხი პოხილ შევარდენს, არამედ თავის მოსასვენებელში ჰყავდა მუდამ. ოქროს ზანზალაკებს აბამდა ფეხზე, ძველებურ ბედუინურ სიმღერებს უღიღინებდა, უდაბნოდ მოყარიბეთა შორის ჯაჰილიიის დროიდან რომ შემორჩენილა.

ცნობისმჩენი იყო რიჰუ ლ-ჰაკლი და ბარაქით ტვიფრული არაბული ენის ბევრი სიტყვა ესმოდა. ვითარც კაცს, ისე ემუსაიფებოდა შეიხი თავის შევარდენს. დია ჰკვირობდნენ კაცნი ამას და რიჰუ ლ-ჰაკლის ალაჰისაგან ნაფეშქაშებ ფრთოსნად რაცხდნენ. აშუღებმა ცათა მტილოვანიდან წუთისოფლად მოდენილ ომის ანგელოზს მიადარეს იგი შევარდენი. შეიხმა სპარსეთიდან ფუნჯის ოსტატი მოიხმო, რათა მას ტილოზე გამოესახა ნადირობათა შინა შემრისხებარე რიჰუ ლ-ჰაკლის თაბიათი და გეზელ-ნებანი.

ვისაც არ ეპოვებოდა შევარდნით ნადირობის ლიღარი, მანაც კი, შეიხ ღალიბის მობაძულობით ყუშხანა გამართა, ქორ-შევარდენთა მსინჯველად ბაზიერნი მოიხმო და თავადაც ბაზიერობდა. ებაასებოდა, გეშავდა, უწრუწუნებდა, ცხენ-კაცს აჩვევდა, ველად გაჰყავდა და ბავლს აგდებინებდა. გარნა ვერვინ აღემატა ბაზთა და გავაზთა შორის რიჰუ ლ-ჰაკლის. ეს ერთი აღმართებულიყო გეზელქორთა და ყოვლთა გავაზთა გვარში. იგი ერთი ჩანდა ნიჭებით ესევითარ განპოხებული და სახელმორჭმით გებული კაცთა შორის. მან თავისი კისკასობით მოიმძევლა კაცთა გულები. მუტრიბნი

უძნობდნენ და აშუღნი ბეითებს თხზავდნენ მისთვის. მუღამათი იმღერებოდა მოედნებსა და სასახლეებში. იყო მუღნის, თარისა და ქამანჩის ხმობა, ქოსთა და ბობღანთა დგერანი რიჰუ ლ-ჰაკლის სამკობლად. ნივთთა მაარსის სიბრძნესა და მხელოვნებლობას უძნო მრავალმა მეჩანგემ, რა შექმნა მან ესოდენ უდრი, ყოვლითურ უკლი, უებროდ მაქცე, სასახავად მბორგალე გავაზი.

ერთხელაც ისურვა შეიხმა ღალიბმა ნადირ-ფრინველთა სახოცად გასვლა თავის შევარდენთან ერთად. ამალაც ახლდა შეიხს. ქვეშევრდომთაც თან წარიყვანეს თავისი გავაზნი. დუნია რომ დაიცაროს, არაბთა შორის მაინც დარჩება ქორ-შევარდენთადმი ტრფობა.

შეიხის ნანადირევი ყოველთა უმეტესი იყო. მაგროვნად ინადირა რიჰულ-ჰაკლიმ, თვალნი არისხნა გავაზებრ მხედავნი, მოიალაფა მრავალი ქედანი, კაკაბი და ხოხობი. დიდად ხარობდა და შეჰხაროდა შეიხი თავის შევარდენს, მაგრამ სოფელი რისი სოფელია თუ შვების ჟამს ფინთი არ გამოატყვრინოს. შეიხს თავისი ცხენის ფერხთაგან ხოხობი წამოუფრთხიალდა. შევარდენი მიადევნა მას შეიხმა. შორს გასულმა ხოხობმა გავეშებულ რიჰუ ლ-ჰაკლის მაღნარში შეასწრო. მისძახოდა შეიხი შევარდენს, რომ დაბრუნებულიყო. არ დაეხსნა მას გავაზი და მისდია. ხოხობმა თავის ბედზე რის ვაინაჩრობით ძეძვიანს შეაფარა თავი. გაწბილებული გავაზი იქვე ხეზე შემოჯდა და ყეფა მორთო. ტყიურ შევარდნებს ესმათ მისი ხმა და მოჯარდნენ. მსჯავრი გაუჩაღეს რიჰუ ლ-ჰაკლის უწვრთნელმა თანამოძმეებმა. რად ეყმობაო კაცს ჩვენი მოდგმის ფრთოსანი, რად მიუმხროო მას თავისი თაბიათი და გვარს თავს სჭრისო. ეს სათაკილო არისო ფრიად და თავით უნდა ზღოსო ამისთვის შეიხის შევარდენმა. ლალვითა და ქშენით დასაკორტნად ეღირებოდნენ რიჰუ

ლ-ჰაკლის ტყიური თანამოძმენი. შეიმზადებდნენ ბრჭყალთა და პირთ მის საკვდავად, მახვილებრ ლესული ფრთენი შემართეს, გაალმასებულ თვალთ ავად აკვესებდნენ. ჯერ ერთი გავაზისა რაა თვალთა კვესება და მთელი თემისა რა იქნებოდა. ფოთოლნიც კი დადრკნენ მათი მრისხველობით. შორს ისმოდა შევარდენთა თემობის ხმა და მათ სამსჯავროს რიცხვი ემატებოდა. კილვით იკლებდნენ შეიხის შევარდენს. ყოვლიართათვის სანუკავი აზატობის დამგდები და მონობის მეტრფე უწოდეს მას.

თემობის ხმა ერთ მიმხცილ შევარდენსაც მისწვდა. მას აღარც თვალნი უჭრიდა, ფრთენიც განხმელებოდა, გარნა თავის გვარში ჰაქიმის სახელი მოენაგრა. მდოვრედ მოფრინდა წელთა სიმრავლით დაზიდული შევარდენი. გზა უტიეს მას თანამოძმეებმა, შემაღლებული ალაგი მიუჩინეს. მჩუმარებამ დაისადგურა ავ ფრთოსანთა შორის და მეცნავ მოხუცს მიაპყრეს მნუსხველი თვალნი. დიდხანს ჭვრეტდა ჭარმაგი ჰაქიმი რიჰუ ლ-ჰაკლის მწყაზარებასა და სისრულეს. ტყიურ გავაზთა თემშიც ირჩეოდა შეიხის დოსტი და ასაბია თავისი ყავღითა და ჰამოდსახილველობით. თვალთაგან ცეცხლი სცვიოდა, ჭანგებს საომედ შეიმზადებდა, ფრთათ ზეაღმართვით მოიმშვილდავდა, პირს იმჭახებდა. ვაჟი იყო და ვაჟებრ ვაჟობდა. ყოვლნი ხედავდნენ, რომ იგი თავის მოყივნებასა და მოკვდინებას იოლად არავის დაანებებდა.

მაშინ წართქვა ბებერმან ბაზმან ყოველთა მიმართ სიტყვა დიდად გულთამყოფელი. ბევრეული კაცი ვერ იტყოდა იმას, რაიც ბაზთა ჰაქიმმა მოიუბნა. კაცთა ბევრეული ილოცვის, იმარხვის,სამღთო წიგნებს წინ დაიყრის და შიგ იხედება, ყადის თათბირს ეძებს ცათა მტილოვანის გულისათვის, მაგრამ სამზეოს მომყრალად განვვლის, ვერც მოცნებას შეეძინება, ვერც სიტყვას გამოიგებს.

ვითარც კირჩხიბსა მართლ სლვა არ ესწავლება და მწყერი ხეზე ჯდომით არ შემეცადინდება, ეგრეც მრავალნი კაცნი თავისი უსვეობისა და უვარდობის გამო უგებ-უცანნი რჩებიან. ამად არის,რომ წიგნთა კითხვით ვერა რა მოცნებას ვერ მოინაგრებენ. წიგნამდე უნდა ჰქონდეს კაცს სამოცნებო ნიჭი. მისი ხვედრი განაჩინებს ამას. ნივთთა მაარსისაგან ესრე ეგო ძველთაგანვე მუნ, სადაც არნ ქცევადობა მოხენეშე სოფლისა და ყროლანი მისნი. ჰე სოფელო, ღრუბელო ღნიოშობისაო, მრავალთა კაცთა დამნელებელო და რჩეულთა მოცნებად აღმმართებელო, გშვენიან ბოროტნი და ცნობას ამღვიძარებენ ფრიად, გარნა ვერ იტყვიან კაცნი ბოროტთა შესხმას! წინაშე ფერხთა რომ დაუყარო მათ ნიშნები, მაინც ვერას იუბნებენ. ხელთ ცისკენ აღაპყრობენ, ცთომილთ აშტერდებიან მსასოოვარი თვალით, რჯულის წიგნთაც იკითხვენ მადლში მისათვლელად და საცოდ, გარნა უგებნი რჩებიან. ოდენ მოცნებასა შინა გებულს ძალუძს ქრთილის ხმიადში თავთუხის პოვნა. იგი ძალიდვებს განეტევოს კაცთა უვარდობას და შთავარდეს სავარდოსა ვარდისასა.

ეჰა, არსთა მხადის სიბრძნით ბრძნობასა, ვითარც მან ველთა და მაღნართა წიაღ, ფრთოსანთა თემშიც განაჩინა გულთამყოფელი სიტყვის მთქმელი და მისი გამგონეც იქ დასახა. აღმოისიტყვა ჰაქიმად წოდებულმა უხუცესმა გავაზმა: «სიჭაბუკისა ჩემი მზე დაჰხდა. ბევრი მინახავს ჩვენს გვარში შემმართებელი და ანდამი, გარნა შეიხის დოსტი და ასაბია ყოველთა უმეტესია, ჩემმა მზემან. ძმანო, რა დანაშავარის გამო ერისხვით მას? ჰკითხავთ, რომ რად ეყმობიო კაცს და ამას ჩვენი მოდგმის სათაკილოდ რაცხთ. წარდევნეთ უგებ-უცანობა. ყოველთა გამჩენმა ჩვენს სამისხოს უხვად დაამადლა პირთა მახვილთამებრ, ფრთათა ისართამებრ და ჭანგთა

ჰოროლთამებრ ცემის ნიჭი, ხოლო ცნობით კი ვერაფერი შვილნი ვართ. ყოველთა სულდგმულთა შორის გვამთა ელვისებრ მიმოტანითა და ზარცემით გაგვაქვს თავი. ეს გულსიდგინეთ ძმანო, შევარდენთა თემს რომ ცნობაც იმდენი ჰქონოდა, რამდენიც მას ანდამი და ახოვანება მოეძევება, ყოველ სულდგმულზე აღმატებულნი ვიქნებოდით. ფრინველთა შორის ჩვენ ვართ ყოვლით მეფენი. არწივნი უფრორე დიდროანნი არიან და ამით ჩანან, თორემ ჩვენ ვერ მოგვედრებიან სიმალით. ქორ-მიმინონი და ყოვლნი გავაზნი ჩვენ გვედარებიან, მაგრამ მათთან დავაქრობაში ჯობნა ჩვენ გვრჩება. აგერ, თავდიდი ზარნაშო დასახულა სიბრძნის მენიშნედ კაცთა შორის. კაცთ უქანდაკებიათ ბუნი და მათი სახე სამკაულად გამოუხელავთ. ყორანიც ბრძნობასთან ნაზიარებია კაცთა გადმოცემაში. ასევეა გველიც. ყველა ისინი ჩვენი სიმალისა და გეზელ-ნებათაგან იშიშვიან.

ჩვენს სახელმორჭმულ ძმას ძნობის მაგიერ ბრიყვობას რად მიუპყრობთ? კაცია მისი შესხმით მოხსენალი, თქვენ კი ამუნათებთ მას, რად ემისეო შეიხს. რად ხართ მისი მქიქებარნი და ჰბორგით? რა საძებნიერი გიძებნიათ? რად არა ხართ შემტყვენი? აღეტყინებით შურითა და მის მოშთობას იზრახვით, მწყენელი ფიქრით თავის გამხელებელნო. რისად გულჯარბობთ შეიხის დოსტის მიმართ? ნუ აუგთმთქმელობთ, ნუ შეჰყივლებთ და აბასრებთ, სანამ არ შეიცნობთ. თუ გიყივლიათ და მერმე გიცვნიათ, მოინანებთ მწველად, ძმანო. რად არ არჩევთ, რა არს საძული და რა საყვარი?

ყველა გავაზთა შორის კაცმა შევარდენი უაღრესჰყო და გაამთავნა. იგი აღჩენილა კაცის გულის გასაწყოდ ძმანო და ამას ვერ ხედავთ? თვალს მოჰკრავს შევარდენს კაცი და ომი გაახსენდება. მეომრობას წამოაგონებს შევარდნის

ბუღრობის ჭვრეტა კაცს, საომე გზნებას შესდვებს და სისხლს აუჩქროლებს. სიბრძნეში მიწევნილებას ეგრე არ გამოეკიდება კაცი ძმანო, ვითარც მეომრობას. ამად არის, რომ იგი ეგზომ გვითნევს და გვეტრფის. კაციც გეზელია ძმანო, უფრთო, ორფეხა გეზელი. კაცთა შორის ვინც გეზელებრივი ზნენი აჩინა, სახელით შეიმოსა. კაცისგან გამოხელილი ყოველი ნივთი მისი გეზელობის დასტურია.

არ კმა არიან შევარდნისა მეყსეულობანი და მოყმეობანი სახელმორჭმისათვის, კაცის გვერდით თუ არ ჰგიეს იგი. ეს გულსიბეჭდეთ ძმანო. კაცი შეასახელებს და სათნოდ გამოაჩენს მას. დუნიამ შეიტყო ვითარც შეიხი და მისი შევარდენი მქცევლობენ. ვიჰ, კაცისა და შევარდნის ყონაღობასა! შეიხის ტახტზე მომჯდომელია შევარდენი, მის მკლავზე აღმართებულა. კაცთა შორის უმოლხინესად ჰგიეს შეიხის ფრთოვანი დოსტი. მეფის სუფრაზე ინახობს ჩვენი ძმა, ვითარც ჩინებული წვეული, მეფის ხელიდან იღებს ჭამადს. საანჯომანოდ ჩანს შეიხის დოსტის პატივმოსილება. ქვეშევრდომნი მის მაგრიად ნასარჯს ხოტბას შეასხამენ. ამას უწოდებთ თქვენ მონობას? ესაა სათაკილო ყმობა? ჩვენს მოდგმას მიუმზო ძმანო შეიხის შევარდენმა. იგია კაცთა შორის გავაზებრივი ახოვნების მამაგრობელი. მისით განზოგადდა შევარდენთა გვარის სახელი. რაც ჩვენ მეომრული ნიჭნი გვქონან, შეიხის დოსტმა კაცთა შორის დიდებად შედვა.

ენამან ჩიტთამან კაცისათვის განუცადის გზნობაც იცის და მსიტყველობაც. ვაგლახ, რომ ცნობანიჭებული კაცი არაა ჩიტთა ენის მეცნავი. ამიტომაც ძმანო, სხვას არას დაინახავს ჩვენსას კაცი, თვინიერ გავაზებრივი ზნისა და სიმალისა. კაცი მიწყივ იმას ლამობს, რომ მახე დაგვირწყოს, შეპყრობილნი თავის ყაიდაზე შეგვამეცადინოს, თავის ენას გვაზიაროს. დია ეთნება და

ეხარება კაცს ჩვენი სამისხო. მას ჩვენს ტყვექმნილ თანამოძმეთა წურთნა მეცნიერებად უქცევია და ამ საღვაწოს დიდი მოთმინებით შეჰყენებია. მოდრეკს იგი გავაზის შეუხდინარ ზნეს და კაცის სიახლოვეს, მის მკლავზე დაყუდებას ასწავლის. თავისიანთა შორის ყიფურად არონინებს მას მომწვრთნელი და მთელი გულით ხარობს. უმეტესს გავაზნი ოდენ ტყიურობის წაგვრით ვეზიარებით. თავისი ნაშიერის განსასწავლად ისე არ დაიკრებს კაცი თმენას, ვითარც ბაზთა მოსაწვრთნელად. ეს ინიშნეთ ძმანო. შვილი თუ არ გამოადგა კაცს სამოსწავლოში, მოაყივნებს და განაძობს მას. შევარდენს კი კაცი უდიდესი მოთმინებით წვრთნის. მისი ეიმედება, მის დოსტობას მოელოდება. საშემეცნებოდ რომ იჩენდეს კაცი ასეთ მოთმინებას, უფრორე ბრძენი და მიწევნილებაში მყოფი იქნებოდა. შევარდნის ჭვრეტა, მისი ყავღა ანიჭებს კაცს იმ მოთმინებას, რაიც მას ყველაზე ნაკლებად აქვს. შევარდნით არის კაცი მთმინარე აღმზრდელი და მაშვრალი მომწვრთნელი. საკვირველ არს ესე, ძმანო!

შევარდნის აღზრდაში სიბრძნისმოყვარე ხდება კაცი. ძმანო ჩემნო, ჩვენი უმეტესია კაცი ცნობით. იგი არაა ელვისებრ მიმომსვლელი და ქარივით მალი, გარნა ნივთთა სახელდება ძალუძს. მის ძეს ჩვენს ნაშიერთაგან განსხვავებით, მოწვრთნითა და სწავლებით შეეძინება ცოდნიერობა. კაცის უმეტესი არსებანიც არიან და ვითარც ტახტოსან კაცთან გებით შესახელდა მისი შევარდენი, ასევე კაცი შესახელდება მასზე უმეტეს არსებასთან მქცეველობით და უაღრესიქმნება.

ჰე ძმანო, რამდენია თქვენს შორის ისეთი, რომ შეიპყრო კაცმა და მოწვრთნა დაუწყო. ვერ შეეპოვნეთ იმას, რაიც მტაცებრივი დაუდგრომლობის მოთრგუნვას მოითხოვდა,

ვერ აღიჩინეთ სამოსწავლო თვინიერება. ნადირობის ჟამს გაექეცით კაცთ, რომელნიც დიდად დაშვრნენ თქვენს აღზრდაში და ისევ ტყეს დაუბრუნდით. შეიხის შევარდენი კაცისმიერი აღზრდილობით განითქვა. უხორცო არსებამ რომ კაცი მოსაწვრთნელად შეიპყროს, ხოლო კაცი გაექცეს მას, განა ამით ის თავისუფლებას მოინაგრებს? გამოქცეულს გამოქცევა თავისმა თანამოძმეებმა რომ შეუტყონ, განა ამას ჩაუქობად მიუთვლიან მას?

ჩვენი ცხოვრება სხვა რა არის, თუ არა სისხლში სვრემა, ქორებთან და ყვავ-ყორნებთან ლალვა. ველად დადგრომილი კაცი ჭვრეტს და ჰკვირობს ჩვენს ჭაბუკობას, არა რომელიმე ნადირი ან ფრინველი. რაც ჩვენთვის თავისუფლებაა, ის კაცისთვის ტყიურობაა, ხოლო რაც კაცისთვის თავისუფლებაა, ის მასზე უმეტესი უხორცოსათვის უგებ-უცანობაა. რაი არს თავისუფლება, გინა აზნაურება, დახსნილობა და განჯაჭვულობა?

ბევრეული კაცნი შენატვრიან ფრთოსანთა მიმოდენას და ხატოვნად იტყვიან კიდეც მავან თავისიანზე – ჩიტივით თავისუფალიაო. გავაზნი, ყვავ-ყორნები, მწყერ-კაკაბნი ერთნაირად თავისუფალნი არიან ტყედ და ველად გებით. ვითარც ჩვენი მამა-პაპანი იყვნენ თავისუფალნი, ასევე თავისუფალნი იქნებიან ჩვენი შთამომავალნი, გარნა ტყის ქათმიონისა და ტურა-მელების ლალვაში ვერვინ მოინაგრა ამ თავისუფლებით იმაზე მეტი ნიჭი, ვიდრე გვაქვს. ვერა რაით აღვემატებით ჩვენს მამა- პაპათ. ეს გულსიბეჭდეთ ძმანო და მიწყივ იფიქრეთ სიკვდილად მიხდამდე. ვკვდებით და ჩვენს ლეშთ მღილი ხრავს, ბუმბულს კი ქარი ფანტავს. მტვერს ერევა ჩვენი გავაზებრივი მოყმეობანი. კაცთა შორის გებული შეიხის შევარდენი ის აზნაურია, უაზნაურეს რომ იქმნა. მოკვდება შეიხის დოსტი და კაცივით დაიმარხება. დაეყუდება მის სამარესთან შეიხი

და გული ჯავრით შეემრუმება. ჩვენს ძვალთ ტურები მიმოფანტავენ, ბუმბულს კი პირში მიაყრის ქარი ნადირთ და არავინ იქნება ჩვენი მომხსომი. წააწყდება სადმე ამ ბუმბულს იმ კაკბისა და ხოხბის ნაშიერი, ჩვენ რომ მოსამშიერად ვეტევებოდით და ბუდის სარბილობლად წარიტანს. სულ თვალწინ ექნება მას გავაზთა ბუმბული და მაინც არასოდეს გავახსენდებით. თუ არსთა მხადს არ ენანება შევარდნებრივი სისრულის ესევითარი განქარვება, უნდა დავისკვნათ, რომ უმეტესი სისრულისა მან უწყის და მისი შემფლობელნიც სადღაც ჰგიან.

ის, რომ შევარდენნი ცათა შინა თავადობენ, არ ნიშნავს ჩვენი თავისუფლების ერთადერთობას. უღონონი და მცონარენი არიან ბევრეული კაცნი. მათ სიტყვა «თავისუფლება» ისე ჰგვემს, როგორც უდაბნოდ მარებ ხათრიან ყარიბს მას შეჩენილი იფრითი ან ღული. ის, რაც აღზრდით მოიპოვება, მის წინაშე ნადირ-ფრინველთა თავისუფლება გამოსაჩენი არაა. მრავალი კაცი აღბორგებულა თავისი ხვასტაგითა და დოვლათით, გარნა თავს დათეულ სიავეშიც ვერ შეუცვნია რაი არს თავისუფლება.

ამასაც გამცნობთ მოძმენო, შეიხის შევარდენი რომ გამოექცეს კაცთ და ტყე-ველს მოაშუროს, ამით შევარდენთა თემს რაიმე შეემატება თუ გამოქცეული დაკარგულ აზატობას დაიბრუნებს? მისი აქ მოსვლით ჩვენს სამისხოს არა შეეძინება რა. ქედი მოუხარეთ ჩემო ძმანო შეიხის დოსტს, ოქროთი ფეხმკობილს. დაე, დაუბრუნდეს იგი კაცთა თემს. იგი კვლავ იტყვის ჩვენს დიდებას. იფრინე სუნნელო გავაზთა გვარისაო და მოგვინაგრე სახელნი სასახელონი!».

ესე მოუმცნო შევარდენთა მხცოვანმა ჰაქიმმა თავის თემს და უხოტბა მოძმეთა წინაშე რიჰუ ლ-ჰაკლის.

დადუმებულნი იყვნენ მთელი ეს ხანი ტყიური შევარდნები. თავი დაიდრიკა მთელმა მათმა სამისხომ მოხუცი შევარდნის ბჭობიერობაზე. ისე სიბრძნისმოყვარე კაცის მსიტყველობას შეეძლოს უგებ-უცან მოყვასთა მოდრეკა და მათი ბრიყვობის განქარვება, ვითარც ფრთოსანი ჰაქიმის მოუბნარობამ მთელი მისი თემი მოდრიკა და სიბრძნეს შეასაკუთრა.

* * *

ჟამთა გამოხდომის შემდეგ მოკვდა რიჰუ ლ-ჰაკლი. დამარხა შევარდენი შეიხმა ღალიბმა და დარდით იყო შეპყრობილი დიდხანს. ყადი მოვიდა მასთან რიდით, წიგნი მოიყოლა. არ ეგებისო მეფეს ჩიტის გამო ესერიგად მწუხრეულობა. იწყინა შეიხმა, სიტყვა დაუწუნა ყადის და ესე მიუგო, რომ გულის ხვაშიადს წიგნნი ვერ დაუდებენო სამანს.

შეიხის ბადიშიც კი იყო ამ შევარდნის მომხსოვნელი. სახელი რიჰუ ლ-ჰაკლი სამკობელ და სახოტბო სიტყვად იქცა.

ერთი დერვიში იყო. მოიძულა მან რებაი და გებაი სოფლისაი. შეუწყინდა მის მზაკველობას, აღმოთქვა სიტყვა საუდიარო და განეშორა მას. ველთა და მაღნართა შორის დადგრომილიყო დერვიში. რინდობდა, თავის შიგანში მბუდარე სიკვდილს ჭვრეტდა, სიბრძნის მონაგრებისათვის თადარიგობდა. ჩიტთა ენის მეცნავი იყო იგი და მიემოწმა შევარდენთა თემის სამსჯავროს. მან მოიტანა ამბავი შეიხ ღალიბის სამეფოში. განიკვირვა ყოველმა კაცმა ფრთოსანთა ჰაქიმის უბნობა. ალაჰის

სიბრძნე განადიდეს და ბრიყვნი დიდად მოაყივნეს. მაშრიყმა შეიტყო ეს ამბავი. მერმე იგავად იქცა.

ეს იგავი ქართლში ფეხშემომცდარმა კონიელმა მოლამ მიამბო რამდენიმე წლის წინათ. ამ გაზაფხულზე ვნახე გავაზის ბოინი, მიმოტევება და თავადობა ცის საქცეველზე. მეც კალამს მივანდე რიჰუ ლ-ჰაკლის ამბავი.

ძველქართული და არაბულ-სპარსული სიტყვების განმარტება

-ა-

აზატობა (სპარს.) – თავისუფლება

აზმა – ქება

აზნაურება – თავისუფლება

ანდამი (არაბ.-სპარს) – ტანადობა

არსთა მხადი – ღმერთი

ასაბია – თანამებრძოლი

ახოვნება – სიმამაცე, სიმხნე, გულოვანება

-ბ-

ბაზი – შევარდენი

ბაზიერი – სანადირო ფრინველთა მოხელე

ბარაქა (არაბ.) – მადლი, კურთხევა

-გ-

გავაზი – შევარდენთა და სხვა სანადირო

ფრინველთა საერთო სახელი

განპოხებული – პატივმოსილი

განუცადი – თვალით დაუნახავი, უხილავი

განჯაჭვულობა – თავისუფლება

გებული – მყოფი, არსებული

გეზელი – მტაცებელი

გულჯარბობა – ბოროტის ზრახვა

-დ-

დურად – თვალისათვის საამოდ

დახსნილობა – თავისუფლება

-ე-

ემისე – დაუმეგობრდი (მისება – მისად გახდომა, შეამხანაგება)

-ვ-

ვერ შეეპოვნეთ – ვერ შეეთვისეთ,

ვერ შეეწყვეთ (შეპოვნება – შეთვისება)

-თ-

თაბიათი (არაბ.) – თანშობილი ზნე

თვინიერ – გარდა

-მ-

მომძევლება – დატყვევება

მოხსენალი – მხსენებელი

მქცეველობა – ურთიერთობა

მქცეველობენ – ურთიერთობენ

-ნ-

ნივთთა მაარსისაგან ესრე ეგო – ღმრთისაგან ასე გაჩნდა

-პ-

პოხილი – პატივდებული, გამორჩეული

-ს-

საანჯომანოდ – თვალსაჩინოდ, საქვეყნოდ

საცოდ – ცისთვის, სასუფეველში მისასვლელად

-უ-

უაღრესჰყო – გამოარჩია

უდრი – შეუდარებელი

უვარდობა – უბედობა, უსვეობა

უმოლხინესად – უფრო უკეთ

უძნო – შეამკო ,უხოტბა

-ღ-

ღნიოშობა – სიცუდე, სიავე

-ყ-

ყავღა (სპარს.) – შესახედაობა

ყუშხანა (სპარს.) – სანადირო ფრინველთა სამყოფი

-შ-

შემტყვე – გამგები, შემცნობი

შესხმა – ქება, ხოტბა

-ჯ-

ჯაჰილიია (არაბ.) – ისლამამდელი დრო არაბეთში

-ჰ-

ჰაქიმი (არაბ.) – ბრძენი

ლია ბაგრატიონი

ესტებანი და იზაბელა

(დებიუტი)

«იზაბელას ძილი ისე უყვარდა, რომ ერთ საღამოს, წვეულებიდან დაბრუნებულმა, გადაწყვიტა, დაეძინა და აღარ გაეღვიძა.» (გაგვიძნელდება თქმა, ნამდვილად ასე იყო თუ არა, მაგრამ იმ დილით, იზაბელას ეზოში შეკრებილი ხალხი მხოლოდ ამაზე ლაპარაკობდა).

წვეულებიდან შინ დაბრუნებულმა იზაბელამ დაიძახა:

– ხირონა!

ოთახში შუახნის ქალი შემოვიდა. ის უფრო მეტად იყო წელში მოხრილი, ვიდრე მის ასაკს შეეფერებოდა. ყველა ღილზე შეკრული მუქი წითელი კაბით და ქათქათა წინსაფრით მასში მოახლეს ამოიცნობდით. სახის უხეში ნაკვთები ერთგვარ მამაკაცურ იერს სძენდა და თითქოს ამ შთაბეჭდილების გასაძლიერებლად თვითონაც მოკლედ შეეკრიჭა ხშირი, ჭაღარაშერეული თმა.

«უფრო გვიან გელოდებოდი, რატომ დაბრუნდი ასე ადრე?»– უსაყვედურა ხირონამ.

იზაბელამ შეკითხვა უპასუხოდ დატოვა. ის დიდი ხნის წინ შეეგუა იმას, რომ ხირონა თავის შეკითხვებზე პასუხს არ ელოდებოდა. ამიტომ პირდაპირ, პაუზის გარეშე, განჯინიდან იმ ყუთის გადმოღება სთხოვა, რომელშიც ბებიის დანატოვარი მზითვის ღამის პერანგს და ლოგინის თეთრეულს ინახავდა. საერთოდ, ამ ყუთს მარტო მაშინ ხსნიდა, როცა ბებია ძალიან მოენატრებოდა ხოლმე.

(იზაბელას დედასავით უყვარდა ბებია. დედა კი არ უნახავს: საბრალო ქალმა მარტო იმის გაგება მოასწრო,

რომ ქვეყანას ქალიშვილი მოუვლინა, და სული განუტევა. იზაბელას სურათებიდან და ბებიის მონაყოლიდან შეუყვარდა დედა. ბავშვობაში თამაშისას, აუცილებლად მის სახელს დაირქმევდა ხოლმე და დღენიადაგ თან დაათრევდა დედამისის პატარა ხელჩანთით სუნამოს, ცხვირსახოცსა და პატარა სარკეს. იზაბელას მამა, ცოლის გარდაცვალებიდან ცოტა ხანში გაუჩინარდა და მას შემდეგ აღარავის აღარაფერი გაუგია მის შესახებ).

იმ საღამოს, ყუთი რომ გახსნეს და დროისგან გაყვითებული თეთრეული ამოალაგეს, იზაბელამ მოულოდნელად გამოაცხადა, რომ ამ თეთრეულში ჩაწოლა სურდა და მისი დაგება ბრძანა. მოახლეს უსიამოვნო განცდა დაეუფლა, დიდი ხნის წინანდელმა ამბავმა კინოსავით გაურბინა თვალწინ და ბრაზი ისე მოერია, რომ სახე ლამის თავისი კაბის ფერი გაუხდა.

«ის წყეული ღამე რომ არა, ახლა ამ თეთრეულის ხსენებაც აღარ იქნებოდაო» – გაიფიქრა ხირონამ და ისე, რომ იზაბელას მისი აღელვება არ შეეტყო, ოთახიდან სააბაზანოში სწრაფი ნაბიჯით გავიდა. იქ, ჩვეულებისამებრ, აბაზანა ცხელი წყლით აავსო და პირსახოცი და საბანაო ხალათი სკამზე გადაჰკიდა.

(იზაბელას იმდენ ხანს უყვარდა აბაზანაში წოლა, ვიდრე წყალი მთლად არ გაცივდებოდა. მერე გალურჯებული და აკანკალებული ამოდიოდა ხოლმე წყლიდან ზუსტად ისე, როგორც ბავშვობაში, როცა ბებიას ტბაზე დაჰყავდა, სადაც თანატოლებთან ერთად ღრმა წყალში თავდავიწყებით სწავლობდა ყვინთვას).

სანამ ხირონა საქმით იყო დაკავებული, იზაბელამ ჯერ ღამის პერანგი დაათვალიერა, მერე ბეჭდები, სამაჯური, საყურეები და ყელსაბამი მოიხსნა და მაგიდაზე, პატარა

სარკის წინ, ფაიფურის ლანგარზე დააწყო. გრძელი წაბლისფერი თმის პარიკი თავიდან ფრთხილად მოიძრო და საგანგებო მანეკენს ჩამოაცვა.

(მანეკენი პარიკისთვის ფაიფურის ოსტატს გააკეთებინა. იზაბელას მოთხოვნით, ოსტატმა მანეკენს ხირონას სახე მისცა. ქალი ორჯერ თუ სამჯერ დაიბარა სახელოსნოში სახიდან თაბაშირის ნიღბის ასაღებად. მანეკენის სახე ისე ჰგავდა ორიგინალს, რომ როცა ხირონა მას უყურებდა ეგონა, სარკეში ვიხედებიო. ეს ხირონას მსგავსი მანეკენი იზაბელას ახირება იყო: ვიდრე იზაბელას თავზე პარიკი ეკეთა, ხირონას ფაიფურის თავი ქაჩალი იდგა და პირიქით, როცა იზაბელა პარიკს მოიხსნიდა ხოლმე, ხირონას თოჯინა თმით შეიმოსებოდა. (ჩვენთვის დღესაც გამოუცნობია, რატომ უყვარდა ასეთი გართობა).

ხირონა თვალს ადევნებდა, როგორ იხდიდა ტანსაცმელს იზაბელა, როგორ მიემართებოდა სააბაზანო ოთახისკენ შიშველი. ერთხანს გარინდებული იდგა, მერე კი ჩუმად ჩაილაპარაკა:

«ისევ ისეთი მშვენიერია ჩემი ქალბატონი. ის წყეული ღამე რომ არა, ჩანჩქერივით თმა არ დასცვივდებოდა».

ბოლოს გამოერკვა და მანეკენზე ჩამოცმულ პარიკს სავარცხელი დაუსვა. იზაბელას პარიკს ყოველთვის განსაკუთრებული სინაზით და გატაცებით ვარცხნიდა. ეს ხანგრძლივი და მონოტონური საქმე ბავშვობის მოგონებებს უღვიძებდა.

როცა პარიკი უკვე მოწესრიგებული იყო, მოახლემ კარადიდან ძილის მომგვრელი ნელსაცხებლები გადმოიღო და ტრიუმოზე დააწყო პატარა შუშის ქილების ჯარი.

(იზაბელა არასოდეს ყიდულობდა გამზადებულ ნელსაცხებლებს – თვითონ დადიოდა ტყეში და საჭირო სოკოებს აგროვებდა, მერე კარგად გარეცხავდა და მზეზე, ტილოს ქვეშ ახმობდა. რომ გეკითხათ, ვერ გიპასუხებდათ, რანაირად ცნობდა და არჩევდა მათ. მისმა საძილე მალამოებმა ისე გაითქვა სახელი, რომ ერთხელ აფთიაქის მეპატრონესაც კი შეუთავაზებია, ჩვენს პრეისკურანტში შევიტანო, მაგრამ იზაბელას უარი უთქვამს. ძილთან დაკავშირებულ საქმეში ფულს ვერაფრით ავიღებო).

თავზე პირსახოცმოხვეული იზაბელა სააბაზანოდან გამოვიდა და, როგორც ყოველთვის, ტრიუმოს წინ, საბანაო ხალათში ჩათბუნებული რბილ სავარძელში ჩაჯდა.

«ალბათ ჩემს გოგოს თავი ეყინება და პირსახოცს ამიტომ იხვევსო» – ფიქრობდა ასეთ დროს ხირონა. ამასობაში სავარძელში ჩამჯდარი იზაბელა კი თვალებს ხუჭავდა და ფიქრებში ისეთი განცდით იძირებოდა, თითქოს წყლის ფსკერზე ეშვებოდა დაკარგული იმედების საძებნელად და იმ წყეულ ღამესთან მიახლოებას ცდილობდა.

(ოცდაათი წელი გავიდა იმ ღამის მერე. ოცდაათი წლის წინ, ერთ წუთში შეიცვალა ახალგაზრდა ქალის ცხოვრება. მუდმივი სევდისთვის განწირული გოგონა ვერ გაერკვა, თუ რატომ დასცინა ბედმა ასე სასტიკად და ისღა ანუგეშებდა, რომ სიზმარში ყოველთვის სპილენძისფერთმიანი ახალგაზრდა იზაბელა სხვა ცხოვრებით ეცხადებოდა).

თვალდახუჭული იზაბელა იმაზე დიდხანს იჯდა ხოლმე სავარძელში, ვიდრე ყინულივით ცივი წყლიდან ამოსვლის მერე გათბობას სჭირდებოდა. მოახლეს ეგონა, ქალბატონი მოდუნდა და თვლემსო. ახლაც ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ყოველთვის. იზაბელამ კარგა ხნის მერე გაახილა თვალი, თავიდან პირსახოცი მოიხსნა, გაიხადა საბანაო

ხალათი და ხირონას დახმარებით ძილისმომგვრელ სურნელოვან ნელსაცხებლების შეზელვას შეუდგა. მოახლეს არ გამოჰპარვია, რომ ამ საღამოს ნელსაცხებლებს ჩვეულებრივზე მძაფრი სურნელი ასდიოდა. შეზელვის შემდეგ აპრიალებულ სხეულზე ღამის პერანგი ჩაიცვა და ერთხანს დიდი სარკის წინ გაჩერდა. რაგინდ უცნაურადაც არ უნდა ჩანდეს, მას სარკიდან ოცდაათი წლით გაახალგაზრდავებული იზაბელა უცქერდა და უწინდებურად სპილენძისფერი თმა მხრებს ეფინებოდა. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი ხილვა მანამდე არასოდეს ჰქონია, მაინც ყოველგვარი გაოგნების გარეშე მოაშორა მზერა სარკეს, ლოგინში ჩაწვა, მოახლეს დარაბები დაახურინა, მადლობა უთხრა, ტკბილი ძილი უსურვა და ოთახიდან გასვლისას შუქის ჩაქრობა სთხოვა.

ოთახიდან გამოსული მოახლე ძალიან დააფიქრა ერთმა გარემოებამ. როცა ქალბატონი სარკის წინ იდგა, ხირონამ მისკენ თვალი გააპარა და სარკეში ხანში შესული ქალის ნაცვლად ახალგაზრდა სპილენძისფერთმიან იზაბელას მოჰკრა თვალი. ეს ამბავი ძალიან უცნაურად მოეჩვენა, მაგრამ ჩათვალა, დაღლილობისგან მოეჩვენა და დასაძინებლად გასწია.

ძილი მაინც არ ეკარებოდა. იმასაც კი ფიქრობდა, იქნებ ჩემთან მოსასვლელი ძილი იზაბელამ თავისთან მიიხმოო. აბა, მასზე უკეთ ვინ იცოდა იზაბელას და ძილის სიყვარულის ამბავი. ამ სიყვარულზე ლეგენდებს ჰყვებოდნენ. ამბობდნენ, იმიტომაც არ გათხოვდა, რომ არ უნდოდა, ძილისთვის ეღალატაო. იმასაც ამბობდნენ, როცა ძილში საქმროები ეცხადებიან, იმ ღამეს ძილი ეჭვიანობს და ფრთხებაო. ისიც კი თქვეს, ერთხელ ძილს ისე უეჭვიანია, რომ სამი თვე უძილოდ დატოვაო. იზაბელას წესად ჰქონდა გარიჟრაჟზე გამოღვიძება და მერე ისევ

ძილის შებრუნება. ერთი ააფრიალებდა საბანს და მყისვე იძინებდა კვლავ. გაუწაფავი თვალი ძნელად თუ შენიშნავდა, რომ იზაბელა ერთი ძილის განმავლობაში ორჯერ იძინებდა.

ძილის მოლოდინში მოახლემ ის დრო გაიხსენა, როდესაც თოთხმეტი წლისა ხელში პატარა ჩანთით შორეული მხარიდან მოვიდა ამ სოფელში და პირდაპირ სასახლეს მიაშურა. რატომღაც იზაბელას სახლს სასახლეს ეძახდნენ. შეიძლება იმიტომ, რომ სოფლის განაპირას მდებარე ბორცვზე იდგა და მთელ მიდამოს ამაყად გადმოჰყურებდა. და ალბათ იმიტომაც, რომ სახლის სახურავს პატარა კოშკურა ამშვენებდა ზედ წამომჯდარი რკინის მამლით.

პატარა ხირონა სახლის დატოვების წინ ბიჭურად შეკრეჭილა. ჩანთით თავისი მოჭრილი, გრძელი, ლამაზი, წაბლისფერი თმა, დიდი თავშალი და თავისი ეზოს ყაყაჩოს თესლი წამოუღია. გაიხსენა, როგორ იდგა წინკარში და ელოდებოდა სახლის პატრონის გამოჩენას. როგორ აუჩქარდა გული ნაბიჯების ხმაზე. როცა ახალგაზრდა, მასზე რამდენიმე წლით უფროსი იზაბელა დაინახა, გაუხარდა, მაგრამ აღზნებისაგან სულ მთლად დაიმორცხვა. მის წინ მომღიმარი სახით, გრძელი, სპილენძისფერი ხვეული თმით, საშუალოზე მაღალი, სრული აღნაგობის ქალი იდგა. ლამაზი არ ეთქმოდა, მაგრამ ეშხი საკმარისზე მეტი ჰქონდა. გაახსენდა, როგორ სთხოვა ახალგაზრდა ქალბატონს, მოახლედ ამიყვანეო და ისიც დაამატა: მე ხირონა მქვია, მაგრამ თუ გინდა, სახელი შემიცვალეო, და კიდევ, როგორ ჩაიხუტა პატარა გოგო იზაბელამ და უთხრა:

— ხირონა? არასოდეს გამიგია ასეთი სახელი, მაგრამ მომწონს და ალბათ ამ სახელით უფრო გამომადგები.

დილაობით ახლადგაღვიძებული იზაბელა ერთსა და იმავე დროს ზარს აწკარუნებდა. ამის შემდეგ ხირონა მასთან ყაყაჩოების თაიგულით შედიოდა და იზაბელას სიზმრების მოსასმენად ჯდებოდა. ყვავილები ქალბატონის და ძილის სიყვარულის ნიშნად შეჰქონდა და იქვე, თავთან უდგამდა. მოახლეს თურმე განსაკუთრებით ქალბატონის ძილში შესვლის ამბის მოსმენა უყვარდა. ამ დროს რატომღაც ბავშვობა ახსენდებოდა, როცა ძლიერ სიცხეში ცივ მდინარეში შედიოდა საბანაოდ. დაკვირვებული მკითხველი მიხვდება, რომ ხირონა ამას ქალბატონთან ჯდომისას ორჯერ განიცდიდა ხოლმე.

მაგრამ იმ დილას, რომლის შესახებაც მოგითხრობთ, მოახლე უჩვეულო შფოთვამ შეიპყრო, რადგან ჩვეულ დროს ზარის ხმა ვერ გაიგონა. ცოტა მოიცადა და მერე იზაბელას საძინებლისკენ წავიდა. კარი რომ შეაღო, ოთახი გარედან შეღწეული სინათლის სხივით ოდნავ განათდა. მოეჩვენა, რომ იზაბელას ძალიან მშვიდად ეძინა და სახეზე ღიმილი დასტრიალებდა. თითქოს ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ გამძაფრებული წინათგრძნობის გამო, სიმშვიდე მაინც ვერ დაიბრუნა. გული რაღაც უცნაურს უგრძნობდა. გაახსენდა, რომ წუხანდელ ნელსაცხებლებს ჩვეულებრივზე მძაფრი სურნელი ასდიოდა. სამაგიეროდ, არ გახსენებია, რომ წუხელ სარკეში ახალგაზრდა იზაბელას მოჰკრა თვალი. აფორიაქებულმა ვერც ის შენიშნა, რომ ბუმბულის უშველებელ ბალიშზე მძინარე იზაბელა კვლავინდებურად ახალგაზრდა და სპილენძისფერთმიანი იყო.

ხირონა ერთხანს კიდევ დაელოდა იზაბელას გაღვიძებას და მერე სასწრაფო დახმარებას გამოუძახა და, ყოველი შემთხვევისთვის, პოლიციაშიც დარეკა.

ახალი ამბავი ელვის სისწრაფით გავრცელდა, შუადღისთვის უკვე ყველამ იცოდა, რომ იზაბელამ დაიძინა და აღარ გაიღვიძა. ამბობდნენ, რომ ღრმა ძილში თავისი ახალგაზრდობის საძებნელად ხანგრძლივ და სახიფათო მოგზაურობაში წავიდა და იპოვა კიდეც, რადგან იზაბელას თმის ამოსვლაც სწორედ ამას მოწმობსო. ყველაზე ხშირად კი იმას გაიგონებდით, რომ იზაბელასა და ძილის სასიყვარულო ამბავი სწორედ ასე უნდა დასრულებულიყო, რომ ამაში მოულოდნელი არაფერი იყო და რომ ერთ დღესაც ის უეჭველად დაიძინებდა და აღარ გაიღვიძებდაო.

იზაბელას სახლის აივნიდან მთელი სოფელი ხელისგულივით მოჩანდა. ამ აივანს, სხვებისგან განსხვავებით, უფრო გემის ქიმს მიამსგავსებდით. დილაობით აივანზე გადმომდგარი იზაბელას დანახვაზე მეზობლები თავს ვალდებულად თვლიდნენ, მასთან მისულიყვნენ და განვლილი ღამის ამბავი გამოეკითხათ: ხომ მშვიდობით გეძინაო? ამაზე იზაბელას ერთი პასუხი ჰქონდა გამზადებული: აბა, რა საკითხავია, განა არ გაგიგიათ ჩემი და ძილის სიყვარულის შესახებო?! ერთი და იმავე შეკითხვით გაბეზრებული იზაბელა გულის სიღრმეში მაინც მადლობელი იყო მეზობლების ყურადღებით და ყველა მოსულს აუცილებლად ბავშვებისთვის შაქარყინულს გაატანდა ხოლმე.

დღის ორი საათისთვის მთელი სოფელი სასახლისკენ დაიძრა. მსვლელობას სოფლის თავი ბატონი ბარნაბა კ. მიუძღოდა ამალითურთ. გადამდგარი პოლკოვნიკი ფელიპე ლ. და ექიმი ამბროსი პ. მეუღლეებით მოწიწებით მიჰყვებოდნენ უკან.

იზაბელას ეზო ნელ-ნელა ივსებოდა ხალხით, ისე, როგორც თეატრი ივსება ხოლმე მაყურებლებით წარმოდგენის დაწყების წინ. სახლში მხოლოდ სოფლის თავი და ექიმი შევიდნენ. პოლკოვნიკმა გარეთ დარჩენა ამჯობინა. ჩათვალა, რომ საქმის ვითარებაში გარკვევას აქ უფრო გამოადგებოდა. იგი გამუდმებით წყალს ითხოვდა და გუშინდელ წვეულებას იხსენებდა:

— ახლაც თვალწინ მიდგას, რა ლამაზად იცეკვა. მარტო ცეკვავდა, მაგრამ ყველას ისეთი შთაბეჭდილება დაგვრჩა, თითქოს მეწყვილე ჰყავდა.

მართალია, პოლკოვნიკი შეუჩერებლივ, ერთსა და იმავეს იმეორებდა, მაგრამ ხალხზე სწორედაც რომ ამან იმოქმედა ძალიან. იმდენად, რომ პოლიციამ მისი მონაყოლი დაკითხვის ოქმშიაც კი შეიტანა.

ცოტა ხანში სოფლის თავი და ექიმი, ორ პოლიციელთან და სასწრაფო დახმარების ბრიგადასთან ერთად ეზოში გამოვიდა. სანიტრები და პოლიციელები თავიანთ სამსახურს დაუბრუნდნენ, ხოლო ბატონი ბარნაბა და ექიმი ხალხს შეერივნენ. ეზოში შეკრებილებს ჯერაც ვერ გაეგოთ, სინამდვილეში რა მოხდა. სასწრაფოს ექიმი ერთმნიშვნელოვნად ადასტურებდა გარდაცვალების ფაქტს, მაგრამ ხალხი დიდად არ ენდობოდა მას. ამბობდნენ, რამდენიც გინდა, იმდენი შემთხვევა ვიცით, ექიმების დადასტურებული გარდაცვალება ბოლოს და ბოლოს ღრმა ძილი აღმოჩენილაო.

ხირონამ თეთრი წინსაფარი მოიხსნა და აივანზე წითელ კაბაში, წელში გამართული გადმოდგა, ზუსტად ისე, როგორც ამას იზაბელა აკეთებდა ხოლმე. თავზე თავისი წაბლისფერი თმისგან გაკეთებული პარიკი დაიხურა — ის, რომელიც სულ ახლახან მის ქალბატონს ეკუთვნოდა — და

მისალმების ნიშნად აივნიდან იმდენი ყაყაჩო გადმოყარა, რომ სახლის წინ შავ-წითელი ხალიჩა გაიშალა. ცოტა ხანში ყველამ გაიზიარა ის აზრი, რომ მდგომარეობა ძალზე სერიოზული იყო. დამსწრე საზოგადოება იმაზე შეთანხმდა, რომ იმ საღამოს, როცა იზაბელა წვეულებიდან დაბრუნდა, გადაწყვიტა, დაეძინა და აღარ გაეღვიძა. ამიტომაც, ადგილზე საგანგებოდ შექმნილმა კომისიამ იმსჯელა და სიფრთხილე გამოიჩინა: დაადგინა, რომ იზაბელა ერთხანს არ დაესაფლავებინათ, იქნებ გაღვიძება მოინდომოსო.

მხოლოდ მოშორებით მდგომი ბატონი ესტებანი ეთანხმებოდა სასწრაფო დახმარების ექიმის დასკვნას და ამბობდა, რომ მან ზუსტად იცის: მშვენიერი იზაბელა ნამდვილად გარდაიცვალა. თუმცა, საყოველთაო მღელვარებაში მისი სიტყვები აღარავის გაუგონია.

მეორე დილით სოფელმა კიდევ ერთი ამბავი გაიგო: გამთენიისას, ბატონი ესტებანი გულის შეტევით საავაადმყოფოში მიუყვანიათ, სადაც, სამწუხაროდ, მალევე გარდაცვლილა. ბატონი ესტებანის მეუღლე კი, მათი ოცდაათწლიანი ბედნიერი ქორწინების მოულოდნელად დასრულებას ტიროდაო.

გვანცა დოლუაშვილი

დავუშვათ, ჰქვია იესო

(დებიუტი)

მამაჩემი ისევ სვამს. გამორთული ტელევიზორის წინ ზის, ჩამქრალ ეკრანს უყურებს და რაღაცას ბუტბუტებს. სახეზე მიწისფერი ადევს, თითქოს სუნთქვა კარგა ხნის წინ შეეწყვიტოს. ჩაყვითლებული თვალები ისე უბრჭყვიალებს, დაბერილი ლოყებიდან მზეებივით უჩანს. მხოლოდ ამით ვხვდები, რომ ჯერ არსად წასულა. სიცივისგან გალურჯებულ ხელებს ისრესს. ვიცი, ცუდად არის, მაგრამ მე რა შემიძლია? – ვერც მის დასალევს დავლევ და ვერც მის მაგივრად ვიტყვი არაყზე უარს. ერთადერთი, რასაც ვახერხებ, ახლა აქ სირივით ჯდომა და იმის ლოდინია, როდის ჩაყვინთავს. ისე უძალოდ გამოიყურება, მეშინია, სიგარეტი არ დააგდოს და ცეცხლი არ გააჩინოს. ყველაფერს დედა არ მოუტყნას.

– მამი, – მეძახის. ალბათ თავისთვის ბურტყუნი მობეზრდა. წამოდგომაც სცადა, მაგრამ თავს ვერ მოერია.

– კარგი ახლა, თავიდან არ დაიწყო, – ვეუბნები და ისეთ სახეს ვიღებ, თითქოს მძინავს. არ ჭრის. ეს სულ ცალ ფეხზე ჰკიდია. – არა, უნდა ვილაპარაკო, ლაპარაკში გამოვდივარ, – მპასუხობს და სანთებელას ანთებას ცდილობს. არ გამოსდის. ხელიდან უვარდება. – მამი, მომიკიდე რა, – ისეთი ხმით მეუბნება, გეგონება, ბებიამისი ვარ და ზღაპრის მოყოლას მთხოვს. ვუყურებ და ბრაზი მახრჩობს – კაცი, რომელიც ამქვეყნად ყველაზე მეტად მიყვარს, საკუთარ საცოდაობას თვალებში რომ მთხრის. მინდა ძირს დაგდებული სანთებელა, მის თვალწინ, ქუსლით დავჭეჭყო, მერე კი პირში მივახალო, – იცოდე, წავალ, დაგტოვებ და შეგიძულებ. და მერე, იცი, რა მოხდება? ძაღლივით

მოკვდები, უპატრონოდ, – მაგრამ ჩემი ფეხები, ხმას ვერ ვიღებ. სიგარეტს პირში ვუდებ და ცეცხლს ვუკიდებ.

– ბოდიში, მამი, რომ გაწუხებ, – იმ ხალხივით იქცევა, ტრაკი რომ არ აქვთ, ბოდიში ზუსტად იმისთვის მოიხადონ, რასაც აშავებენ. კიდევ უფრო ვმწარდები და საკუთარ თავზე გული მომდის, ამდენს რომ ვუთმენ, მაგრამ სხვა რა შემიძლია? – ვერავის მიატოვებ, სანამ მარტოობის გეშინია.

– მე და დედაშენმა მთელ უბანში ყველაზე მაგარი ოჯახი შევქმენით, – ჯერ ახლახან მოყოლილ ამბავს იხსენებს ისევ. ერთი და იგივე ისტორიის ზედიზედ ცხრაჯერ მოსმენა ნამეტანია. ამიტომ ცალ ყურსასმენს ვიკეთებ და ტელეფონში ისეთი სიმღერის პოვნას ვცდილობ, ამ საზიზღრობას რომ ამატანინებს. Reach out and touch faith Your own personal Jesus... – ეგაა, ვრთავ.

– მამაჩემი კიდევ ჭერს მიშტერებული ზის და თავისთვის ლაპარაკს აგრძელებს, – «სწავლა მეკიდა»... «უპატრონოდ ვიზრდებოდი»... «კაცის მოკვლაც შემეძლო... «შემიყვარდა»... «პატიოსანი ოჯახი შევქმენი»... «შენ ჩემი სისხლი და ხორცი ხარ»... «დედაშენი ჩემი იმედი იყო» – დროდადრო მაინც ვაყურადებ – თავის საფირმო ამბავს ჰყვება.

* * *

ერთ კვირაში დაბადების დღე მქონდა. 12 წლის ვხდებოდი. დაბადების დღის საჩუქრად, დედაჩემმა ჩემი ზღვაზე წაყვანა აიხირა. მანამდე არასოდეს ვყოფილვართ.

– მივყიდოთ იმ კაცს ეს შავ-თეთრი ტელევიზორი, – უთხრა სამსახურიდან დაბრუნებულ მამაჩემს და წვნიანით სავსე ჯამი წინ დაუდგა.

– მაცადე, სული მოვითქვა, – უხალისოდ უპასუხა მამაჩემმა და გამხმარი პური წვნიანში ჩასალბობად ჩაფშვნა.

– მთელი თვეა, მაგას გაიძახი და გავიდა დრო. მთელი ზაფხული ბავშვი ქალაქში ამოიხუთა, – შეუტია დედაჩემმა.

მეზიზღებოდა, ამათი კინკლაობის მიზეზი რომ ვხდებოდი. ამათ დაჭმა-დაყლაპვის ყურებად ზღვაზე წასვლა ნაღდად არ მიღირდა, მაგრამ ხმას რა ამომაღებინებდა. მთელი დღეები დედაჩემი იმას გაიძახოდა, რაც გავთხოვდი, დასასვენებლად წასვლა არ მეღირსაო. პრინციპში, ეგრე იყო და მეცოდებოდა კიდეც. თან მეშინოდა, რამე ისეთი არ მეთქვა, უმადურს რომ გამომაჩენდა.

– თავს შეაზიზღებ კაცს, – მამაჩემმა პურით გაძეძგილი ჯამი გვერდზე გადგა და სიგარეტს მოუკიდა.

– მიზეზებზე ხარ, გეტყობა და ჩხუბი გინდა, – ამოილუღლუღა დედაჩემმა. ეტირებოდა.

მამაჩემმა შარვლის უკანა ჯიბიდან გაქუცული საფულე ამოიღო და მაგიდაზე დააგდო. – აჰა, გაყიდე ის ტელევიზორიც და წადით. ისე გამოგყავს, გეგონება, მაქვს და მენანება.

დედაჩემს იმ საფულისთვის ხელი არ დაუდია. მხოლოდ ერთი თვის შემდეგ, და ისიც მორიგი აყალმაყალის დროს, გავიგე, რომ ტელევიზორთან ერთად, საკუთარი ვერცხლის საყურეები დაუთმია.

ქობულეთში სამი დღე ვიყავით. ჩემს დაბადების დღეზე მე და დედამ ნაყინები ვიყიდეთ და ვიღაც ფოტოგრაფის რჩევით, ზღვის წინ გაკრეჭილი სახეებით დავდექით. ეგ ფოტო დღესაც მისაღებ ოთახში გვიკიდია.

სახლში დაბრუნებულებს მამა მთვრალი დაგვხვდა. თვალები გაუბრწყინდა, რომ დაგვინახა. გიჟივით წამოვარდა სავარძლიდან და ხელში ამიტაცა. იმდენი მკოცნა, ლოყები ამიწითლდა.

– უხ, თქვენ გენაცვალეთ, – გაიძახოდა და მუშტით ცრემლებს იწმენდდა.

– რა, ვერ აიტანე, როგორღაც დასასვენებლად რომ წავედი? – ეგრევე შეტევაზე გადავიდა დედაჩემი. ისე, მაგ კითხვაზე პასუხი მეც მაინტერესებდა, რადგან მთვრალი მამაჩემი მანამდე არ მენახა. მხოლოდ ის ვიცოდი, და ისიც დედაჩემისგან, რომ მანამ მოიტაცებდა, სულ კაიფში იყო. – მე რომ არა, აქამდე გაუბედურებულის ერთი იქნებოდა, – თითქმის ყოველი ჩხუბის მერე იმეორებდა ხოლმე დედაჩემი. დატაკების მიზეზი კიდევ სულ ჰქონდათ. რატომ არ შორდები-მეთქი, ერთხელ შევეკითხე და მიპასუხა, მაგის სიკვდილი რომ მინდოდეს, პირდაპირ მოვკლავდიო. ისეთი დედამოტყნული პასუხი გამცა, ეგ თემა სამუდამოდ დავხურე.

მოკლედ, არ ვიცი ჩაკაიფებული მამაჩემი როგორ გამოიყურებოდა, მაგრამ მთვრალი კარგი სანახავი ნაღდად არ იყო – გაოფლილს და წვერმოშვებულს პირიდან არყის სუნი ამოსდიოდა.

– ხვალიდან აღარ დავლევ, თქვენ შემოგევლეთ, – აცეტებული ბავშვის ხმით უპასუხა დედაჩემს და, – ჩემი ოქროები ჩამოვიდნენო, ჩაილაპარაკა თავისთვის.

პირობა არ შეუსრულებია. იქამდე სვა, სანამ გულმა ბაგაბუგი არ დაუწყო. ორი კვირის მერე კი, მის თავზე დაკიდული წვეთოვანი რომ ჩამოიცალა, დამიძახა და მითხრა: – მამი, ამას დედაშენს ვერ ვეტყვი, – უსიამოვნო

ჟრუანტელმა დამიარა. დედაჩემისთვის არაფრის დამალვა არ მინდოდა და ვბრაზობდი, ამას რომ მთხოვდა. თუმცა ისე მიყვარდა, უარს ვერ ვეტყოდი. ამიტომ მივუახლოვდი და, – შეგიძლია დაიწყო-მეთქი, – თვალებით ვანიშნე. – მარტოს ნუ დამტოვებთ, – მითხრა და სახე სატირლად გამზადებული ბავშვივით დაემანჭა.

ვერაფერი გავიგე, ისედაც არავინ აპირებდა მის მიტოვებას. ამიტომ, კარგი-მეთქი, ვუთხარი და რაღაცნაირად გამიხარდა – უმნიშვნელო საიდუმლოს შენახვა შედარებით მარტივია.

ამ თემას თვითონ აღარასოდეს დაბრუნებია. იმ დღიდან მალევე, დედამ მუშაობა დაიწყო და ზღვაზე წასასვლელი ფულიც გაჩნდა. მამა ჩვენთან ერთად არასოდეს წამოსულა. სამსახურს ვერ გავაცდენო, ამბობდა. არადა, მაინც აცდენდა. მივდიოდით თუ არა, დალევას იწყებდა. მერე კიდევ იდგა და გალეშილი თავისი ბავშვობის ამბებს ჰყვებოდა, გაზეპირებული ლექსივით. რაღაცები მეც ეგრე გავიგე. ის ვიცი, რომ ბებიასთან გაიზარდა, თუმცა სასურველი შვილიშვილი კი არა, ყოველთვის შეტენილი ტვირთი იყო. მამამისი ვინ ოხერია, არავინ იცის. დედამისი კიდევ მშობიარობას გადაჰყვა – მამაჩემის დაბადებიდან ორ დღეში დაიღუპა. მოკლედ, დედაჩემის სიკვდილამდე, სიმთვრალეში სულ ამ ამბავს უკირკიტებდა და მეც დაზუთხული მაქვს.

* * *

პირველ კურსზე ვიყავი, დედაჩემი ტუალეტში რომ ვიპოვნეთ. ძირს ეგდო. როგორც გვითხრეს, გული გაუჩერდა. მამაჩემის რამდენიმეთვიან დალევებს, სასმელზე გადასაცვლელად გადამალული ნივთების ძებნას და ქუჩა-ქუჩა მის დევნას კიდევაც დიდხანს

გაუძლო. მაგრამ ამის მიუხედავად, მის სიკვდილში ეს კაცი, იმ დღეს გაბზარულ უნიტაზზე გულამოსკვნით რომ ტიროდა, მაინც არასოდეს დამიდანაშაულებია. აი, დედაჩემის პატიება კი დღემდე მიჭირს – ლოთი კაცისგან გაქცევა ვერც თვითონ გაბედა და მეც ამ ახვრულ ცხოვრებას შემატოვა.

«ახლა რა უნდა ვქნა?» – ღნაოდა დედაჩემის ცხედარს დაშტერებული მამაჩემი. მაშინაც მთვრალი იყო და სახე ისე ჰქონდა წაშლილი, ვფიქრობდი, ამ ამბავს ვერ გადაიტანს-მეთქი. ისევ არაყმა უშველა. მე არაფერ შუაში ვარ.

საერთოდაც, დღემდე თრობამ გააქაჩინა. ამბობს ხოლმე, ფიქრი და კაიფი ერთდროულად დავიწყეო. აბა, ქუჩაში ფხიზელი როგორ გავძლებდიო. უბრალოდ მერე დედაშენმა შენი თავი გამიჩინა და მეტად ამტანი გავხდიო.

არადა, მე რომ შემძლებოდა, ამათ შვილად ნაღდად არ გავჩნდებოდი. მეტიც, საერთოდ არ გავჩნდებოდი, მაგრამ ეს მათთვის არასოდეს მითქვამს. მიყვარდნენ ან მებრალებოდნენ, და ამიტომ, ზუსტად არ ვიცი. უბრალოდ ვხედავდი, რად უჯდებოდათ ჩემი შენახვა – ვერაფერს მაძლევდნენ ისე, ერთმანეთისთვის რომ არ მოეკლოთ. ხოდა, მათი ზრუნვის დაკიდება არ შემეძლო. მეტიც, თავი მოვალე მეგონა, მათზე მეზრუნა. პირველად ეს რომ ვიგრძენი, დაწყებით კლასში ვიყავი.

პირველი სექტემბერი დგებოდა, მაგრამ ჯერ ერთი წყვილი წინდაც არ გვქონდა ნაყიდი. სკოლაში ჩასაცმელად არც გასული წლის ტანსაცმელი ვარგოდა. მიტყდებოდა, არაფერს რომ არ მყიდულობდნენ და ვიბოღმებოდი კიდეც – მთელი დღეები, მარტო ვეგდე ეზოში. ყველას ბაზრობებზე დააპორწილებდნენ მშობლები.

– მამა, შარვალს შემიღებავ? – საწოლიდან გავძახე მოსაწევად ამდგარ მამაჩემს.

– არ გძინავს, შე მაიმუნო? – კითხვა გამიტარა. მეორედ დასმა ვერც მე გავბედე. ამიტომ თავზე საბანი წამოვიმხე და კედლისკენ გადავბრუნდი.

დილით დედაჩემმა გამაღვიძა.

– ადექი, თორემ ჩამოცხება მერე.

– ჩამოცხეს და ჩამოცხეს, – ვუპასუხე, რადგან ვერ მივხვდი, ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა.

– ადექი, რომ გეუბნები, ბაზრობაზე გასვლა დილითვე სჯობს, სანამ ხალხი აირევა, – მითხრა და ოთახიდან გავიდა.

– გული ამიჩქარდა. საწოლიდან ფეთიანივით წამოვხტი და გამზადება დავიწყე. მაშინ არ ვიცოდი, რომ იმ ზამთარს შეშა არ გვექნებოდა.

* * *

Feeling unknown

And you're all alone... – Depeche Mode უკვე მესამე წრეს ამთავრებს. მამაჩემიც წყნარად არის. პირღიას სძინავს. მოკლედ, ახლა დივანზე მიწოლაც შემიძლია. ყურსასმენს ვიხსნი, სინათლეს ვაქრობ და სწორედ მაგას ვაკეთებ. მალევე მეძინება, მაგრამ ჩემდა გასაკვირად, ადრიანად ვიღვიძებ. მზიანი დილაა და განათებულ ოთახში ძირს დაგდებული ყურსასმენებიდან ყრუდ ისმის: Reach out and touch faith Your own personal Jesus...

მამაჩემს კალთაში ვუჯდები. წასულა.

4. დრამატურგია



«ახალი საუნჯე» იწყებს გია ეძგვერაძის სცენარის ბეჭდვას. ეს საკმაოდ ვრცელი ტექსტი სამნაწილიანია და ჟურნალის ყოველ ნომერში თითო ნაწილი წავა. ავტორმა საჭიროდ ჩათვალა გარკვეული კომენტარების გაკეთება პუბლიკაციის წინ, რასაც აქ გთავაზობთ.

რედაქციისაგან

სცენარი კონკრეტულად ქართულ რეალობას უკავშირდება, მაგრამ მრავალი ანალიტიკურ-რეფლექტური განზოგადებაა ნაგულისხმევი, რაც, როგორც ზოგადად სცენარს ახასიათებს, მთავარი გმირის კრიტიკული დამოკიდებულებით და რეაგირებებით გადმოიცემა გარემოს მიმართ და არა პირდაპირი ტექსტით.

სცენარის ფორმა ზოგადად მომწონს, როგორც ლიტერატურული ჟანრი — სისწრაფით, მობილურობით, შეზღუდული, ლამის პროტოკოლური ხასიათით, თავს არმოხვეული გრძელი რეფლექსიებით და მხატვრული პორტრეტების სხარტი შინაარსობრივი დატვირთვებით.

ჩემზე ლიტერატურული კრიტიკის პრინციპის ჩაწვდომაში უდიდესი გავლენა იქონია სარტრის კრიტიკულმა წერილმა კამიუს «უცხო»-ზე. კამიუს სტილის დახასიათებისას სარტრი ამბობს, რომ კამიუ განზრახ იყენებს ყველაზე

მარტივ სინტაქსს, პროტოკოლურობას — განყენების ეფექტის მოსახდენად. მე მგონი, სცენარის ჟანრის ბუნებრივი თვისება სწორედ ასეთივეა, რაც არც ავტორს აბოგინებს ნამეტანი და არც გმირებს «აბოდიალებს» თვითგამოხატვის თვითკმაყოფილებაში — რადგან დრო სცენარში შეზღუდულია და მობილურობა არ უნდა დაიკარგოს. იმისდა მიუხედავად, რომ სცენარი პრაქტიკულად დიალოგებისგან უნდა შედგებოდეს და ხასიათების მოტანა მხოლოდ დიალოგების მეშვეობით უნდა შემოისაზღვროს (დანარჩენი რეჟისორის საქმეა და როგორც ერთმა კინოკრიტიკოსმა თქვა, სცენარისტმა რეჟისორს პური არ უნდა წაართვას), ამ მცირედი ხერხებითაც კი სცენარში მიღწეული უნდა იქნას ვიზუალიზაციის მაღალი ხარისხი. ესეც ძალიან საინტერესო ამოცანაა და ყველაფერი ერთიანად კონცეპტუალურობის მაღალ დონეს ნიშნავს — ანუ აკუმულირების ოსტატობას. ამიტომ სცენარის ჟანრი მე პირადად ერთ-ერთ ყველაზე თანამედროვედ და მომავალზე გათვლილად მიმაჩნია.

ახლა – რაც ამ სცენარს შეეხება.

სცენარის გმირი ახალგაზრდა ქალია — მარიკო. რომელსაც თინეიჯერობაში «იუროპას» ეძახდნენ სკოლაში – სცენარის სახელიც აქედანაა i U r o p a (როგორც ბავშვები კითხულობენ ლათინურად დაწერილს)

მარიკო თავისი უცნაური (ცოტა მისტიური) პროფესიის გამო ბევრს დახეტიალობს ქალაქში, უამრავ ადამიანს ხვდება და უამრავ ადამიანთან იკვეთება. ამ გზით ხდება სცენარში სოცალური ჯგუფების, პიროვნებების, უბრალოდ ადამიანების, მეტყველი და გამომხატველი დახასიათება.

ყველა მათგანი, რასაკვირველია, გარკვეულ სიმბოლურ წაკითხვას გულისხმობს.

მარიკო, ცოცხალი, წარსულში ძალიან ინტენსიური, ემოციურ-ინტელექტუალური გამოცდილების მქონე ადამიანია. მას ბევრი იცნობს და პატივს სცემს სწორედ მისი, წარსულში გიჟური, შემოქმედებითი, თავისუფალი არსებობის წესის დამამკვიდრებელი როლის გამო ქალაქში. დღეს ეს ყველაფერი მისთვის ინტერესს მოკლებულია, მაგრამ სწორედ ეს ინტენსიური გამოცდილება გახდა მისი განყენებულ/ინტროსპექტული პიროვნული მზერის საფუძველი. ის განუწყვეტლივ აკვირდება გარშემო ადამიანებს და მოვლენებს, სტკივა და აცნობიერებს მათი როლების პირობითობას სამყაროში და, საერთოდ, კულტურული კონსტრუქტების წარმოდგენით/კარნავალურ ხასიათს. სწორედ ეს გამოცდილება არის ასევე მისი «უცნაური პროფესიის» განმსაზღვრელიც.

სწორედ მარიკოს შეხვედრები ადამიანებთან ხდის მაყურებლისთვის ნათელს — სოციუმი «ჭეშმარიტი ღირებულებებისგან» გაცლილი ადგილია: პატრიარქალური ეპოქის ჩამთავრებული ამბიცია და ქალი, როგორც მისი უმანკო მსხვერპლი; გულწრფელი და უბრალო სულის მატარებელი ადამიანების უფასურობა და მარგინალიზაცია საზოგადოებაში; რუტინად დამკვიდრებული კულტურული ნიშნების და ღირებულებების ჭეშმარიტებად მიჩნევა და მსახურება; ადამიანებზე თავსმოხვეული პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკური მიზნების დამმონებელი ზემოქმედება; ელიტების მიერ უდარდელი კუნძულების შექმნის ტენდენცია უქონელთა და ზოგადი გაჭირვების მტკივნეულ გარემოში; სულიერების მხოლოდ ცრურწმენად და

სიცარიელედ ქცევა; ყოველივე ჩამოთვლილის გამო ადამიანის გამოუვალ წრეში ტრიალი/ჩაკეტილობა.

ეს არის სცენარის ის კრიტიკული ფონი, რომელზეც ვითარდება მარიკოს მიერ არსებობის ფორმის სრული მიუღებლობა და მისი პიროვნული პროტესტი; და თავს იჩენს მისი წყურვილი, ნება და ჟინი — ერთჯერადი ვიტალური გარღვევის, რომელიც ბოლომდე და სამუდამოდ ჩაამთავრებს ამ გრძელ მასკარადულ გაუგებრობას. ეს ჟინი ფილმის განმავლობაში სულ უფრო იზრდება და ბოლოს, ფილმის ფინალში გარკვეული პიროვნული ტრიუმფით მთავრდება, შესაძლოა, ადამიანის მომავლის სიმბოლურად მონიშვნითაც...

ფილმის დასაწყისი ძალიან პროვოკაციულია, მნახველ/მკითხველისთვის შემაძრწუნებელი, მაგრამ უაღრესად სიმბოლური! სწორედ დასაწყისმა უნდა მისცეს თხრობას მთელი ფსიქიური და ალეგორიული დაძაბულობა. მნიშვნელოვანია, რომ მნახველს დასაწყისიდან ექმნება წარმოდგენა, რომ რაღაც პერვერსიასთან აქვს საქმე, რაც თხრობის განმავლობაში არ მტკიცდება და მხოლოდ ფინალი არკვევს, რომ საწყისი სცენა მონუმენტური სიმბოლური ფორმა იყო მხოლოდ. ანუ სცენარი მიხაელ ჰანეკესეულ სტრატეგიას იყენებს — მორალურად სრულიად მიუღებელი ფაქტი/შოკი, რომელიც მორალური სიწმინდის და ვიტალური განახლების მგზნებარე სიმბოლო გამოდგება.

მარიკოს ხასიათში, ერთი მხრივ, დასავლეთის ცივილიზაციის დინამიკის რწმენა და მასთან პარალელური მოძრაობის უდიდესი სურვილი იგრძნობა, მაგრამ მეორე მხრივ, მისმა ინტუიციამ გამოცდილების ხარჯზე უკვე იცის — გზა ერთია — ამ ყველაფრის მიღმა მხოლოდ

ყოფიერების საწყისების ენერგიას ძალუძს, რომ გაგიყვანოს.

ფილმში მთავარი ერთია: მარიკოს ინტუიცია, რომელიც განუწყვეტლად გრძნობს მიღმიერის არსებობის სურნელს და ეს არის მისი უხილავი ძლიერების და გარღვევის უწყვეტი ჟინის მიზეზი.

სცენარს ასევე დაჰკრავს «მაგიური რეალიზმის» მსუბუქი გავლენა (მარიკოს ძმა, გიგა არის ამ მომენტის გამტარი), რაც უფრო შინაარსის განზოგადებას, ისტორიასთან და ფსიქოლოგიურ სიღრმეებთან სათქმელის მიბმას ეხმარება და არა მისტიკური ეფექტის შექმნას.

.....

ბოდიშს ვიხდი პროექტის ამ გრძელი აღწერისთვის, მაგრამ ჩავთვალე, რომ ეს აუცილებელი იყო — არ მახსოვს, რომელმა ძალიან გამოჩენილმა სცენარისტმა თქვა: მე სცენარს არავის ვაკითხებ, ჯერ ვუყვებიო...

P.S. მარიკოს მოდელი ფოტოებსა და ფოტოანიმაციებში, მცირედი გამონაკლისის გარდა, ქეთი ამაშუკელია — რისთვისაც დიდი მადლობა მას სცენარის ავტორისგან.

გია ეძგვერაძე

გია ეძგვერაძე

iUropa

პირველი ნაწილი

(მარიკოს საწოლი ოთახი ღარიბი ანტურაჟით. ჯერ არ გათენებულა.)

მარიკო (ახალგაზრდა, მომხიბლავი, ინტროვერტული გარეგნობის შავგვრემანი ქალი) დგება ლოგინიდან. მის 13 წლის ძმას, გიგას, მის გვერდზე, კედლისკენ შეტრიალებულს სძინავს. მარიკო ფრთხილად იცვამს სიბნელეში. გასვლას აპირებს, მაგრამ შეყოვნდება, მძინარე ძმას გახედავს, მის ლოგინს მიუახლოვდება, ფრთხილად ჩამოუჯდება ლოგინზე და ცოტა ხანს ასე, გარინდებული, სიბნელეში იყურება. შემდეგ ზურგით მიწვება ძმის გვერდზე, ხელს ჩაკიდებს და რაღაც დრო ასე წევს ჩუმად. მერე წამოჯდება, ძმას მხარზე ფრთხილად შეეხება და ფაქიზად გადმოაბრუნებს. კადრში ჩანს მარიკოს თინეიჯერი დაუნი ძმის, მიხოს ნამძინარევი სახე.

მარიკო: რომელი?

მარიკოს ძმა: 16.19

მარიკო მიდის მაგიდასთან, ანთებს ნათურას, იღებს წიგნს, გადაშლის, მოძებნის გვერდს და რაღაც დროის განმავლობაში მას დასცქერის. მერე გადის საწოლი ოთახიდან. გაივლის სასტუმრო ოთახს (სადაც ვიღაცას სძინავს ტახტზე), მერე სამზარეულოს, ფრთხილად აღებს შემოსასვლელ კარს და ტოვებს სახლს.

(ადრეული დილა, ბნელა, ჯერ არ გათენებულა, ავტობუსის გაჩერება.)



გაჩერებაზე არავინაა, მხოლოდ მარიკო. ავტობუსი აგვიანებს.

ღამის ფონზე უსიამოვნოდ გადანათებულ ავტობუსის მოსაცდელ ჯიხურში შემოდის კოხტად და მოწესრიგებულად ჩაცმული დაწყებითი კლასების მოსწავლე გოგონა და მარიკოს კბილების გასასწორებელი მეტალის ღიმილით უღიმის. ორივენი ჩუმად იცდიან.

მოდის ავტობუსი.

(ავტობუსის ინტერიერი)

მარიკოს და მოსწავლე გოგონას გარდა ავტობუსში კიდევ ორი კაცია; უკანა საჯდომზე, რყევის მიუხედავად, ღრმად სძინავს მოხუც წყვილს. ფანჯრიდან, ჰორიზონტზე, გარიჟრაჟის პირველი სხივები ჩანს.

(ავტობუსის გაჩერება სოფლის პერიფერიაზე. რიჟრაჟი).

ავტობუსი ჩერდება, მარიკო ჩამოდის. ავტობუსის ფანჯრიდან მას გოგონას «მეტალის ღიმილი» ემშვიდობება.

ახლა მარიკო სიბნელეში დიდხანს მიუყვება ქუჩას. ქუჩა სოფლის გარეთ გადის, სადაც მიტოვებული სახლი ჩანს, რომლისკენაც მიემართება მარიკო.

(გარიჟრაჟი, მიტოვებული სახლი).

მარიკო შედის უკარებო სახლში. სინათლის აუნთებლად გაივლის შემოსასვლელს, შედის სამზარეულოში. მიდის ფანჯარასთან და ცოტა ხანი ახლად დაწყებული რიჟრაჟის

ბნელ პეიზაჟს უყურებს ფანჯრიდან, მერე ტრიალდება, ანთებს სინათლეს, აღებს საკუჭნაოს კარს და იქიდან ჩანთა გამოაქვს. ჩანთას სამზარეულოს შუაში აგდებს, ხსნის და თითო-თითოდ ამოაქვს «ადიდასის» უახლესი მოდელის სპორტული ტანსაცმლის სრული კომპლექტის შემადგენელი ნაწილები, ფეხსაცმლის ჩათვლით. იწყებს გამოცვლას. მერე გამოცვლილ ტანსაცმელს ჩანთაში ჩადებს და უკან, საკუჭნაოში მალავს.

(სანამ მარიკო ტანსაცმელს იცვლის, ვიღაცის მობილური კამერის ეკრანზე, სახლის გარედან აღებულ მოკანკალე და შეშინებულ კადრში, მარიკოს მიმზიდველი სახე და სხეული ფოკუსირდება).

(რიჟრაჟი, სოფლის განაპირას მდგომი მიტოვებული სახლის უკანა ეზო.)

«ადიდასის» ფორმაში ჩაცმული მარიკო გამოდის მიტოვებული სახლის უკანა კარიდან, კვეთს ეზოს და სახლის უკან მდებარე გადახსნილ მინდორს ნელი სირბილით გაუყვება რიჟრაჟის მიმართულებით. კადრში ჩანს მისი ფოკუსირებული სახის გამომეტყველება, პეიზაჟის სიბნელეში ისმის მისი ხშირი, ნერვული სუნთქვა. ისეთი განცდაა, რომ ეს სირბილი მარიკოსთვის რაღაც მნიშვნელოვანი ვალდებულების ასრულება უფროა, ვიდრე ჯანმრთელობისთვის ზრუნვა — რახან მასში კონკრეტული მიზნის გასრულების შეპყრობილობის ნება იგრძნობა.

(პარალელურ რეჟიმში ანონიმური მობილურიც აგრძელებს მარიკოს გადაღებას.)

უეცრად, რიჟრაჟის ფონზე, სივრცეში, მარიკო ამჩნევს პატარა, შავ წერტილს. მარიკო ჩერდება, რაღაც ხანი ამ

გაუგებარ ლაქას გაჰყურებს, მერე — სირბილის მიმართულებას მისკენ იბრუნებს.

...

მარიკო ქოშინით უახლოვდება მზის პირველ სხივებში ჩაკარგულ შავ წერტილს, რომელიც ტრიალი მინდვრის სივრცეში ეულად მდგომი შავი ხარის ფიგურა აღმოჩნდება.

ადრეული დილის მბჟუტავ, მტრედისფერ სინათლე-სისველეში, ხარის ცხელ სხეულს გამჭვირვალე ორთქლი ასდის. რიჟრაჟის ამ გარინდებულ სიცარიელეს მხოლოდ ხარის მომთხოვნი ფრუტუნი არღვევს დროდადრო.

ხარის წინ მდგომი შეცბუნებული მარიკო გაოგნებული შესცქერის ამ სრულფასოვან ყოფიერებას და ხარის ნერვულად მოცახცახე ბეწვს ისეთი ნაზი სიფაქიზით და სიფრთხილით ახებს ხელს, თითქოს არ სჯერა გადახსნილ რუხ სილურჯეში გამოკიდებული ამ თვითკმარი სისავსის არსებობის.

შემდეგ მარიკო ნელა იხრება — ხარის ცხელ და სველ ბეწვს ლოყას ახებს და თვალებდახუჭული ირინდება. (დროდადრო, ისევ და ისევ, დილის სივრცის გარინდებას ხარის ფრუტუნი სერავს.)

ახლა მარიკოს ხელი ხარის ფერდს ეფერება; მერე ნელა მიცოცავს, სადღაც დაბლა... და ხარის მუცლის ქვეშ უჩინარდება. მარიკოს სხეული იწყებს ტოკვას. მისი სრულიად განყენებული გამომეტყველების მქონე სახე ხარის ზურგის ნამიან ბეწვს მძაფრად ეხახუნება და სულ უფრო იწევს ქვემოთ, ხარის მუცლის ქვეშ შედედებული, მომნუსხავი სითბოსკენ.

მალე ამ სითბოს წყარო და მარიკოს სახე ერთიანი ხდება.

(ანონიმური მობილურის ეკრანზე ბუნდოვანი კადრი ნელა ფოკუსირდება; — ხარის მუცლის ქვეშ მიწაზე მჯდომი მარიკოს «ადიდასის» ქურთუკის თავზე მოცმული კაპიუშონი ხარის ფეხებს შორის რიტმულად მოძრაობს. უცებ კადრი ქრება და მობილური ნაჩქარევად ვიღაცის ჯიბეში უჩინარდება.)

მიზანსცენის რეზიუმე:

მარიკოს ამ უცნაურ ექსიდენტში უკიდეგანოდ დაშორებული წარსული და უშორესი მომავალი გონებისთვის მოუხელთებელ მისტიურ ერთიანობას იძენს.

(დილა, ახალგაზრდა წყვილის, ქეთის და ნიკას «ლუქსუს» სახლის სამზარეულო)

ეკრანის სითეთრე ნელა იფარება ნაოჭების ორნამენტით. — ეს მარიკო იკრავს თეთრ წინსაფარს. იგი ქეთის და ნიკას ოჯახს მათ «გაწყობილ» სახლში უმზადებს საუზმეს. სამზარეულო ყველა «ატრიბუტ/გაჯეტითაა» დატენილი, რაც დიდი კონტრასტია წინამორბედი კადრების ბუნებრიობასთან და სიცარიელე/განძარცვულობასთან. სამზარეულოს ავეჯი შერეულია — თანამედროვე სტილის ავეჯი ანტიკვარულთან კომბინაციაში.

საუზმე მზად არის, მხოლოდ გატანა უნდა. მარიკო ნელა და გულმოდგინედ ფცქვნის ბანანებს და უცნაური ფორმის ლარნაკზე ნახევრად გაფცქვნილს აწყობს.

ქეთი (პენუარმოცმული სამზარეულოს კარში დგას): დილა მშვიდობისა, მარიკო («კეთილი მისალმების» ნიშნად ქეთი მარიკოს ორივე თვალს უპაჭუნებს), ესპრესო გამიკეთე რა — თავი მაქვს წაცლილი.

მარიკო: დილამშვიდობისა, ახლავე... — ნიკასთვისაც?

ქეთი: არა, ჯერ დარბის. მერე ადი — ბავშვებიც გააღვიძე, რა?..

ქეთი გადის სასტუმრო ოთახში, სავარძელზე ჯდება, ფეხებს მაგიდაზე აწყობს, ლეპტოპს ხსნის და სიგარეტს უკიდებს.

(დილა. ნიკას და ქეთის 17 წლის შვილის, გიორგის საწოლი ოთახი)

მარიკო შედის საძინებელ ოთახში («თინეიჯერის» ტიპური ქაოტური ოთახი, ყველა დამახასიათებელი ატრიბუტით). გიორგი გაშხლართულია საწოლზე. ეტყობა, რომ არ სძინავს, მაგრამ არ იმჩნევს მარიკოს შესვლას ოთახში.

მარიკო: გიორგი, უნდა ადგე. (უახლოვდება ფანჯარას, აღებს).

გიორგი (იშმუშნება, ვითომ მძინარე ხმით): შენ მოდი აქ... (თითით ანიშნებს ლოგინზე)

მარიკო: ეგეთ მძინარას ვინ ჩაგიწვება... ადე, არ გააბრაზო ქეთი.

გიორგი: (თამაშით ეპოტინება მარიკოს შარვალზე): გაასწორე რა... ერთი წუთი დაჯექი...

მარიკო (წყნარად იგერიებს გიორგის. მერე ნიშნისმოგებით, უკვე კარში მდგომი): მორჩი, თორემ ვეტყვი ქეთის, სად მალავ სიგარეტს (სავარძლის ბალიშებს შორის ნაპრალიდან აძრობს სიგარეტის ყუთს — ესვრის გიორგის) და იმასაც ვეტყვი, გაუთავებლად რომ ანძრევ და მატრასია ჩასვრილი და გადასაგდები... მოკლედ, ადე, სანამ ჩაგიშვი...

(დილა. ნიკას და ქეთის 13 წლის შვილის, თეაკოს საწოლი ოთახი)

თეაკოს ოთახში შესულ მარიკოს თეაკოს ძაღლი ეგებება (დიდი, ქათქათა ნიუ-ფაუნდლენდი). თეაკოს ყურსასმენებით და გვერდზე გახსნილი ლეპტოპით სძინავს.

მარიკო (თეაკოს ყურებიდან აცლის ყურსასმენებს): საუზმეა მზად, თეა...

თეაკო (კედლისკენ მიტრიალებული, ნახევრად ძილში): ისე, ეგენი გუშინ ისევ გვიან მოვიდნენ და ტვინი წაიღეს თავისი წიოკით... ჰო, ჩამოვალ... (ტრიალდება, ისევ იკეთებს ყურსასმენებს და რთავს ლეპტოპს).

(დილა. ბავშვების საძილედან სასტუმრო ოთახისკენ ჩამავალი კიბე).

მარიკო ჩამოდის კიბეებზე ქეთის და ნიკას (რომელიც «ჯოგინგიდან» დაბრუნდა და სპორტულ ტანსაცმელშია გამოწყობილი) ხმამაღალი საუბრის ფონზე.

ქეთი (ნიკას): ლევანი რომ ღორია ბავშვობიდან, არ იცი თუ რა? — თანაც მთვრალი ლევანი!

ნიკა: მთვრალი როა, დედამისს ტრაკზე ხელს უსვამს? ყანწი უნდა გამეყარა მაგისთვის ტრაკში და აზრზე მოვიდოდა. იდიოტები არიან, რომ გამაჩერეს. (თან მაჯაზე დამაგრებულ «გაჯეტს» უყურებს და რაღაცას გაღიზიანებული ეჩალიჩება) ტაქომეტრი გამიფუჭდა, ტო, დღეს დილით და ვერც დავითვალე, რა გავირბინე... ახლა ეს მაქვს დარდად, რა... (ხედავს სასტუმრო ოთახში შემოსულ მარიკოს.) მარიკო, სალამი, ნემსი შეგიძლია ეგრევე გამიკეთო?

მარიკო: კი, როგორ არა...

(შუადღე. ნიკას და ქეთის საწოლი ოთახი)

ნიკა მუცლით წევს საწოლზე, ნემსის გასაკეთებელ ადგილზე საცვალჩაჩაჩული — იდაყვებზე დაყრდნობილი წინ იყურება და ისევ ტაქომეტრს «ეჩალიჩება» მონდომებით, თან ლაპარაკობს (მარიკოს მიმართავს, რომელიც ნემსს ამზადებს).

ნიკა: ამათ უყურე «კაროჩე», — ფული, «იასნია» , უყვართ და მაგრა ჩალიჩობენ, რომ იშოვონ და რათ უნდათ, თვითონ არ იციან! კაი სახლი, მაგარი «ნავაროჩენი» ოჯახი და ამ დროს!? ...კულტურის გაგებაში არ არიან — გესმის შენ?! «კაროჩე» ყველაფრის მკადრებლები არიან და თან «იმენნო» ფულიანი როჟით...

(მარიკოსკენ ბრუნდება)

— შენ ხომ რაღაცების აზრზე ხარ ტექნიკაში და ტაქომეტრიც იცი? (ახედ-დახედავს მარიკოს, მარიკო უარყოფის ნიშნად თავს აქნევს ტუჩების კუმშვით). ისე,

ლამაზი ხარ, ხომ იცი... (მერე ისევ ტაქომეტრს მიუბრუნდება) მე მარტო «კნოპკებს» ვაჭერ — გაგებაში არა ვარ, რა ხდება! დღეს გავედი, მაგრა ცივა, — ვაჭერ «კნოპკას» და არაფერი... ახლა მიდი და ირბინე უაზროდ... თან ამ პახმელიაზე... (გამოხედავს მარიკოს)

ნიკა (პაუზის მერე): და კიდე შენ გიტრაკებენ ეს ტიპები, გაიგე? ნუ «პროსტო» ჯინში გიდგებიან და ფულიც შენზე მეტი უნდათ, რომ იშოვონ ამ გოიმებმა, ტო... ნუ... იჭიდავე რა ასეთ ტიპებთან... ქეთი კიდე მაგრა უძლებს ამ უზრდელებს და ხო იცი, რატომ? — დედა ჰყავდა ქეთის მაგარი! იცი შენ — «კნიაჟნა» იყო, ქალბატონი ნუცა! — ძაან პატივს ვცემდი, მთელი ცხოვრება აბრეშუმის ცხვირსახოცი არ გაუშვია ქალს ხელიდან... ოჰ... (მარიკოს ნემსის ჩხვლეტაზე) ხოდა, აი ახლა შენ, ეგეთი ტიპები, ეგ ჩემი ვითომ ძმაკაცი ბაბულიკები გევასება? აი, ვინმემ რომ გაგაცნოს ეგ «ბაბულიკა», დაგევასებოდა? (ისევ გამოხედავს მარიკოს)

მარიკო (წყნარად): არა.

ნიკა: მორჩა ხო? დავაი, წავედით (დგება) ვისაუზმოთ. შენ კიდევ არ ჭამ ხო არაფერს? ვეგანობ?

მარიკო: არა, ვეგეტარიანელი ვარ.

ნიკა: აჰ, ეგ ერთია! (დარწმუნებით, თან ხალათს იკრავს) ორგანიზმს იწმინდავთ, არა?! თუ ის! – «კრიშნა» და რამე... ეგენიც არ ჭამენ ხორცს და... ნიორსაცო, ტო!... ნუ, დეგენერატი უნდა იყო, ნიორი რომ არ ჭამო. ხო იცი, რისთვისაცაა მნიშვნელოვანი! (თვალს უკრავს მარიკოს) თან პლუს ბაქტერიებსაც ანადგურებს...

(შუადღე. ნიკას და ქეთის სასადილო ოთახი)

ოჯახის წევრები მაგიდის გარშემო სხედან. მარიკოს სამზარეულოდან გამოაქვს ჩაიდანი. უსხამს ბავშვებს ჩაის, უმატებს რძეს ჭიქებში.

ქეთი (შვილს): გაასწორე ხელი, თეაკო, რანაირად გიჭირავს ჭიქა?! (აჩვენებს, როგორ უნდა მოიქცეს)

ნიკა (ქეთის — საჭმლით პირში და ღეჭვით): არადა, მაგიდაზე ხომ გაიგონე რა თქვა ბატონმა თენგიზოვიჩმა, თანაც ისე, ვითომ «მეჟდუ პროჩიმ»: «ნიკა, მე და შენ ორ კვირაში უნდა დავჯდეთ და ვისაუბროთო...» — თან დადებითი ტონი იყო! იგრძენი, როგორ დაიძაბნენ ჭაბუკები გარშემო? (სიამოვნებით ჩაიღიმებს, თან პირში კიდევ იდებს ლუკმას...)

მარიკოს მოაქვს ქეთისთვის ყავა, ლამბაქზე წითელი წიწაკით.

მარიკო (ქეთის): ჩინური ვერსია ყოფილა — წიწაკა ყავაში უნდა ჩააწოთ.

ნიკა (მარიკოს): მე? მეც მინდა ეეე...

ქეთი: შენ იმაზე იფიქრე, ცუდი არ იყოს რამე თენგიზოვიჩთან... — ცხონებული დედაჩემი იძახდა: «ტონუ ი მიმიკე ნეკოგდა ნე დოვერიატ»...

ნიკა (აგდებულად): ოოოჰ, რა იცოდა ნუცამ თანამედროვე ბიზნესის ფსიქოლოგია, მაიცა რა...

ქეთი (გიორგის): გიორგი, მარიკო მალე მიდის და მოეხმარე ყვავილების დიდი ლარნაკი ჩამოიღოს, ბუფეტის თავზე რომ დგას, ყვავილებს მერე მე ჩავაწყობ.

გიორგი ენთუზიაზმით დგება.

(შუადღე, ნიკას და ქეთის სახლის სამზარეულო.)

მარიკო სკამზეა შემდგარი და ფრთხილად ჩამოაქვს დიდი ლარნაკი ბუფეტის თავიდან. ლარნაკი ჩინურია, ცაში გველეშაპების ბრძოლის გამოსახულებით. ლარნაკში გდია სამი ცალი ფერადი პლასტიკის ბუზების საკლავი. გიორგი, ვითომ დახმარების მიზნით, უხერხული მოძრაობით ცდილობს აეკრას სხეულზე მარიკოს. მარიკოს ხელში ლარნაკი გიორგის თავს ზემოთ ჰაერში ჩერდება და ისეთი გრძნობაა, რომ შეიძლება მოხვდეს გიორგის...

მარიკო: გამომართვი და მოეშვი ამ შმაშურს...

გიორგი ართმევს ლარნაკს. მარიკო ლარნაკიდან იღებს ბუზების საკლავს, უკაკუნებს თავში გიორგის და მერე ისევ უკან აგდებს ლარნაკში. გიორგი უძრავად დგას და მიშტერებია სკამიდან ჩამოსულ მარიკოს.

მარიკო: დადე ლარნაკი, რას მიყურებ დაშტერებული... (მოულოდნელად მარიკო მუცლის ცეკვის ეროტიულ ელემენტს შეასრულებს) ესეთი რამე გინახია?

გიორგი (აღფრთოვანებულ/დაშტერებული თვალებით): არა...

მარიკო: ხოდა ხო გეუბნები — ჯერ უნდა გაიზარდო...

გიორგი დებს ლარნაკს მაგიდაზე. მარიკო ტრიალდება და კარისკენ მიმავალი გიორგის გასაჯავრებლად თვალს ჩაუკრავს და სარკასტულად დააყოლებს «აბა»...

(მზით გაჩახჩახებული შუადღე) — ნიკას და ქეთის სახლის ჭიშკრიდან გამოდის მარიკო. გარშემო უმთავრესად ბორცვებია (უბანი ჯერ აუთვისებელია), რომელთა თავზეც კანტიკუნტად ახალაშენებული კერძო სახლები მოჩანს. ერთ ბორცვზე ზის ბიჭი თეთრ პერანგში. მარიკო გზას მიჰყვება, თავდაღმართში ფიგურა პატარავდება. ვხედავთ,

როგორ ჩამორბის თეთრპერანგიანი ბიჭი ბორცვიდან და უერთდება მარიკოს.

ბექა (ბიჭი თეთრ პერანგში): რატომ დაგაგვიანდა? მოვიხარშე მზეზე.

მარიკო: და შენმა სამსახურმა რაო?

ბექა: ოჰ, გაირჭონ თავიანთი 7 ლარი საათში. (პაუზის მერე.) აღარ შემიძლია, მაგრა მენატრები. გუშინ ნახე ჩემი მესიჯი? დედაჩემი უკეთ არის და პარლამენტის წინ აქციაზე გავარდა — მერე დაქალებთან ჩაჯდება საჭორაოდ. სახლში კაციშვილი არაა – წავიდეთ ჩემთან?

მარიკო (პაუზის მერე): კი, ვნახე — სამსახურიდან მოიწერე? სუნი აუვიდა მობილურს. დაათესლე ზედ თუ რა გჭირდა? ასე ნუ იწერები, ტყავს ნუ იძრობ და სისხლს ნუ იდენ, თუ შეკვეთა არ არის.

ბექა (მიამიტად): კაი, რა გჭირს? ყვავილები, გულები, ლაიქებიც ხომ გამოვგზავნე! ახლაც მინდოდა ყვავილები მეყიდა და ამ სიცხეში უნდა გენახა, რას ჰგავდნენ: ყურებჩამოყრილია ყველა.

მარიკო: ჰო, სიცხიან ქალაქში ცოცხალს ვერ იპოვი...

(ექსტერიერი, შუადღე, ნიკას და ქეთის სახლთან ახლოს, ანუ სადაც მარიკო შეხვდა ბექას — კადრი მანქანის ინტერიერის წინა შუშიდან).

ძველი «ოპელი» ნერვიულად მიდის აღმართზე. წინ, გზაზე, მანქანიდან მარიკო და ბექა ჩანან.

პირველი ბიჭი მანქანაში (საჭესთან, გამხდარი და «შუსტრი»): ეს მარიკო არ არის?

მეორე ბიჭი მანქანაში (უკან ზის, მოსული, მრგვალი): რავი ჩვენ სკოლაში «იუროპას» ვეძახდით. ქულობდა — «პისტოლეებს», «ურბანებს» და რაღაც ეგეთ «ჯანკს» უსმენდა — ხო იცი, მოღრეცილ როჟებს რაა... თან ყველა კაი ტიპი ამას უგორებდა...

პირველი ბიჭი მანქანაში: და ეს ვინ ყლეა მერე?

მესამე ბიჭი (მესაჭის გვერდზე, შედარებით უფროსი და ძალიან «ძველი»): ვინმეს გალახვის ხასიათზე ვარ — ერთი გააჩერე...

პირველი ბიჭი მანქანაში: ჰო, მიდი! ერთი ეს წავკუზოთ!

მანქანა «რეზკად» ატორმუზებს მარიკოს და ბექას წინ.

მესაჭის გვერდზე ბიჭი გადმოხტება მანქანიდან, კარს იჯახუნებს და მარიკოს და ბექას წინ ეჩითება. მანქანის მძღოლიც გადმოვა და მანქანის ღია კარს დაეყრდნობა იღლიებით. უკან მსხდომი ბიჭი ფანჯრიდან იყურება, იდაყვგადმოყოფილი.

მესამე ბიჭი (მარიკოს, გამომწვევად, ბექაზე მინიშნებით): ეს კუჭმაჭი ვინაა? შევჭამო?

მარიკო: ჰო ეს იჭმება, შენსავით მოშხამული ნაღვლის ბუშტი არ არის.

მესამე ბიჭი (ცინიკურად): შენ «იუროპა» გქვიებია, არა?

მარიკო: კი, და შენ «კანადას» თუ იცნობ? ორმოცდამეჩვიდმეტე სკოლიდან. შენისთანებს რომ

კვნეტს; მე 18 წლის ვიყავი, მაგას რომ ვტყნავდი. (დიდი პაუზა — მანქანის კარზე იღლიებით ჩამოკიდებული პირველი ბიჭი წელში სწორდება, მეორე ბიჭი კი, მანქანაში, თავისთვის ჩაუსტვენს) ბარნოვზე მინდა ჩასვლა და გამიყვანთ?

მესამე ბიჭი (მცირე ყოყმანის შემდეგ): დაჯექით.

მარიკო «ძველბიჭს» მხარს უვლის და მის ადგილზე ჯდება მანქანაში.

(შუადღე, მანქანა მოძრაობს ქალაქის ქუჩაში.)

მარიკო მოძრავი მანქანიდან გარეთ იყურება, ეძებს სახლის ნომერს.

მარიკო (მძღოლს): 38 ნომერია.

(შუადღე, ქუჩა)

მარიკო გადმოდის მანქანიდან და მიმართვს მანქანაში მსხდომებს.

მარიკო: ბექა, შენ სახლში მიდიხარ? ხომ მიიყვანთ? ქუჩაში არ დატოვოთ, ხო ხართ კაცები?

მარიკო სწრაფად შედის მის წინ მდგომი სახლის სადარბაზოში.

მარიკო აჭერს თითს ზარის ღილაკს (მცირე პაუზა).

მერე კარის საკეტი იღება, მაგრამ კარი არა. კარის უკნიდან ყრუდ ისმის ვიღაცის ხმა. მარიკო აწვება კარს, აღებს და შედის. საკეტზე თოკია მობმული, რომელიც სხვა ოთახში გადის.

უცნობის ხმა: შემოდით, კარი მოიკეტეთ და თოკს გამოჰყევით.

მარიკო შედის საწოლ ოთახში, სადაც ლოგინში სიმპატიური შუახნის კაცი წევს. ჩუმ ხმაზე ჩართულ ტელევიზორში «სიმპსონი» გადის. მარიკო კარებთან ჩერდება.

უცნობი კაცი: ეს – როცა დიმა სახლში არაა (თოკზე უთითებს: საკეტზე გამობმული თოკი მის საწოლთან მთავრდება), ვერ ვასწრებ კარებთან მისვლას, ასე უფრო მოსახერხებელია (მის საწოლთან ხეიბრის გორიალა სავარძელი დგას).

უცნობი კაცი (ტელევიზორის ეკრანს უყურებს): გიყვარს მულტფილმები? მე მაგრა მიყვარს... მაგის თავქარიანობა, დროის დეფიციტში უწყვეტი «ექშენი». (ისევ მარიკოს გახედავს) მე გოგა მქვია. შენი წინამორბედი გოგონა ნემსს კარგად აკეთებდა, მაგრამ მე მარტო მიწევს დიდი დრო სახლში ყოფნა და მასთან საუბარს ვერ ვახერხებდი — ყველაფერი ზუსტად იცოდა. სიზუსტე დამთრგუნავია. თან რომ დამინახა (საბანს იხდის — ორივე ფეხი აქვს მოჭრილი), საშინლად შეცბუნდა და ეს ვერაფრით მაპატია, ისე რომ, ამ მიზეზითაც ვერ ვისაუბრეთ. — ამიტომ ვითხოვე, სხვა გამოეგზავნათ. არც შენ დაითრგუნო, — უკვე შვიდი წელია, რაც ფეხები მომაჭრეს და მთელი ეს დრო ყველაზე ბედნიერი კაცი ვარ სამყაროში! (იღიმის) ახლავე მოგიყვები. ეს ბედნიერება ჩემთან როგორ მოვიდა. (ფაქიზი მოძრაობით საწუწნ კანფეტს იღებს თუნუქის კოლოფიდან, იდებს პირში — მარიკოსაც აწვდის, მარიკო უახლოვდება, ართმევს და იქვე სავარძელზე ჯდება). სულ ახალგაზრდა ვიყავი, მაგარი სიმპათიური, თან არაჩვეულებრივად ვსწავლობდი და ბიზნესიც სწავლის დროს დავიწყე. ორი კაზინო გავხსენი და გიჟურად წავიდა — სამ წელიწადში თბილისში პირველი «პორშე კაბრიო» მე მყავდა. ჯერ «ჰარლეი-დევიდსონით» ბათუმში

ვგრიალებდი ჩვენს თოფ გოგოებთან ერთად, მერე ნიუ-იორკში დამყავდა «კრასავიცები», ვაორსულებდი და მერე სახლებს ვჩუქნიდი. ოთხშაბათი იყო, მოღრუბლული — სიხარული რომ არ ღირსებია, ისე ნაცრისფრად ცრიდა. გორის ახალი გზა რომ არის, იქ მოსრიალდა მანქანა. მაგრა მომისროლა, 7 საათი გადაყირავებულ მანქანაში, წვიმაში ვეგდე და მერე ფეხებიც მომაჭრეს. ჰოდა საავადმყოფოში თვალები რომ გავახილე, ჩემს მოჭრილ ფეხებს დიმა უვლიდა. აი, ასეთ საზიზღარ ხორცის ნაკუწებს ისეთი სიწყნარით და სითბოთი ექცეოდა, თითქოს ახლადდაბადებულ ჩვილებს ეალერსებოდა. დიმას თვალები არა აქვს, გაფანტული ნაკადულები აქვს თვალების მაგივრად. შვიდი წელია, ამ ნაკადულებს ვუყურებ და მათი ყურება და ფერება არ მბეზრდება. პირველად არ მესმოდა, ვბორგავდი, ახლა კი სრული სიმშვიდე დამეუფლა ასეთი სიყვარულის მატარებელს. არ ვიცოდი, რომ მხოლოდ ეს ნაკადულები მჭირდებოდა ცხოვრებაში — მეტი არაფერი. სანამ ისინი იღვრებიან, მეც ვიარსებებ და მერე არც არაფერი...

დიმა (რომელიც გოგას მონოლოგის ბოლოსკენ მოვიდა სახლში და კარებთან იდგა ჩუმად): ჩვენი ურთიერთობის მოწმე აქამდე არ გვყოლია, — შენ პირველი ხარ... რა გქვია?

მარიკო: მარიკო. (პაუზის მერე) «სიმფსონი» მეც მიყვარდა, მერე დამავიწყდა და ეს გულუბრყვილო, ნამდვილი სიყვარული აღარასდროს გამხსენებია, გმადლობთ, რომ გამახსენეთ. მე მხოლოდ ნემსის გასაკეთებლად არ

მოვედი, უნდა მეთქვა, რომ დანიშნულებით ეს ბოლო ნემსია.

(სანამ გოგას მონოლოგი ჰქონდა, მარიკო წყნარად და ყურადღებით ნემსს ამზადებდა პარალელურად. ახლა მარიკო გოგას ვენაში უკეთებს ნემსს. გოგა თვალებს ხუჭავს და იღიმის. მარიკოც იღიმის და მერე ნელა აწყობს ინსტრუმენტებს ჩანთაში.)

(ქუჩა, გვიანი შუადღე)

მარიკო მიდის ქუჩაში. უეცრად ისმის ვიღაცის კივილი, მერე სროლის ხმები. მარიკო ჩერდება და შეცბუნებული იყურება ქუჩის მხარეს, საიდანაც ისმის ხმაური.

გამვლელი (მარიკოს): არაფერი, «პონტია» (თვალს უკრავს ეშმაკურად) კომერციულ ფილმს იღებენ... 90-იანები კი არაა...

მარიკო ტრიალდება და თავის სკოლელ ამხანაგს, თიკას ხედავს მისკენ მომავალს.

თიკა (აღგზნებულად): მარიკო! როგორ ხარ? საუკუნეა, არ მინახიხარ! სად ხარ? რას შვები? გათხოვდი?

მარიკო (გახარებული, მაგრამ მშვიდად): თიკა!.. არა მიშავს, არ გავთხოვილვარ. — შეიძლება, იქით ვითხოვო ვინმე... (იცინის) შენ რას შვები?

თიკა: უი, არ ვიცი, — ჭკუაზე არა ვარ... — წამო რა, ყავა დავლიოთ, თან უნდა გეჭორაო...

ხელს ავლებს მარიკოს და კაფესკენ ექაჩება. მარიკო და თიკა საუბრით შედიან ხალხით სავსე კაფეში, თან მაგიდას ეძებენ თვალებით. ახალგაზრდა მიმტანი ხელს უქნევს მარიკოს და ანიშნებს თავისუფალ მაგიდაზე. ორივე მაგიდისკენ მიემართება. თიკა უწყვეტად საუბრობს.

მარიკო (მიმტანს): როგორ არის შენი ბიჭი, ორი წლის ხომ გახდა?

მიმტანი: კი — ლამის სამის! (უღიმის მარიკოს)

მარიკო: კიდევ «ნუტელას» გიჟია?

მიმტანი: კი, ოღონდ ეხლა წაამატა რაღაცეები — ნუ, ადამიანი დგება... (იღიმის და იწევს სხვა კლიენტისკენ).

მარიკო (ხმას მიადევნებს მიმტანს): ორი ესპრესო (მიმტანი თავს უქნევს მარიკოს).

გოგოები მაგიდასთან სხდებიან.

თიკა (რომელიც აღგზნებულად აგრძელებს დაწყებული საუბრის თემას): ხოდა, არ შემიძლია, გაიგე?! ეს კაცი ხომ სულ დაკიდებულია ჩემზე: «თიკა გააჩინე», «თიკა გააჩინე», და ექიმები?! წავედი უცნობთან; რომ არ დაეწყო ახლობლური ლაპარაკები და... უარესი ვქენი — დავალებული აქვთ ზემოდან, გესმის შენ? — პირველი აბორტია და ბავშვი აღარ გაგიჩნდება... მოკლედ, მაფითრებენ! კანი გაგიფუჭდება, კუჭის შეკრულობები დაგეწყებაო, ვაგინის მგრძნობელობა დაგივარდებაო, ეეეე, — ქმარი მიგატოვებსო! ნუ «კაროჩე» ვეღარაფერს იგრძნობ ფუჩუშიო — გამომატვინეს რა...

მარიკო: მიშიკოზე იმოქმედებს ფსიქოლოგიურად და იმპოტენცია დაეწყებაო, არ უთქვიათ? არა? ჰო, ნუ მაგას მოძღვარი გეტყვის ნამდვილად...

თიკა (ისევ ძალიან ეგზალტირებული): მეტი! — ჩანასახს უკვე გული უცემსო, ყურები და ცხვირი გამოებაო, სმენა აქვს და მუსიკა ესმისო, გულში ლოცვებს იმეორებსო. — მოკლედ. გაფითრება მიდის. ნუ იტყვი?! — ჯიბრზე გავიკეთებდი აბორტს, მაგარამ რა მოლოდინი დგას

გარშემო, ხო ხედავ! მოკლედ, ერთიანი დიდი საზოგადოებრივი შერეკილობაა — «სიცოცხლის მოყვარულთა კლუბი» აქვთ გახსნილი! ეხლა, ესე იგი, ხვალ, 4 საათზე მე-8-ში მქონდა დანიშნული ოპერაცია და გადავწყვიტე! — არ მივდივარ. არც ვაფრთხილებ საავადმყოფოს! — მაგათი მოლოცვების თავი არ მაქვს და არც მაგათი დაკითხვების. არ მივალ და მორჩა, ისედაც კონვეიერი აქვთ გახსნილი.

(მიმტანს მოაქვს ესპრესო)

მარიკო (სიცილით): ჰო არ გააუქმო, მე წავალ შენ მაგივრად (სარკასტულად იცინის). მიშამ იცის, რომ იტოვებ?

თიკა (ესპრესოს წაწრუპვის შემდეგ): მაგის აღფრთოვანებების თავი ახლა არა მაქვს, მერე სამდღიან სმას გადააბამს! რა ენაღვლება — ტოქსიკოზი მაგას აქვს, ეგ ათრევს ბავშვს მუცლით, თუ ეგ იჭინთება!? თეთრი «საროჩკა», ჰალსტუხი და გულწრფელი ყურება თვალებში კლიენტისთვის — მორჩა მაგის ვალდებულებები. ეგ გაათევს ბავშვთან ღამეებს? (ესპრესოს ჩაამთავრებს და აგრძელებს)ისე, შენ გეცოდინება — ეს კონტინენტი «იუროპა» (შაყირის ტონით) რას შვება მაგ დროს ნეტა? ალბათ ასე არ უხარიათ ეს ბავშვი და რამე — არა? ჩვენ მეტი სიხარული არც ვიცით, რა არის, ბაღნის ქნევაზე ოცნებობს ყველა. — არადა, რო იმშობიარებ, კიდევ ღმერთმა უწყის, რა იქნება მერე... რა მოვისმინე დომიანთან, იცი? ხო იცი დომიანი? გერმანიაში თოქ შოუ მიჰყავს. — შენ გერმანული ხომ იცი კარგად? აბა, «იუროპას» ტყუილად ხომ არ გეძახდნენ, ...მოკლედ, ტიპი ურეკავს ამ დომიანს — შოფერი ვარო, დიდ «პერევოზკებზე» დამყავს მანქანაო. ცოლი მყავს და მაგრა გვიყვარს ერთმანეთიო. ჩემმა ცოლმა რომ ბავშვი გააჩინა,

მერე დაგვენძრაო: — რაღაც აერია ორგანიზმში და სექსი უნდა წარმოუდგენლად ხშირადო. მე რომ «პაესტკებში» მიწევს ყოფნა, ძალიან უჭირსო. ხოდა, მეზობელი გვყავს ძალიან სიმპატიური კაცი და იმას ვთხოვეთ ორივემ დახმარებაო. მოკლედ, პირველი ხანობა თითქოს გვეშველაო, მაგრამ ახლა მაინც ვერ კმაყოფილდება და რა ვქნათ, არ ვიცითო! — დომიანს ეკითხებოდა, გესმის?... წარმოგიდგენია, რა დონეა? — ეს უბრალო ხალხი როგორ წყვეტს პრობლემებს იქ, რომ ერთად იყვნენ და არ დაშორდნენ! მე რომ ეგეთი მომივიდეს რამე ბავშვის გაჩენის მერე, ხო დავიღუპე; მიშა მეზობელს კი არ გამომიწერს, კლიტეს დამადებს წელს ქვემოთ... (ხარხარებს).

მარიკო სკამის საზურგეზეა მიყუდებული, ესპრესოს ჭიქა ხელში უჭირავს და ჭერში იყურება – იქ, სადაც შავ კვადრატულ ნახვრეტში ნელა ქრება კაფეს სამზარეულოდან ამოსული თეთრი ბოლი...

მარიკო (ცოტა მელანქოლიურად და დაღლილად): გაიგე ელონ მასკი 100 კაცს რომ ამზადებს მარსზე გასაფრენად?

თიკა (ამ თემაზეც იგივე ტემპერამენტით): ვინა? ელონ მარსი? კაი რა, რას მეუბნები, არ გამაგიჟო? მარსზე რა უნდათ? იქ ჰაერიც კი არ არის... და «ვააბშჩე» რა ემართებათ, დაიშალა «იუროპა» ლამის, ეს «ტრამპა-ცუმპა» გაპრეზიდენტდა — ვერ არიან რა ჭკუაზე...

მარიკო: მთვარეზე არ არის ატმოსფერო, ჰაერი კი აქ, ჩვენ გარშემო არ არის! — მარსზე ხომ ყველაფერი თავიდან იწყება, — გესმის, რა შანსია? — ყ ვ ე ლ ა ფ ე რ ი — თ ა ვ ი დ ა ნ...

თიკა: მაგალითად, რა უნდა დაიწყოს თავიდან?

მარიკო (ცოტა გახალისებული): ნუ, წარმოიდგინე, — იქ, მარსზე გამოყვანილი კიტრი ხომ «მარსიანული კიტრია».

თინიკო: კიტრი კიტრია — არა? რა განსხვავებაა?

მარიკო (დაღლილი, ხუმრობით): კიტრი კიტრი როგორაა, თუ კიტრს აწერია «მარსიანული კიტრი»! ამდენი საუკუნე კიტრი იყო კიტრი და უცებ გაწყდა კიტრობა, გაიჩითა «მარსიანული კიტრი». ის, ხრაშუნა, საცივს და ბაჟეს მისატანებელი კიტრი მორჩა! — ეს მარსიანულია! თავისი მარსიანული საქმეებით გარშემო! (იცინის) ანუ ეს არის ის კიტრი, რაზეც მთელი ამმიწიერი კიტრობის განმავლობაში ადამიანი ოცნებობდა! ...სხვა!

თიკა (თიკას ამ ტექსტის დროს კადრი ნელა გადადის გვერდზე მდგარ მაგიდაზე): უიმე, არა შენი ჭირიმე, — თავიდან და სხვა მინდა კიდე? როგორ იყო, შენ რომ სიმღერა გევასებოდა «Should I stay or should I go» – ეგა ხარ შენ «პასტაიანნად», — ეხლა მარსი გააძრე არა? (იცინის) ბავშვი, მე მგონი, მე კი არა, შენ უნდა გააჩინო, — იქნები მერე ძაღლივით ჯაჭვზე დაბმული ეზოში და გინდა მთვარეს უყეფე და გინდა მარსს (იცინის)

თიკას უკანასკნელ სიტყვებზე კადრი უკვე გვერდზე სუფრაზეა დაფიქსირებული, სადაც ორი მოხუცი ქალი დიდ თეფშებზე რთულ და კომპლექსურ კერძს მიირთმევს ძალიან კულტურულად.

პირველი მოხუცი (დამტკბარი ტონით): ძალიან გემრიელი ბიფსტროგანოვია ნამდვილად, ხორცია ტკბილი.

მეორე მოხუცი (პასუხად): თან რაც წლები გემატება, კიდევ უფრო რომ ტკბილდება, ეგაა საოცარი...

მარიკოს სახეს ვხედავთ, რომელიც ამ მოხუცებს უყურებს დაძაბულად.

(გვიანი შუადღე)

მარიკო და თიკა რუსთაველზე მიაბიჯებენ, თან დროდადრო ნაცნობებს ესალმებიან (მარიკო ცდილობს, თიკასთან საუბრით გამოწვეული დაღლილობა არ შეიმჩნიოს). მზეა. მოძრაობა პროსპექტის ერთ მხარეს გადაკეტილია კომუნისტ/სტალინისტების მარშის გამო (წითელი დროშები და სტალინის სურათები მოაქვთ).

თიკა: ნახე, რეებს წერენ, ამათ შიგ არა აქვთ ახლა? (მიანიშნებს ბანერზე წარწერით: «ქართული მომავალი: ეროვნული კომუნიზმი, ეროვნული რელიგია, ეროვნული მომავალი.») ამათ რომ ვხედავ, ეგრევე ტაილანდელი ბერის მოცემული წინადადება მახსენდება, ხელში შემაჩეჩა, ბანგკოკში რომ ვიყავით მე და მიშა შარშან. ახლა გაჩვენებ, სულ თან დამაქვს რატომღაც. მოიცა...

გოგოები ჩერდებიან და თიკა ჩანთიდან იწყებს რაღაცების ამოლაგებას (დეზადორები, კრემები, მასკარა... და ა.შ), ბოლოს ჩანთის ფსკერზე იპოვის პატარა ქაღალდს და მარიკოს გაუწვდის. ქაღალდზე რაღაც წერია აღმოსავლურ ენაზე (სანსკრიტი). მარიკო გადმოატრიალებს ქაღალდს, სადაც ინგლისური თარგმანია: «Remember only what you can easily forget.»

მარიკო: მაჩუქე ტაილანდურ სუვენირად.

თიკა: უჰ, აბა, რა, რამდენი ხანია, მიგდია...

გოგონები აგრძელებენ სიარულს.

მარიკო (თიკას მათი მიმართულებით მომავალ ორ კაცზე მიანიშნებს): ეს, მღვდელთან ერთად რომ მოდის, ჩემი

ლექტორი იყო ფსიქოლოგიის; უზნაძის სკოლას თეოლოგიურ კონცეფციებთან აჯვარებდა. ძალიან ვნებიანი პროფესორია... (იღიმის)

ფსიქოლოგი (მღვდელთან ერთად მარიკოს და თიკას წინ ჩერდება): მარიკო, დიდი ხანია არ მინახიხარ, რას შვები, ხომ არ გათხოვდი? ბავშვი? მამაო თეოდორე, გაიცანით, მარიკოა და მისი მეგობარი... ... ...?

თიკა: თიკა.

მარიკო (იღიმის): არა, არ დავოჯახებულვარ — კაცობრიობას არ ვამრავლებ — ჯერ მხოლოდ ხალხს ვშველი...

ფსიქოლოგი («ხალასი» ხალისით): როგორ მარიკო?

მარიკო: ნემსებს ვუკეთებ, უმთავრესად მწარეს (მხიარულად იღიმება). ხომ გახსოვთ, ბაჩოს რომ ტვინი აერია აუდიტორიაში და ბოდვა დაეწყო, — მაშინ დამაწყნარებელი მე გავუკეთე. თქვენი დამსახურებაა, დღეს რომ ზუსტად ვარჩევ, სად არის ბოდვა და სად ისტერია. ასე რომ, თუ ნემსი დაგჭირდათ, თქვენც გაითვალისწინეთ სამომავლოდ.

ფსიქოლოგი (ბედნიერი ღიმილით): მამაო, მარიკო არაჩვეულებრივად სწავლობდა, ნამდვილად! მის დიპლომში: «ტრანსცენდეციის ცნების არსობრივი მახასიათებლები გერმანულ ფილოსოფიაში» — თემა ნამდვილად ახალი თვალით იყო დანახული.

მამაო სკეპტიკური მზერით უყურებს მარიკოს ჩაჩაჩულ შარვალს.

მარიკო (მამაოს): მამაო, ნუ მაცბუნებთ, ნუ მიყურებთ შარვალზე! — ერთი რამე უნდა გითხრათ და თქვენ

განსაჯეთ: — მარხვას რომ ვიცავ, ძალიან ვხდები, ყველა ძვალი მიჩანს და მერე აი, ასე მძვრება შარვალი განუწყვეტლივ. ახლის ყიდვის თავი მე არ მაქვს! მაგრამ გეფიცებით, ნიფხავს სულ ვატარებ, რომ არ შევრცხვე, — მეტი მართლა არ ვიცი, რა ვქნა... (მოკლე, შეცბუნებული სიჩუმის შემდეგ) ოფიციალურად რომ ვთხოვო ეკლესიას, ერთ ჯინსს მიწყალობებს ამდენი მარხვის გადამხდელს? მარხვის შემდეგ რომ გამოსაცვლელი მქონდეს — მოსულა?

მამაო (მკაცრად, აღშფოთებით — მიმართავს ფსიქოლოგს): ოთარ, ეს არის დამოკიდებულება, რასაც ასწავლით უნივესიტეტებში ეკლესიასთან და სიწმინდეებთან მიმართებაში? უზნაძისთვის ასეთი ფსიქოლოგიური «სისაღე» მისაღები იქნებოდა?

თიკო (დარეტიანებული): უი, გავფითრდით... — არა?

ფსიქოლოგი (კაპასად და სწრაფად — საუბრის დამთავრების მიზნით): ეს იმიტომ, რომ კიდევ ამათ გადმოყოლილში ვართ, მამაო (თითით აჩვენებს დემონსტრანტებზე) და ამიტომ ხდება ეს ყველაფერი, დრო უნდა, დრო, რომ ადამიანი და ეკლესია ერთმანეთს ბუნებრივად დუახლოვდეს. — მარიკო, თინიკო, საყვარლებო — აბა, კარგად (უღიმის მარიკოს) ჩვენ დავიძრებით.

ფსიქოლოგი და მამაო მიდიან.

(პატარა პაუზის შემდეგ)

თიკო: რას აგიჟებ?! თავისი ეყოფათ. მე მაგათ მაინც პატივს ვცემ, ზოგჯერ ეკლესიაშიც დავდივარ. ვცხოვრობ, როგორც ვახერხებ რა... ყველა ასე არ ვართ? უი, აქ ჩრდილია, მიყვარს ჩრდილი — წავედი, მარშრუტკას დაველოდები... გკოცნი...

თიკა გარბის და მარიკოს ჩრდილიდან ხელს უქნევს.

მარიკო ახლა მარტო აგრძელებს გზას, მერე ჩერდება, გაჰყურებს დემონსტრაციას. კადრში მოტივირებული, აღგზნებული სახეებია, ისმის მომიტინგეების ხმები. რა ფოტოებს არ ნახავ აქ...— სტალინი, ხო ში მინი, ჩომსკი, ჟიჟეკი...

მარიკოს გახსენება: ეროვნული ერთიანობის კლუბის შეკრება. ინტერიერი. სცენის თავზე ბანერია: «ეროვნული: ჭეშმარიტი და კეთილშობილი — ერთი შეკრული მუშტია» — სცენაზე და მაყურებლებში უმთავრესად ჩოხაში ჩაცმული ხალხია.

კადრში ჯერ კიდევ დემონსტრაციაა, როცა ესმის ხმა.

პატარა ბოშა ბიჭი: ძაან მიჭირს, მშია, ფული მომე რა? მომე რა, მომე, მაგრა მშია... მიდი, მომე რა...

ბოშა ბიჭი ტანსაცმელზე ებღაუჭება და ეღრიჭება მარიკოს.

მარიკო (იხრება, ბავშვს უყურებს ჩაშტერებით თვალებში და ძალიან აგრესიულად ეუბნება): წადი, სანამ დაგკალი და შენიანებსაც იგივე გადაეცი...

შეშინებული ბავშვი ინსტინქტურად სახეში ურტყამს მარიკოს სილას.

მარიკო (იმართება): ახლა სწორია.

მარიკო ტრიალდება და განაგრძობს გზას. ბავშვი კი კარგა ხანს დგას და უყურებს მარიკოს — გაუგებრობაში ჩავარდნილი. ვხედავთ თიკას სახესაც, რომელმაც ეს სიტუაცა დაინახა და ახლა მასაც გაოგნებული სახე აქვს.

მარიკო ქაშუეთის წინ ჯებირზე ჩამომჯდარ, შავებში ჩაცმულ ბრმა დედაბერს უახლოვდება, რომელიც

წვრილმან სასუსნავებს ყიდის და გვერდზე უჯდება.

მარიკო: გამარჯობა, — საღეჭი რეზინი მომეცით.

დედაბერი (კადრში მისი კოჟრიანი ხელია, რომელსაც ის საღეჭი რეზინებისკენ იშვერს, უკანა პლანზე კი მზით განათებული ეკლესიაა): ე, ბოლოში როა, ის «ფრუტი ჯუსია» — ყვითელი როა, ისა! მერე აქეთ «დაბლემანტი» და «ვარგლი»; «ბაბლიგამები» დღეს არა მაქვს, შვილო. ჩემი ლოცვით და ღმერთის ცხონებით ორ დღეში ალბათ მექნება (პირჯვარს იწერს) — ბალღებს ეგ უყვართ ყველაზე მეტადა.

მარიკო: «დაბლემანტს» ავიღებ (იღიმება).

დედაბერი: ეგ რა ხმაურია, ხომ ვერ მეტყვი? დღეს რომლები არიან, რა გვინდაო? (ეკითხება დემონსტრანტებზე)

მარიკო (უყურებს დემონსტრაციას, პაუზის შემდეგ): არ ვიცი... ვერ ვარჩევ მაგათ ყვირილს. აქ სამი ლარია (ფულს აწვდის).

დედაბერი: მადლობა, ღმერთმა გაცხონოს, — «ბაბლიგამს» შეგინახავ თუ გინდა, რომ მოვა. აქა ვარ სულა, ეკლესიის წინ, — მამაომ მითხრა, მადლი შეგეწევაო შენ და შენს საქონელსო!

(მარიკო ხედავს ავტობუსს და მისკენ მირბის.)

(პირველი ნაწილის დასასრული)

5. ნობელი - 2017

ჯონ ფრიმენი

კაძუო იშიგურო სიმღერის ტექსტების, შვრიის ნამცხვრისა და სხვა ცხოვრების შესახებ, რომელიც შეეძლო, ჰქონოდა

ინგლისურიდან თარგმნა მანანა მათიაშვილმა

[ჯონ ფრიმენის ეს წერილი კაძუო იშიგუროს შესახებ დაიბეჭდა 2005 წელს წიგნში, «როგორ წავიკითხოთ რომანისტები» (2012)]

«ვხედავ, დიდი არეულობა გამოიწვიე. ეს რა არის?!» – წარბაწეული დაჰყურებს კაძუო იშიგურო შვრიის ნამცხვრით სავსე ჩემს თეფშს. შუადღის ჩაის დროა კაფე Richoux-ში, ლონდონში, პიკადილის ქუჩაზე. 2005 წლის ზამთარია და ჩემი გაკვეთილი ინგლისურ მანერებსა და რიტუალებში მაინცდამაინც კარგად ვერ მიდის. იმდენი მოვახერხე, რომ ნამცეცები მაგიდაზე მის მხარესაც დავაპნიე. ირონიული გაღიზიანებით იშიგურო მორიგ ინსტრუქციას მაძლევს: – «ჯერ კრემი წაუსვი და მერე მოათავსე ზემოდან ეგ მურაბა... აი, ასე, – მეუბნება ის და შვრიის ნამცხვარს ისე რთავს, რომ ნატურმორტის მხატვარს შეშურდება. ეს ისე უნდა გააკეთო, თითქოს ახალმოსულ თოვლზე სისხლით ხატავდე». ავდექი, შვრიის კვერს ზედ დავახვავე რაღაც ინგრედიენტები და გამომივიდა ბაგელის მსგავსი ფუნთუშა. იშიგურომ შუბლი შეიჭმუხნა.

ვერ გეტყვით, იყო თუ არა იშიგუროს მხრიდან ზემოაღწერილი წუნიაობის დემონსტრირება პერფორმანსი, ერთგვარი გამბიტი ჩვენი ინტერვიუს დასაწყისში, მაგრამ, როგორც მოგვიანებით ახსენა, ეს იყო პირველი ინტერვიუ იმ 300-მდე ინტერვიუს შორის,

რომლებიც იგეგმება მთელი მსოფლიოს მასშტაბით მომავალ 2006 წელს მისი ახალი რომანის («არ გამიშვა») რეკლამირების კვალდაკვალ.

თუ მართლაც ესაა მიზეზი, მაშინ, ალბათ, არ იქნება სწორი, ბრალი დავდოთ იშიგუროს ჭირვეულობაში. გასული წლის ნოემბერში ის 50 წლის გახდა და აქამდე იმ საპრომოუტერო ჯოჯოხეთის გავლით მოვიდა, რასაც ჰქვია საავტორო ტურები. მოწიფულობის ასაკი ჯერ რომანების (ამ უკანასკნელის ჩათვლით, სულ 6 რომანი აქვს) წერაში გაატარა, მერე კი ამ რომანებზე საჯარო საუბრებში. გასაკვირი არ არის, რომ კარგად გაიწაფა ინტერვიუს მართვაში: «გინდა, მოსაუბრე ისეთ კონდიციამდე მიიყვანო, რომ ბოლომდე გაიხსნას ინტერვიუს დროს, – მეუბნება იშიგურო და ამით ერთგვარად ამჟღავნებს თავის ხელწერას ან, შეიძლება, ისეთ თამაშს თამაშობს, რომელსაც მე ვერ ვხვდები, – მაგრამ ეს ბოლომდე გახსნა იმდენად ბუნებრივად უნდა მოხდეს, რომ ლამის აღმოჩენას ჰგავდეს.»

იშიგუროს ეს განცხადება თავისუფლად შეიძლება მივუსადაგოთ მის რომანებს, რომლებიც 40 ქვეყანაში გამოიცა, ხოლო ზოგიერთი მათგანი ბესტსელერების სიაშიც მოხვდა. ბუკერის პრემიის გამო მათ შორის ყველაზე ცნობილმა «დღის ნარჩენებმა» (გამოიცა 1989 წელს. მოგვითხრობს ერთი დაჩაგრული მაჟორდომის შესახებ, რომელიც აცნობიერებს, რომ მთელი ცხოვრება შესწირა მსახურების, იმპერიის მოძველებულ იდეას) იშიგურო აქცია დღესდღეობით ინგლისურ ენაზე მომუშავე ყველაზე «მაცდუნებელ» მთხრობელად. მან მხატვრული ოსტატობის ზენიტში აიყვანა და წარმოაჩინა ის, ვისაც კრიტიკოსი და რომანისტი ჯეიმს ვუდი უწოდებს «საიმედოდ უიმედო» მთხრობელს; მის არტისტულ

პერსონაჟებს ისე კარგად გამოსდით თავის შენიღბვა, რომ მიუხედავად იმისა, რომ ვხედავთ და მათი ხმა გვესმის მთელ რომანში, რაღაცნაირად მაინც გამოუცნობ, იდუმალ პერსონაჟებად რჩებიან.

მიუხედავად იმისა, რომ სამწერლო ოსტატობამ აღიარება მოუტანა, იშიგურო აცხადებს, რომ, შესაძლოა, საფრთხეს შეიცავდეს ის ფაქტი, როდესაც მეტისმეტად კარგად გამოგდის ეს ფაქიზი ხელოვნება. «ამბის მოყოლის გარკვეული ხერხი არსებობს», – ამბობს ის სწრაფად, იმ მანერით, რომელსაც ერთხელ ბრიტანელებმა ბი-ბი-სი-ს აქცენტი უწოდეს – სამუშაო კლასის წარმომადგენელთა სწორი მეტყველება. ამას რომ ამბობს, მის თვალებს კეთილი გამომეტყველება აქვს, მაგრამ ტონი – მკაცრია, – «არის გარკვეული ფაქტურა მწერლის დახატულ სცენებში, რომელსაც ის მიეჯაჭვება ხოლმე. ასეთია ჩემთვის მოგონებების სცენები. ფრთხილად უნდა ვიყო, რომ აღარ გამოვიყენო იგივე ხერხები, რომელსაც წარსულში ვიყენებდი».

თუმცა, სწორედ ეს ფაქტურაა, რამაც მისი ნამუშევრები თავიდანვე ავტორიტეტულად წარმოაჩინა და დამაჯერებლობით დატვირთა. მისი პირველი რომანი «გორაკების ფერმკრთალი ხედი» მოთხრობილია იაპონელი ქვრივი ქალის პირით, რომელიც თავის ცხოვრებასა და ოჯახს იხსენებს და თანდათანობით იაზრებს ქალიშვილის თვითმკვლელობას. მეორე წიგნში «მოტივტივე სამყაროს არტისტი» იაპონელი კაცი ცდილობს, რამენაირად მოაგვაროს ქალიშვილის ქორწინების ამბავი და თან გამუდმებით ებრძვის საკუთარ თავს ადრე ჩადენილი დანაშაულებების გამო. რადგან ამ ორივე წიგნში მოქმედება იაპონიაში მიმდინარეობს, მათ

ხშირად მოიხსენიებენ, როგორც შენიღბულ ავტობიოგრაფიას.

ამ გაგებით, იშიგურო აღიარებს, რომ არსებობს შესაბამისობის ერთგვარი დონე: «გარკვეულწილად, «გორაკების ფერმკრთალი ხედისა» და «მოტივტივე სამყაროს მხატვრის» წერა იყო ისეთი რაღაცების შემონახვის აქტი, რაც უამისოდ ნამდვილად გაფერმკრთალდებოდა ჩემს მახსოვრობაში». თუმცა იშიგუროს არ მიაჩნია, რომ თავის რომანებში აღწერილი ამბები განზრახულად აქვს აღებული საკუთარი რეალური ცხოვრებიდან. და, ასევე უხერხულად გრძნობს თავს იმ დასკვნების გამო, რაც ზოგიერთმა კრიტიკოსმა გააკეთა მისი და მისი სამწერლო მიზნების შესახებ: «ადამიანები განუწყვეტლივ მეკითხებოდნენ, ვცდილობდი თუ არა, ხიდის ფუნქცია შემესრულებინა იაპონიის აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის. ეს მართლაც ტვირთი იყო, თანაც ამ დროს სრული თაღლითი მეგონა თავი. არ ვიყავი იმ მდგომარეობაში, რომელიც საჭიროა იმისათვის, რომ ექსპერტი იყო.»

გადაიკითხეთ რამდენიმე, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მიცემული ინტერვიუების უთვალავი რაოდენობიდან, და ადვილად მიხვდებით, რატომ შეიძლებოდა გასჩენოდა ასეთი გრძნობა მწერალს. 1954 წელს ნაგასაკიში დაბადებულმა იაპონია 5 წლის ასაკში დატოვა და ოჯახთან ერთად დამკვიდრდა სერეიში, ინგლისის ჩრდილოეთით. მამამისი, რომელიც ოკეანოგრაფი იყო, მაშინ დროებით დაასაქმა ბრიტანეთის მთავრობამ, თუმცა მის მუშაობას შემდეგში უწყვეტად აფინანსებდნენ. იშიგურო ჯერ სერეის ჰუმანიტარულ სკოლაში სწავლობდა, მერე კი კენტის უნივერსიტეტში, სადაც გაიცნო ამერიკული ლიტერატურა და ინგლისურსა

და ფილოსოფიაში აკადემიური ხარისხიც მიიღო.

1978 წელს უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ის ცოტახნით მუშაობდა სოციალურ მუშაკად, სანამ სკოლაში დაბრუნდებოდა და მაგისტრის ხარისხს მიიღებდა ისთ ანგლიის უნივერსიტეტში შემოქმედებითი წერის მიმართულებით. ეს იყო ინგლისური ვერსია აიოვას მწერალთა ვორქშოპისა. მისი ნამუშევარი ნაბეჭდი სახით პირველად გამოჩნდა 1981 წელს ფაბერის ანთოლოგიაში და მოიცავდა სამ მოთხრობას. ერთ-ერთი მათგანი თანდათან «გორაკების ფერმკრთალ ხედად» იქცა. დაახლოებით ამ დროს მან წერილი მისწერა «გრანტას» გამომცემელს ბილ ბაფორდს, რომელსაც ჟურნალი ახალი დაარსებული ჰქონდა. მან წერილში ჩადო გირვანქიანი ბანკნოტი იმ იმედით, რომ სულ თუ არაფერი, «გრანტას» ასლს მაინც მიიღებდა პასუხად. ჟურნალს იმ პერიოდში ხელმომწერები არ ჰყავდა და არც ისე ადვილი იყო მისი შოვნა. ეს ფაქტი ხანგრძლივი საქმიანი ურთიერთობის დასაწყისი აღმოჩნდა.

1983 წელს «გრანტამ» გადაწყვიტა, მოემზადებინა ახალგაზრდა ბრიტანელი მწერლების ნაწარმოებების სპეციალური გამოცემა. მწერლების სია ბრიტანეთის საბჭოს შედგენილი იყო. მასში თავმოყრილი იყო სახელები, რომელთა ერთად ხილვა ყოველთვის ნამდვილი ნიჭის ზეიმია – ჯულიან ბარნსიდან და პეტ

ბეკერიდან დაწყებული სალმან რუშდის, იან მაკიუენის, მარტინ ემისის, გრეჰემ სვიფტის და როუზ ტრემეინის ჩათვლით. იშიგურო ამ სიაში ახალგამოცემული თავისი პირველი რომანის («გორაკების ფერმკრთალი ხედი») საფუძველზე მოხვდა.

სამი წლის შემდეგ ის დაქორწინდა – ცოლად მოიყვანა გლაზგოელი ქალი, ლორნა, ხოლო 1992 წელს შეეძინა ქალიშვილი, ნაომი. 1989 წელს ინგლისში დაფუძნების შემდეგ იშიგურო პირველად ეწვია იაპონიას საავტორო ტურის გამო. «გარდიანის» ჟურნალისტს, მაია ჯაგის, ამის შესახებ 1995 წელს განუცხადა: «ძალიან ძლიერი ემოციური კავშირები მქონდა იაპონიაში, რომელსაც ჯერ კიდევ ჩამოყალიბების ასაკში მოვწყდი... მხოლოდ ბოლო დროს გავაცნობიერე, რომ არსებობს სხვა ცხოვრება, რომელიც შეიძლებოდა მქონოდა, რათა სრულყოფილ პიროვნებად შევმდგარიყავი.»

ამ დანაკარგის შეგრძნებითაა გამსჭვალული იშიგურის ახალი რომანი «არ გამიშვა», რომელიც ჯერჯერობით მის ყველაზე რადიკალურ გადახვევას წარმოადგენს სტილის თვალსაზრისით. მის ყველა სხვა წიგნში მოქმედება ადვილად საცნობ ისტორიულ კონტექსტში მიმდინარეობს, დაწყებული ჩინეთ-იაპონიის ომის დროს განადგურებული შანხაის სცენიდან რომანში «როცა ობლები გვერქვა» (2000), დამთავრებული დაშლილ-დაქუცმაცებული იმპერიის დაცემით «დღის ნარჩენებში» და მეორე მსოფლიო ომის შემდგომი სურათებით «გორაკების ფერმკრთალ ხედში». თუმცაღა, «არ გამიშვა» თითქოს ისტორიის მიღმა დგას, სადღაც 1990-იანი წლების ალტერნატიულ ინგლისში. მაშინ, როცა ფილიპ როთის წიგნში «ქარხანა ამერიკის წინააღმდეგ» მინიმალური სახეცვლილებითაა გამოყენებული ამერიკის პოლიტიკური ისტორია, როგორც

მისი საფუძველი, რომანში «არ გამიშვა» შეცვლილია მთავარი დეტალი მეცნიერების სამყაროსთვის. მასში წარმოდგენილია გამოგონილი სამყარო, სადაც აღმოჩნდება, რომ გენური ინჟინერია (და არა ბირთვული ტექნოლოგია) არის მე-20 საუკუნის მეცნიერების განმსაზღვრელი.

ძნელია იმის თქმა, თუ მაინც რა სახის წიგნს ქმნის ასეთი სტილი. მიუხედავად იმისა, რომ ამბავი ფუტურისტული ხასიათისაა, «არ გამიშვა» თავისუფალია ყოველგვარი გაჯეტებისგან და ტექნოლოგიებისგან, რითაც სავსეა სამეცნიერო ფანტასტიკის დიდი ნაწილი. რომანი არსებობს პარალელურ სამყაროში, როლის კონტურებიც უფრო უნდა ვივარაუდოთ, ვიდრე დავინახოთ. «საი-ფაი»-ს შესახებ იშიგურო ამბობს: «როცა მხატვრულ ნაწარმოებს ვწერ, სულ არ ვფიქრობ ჟანრის ტერმინებით. ვწერ სრულიად სხვანაირად. წერა იწყება იდეებით».

მიუხედავად იმისა, რომ «არ გამიშვა» იშიგუროს მისთვის ჩვეული საზღვრების მიღმა უშვებს, თვითონ წიგნი მახსოვრობის იმავე თემატურ ტერიტორიებზე მოძრაობს, როგორც მისი სხვა წიგნები. ამბის ერთ-ერთ საკვანძო მომენტში იშიგუროს პროტოტიპი, ქეითი ჰ იხსენებს ბავშვობას, როცა ინგლისურ საგარეუბნო სკოლა-ინტერნატ «ჰაილშამში» დადიოდა. იმის მაგივრად, რომ დაინტერესდეს იმ სტუდენტებით, რომლებიც ცნობილი პოლიტიკოსები და საზოგადოებრივ საქმეთა ექსპერტები გახდნენ, თანაკლასელების ქეითისეული პანთეონი ხსოვნას ინახავს მხოლოდ «მზრუნველებისა» და «დონორების» შესახებ.

გარკვეული დროა საჭირო, რომ მიხვდე, ეს რას ნიშნავს. ერთი რამ კი იმთავითვე ცხადია: 31 წლის ასაკში ქეითის

ცოტა დრო რჩება სიკვდილამდე და მისი ამბის მოყოლა არის გზა, მისი შემოკლებული სიცოცხლის ყველა უმცირესი კრიზისისა და რეპრეზენტაცის არსში ჩასაწვდომად: «როგორც ჩანს, ეს წარმატებული მეტაფორა აღმოჩნდა იმის აღსანიშნავად, თუ როგორ ვცხოვრობთ ჩვენ, ყველანი», – ამბობს იშიგურო და მისი ეს ნათქვამი გვახსენებს უილიამ გოლდინგის ასევე თითქოს სხვა სამყაროზე დაწერილ რომანს «ბუზთა ბატონი» – «ამ მხატვრული ხერხით მე, უბრალოდ, შევკვეცე სასიცოცხლო დროის ხანგრძლივობა. ჩვეულებრივ, ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა 60-85 წელია; ამ წიგნის პერსონაჟებმა კი ხელოვნურად შეამცირეს დროის ეს მონაკვეთი. ფაქტი ისაა, რომ მათ წინაშეც ზუსტად ის პრობლემებია, რაც თითოეული ჩვენგანის ცხოვრებაში.

შეუსაბამობა იმ საშინელებებს შორის, რაც ერთი მხრივ, იშიგუროს მზრუნველ და დონორ პერსონაჟებს ელის ტანჯვის სახით, მეორე მხრივ კი წარმოადგენს ყოველდღიური საზრუნავისთვის დამახასიათებელ ზედაპირულობას, რასაც ქეითი აღწერს უკან მიხედვისას, თავის ახალგაზრდობაში მოგზაურობისას, რომანს შემზარავ მახვილგონიერებას სძენს. როგორც ქეითი იხსენებს, მისი მეგობრები ჰორმონ-დამოკიდებულები და სექსზე გადაგებულები რომ იყვნენ და მაგარი გოგოობისკენ ილტვოდნენ, მუსიკას რომ ვოქმენებით უსმენდნენ და ვრცელი განაზრებები ჰქონდათ მასწავლებლებზე, იყვნენ ტიპური თინეიჯერები, მაგრამ სკოლა მაინც სასათბურე პირობებში ამყოფებდა და იცავდა მათ სწორედ იმისგან, რაც გარესამყაროში ელოდათ. მხოლოდ ქეითის, მის მეგობარ ტომის და ტომის მეგობარ გოგოს, რუთის, აღმოაჩნდათ ინტელექტუალური ცნობისმოყვარეობა, განესაზღვრათ მათი მომავლის

პარამეტრები. «არ გამიშვა» თანმიმდევრულად გვიყვება ამბავს იმაზე, თუ როგორ დაიშალა მათი კავშირები ამ გაცნობიერების პროცესში. ამ რომანის კონსტრუქციამ იშიგუროს საშუალება მისცა, გამოეკვლია ბნელით მოცული საკითხი იმის შესახებ, თუ «რა მოხდება სინამდვილეში, თუ გეცოდინება, რა გელის». იშიგურო ჰყვება სიკვდილზე, რომელიც მისი პერსონაჟებისთვის გარდაუვალია. «რას ეჭიდები ამ დროს? რისი გამოსწორება გინდა სიკვდილამდე? რას ნანობ? რა განიჭებს შვებას? რისი გაკეთება გინდა?» დაბოლოს, ასევე, საკითხავია ისიც, თუ რას ნიშნავს შენთვის მთელი ეს განათლება და კულტურა, თუ მაინც გაღმა გასვლას აპირებ?

რომანის სათაური აღებულია ჯეი ლივინგსტონის ჯაზ-სტანდარტიდან და მეორდება მთელ წიგნში, როცა ქეითი იხსენებს ტომისთან მეგობრობა-სიყვარულს. თავიდან იშიგურომ ამ რომანის წერა რომ დაიწყო, მოქმედება 1950-იანი წლების ამერიკაში ხდებოდა და აღწერდა ბარის მომღერლებს, რომლებიც ბროდვეიზე გამოჩენას ცდილობდნენ. «წიგნი უნდა ყოფილიყო მათ სამყაროზე და თან ამ სამყაროს სიმღერებს დამსგავსებოდა, – ამბობს იშიგურო, – მაგრამ ერთხელ სადილად მეგობარი მეწვია და მკითხა, რას ვწერდი. მე არ მინდოდა, მეთქვა, რას ვწერდი, რადგან არ მიყვარს ხოლმე. ამიტომ ზუსტად ორი წინადადებით ვუთხარი ჩემი ერთ-ერთი სხვა ჩანაფიქრის შესახებ: შეიძლება, ეს წიგნი კლონირებაზე დავწერო-მეთქი.»

ერთი წლის შემდეგ იშიგურომ შეწყვიტა «არასდროს გამიშვა»-ს თავდაპირველი ვარიანტის წერა და იმ წიგნის დახვეწას მიუბრუნდა, რომელიც ახლახან გამოიცა იმავე სათაურით.

რადგან ამის შესახებ უკვე მოყოლილი აქვს, ალბათ, აღარ მიუბრუნდება წიგნის იმ თავდაპირველ ვერსიას, რომელსაც ჯაზის თემაზე წერდა. გარკვეულწილად, მან ეს უკვე გამოიარა: სწორედ სიმღერის ტექსტებს წერდა, როცა ლიტერატურაში მოსინჯა ძალები. როცა კუთხეში მიიმწყვდევ და იმ სტუდენტური წლების გახსენებას სთხოვ, გიტარაზე შესრულებული ბალადებით გოგოებს რომ ეარშიყებოდა, საუბარი ისევ წერაზე გადააქვს: – «ისეთ რამეებზე წერ, რაც გამოგიცდია. სწორედ ასე იყო, როცა სიმღერის ტექსტებს ვწერდი». იშიგუროს თავისი მუსიკოსობით ქვეყანა არ შემოუვლია, მაგრამ თავისი თინეიჯერული ბრაზი კი კარგად ჩააცხრო. ის დღესაც უკრავს პიანინოზე განტვირთვის მიზნით, ხოლო თავის ბელეტრისტიკას კიდევ ერთი შემოქმედებითი გარდასახვა მოუძებნა.

მას შემდეგ, რაც «დღის ნარჩენები» ფილმად გადაიღეს (სცენარის ავტორია ბუკერის პრემიის ახალგაზრდა გამარჯვებული რუთ პრაუერ ჯჰაბვალა), იშიგურო აქტიურად ჩაება კინოინდუსტრიაში. 2003 წელს მისი სცენარის მიხედვით გადაიღეს ფილმი «მსოფლიოში ყველაზე სევდიანი მუსიკა» იზაბელა როსელინის მონაწილეობით. 2005 წელს კი გამოვიდა ფილმი «თეთრი გრაფინია», რომელშიც გადაიღეს რალფ ფაინსი და ვანესა რედგრეივი. იყო სხვა ფილმებიც.

ფილმებისადმი იშიგუროს ინტერესით თუ ვიმსჯელებთ (აღიარებს, რომ სახლში თეატრი აქვს გახსნილი და გეგმავს ფილმის ბიბლიოთეკის აგებას), ალბათ, მომდევნო წლები მეტ ფილმს მოიტანს მის ნაწარმოებებთან ერთად, რომლებსაც ახლა წერს. მათ შორის იქნება ერთი ახალი რომანი და მოთხრობების კრებული, მაგრამ ამ ყველაფერზე ის, ჩვეულებრივ, ძუნწად საუბრობს. კარგი

ცხოვრება აქვს – ეს მან იცის, მაგრამ საფრთხე, რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა მისი ოჯახის იაპონიაში დაბრუნებას, მისთვის მუდამ აქტუალურია. ყოველი ახალი დღის შემდეგ იშიგურომ იცის, რომ წინ აქვს შემდეგი. აი, რატომ წერს და წერს, წარმოსახავს ადამიანებს სხვადასხვა სამყაროებში, რომლებიც სულაც არაა მისთვის ახლობელი. ეს ის ადამიანები არიან, რომლებმაც გამოუყენებელ შანსებთან პერსონალური მშვიდობა უნდა დაამყარონ და დაემშვიდობონ თავთავიანთ წარსულს.

თებერვალი, 2005

6. მწერლის ცხოვრება

ამბროსი გრიშიკაშვილი

ფობიებით გატანჯული მწერალი – ბოლესლავ პრუსი

მთელი შეგნებული სიცოცხლე მეორე დიდსა და გამორჩეულ პოლონელ მწერალს, ჰენრიკ სენკევიჩს ეტოლებოდა, ექიშპებოდა, ეპაექრებოდა. საოცრად გაორებული ადამიანი იყო, ხშირად ვარდებოდა პანიკაში, მრავალი სახის ფობია სტანჯავდა. ამის გათვალისწინებით, თუ კარგად დავაკვირდებით, ალექსანდრე გლოვაცკის (ბოლესლავ პრუსს) მრავალ ნაწარმოებში აქვს საკუთარი თავი ასახული. თავადაც აცნობიერებდა ამ ყოველივეს და ცდილობდა საკუთარი პრობლემების დამალვას...

შემთხვევით როდი წერს ზოგიერთი მისი ბიოგრაფი (მაგალითად, მ. პიატკოვსკა, წიგნში «პრუსი. ბიოგრაფიული ძიებანი»), რომ მისი ცხოვრება ბავშვობაში დაიწყო და ბავშვობაშივე დასრულდაო. ბიოგრაფიული რომანის ავტორს ამის დაწერის უფლება მისცა პრუსის ლიტერატურული შემოქმედების, მისი ფელეტონების, ოჯახთან, ნათესავებთან მდიდარი კორესპონდენციის ანალიზმა, რომლებშიც მწერალი ბავშვების თემას, მათზე ძალადობას ინტენსიურად უტრიალებს. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ბიოგრაფის დასკვნა, რომლის მიხედვითაც სიცილი და ხუმრობა მწერლის შემოქმედებაში შიშის მიმართ აღძრული რეაქცია იყო.

სინამდვილეში მწერლის აი, როგორი პორტრეტი იკვეთება:

პრუსის მოკლე ბიოგრაფია

ბოლესლავ პრუსი (პოლ. Bolesław Prus) 170 წლის წინ, 1847 წლის 20 აგვისტოს დაიბადა და 1912 წლის 19 მაისს გარდაიცვალა. მისი ნამდვილი სახელი და გვარია ალექსანდრე გლოვაცკი. პრუსი პოლონური ლიტერატურის

გამოჩენილი ფიგურა, მსოფლიო ლიტერატურის კლასიკოსი იყო.

მომავალი მწერლის ცხოვრება დაბადებისთანავე საიდუმლოებითაა მოცული. ალექსანდრე სამყაროს მშობლიურ, მამაპაპეულ მამულში, ჟაბჩეში არ მოვლენია. ის ჰრუბიშოვაში დაიბადა. მამამისი ანტონი გლოვაცკი დიდხანს, თითქმის 4 თვე აყოვნებდა სიყრმის ვაჟიშვილის მონახულებას. ამიტომ საფუძველი აქვს მომდევნო ხანებში გავრცელებულ მითქმა-მოთქმასა და დაეჭვებას – ნამდვილად ანტონი იყო ალექსანდრეს მამა?

ამ ეჭვებს ზურგს უმაგრებს ისიც, რომ ალექსანდრე გლოვაცკის მშობლების ურთიერთობაზე ძალზე მცირე რამაა ცნობილი. მათ, მომავალი მწერლის გარდა, ეყოლათ კიდევ ორი შვილი – ალექსანდრეზე 13 წლით უფროსი ლეონი და უმცროსი და – ბრიგიდა. ეს უკანასკნელი ადრეულ ასაკში გარდაიცვალა.

როგორც ირკვევა, ალექსანდრეს მშობლების ურთიერთობა საკმაოდ დაძაბული იყო.

ანტონი, ალექსანდრეს მამა, პრაქტიკულ, სამეურნეო საქმეებში უმწეო, ამასთან საკმაოდ ზარმაცი იყო. არავინ არ იცის, ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტების მიზეზი რა ხდებოდა, მაგრამ ფაქტია, რომ ალექსანდრეს დაბადების შემდეგ დედამისი, აპოლონია, ქმრის სახლში აღარ დაბრუნებულა. ის თავდაპირველად მშობლებთან წავიდა, ხოლო იქიდან დასთან გადავიდა საცხოვრებლად. ალექსანდრე თან წაიყვანა, ხოლო უფროსი – ლეონი მამას დაუტოვა.

15 წლისაც არ იყო ალექსანდრე, როდესაც 1863 წლის რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ მიმართულ პოლონურ

აჯანყებას შეუერთდა. მალე მას ბრძოლაში მძიმედ დაჭრიან, ხოლო აჯანყების ჩაქრობის შემდეგ დააპატიმრებენ აჯანყებაში მონაწილეობისათვის. სწორედ ამ ადრეულ გამოცდილებებს შეიძლება გამოეწვია მასში აგორაფობია, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე სდევდა მწერალს. ადრეული გამოცდილების დამსახურებაა ისიც, რომ პრუსმა უარი თქვა თავისი სამშობლოს დამოუკიდებლობის ძალით დაბრუნებაზე.

1872 წელს, 25 წლის ასაკში, ალ. გლოვაცკი პოლონეთის დედაქალაქში დასახლდა. აქ იგი ჟურნალისტურ საქმიანობას იწყებს, რომელმაც მთელი 40 წელიწადი გასტანა. მისი ჟურნალისტური მოღვაწეობის მიზანი გახდა პოლონელ ხალხში მეცნიერების, ტექნოლოგიის, განათლების, ეკონომიკისა და კულტურის განვითარებისათვის ხელის შეწყობა. სწორედ ამ გზით ცდილობდა მისი სამშობლო რუსული, პრუსიული და ავსტრიული გავლენისაგან დახსნას.

ალ. გლოვაცკიმ ფსევდონიმად, პრუსი, ოჯახის პოლონური ტიტული გამოიყენა.

თავიდან ის მოკლე-მოკლე მოთხრობებს წერდა. ამ საქმეში არნახული წარმატების შემდეგ იგი უფრო დიდ და სერიოზულ სამუშაოს შეეჭიდა. 1884 წლიდან 11 წელიწადში მან ოთხი მთავარი რომანი: «საგუშაგო», «თოჯინა», «ახალი ქალი» და «ფარაონი» დაწერა.

«თოჯინა» ასახავს თავისი ქვეყნის ასეთი ჩამორჩენით იმედგაცრუებული კაცის რომანტიკულ, ბრმა სიყვარულს. სენკევიჩისაგან განსხვავებით, რომელიც ძირითად ისტორიულ ნაწარმოებებს წერდა, «ფარაონი» პრუსის ერთადერთი ისტორიული რომანია. ის პოლიტიკური ძალისა და ერთა ბედისწერის ნარკვევია, რომელიც

ასახავს ძველი ეგვიპტის მეოცე დინასტიის დასასრულსა და ახალი სამეფოს დასაწყისს.

ანტონია ჭლექით გარდაიცვალა, როდესაც ალექსანდრეს 3 წელიც არ შესრულებოდა. ბავშვის აღზრდას ბებია შეუდგა. დედაბერი მაშინ ჯერ კიდევ მუშაობდა თავადების, ჩარტორისკების სასახლეში დაფუძნებულ საქველმოქმედო დაწესებულებაში, პულავაში. ამიტომ საკმარისი დრო არ რჩებოდა შვილიშვილის მისახედად. ამასთან, ძალზე ნერვიულიც იყო და ბიჭის სულ მცირედი დანაშაული მის განრისხებას იწვევდა. ბებია პატარა ალექსანდრეს არამხოლოდ ეჩხუბებოდა, არამედ ხშირად სცემდა კიდეც.

როდესაც ალექსანდრეს სკოლაში სიარულის დრო მოუვიდა, ბებიამისმა გადაწყვიტა, რომ დრო იყო მისი აღზრდა მამაკაცს ეთავა. ამიტომ ბიჭი მან ბიძებს, კლემენს და დომინიკე ოლშევსკებს ლუბლინში გაუგზავნა. შვიდი წლის ბავშვმა დატოვა ბებიის სახლი, სადაც მასზე არცთუ ისე კარგი წარმოდგენისა იყვნენ.

ახალ საცხოვრებელ სახლში ბიჭი იმ წესებსა და ატმოსფეროს უნდა შეგუებოდა, რომელიც იქ იყო გაბატონებული. აქ ბიჭს არ შეეძლო უფროსების ოთახებში შესულიყო, მათთვის უნდა უსიტყვოდ ყველაფერი დაეჯერებინა და კარგად ესწავლა. დიდად არ მოსწონდა ეს, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა. ამას ის გარემოება

ემატებოდა, რომ ბიჭი მამასავით საკმაოდ მოუხერხებელი, არაპრაქტიკული იყო, ხშირად ემსხვრეოდა რაღაც, არც ამ სახლის შესაფერისი მანერებით გამოირჩეოდა. მალე ალექსანდრე ვერც შემდგომ კლასში გადავიდა, რის გამოც ბიძებმა სულ შეიძულეს. ვერც იმან უშველა, რომ მალე ბავშვმა სწავლას მოუმატა. როდესაც 1861 წელს ბიძა კლემენსი სამსახურებრივი მოვალეობის შესასრულებლად ლუბარტოვოში გადაიყვანეს, სადაც მან ფოსტის ექსპედიტორად დაიწყო მუშაობა, ოლშევსკებმა საბოლოოდ გადაწყვიტეს უკვე 14 წლის ალექსანდრე თავიდან მოეშორებინათ. ამიტომ ის ღვიძლ ძმას, ლეონს გაუგზავნეს. ეს უკანასკნელი ამ დრო გიმნაზიის მასწავლებლად მუშაობდა. ბიჭი და ახალგაზრდა მამაკაცი ერთმანეთისათვის სრულიად უცხონი იყვნენ. ამიტომ გასაკვირი როდია, რომ როდესაც 1863 წლის იანვარში პოლონეთში აჯანყებამ იფეთქა, ლეონმა საკმარისი ყურადღება ვერ მიაქცია ძმას, რომელმაც ამით ისარგებლა და აჯანყებას შეუერთდა. ხალხის ეს გამოსვლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ იყო მიმართული.

16 წლის შესრულებიდან ცოტა ხანში ალექსანდრეს ბრძოლაში მძიმედ დაჭრიან, ხოლო ხუთი თვის შემდეგ კი დააპატიმრებენ აჯანყებაში მონაწილეობის მიღებისათვის. სასტიკი დასჯისაგან მწერალი იხსნა მცირე ასაკმა, მაგრამ შიში და ფრონტის საშინელი სურათები მის მეხსიერებაში სამუდამოდ შემორჩა. სწორედ ამ ადრეულ გამოცდილებებს შეიძლება გამოეწვია მასში აგორაფობია, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე სდევდა მწერალს. ადრეული გამოცდილებების დამსახურებაა ისიც, რომ პრუსმა უარი თქვა პოლონეთის დამოუკიდებლობის ძალით დაბრუნებაზე.

ამ პერიოდში ლეონი ვილნიუსში წავიდა, როგორც აჯანყების მეთაურთა საიდუმლო წარმომადგენელი. დღემდე უცნობია, თუ რაში მდგომარეობდა მისი საიდუმლო მისია, მაგრამ უკან ფსიქიკურად განადგურებული დაბრუნდა. სრულიად დაკარგული ჰქონდა რეალობასთან კავშირი.

ის-ის იყო, ალექსანდრეს ჭრილობები შეუხორცდა და ცოტა მოსულიერდა, რომ ის ხელისუფლებამ გაიხსენა და, როგორც აჯანყების მონაწილე, რამდენიმე თვით ციხეში გამოკეტა. ციხიდან გამოსულმა მწერალმა ლუბლინის ლიცეუმი დასრულება და სადგურზე დასახლება გადაწყვიტა.

ალექსანდრეს სკოლაში ძალიან უყვარდა მათემატიკა. იმდენად, რომ გადაწყვეტილი ჰქონდა ვარშავის მთავარ სკოლაში განეგრძო სწავლა. ისეთი ინჟინერი სურდა გამოსულიყო, რომ თავისი აღმოჩენებითა და გამოგონებებით პროგრესისათვის შეეწყო ხელი. ეკონომიკურ სიდუხჭირეს არ უშინდებოდა, მისთვის ხომ დახმარების ხელი არავის გაუწვდია. პურს არსებობისას შემთხვევითი სამუშაოებით, რეპეტიტორობით გამოიმუშავებდა. თუმცა ამგვარი შემოსავალი ყოველთვის არა ჰქონდა და ფულს ზოგჯერ სესხულობდა კიდეც. თუმცა ისეც ხდებოდა, რომ როდესაც ფული ჰქონდა, ამხანაგებს პატიჟებდა და ალკოჰოლურ სასმელებს ყიდულობდა. სურდა, ბევრი მეგობარი ჰყოლოდა. ამ უკანასკნელთა აზრით, ალექსანდრე არ იყო ისეთი კარგი შესახედი, რომ ქალებში დიდი წარმატებით ესარგებლა, ვერც მაინცდამაინც გემოვნებით იცვამდა: გამუდმებით გაუწმენდი ფეხსაცმელით, ძველი პლაშჩით დადიოდა. ჩაცმითაც კი ძალზე არაპრაქტიკული ახალგაზრდის შთაბეჭდილებას ტოვებდა. ვერც ჰიგიენის თვალსაზრისით

მოიწონებდა თავს. თუმცა ამ ხანებში ალექსანდრეს არცთუ ისე ცოტა სასიყვარულო თავგადასავალი გადახდენია. მაგალითად, ერთ წერილში თავისი ახლობელი ქალიშვილისადმი სწერს, რომ «მიატოვა ლამაზი, შავთვალა გოგო...», რომელიც, როგორც შემდგომ გამოირკვა, ორსულად იყო. ამ სახის სცენა, კაცისაგან მიტოვებული ბავშვიანი ქალი მის ნაწარმოებებში ხშირად იჩენს თავს. ხშირად თვითმკვლელობაზეც ფიქრობდა, დეპრესია შეეჩვია, რომელიც მრავალ თვეს გრძელდებოდა». – მეგობრებისადმი მიწერილ მის წერილებში ალექსანდრეს ასეთი სახე იხატება. ეს ჩანს ასევე მწერლის 1868 წლის ჩანაწერებშიც.

თითქოს ქმარი და თან არც ქმარი

1869 წლის გაზაფხულზე ალექსანდრე თავის დღიურში ჩაწერს: «სამუშაო, ვალდებულებები, ოჯახი, სამშობლო, – აი, ის მთავარი, რაც ჩვენ არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს». მას კარგად ესმოდა, რომ მასში მკვიდრად დაბუდებულიყო მძიმე სენი, იქნებ ის ავადმყოფობა, რომელმაც მის ძმას საღი განსჯის უნარი წაართვა. რომ არის რაღაც მასში, რაც უძნელებს გარე სამყაროსთან, ადამიანებთან ურთიერთობას, ძალას ართმევს და ბორკავს.

ამიტომ გადაწყვიტა ისეთად გახდომა, როგორის დანახვაც მისი სახით სხვებს სურდათ. ამისათვის კი საჭირო იყო საკუთარი ნამდვილი, ჭეშმარიტი სახის დამალვა, დაფარვა. სწორედ ამ პერიოდს ეკუთვნის ალექსანდრეს შემდეგი ჩანაწერი დღიურში: «ყველაფერი უნდა გავაკეთო იმისათვის, რომ ხალხმა ჩემი ჭეშმარიტი სახე ვერ შეიცნოს». ამიერიდან ალექსანდრე გლოვაცკის ნაცვლად ასპარეზზე გამოდის ბოლესლავ პრუსი (როგორც ზემოთაც

აღვნიშნეთ, მან ფსევდონიმად, პრუსი, ოჯახის პოლონური ტიტული გამოიყენა). ეს მხოლოდ სახელის და გვარის მექანიკური ცვლილება როდი იყო. ამიერიდან მხიარული და უზრუნველი ჟურნალისტი, შემდგომში მწერალი, ალექსანდრე გლოვაცკი, რომლის ცხოვრებაც ნათელი და მარტივი უნდა ყოფილიყო, ჩრდილში გადგა. თავისი ნამდვილი არსი და მასთან დაკავშირებული ყველა საიდუმლო მან მხოლოდ საკუთარი თავისთვის და უახლოესი ადამიანებისათვის გადამალა.

წლების შემდეგ ის ხშირად იხსენებდა თავის ბიძაშვილს, ოქტავია ტრემბინსკას, რომელთანაც, სხვათაშორის, ბავშვობის საკმაოდ სამარცხვინო მოგონებები აკავშირებდა. ისინი 14 წლისები იყვნენ, როდესაც ტყეში წავიდნენ. უცებ გოგონამ ყვირილი დაიწყო, კაბის ქვეშ ჭიანჭველები შემიძვრნენო. ბიჭი მის დასახმარებლად გაეშურა. მოგვიანებით ქალიშვილის მშობლები მას გოგონას გაუპატიურების მცდელობაში დაადანაშაულებენ. თუმცა ამ ბრალდებამ ვერ აიძულა მწერალი, ბიძაშვილი დაევიწყებინა. და თუმცა პირველი მცდელობა ქალის მშობლების მხრიდან უგულვებელყოფილი იქნა (ოქტავიას მშობლები ხელმოკლედ ცხოვრობდნენ და ქალიშვილისათვის შეძლებულ საქმროს ეძებდნენ), შემდგომში თავად ქალის მხრიდან გამოჩენილი დაინტერესების გამო მოხდა მათი შეხვედრა. ოქტავიასთან ქორწინება 1875 წლის 14 იანვარს მოხდა. მეუღლე ბოლესლავისათვის ყველა საქმის მესაიდუმლე გახდა. მწერალი ხშირად ხუმრობდა ხოლმე და მეუღლეს ჟანდარმს ან «ნაჩალნიკს» უწოდებდა. ოქტავიას ამოცნობა შეიძლება პრუსის ნაწარმოებში, «თაფლობის თვე», სადაც პრუსი თავის ქორწინებას მძიმე, მტკივნეულ გამოცდას უწოდებს. როდესაც მწერალი პირველად წავიდა

ზაკოპანეში დასასვენებელად, მეუღლე მას თან არ წაუყვანია.

ვარშავაში ბევრს ჭორაობდნენ პრუსის უცნაურობაზე. მეგობრები იხსენებდნენ, რომ როდესაც ერთ საღამოს ცოლ-ქმარი რესტორანში სავახშმოდ დასხდა და მათ გემრიელი კერძი მიართვეს, მწერალმა მეუღლეს ასე მიმართა: «მიირთვი, გლოვაცკა, პრუსი იხდის». იმასაც ამბობდნენ, რომ მეუღლესთან ბარათების საშუალებით ურთიერთობს, რომელსაც მათი მოსამსახურე გადასცემსო. ამ ჭორში არის სიმართლის მარცვალი – ალექსანდრე ახლად ნაყიდი საბეჭდი მანქანით ისე იყო აღფრთოვანებული, რომ ყოველდღე ბეჭდვაში ვარჯიშობდა. და მართლაც ხუმრობით სწერდა ცოლს ბარათებს. არამხოლოდ ცოლს – საკუთარ თავსაც სწერდა ამგვარ ბარათებს, რომლებსაც ასე ასათაურებდა: «საყვარელო ბიჭო» და საკუთარ თავს, როგორც 6 წლის ბიჭს, ისე მიმართავდა.

დიდებაზე ოცნება

პირველი წერილების, ნოველების და მოთხრობების წერა ალექსანდრემ 25 წლის ასაკში დაიწყო. თავდაპირველად სხვა ფსევდონიმით, შემდგომ, როგორც ბოლესლავ პრუსმა. დადებითი რეცენზია მისთვის ძალზე მნიშვნელოვანი იყო, ხოლო ყოველ კრიტიკულ წერილს, როგორც სახეში სილის გაწვნას, ისე აღიქვამდა. ამის შემდეგ ძლივს მოდიოდა გონს. როდესაც სამწერლო ასპარეზზე ჰენრიკ სენკევიჩი გამოჩნდა, ამ ორ მწერალს შორის მკითხველთა შორის პოპულარობისათვის, შექებისათვის ნამდვილი ომი გაჩაღდა. პრუსს სენკევიჩის დანახვაც კი უჭირდა. მით უმეტეს, სენკევიჩს ის ყველაფერი ჰქონდა, რაც ალექსანდრეს აკლდა: მომხიბლაობა, წარმატებები, ის

ახალგაზრდობის სული და გული იყო. სენკევიჩმა პოპულარობა, უპირველეს ყოვლისა, «ამერიკიდან გამოგზავნილი წერილებით» მოიპოვა, სადაც მსახიობთა ჯგუფთან ერთად საკმაოდ დიდი ხნით იმოგზაურა.

ამ დროის განმავლობაში პრუსს ვარშავის გარეთ ცხვირიც არ გაუყვია. ასაკთან ერთად მას აგორაფობია დაემართა, ხალხში გასვლა უჭირდა. ამას სიმაღლის მიმართ და მატარებლით მოგზაურობის შიშიც დაემატა. უკვე თითქმის აღარავის სტუმრობდა, არავის უმხელდა, თუ როგორ უჭირდა სართულებზე კიბეებით ასვლა. მეგობრები, ზოგჯერ რედაქციის თანამშრომლები, ხშირად ეხმარებოდნენ ქუჩის გადაკვეთაში ან ხიდზე გადასვლაში. მისი ოპონენტები დაუფარავად ამხელდნენ მის უცნაურობებსა და ფსიქიკურ პრობლემებს. პრუსს რცხვენოდა ასეთი სისუსტეების გამხელა. ხშირად ისიც კი აშინებდა, რომ შესაძლოა ცხოვრება ფსიქიურ საავადმყოფოში დაესრულებინა. როდესაც ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა ვენაში ლიტერატორთა საერთაშორისო კონგრესზე წასვლა, დიდმა შიშმა შეიპყრო და მთელი იქ ყოფნის განმავლობაში სასტუმროს ოთახიდან არ გამოსულა.

მხოლოდ ერთხელ გადაწყვიტა წასვლა გრძელ, რამდენიმეთვიან მოგზაურობაში ბერლინზე, დრეზდენში, კარლსბადსა და რაპელსვირში, სადაც მას მეორე დიდი პოლონელი მწერალი ჟერომსკი ელოდა ოჯახით. ალექსანდრემ ეს მოგზაურობა ისე ცუდად გადაიტანა, რომ ნეოროქირურგთან სამკურნალოდ სიარული დასჭირდა. მწერალი თავდაპირველად მთელი ორი კვირა ოთახიდან არ გამოდიოდა და მხოლოდ ნაცნობი ნეოროლოგისა და ფსიქიატრის დახმარებით დადგა ფეხზე.

მწერლის ცხოვრებასა და შემოქმედებით კარიერაში ყველაზე საინტერესო პერიოდი 1887 წლიდან იწყება, როდესაც პოპულარულმა ჟურნალმა «ყოველდღიურმა კურიერმა» მისი რომანის, «თოჯინას» ნაწყვეტები დაბეჭდა. მთელი პოლონეთი მოიხიბლა მისი შემოქმედებით. მკითხველები ნაწარმოების მთავარი მოქმედი პირის, ვოკულსკის ბედზე წუხდნენ, ხოლო რეცენზენტებს ვერ გაეგოთ, თუ რატომ შეუყვარდა მას ასეთი ავი და ბოროტი ქალი. ბევრიც ირონიულად იღიმებოდა, არ ესმოდათ, თუ როგორ შეიძლებოდა, ასეთი დიდი მეწარმე, იშვიათად მამაცი მამაკაცი აბრეშუმივით გამხდარიყო ამ უვარგისი ქალის ხელში. მათ უჭირდათ გმირის რთული, გაორებული ბუნების გაგება. არადა, ალექსანდრემ მასში საკუთარი თავი, საკუთარი გაორებული პიროვნება დამალა.

სწორედ «თოჯინას» წყალობით გაუტოლდა პრუსი როგორც მნიშვნელობით, ისე პოპულარობით სენკევიჩს. «თოჯინას» მალე სხვა ახალი ნაწარმოებები მიაყოლა – «ახალი ქალი», შემდეგ თავისი შემოქმედების გვირგვინი – «ფარაონი». ამის მერე მხატვრული შემოქმედების სფეროში თითქის არაფერი ღირებული აღარ შეუქმნია. საამისოდ არც ენთუზიაზმი შემორჩენოდა და არც ფანტაზია. რაიმე მნიშვნელოვან თემაზე გონების ღრმა კონცენტრირება უკვე უჭირდა.

ვკვდები, ლიალია

წელში მოხრილი, ისე ხელებაწეული, თითქოს თავი მათში უნდა ჩარგოსო – ასე გამოიყურებოდა ვარშავის მეისტორიე, მემატიანე ბოლესლავ პრუსი, როდესაც ის ქალაქში დადიოდა. უკიდურესად უჭირდა ვინმესთან ურთიერთობა, უაღრესად თავისთავში ჩაკეტილი ადამიანი იყო. ამასთანავე, პარადოქსია, მაგრამ რედაქციის

თანამშრომლებთან ძალზე ხშირი ურთიერთობა ჰქონდა, იმაში სურდა დარწმუნება, კიდევ უყვარდათ ის თუ არა. ძლიერი ემოციები, რომელსაც ის გამუდმებით განიცდიდა, შინაგანი კონფლიქტი და მომავლისადმი შიში თავის ნოველებსა და რომანებში გადაჰქონდა. ხშირად წერდა ბავშვებზე, მათთან ფაქიზი მოპყრობის შესახებ, დიდი წინააღმდეგი იყო ბავშვების მკაცრი დატუქსვის, მით უფრო ცემის. მას ხომ სიცოცხლის ბოლომდე ახსოვდა ბებიისა თუ ბიძების მისდამი მოპყრობა.

თუმცა არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ როდესაც ცოლ-ქმარმა გადაწყვიტა, 3 წლის ემილია, ოქტავიას ძმისშვილი აეყვანათ აღსაზრდელად, ამ ბიჭსაც ისევე ექცეოდა, როგორც თავად მას ეპყრობოდნენ პატარობისას. მავნე დაარქვა მეტსახელად, რადგან ბიჭი ერთობ მოუქნელი იყო. მან ბიჭზე მთელი მზრუნველობა დედობამონატრებულ ოქტავიას გადაულოცა. თავად მცირე დროსაც არ უთმობდა ბიჭს, არც მაინცდამაინც მის აღზრდა-განათლებაზე უზრუნია. ბიჭი 18 წლისაც არ იყო, თვითმკვლელობით რომ დაასრულა სიცოცოხლე, როგორც ვარაუდობდნენ, უიმედო სიყვარულის გამო. ამ სამწუხარო ამბავმა, რომელიც ცოლ-ქმარმა მდუმარედ გადაიტანა, კიდევ უფრო დააშორა ისინი.

სამაგიეროდ, სხვა ქალებთან მოუხშირა ურთიერთობასა და სიარულს. მის მეუღლეს ეს არ გამოჰპარვია. მათგან გამსაკუთრებით 18 წლის ოქტავია რადძილოვიჩოვნაა საინტერესო. ეს უკანასკნელი შემდგომ გამოჩენილი მწერლის, სტეფან ჟერომსკის ცოლი გახდება. როდესაც 58 წლის შესრულდა, პრუსს რომანი ჰქონდა ცნობილი ექიმის, კაზიმეჟ საცევიჩის ქვრივთან, ალინასთან. მწერლის ამ ქალთან ურთიერთობამ მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით იმოქმედა და არა მხოლოდ მის ცოლზე. ამ

კავშირიდან, როგორც მისი ბიოგრაფები წერენ (ამ ინფორმაციამ პირველად 1962 გამოჟონა), მწერალს ერთადერთი ვაჟიც შეეძინა – იან ბოგუში. პრუსს ოფიციალურად ბავშვი არ უცვნია, მხოლოდ მისი ნათლია გახდა, თუმცა გარშემომყოფთათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილი მწერლის გამორჩეული სიყვარული ბიჭისადმი.

ბავშვის დაბადებამ მკვეთრად შეცვალა მწერლის ცხოვრება. ამაყობდა ბიჭით, უამრავ მოფერებით სახელს ეძახდა, სათუთად უვლიდა. ალინა საჩევიცი ხშირად უტოვებდა ბავშვს, ზოგჯერ ორიოდე კვირითაც, პრუსის ოჯახს. იანსაც უხაროდა პრუსებთან დარჩენა და მწერალს «მამათი» მოიხსენიებდა. ფიზიკურადაც ძალზე ჰგავდა – განსაკუთრებით ხუჭუჭა თმით, სწორი ცხვირითა და ღრმად ჩამჯდარი ახლომხედველი თვალებით. პრუსის ვაჟმა სწავლა პოლიტექნიკურ ინსტიტუტში დაიწყო, მამის ოცნება მან აასრულა – ცნობილი ინჟინერი გახდა. დაქორწინდა, ორი ქალიშვილი შეეძინა. მეუღლესთან შეთანხმებით მწერალმა მთელი თავისი უძრავ-მოძრავი ქონება მასზე გააფორმა.

ამასობაში ავადმყოფობებმა დაუწო პრუსს თავის შეხსენება და თვეობით ლოგინს მიაჯაჭვა. 1912 წლის 19 მაისს, ადრე დილით, მეზობელი ოთახიდან ოქტავიას მწერლის მისუსტებული ხმა შემოესმა: «ვკვდები, ლიალია». როდესაც ქალმა საწოლთან მიირბინა, პრუსი უკვე აღარ სუნთქავდა.

გამოჩენილი პოლონელი მწერლის ბოლესლავ პრუსის დაკრძალვაზე უამრავმა ვარშაველმა მოიყარა თავი. 46 მღვდელი სწირავდა. ვის არ ნახავდით აქ: მწერლებს,

ჟურნალისტებს, საზოგადო მოღვაწეებს... დაკრძალვას მხოლოდ სენკევიჩი არ ესწრებოდა.



7. ახალი თარგმანები

უილიამ კარლოს უილიამსი

„სურათები ბრეიგელის ნახატებიდან“

ინგლისურიდან თარგმნა ქარდა ქარდუხმა

უცნაური პოეტია უილიამსი, ჰო, კარლოსზე ვამბობ, უილიამ კარლოს უილიამსზე, პენსილვანიის უნივერსიტეტი რომ დაამთავრა, სამედიცინო ფაკულტეტი და ექიმად რომ მუშაობდა თითქმის მთელი ცხოვრება, ჰო, ის უილიამსი, მხოლოდ ერთხელ რომ დაქორწინდა და ქორწინების შემდეგ ერთხელ ნაყიდ სახლში რომ იცხოვრა მთელი ცხოვრება, ერთხელ რომ დაქორწინდა იმ ქალზე, რომლის უფროსმა დამაც უარი უთხრა ცოლობაზე, იმიჯისტი (სიტყვა image-დან მოდის და თუ გავითვალისწინებთ, რომ ინგლისურში «ჟ» საერთოდ არ ისმის, როგორც ასეთი, ამიტომ «იმაჟიზმის» წარმოთქმა არაა სწორი ალბათ, რამდენადაც ეს წმინდა წყლის ინგლისური მიმდინარეობა გახლდათ) რომ იყო სხვა დანარჩენთან ერთად და ცოლის შენახული ალუბლები რომ შემოეჭამა, წერილი რომ დაუტოვა ამის სათქმელად, რომელიც მერე ცნობილ ლექსად იქცა, რამდენიმე თარგმანია ქართულად, უფრო «პატერსონით» გახდა ბოლო ხანებში პოპულარული, ჯიმ ჯარმუშის ფილმით, კარგი ფილმით, რომელიც მას, თავად როგორც ბრძანებს, უილიამ კარლოს უილიამსის ამავე სახელწოდების პოემამ «შთააგონა», და იქ უკითხავს ამ ლექსს ცოლს მთავარი გმირი:

«სალაპარაკოდ კი არა»

მაცივარში რომ
ალუბლები შეგინახია
შემომეჭამა
შენ მათ
ეტყობა

იგულვებდი
საუზმისათვის
მე მაპატიე
ისეთი მადის ამღძვრელი იყო
ისე ტკბილი
და გემრიელი.

იტყვის კაცი, ახლა რა სალექსო ეს ალუბლებიაო, მაგრამ იმიჯისტი იყო-მეთქი, ვთქვით წეღან, არ უყურებდა ჩვეულებრივი თვალებით არც საგანსა და არც მოვლენებს, როგორც იმპრესიონისტები ვერ აღიქვამდნენ ბრდღვიალა მზეს ბრდღვიალად, უფრო გათხაპნილ, ბავშვის დახატულ სურათად ხედავდნენ, ბავშვებს კი დაეჯერებათ, ხომ მათია ცათა სასუფეველი. სადღაც ცოლის დატოვებული საპასუხო წერილიც მქონდა თარგმნილი, იმანაც მაცივრის კარზე რომ მიუკრა, როგორც ამერიკულ კულტურას ახასიათებს უკვე, მაგრამ ის მგონი მთლად ლექსი არაა და აქ აღარ მოვიყვან. იმპრესიონისტის არა, მაგრამ გვიანი შუასაკუნეების ნიდერლანდელი მხატვრის, პიტერ ბრეიგელ-უფროსის ნახატებს დაადგა თვალი ამ უილიამსმა და დაწერა ლექსები, ლექსების ციკლი სათაურით «ბრეიგელის ნახატებიდან». ჩვენებურად ალბათ უფრო ასე ითქმის: «ბრეიგელის ნახატების მიხედვით», სკოლაში რომ გვაწერინებდნენ თემებს, იმ ვარიანტში, მაგრამ ვინ გვიშლის და «სურათები ბრეიგელის ნახატებიდან», ასე ვარჩიე. 1963 წელს დაწერა ეს ციკლი უილიამსმა, კრებულს კი ასე ჰქვია – «ნახატები ბრეიგელიდან და სხვა ლექსები», გულის ინფარქტი და სამი ინსულტი ჰქონდა გადატანილი უკვე. მესამე ინსულტის შემდეგ ნახევარი სხეული გაშეშებული ჰქონდა და მარცხენა ხელით წერდა მისთვის მშველელად მოვლენილ ელექტროსაბეჭდ მანქანაზე. თავიდან დიდად

არ აღვფრთოვანდი, მართალი გითხრათ, ამ ლექსებით, მერე რამდენჯერმე წავიკითხე, მერე ერთი მათგანი ვთარგმნე, «ავტოპორტრეტი» და გაიხსნა თითქოს. ბრეიგელის ნახატები გაიხსნა. წავიკითხე ნახატები, მგონია. ლექსზე უფრო ბრეიგელის ეს ნახატები გავიგე, ასეთი შთაბეჭდილება დამრჩა და ეტყობა, ლექსებიც კარგია, თორემ ბრეიგელს როგორ ამიხსნიდა? კინაღამ სულმა წამძლია და ფიროსმანის ნახატებზე რა კარგი იქნებოდა ასეთი ციკლი-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ დროზე ვძლიე თავს; ისე, ვინმე მაგარი პოეტი და თან ფერწერის თუ მხატვრობის კარგი მცოდნე რომ ჩაუჯდებოდეს ამ საქმეს, კი გამოვა მგონი მშვენიერი; რა მაგარი იქნება, პოეტი რომ გაგიხსნის ფიროსმანს, და მიხვდები, «ფიროსმანი ასე რამ შეგაყვარა». ბრეიგელი კი რა, კარლოს უილიამსამდეც უყვარდათ და მერეც უყვართ, ის კი არადა, შეიძლება, ისიც კი თქვან, რად უნდოდა ბრეიგელს მისი განხილვა კი არადა, აღწერა ლექსებითო, მაგრამ თქვან, ამითაც რა შავდება, ზოგი თავისით მიხვდება, რომ იკაროსის ზღვაში ჩავარდნა მხოლოდ მცირე შხეფებით აღიქმება სურათზე, ზოგიც პოეტის ლექსის შემდეგ დაინახავს, ზოგიც საერთოდ იტყვის, იკაროსი რა მშვენიერი ბუკოლიკური ნახატიაო. უილიამსმა ხელოვნებათმცოდნის ყოველგვარი თვისებები მიაძინა ამ ნახატების აღწერისას, თითქოსდა რეპორტაჟი მიჰყავდეს რამე სპორტული, მშრალად აღწერს იმას, რასაც ხედავს, და იძლევა სურათის აღქმის საოცარ ეფექტს. არავითარი გარეგნული რეფლექსია, არავითარი ემოცია; უბრალოდ – უკანა ფონი, მარცხენა ფონი, წინა ხედი და აღწევს განუმეორებელ შედეგს. სწორედ ამ კრებულისთვის მისცეს მას პულიტცერის პრემია, რითაც აღიარეს ის, როგორც პოეტი, რომელიც იმ დროს ამერიკის სულს ყველაზე უკეთ ასახავდა და ქმნიდა პოეტურ ამინდს. მართალია, ეს

პრემია სიკვდილის შემდეგ გადაეცა, მაგრამ ეს ნიშნავდა, რომ დაინახეს და აღიარეს; როგორც ერთ დიდ მხატვარზეა ნათქვამი, უილიამსზეც შეიძლება ითქვას, რომ სახელმა საფლავთან მიუსწრო. ამ ციკლში ლექსები დიდებულ სამკუთხედს კრავენ – მხატვარი, პოეტი და მკითხველი, შთამბეჭდავი შტრიხებით, და მეტი რაღა უნდა უნდოდეს რაღაც არაამქვეყნიურში დროებით ნავსაყუდელის მაძიებელ კაცს?

მონადირეები თოვლზე

მთელი სურათი არის ზამთარი
ყინულის მთები
უკანა ფონზე დაბრუნება

ნადირობიდან არის მიმწუხრი
ხოლო მარცხნივ კი
დაუდეგარი მონადირენი მიუძღვებიან

ხროვას და დუქნის გადატეხილი ანჯამით მიკრულ
ფირნიშზე მოსჩანს
ჯვარცმა ირემი

მის რქებს შორის კი გაყინული
დუქანი ეზო უდაბური
მაგრამ კოცონი დიდი ალით

ქარიშხლისაგან გადაწეწილი მიფიცხებული
ქალებისაკენ
მარჯვენა მხარეს

გორაკების გაყოლებაზე საციგურაო მოედანი
არ გამორჩება არაფერი ბრეიგელს მაგრამ
წინა ხედისთვის მაინც ირჩევს

ზამთრისაგან განძარცულ ბუჩქნარს
რომ სრულყოფილი გახდეს
ნახატი

პეიზაჟი იკაროსის დამხობით ციდან

თუ დავუჯერებთ ბრეიგელს
მიწას დაემხო იკაროსი
გაზაფხულისპირს

გუთნისდედა
ავლებდა ხნულებს
როცა ბუნებამ

მთელი თავისი სიდიადით
გამოიღვიძა
სადღაც

ზღვისპირას
თავის თავით
შეწუხებულმა

ოფლში გაღვრილმა მზისგან
რომელმაც ცვილის ფრთები
წამში დაუდნო

სანაპიროსთვის
უმნიშვნელო
იყო შხეფები

უხმაურო და შეუმჩნევლი
ასეთი იყო იკაროსის
დამხობა ციდან

ავტოპორტრეტი

წითელი ზამთრის ქუდით
თვალები ლურჯი იცინის
თავმა და მხრებმა

გაავსეს ჩარჩო
ხელები მკერდზე ჯვარედინად დიდი მარჯვენა
ყური ხაზს უსვამს

შესამჩნევად გადახრილ სახეს
ბამბის პალტო ძალიან მძიმე
კისრამდე შეკრული ფართო ღილებით

წამოაშიშვლებს ცხვირს
გამობუშტულს მაგრამ თვალების
ჩაწითლებული ქუთუთოები

ამტკიცებს რომ მას
დაძაბული უწევდა მზერა
ხოლო ფაქიზი მისი მაჯები

აჩვენებს რომ ის უსარგებლო იყო ყოფითი
გარჯისთვის კაცი
გაუპარსავი წითური წვერი

სანახევროდ მოვლილი ალბათ
მიგვანიშნებს რომ სხვა არაფრისთვის
დროს არ კარგავდა გარდა მხატვრობის

მოგვთა თაყვანისცემა

ქრისტეშობისდღე
ჩავლილი შობა
ჩვილი საკუთარ დედის ხელებში
მოგვები სადღაც მოპარული
დიდებულებით
იოსები და ჯარისკაცები
თანმხლებნი უნდო სახეებით
გადმოღებული გეგონება
ზედმიწევნით
იტალიელი ოსტატების ტილოებიდან
თუმცა სხვაობა აშკარაა
ოსტატობაში
ფერწერისა და გონების
წარმოსახვაში
ყველგან რომ მყოფობს
და რომ შფოთავს უკმაყოფილოდ
რადგან რაც სურდა
ის ვეღარ შეძლო
რომ შეერწყა თხრობა ნახატთან
როგორც უძველეს ხელნაწერთა
მოოქროვილი მინიატურა
თუმცა ღვთისმშობლის დახრილი მზერა
როგორც ნიმუში ხელოვნებისა
იმსახურებს თაყვანისცემას

იგავი ბრმებზე

ეს შემაზრზენი და ბრწყინვალე ნამუშევარი
იგავი ბრმებზე
მეწამული ფერის გარეშე
კომპოზიცია წარმოადგენს ჯგუფს მათხოვრების
თავდაღმართში რომ ირიბულად
გამწკრივებულან
მთელი ნახატის გაყოლებაზე
ერთი კიდიდან ჭაობში თავით
გადაყუდებულ დასასრულამდე
კომპოზიცია და ნახატიც
სადაც მთავრდება კვლავ ბრმობილებს
რომ დავუბრუნდეთ
გაუპარსავი ჩანან თანაც
უპოვარები მათ საცოდავ
ყოფასთან ერთად
წყალსატევებთან სადაც მოჩანს
გლეხების ქოხი
და ეკლესია
ზეაპყრობილი აქვთ სახეები
თითქოს ციური ნათელისაკენ
აქ აღარაა აღარც ერთი ზედმეტი შტრიხი
კომპოზიცია სადაც ერთი
მისდევს დანარჩენს ხელჯოხით ხელში
უდიადესი უკუნეთისკენ

თიბვა

კაცის გონების სასიცოცხლო
ძალმოსილება
და იდუმალი

მიჯაჭვულობა აშკარავდება
ხელოვნებასთან, ხელოვნებასთან, ხელოვნებასთან!
აღორძინებამ

დაუპირა რასაც შესანსვლა
მაგრამ გადარჩა
პურის ყანაში

ქარი
რომ არწევს
მამაკაცები

ყანას მკიან
ცელით
მწკრივებად

და საზიდარზე ზვინავენ უკვე –
ეს მხოლოდ მისი საკუთრებაა –
მეჭვავიები

მშვიდი ცხენები ვერავინ შეძლო
გადმოეღო
ეს სიღრმე მისგან

მასიმილიანო გოვერნი

საზაფხულო დღიური

იტალიურიდან თარგმნა მაია ტურაბელიძემ

ყოველ საღამოს, ასე, შვიდი საათისთვის, მე და ჩემი მეგობარი ფიორე ვილა პამფილიში ვსეირნობთ, სიგარეტს ვეწევით და თან ჯილიოს ტბის დასუფთავების პროცესს ვუყურებთ.

ამ დღეებში, მგონი, ნუტრიების დაჭერას და კასტელ ჯუბილეოს ჰესის იქით, მდინარე ტევერეში მათ გადაყვანას აპირებენ. ტბის ეკოსისტემას აზიანებენო, – ერთმა მუშამ მითხრა.

წლებია, რაც ამ ადგილას დავდივარ და საკვები დამაქვს ნუტრიებისთვის (ბაბუასაც მოვყავდი ადრე). ვერ წარმომიდგენია, როგორ შეიძლება მათი აქედან წაყვანა. იმედი მაქვს, გადაიფიქრებენ...

სამი თუ ოთხი კანაფის მოწევის შემდეგ, ცოტა რომ მოვფხიზლებულიყავი, ორჯერ შემოვირბინე პარკი. თითქმის გათიშულმა ფიორემ კი მოხუცების თავშეყრის ადგილისკენ გასწია ბოულინგის სათამაშოდ.

უჰ, ცოტა ამოვისუნთქეთ და აზრზე მოვედით, გონება აგვეხილა.

მთელი შუადღე ვილა პამფილიში.

მინდორში, ერთ მოტვლეპილ ადგილას, სკამზე ვიჯექი და ვცდილობდი, ცოტა რამ გამეყიდა, თან ვიფურთხებოდი, სულ ავავსე იქაურობა ქაფით; სიმღერაც გამოვიგონე და იმდენჯერ წავიღიღინე, არ ვიცი, თუ ოდესმე მოვახერხებ მის დავიწყებას: «შენს თვალებს რომ შევხედე, მივხვდი... ახლა ვიცი, რას მივდევდი მაშინ, იმ ბნელ წლებში, როცა

მეძინა და ცუდ სიზმრებს ვხედავდი...» წარმოვიდგინე, თითქოს კონცერტებს ვმართავდი რომის პარკებში. «სასიამოვნო ტურები ვილებში», ასე ვუწოდე ჩემს გამოსვლებს. ვილა პამფილი ხალხით იყო სავსე, თითქოს ბომბის აფეთქებასავით ელოდნენ, როდის დავიწყებდი.

სახლში დაბრუნებისას, პარკის კედელთან ორ დეგენერატს ჩემი შეთითხნილი წამალი მივყიდე. «ბარილას» წვრილი მაკარონით მქონდა გაკეთებული და მარკერით შეფერადებული. აუ, რა შტერებივით წამოეგნენ!

დილით ადრე აუზზე ფიორესთან ერთად.

ქოლგის ქვეშ წამოწოლილებმა ტატუებზე ვილაპარაკეთ. მე ჩემი გამოგონილი სიმბოლოს ტატუირებას ვფიქრობ მკლავზე, ფიორეს კი მორიელი უნდა, რომ დაიხატოს მუცელზე, ელენთაზე. იმდენი ვილაპარაკეთ ამ საკითხზე, რომ მართლა გადავწყვიტეთ ტატუს გაკეთება, თანაც ჩვენი ხელით, ელექტრომაგნიტური აპარატითა და ბუნებრივი პიგმენტების შემცველი მელნით.

შედეგი: საბოლოოდ, მხოლოდ მე გავიკეთე, ფიორეს შეეშინდა და თავი დაანება.

მთელი საღამო სულის ბერვაში გავატარე, საშინლად მეწვოდა მკლავი. ფიორეც მიბერავდა ჩრდილოეთის ქარივით, მაგრამ მაინც არ მყოფნიდა. მერე სკოლის ძველი, სქელი დღიურების ქნევაზეც გადავედით.

ერთ-ერთში კაილ მაკლაქლენს ვუცხადებ სიყვარულს (რა საშინელებაა!): «კაილ მაკლაქლენ, ვინ ხარ შენ? მაინცდამაინც ჩემ თვალწინ უნდა გაგეთავებინა? არ სჯობდა, როგორც კარგ კაცს შეეფერება, შენი საქმე სადმე სხვაგან მოგეგვარებინა?! არა, ჩემ გასაღიზიანებლად მოიქეცი ასე. მე გამიკეთე. მე, რომელიც მოწყენილი ვიჯექი

ტელევიზორის წინ და «ტვინ პიქსის საიდუმლოებს» ვუყურებდი, რადგან მშობლები გარეთ არ მიშვებდნენ».

დაუჯერებელია! ეტყობა, მაშინ გაჟონვა მქონდა ტვინში. ეს ის პერიოდი იყო, როცა ერთი წვეთი ლუდის დალევაც კი არ შემეძლო, ვერ ვინელებდი, გონებას მირევდა.

დღესდღეობით მაიკ ტაისონზე ვგიჟდები, ჭკუა მეკეტება. ვერ წარმომიდგენია, როგორ შეუძლია ამ კაცს, მხეცად გადაიქცეს და ყველა დააფრთხოს... მიყვარს!

ბნელი პარანოია.

მთელი დღეა «მეტალიკას» ვუსმენ. ხმა ბოლომდე მაქვს აწეული და ლუდის ბოთლებს კედელზე ვახეთქებ. შიშველი ვარ და ხან ჯეიმს ჰეტფილდივით ვაკეთებ მოძრაობებს, ხან – ესპანელ გიტარისტ კირკ ჰემეტივით, ხან კი ბატერისტი ლარს ულრიხი გამომყავს ჩემი თავი. სამართებლით მთელი ტანი დავისერე: მკლავები, მკერდი, ფეხები; და ჩემი სისხლით კედლებიც მოვთითხნე.

ერთი გრამი შაბოც მოვწიე, იმ ნაგავი ფილიპინელისგან რომ ვიყიდე. ახლა კი ისე ცუდად ვარ, ქაფი მდის პირიდან და ვტირი.

გული რომ გადამეყოლებინა, ჯერ ჩემი ფოტოები დავათვალიერე (ერთ-ერთში ეტიკეტზე დახატულ სიკვდილის სიმბოლოს ვგავარ – თავის ქალა და ძვლები), მერე კი ვინილის დისკის რეცენზია გადავიკითხე. მასში შეკრებილი ყველა მელოდია მე მეკუთვნის და ვუკრავ კიდეც. ნაკრებს «შეივდ პიგს» ჰქვია და 1990 წელს შევქმენი.

აი, ეს:

«რრრررررررررننننن. ددددددد. ررررررررننننن. ددددددد. ررررررررننننن. ددددددد. ررررررررننننن. ددددددد. ფრსსსსსსსსსსს

ტაკ. ეჰ! ფრსსსსსსსსსტაკ...» აჰ! ერთი მხარე დასრულდა. იმედი მაქვს, ნემსის წვერი არ დაზიანებულა. რა ვქნა ახლა? გადავაბრუნო მეორე მხარეზე თუ ყავა მოვიდუღო? ყავას ავირჩევ, მაგრამ ჯერ მინდა, ამ თემაზე დაგაფიქროთ: «გაპარსული ღორები მართლა არსებობენ თუ?..»

ნაბიჭვრები!

არ მჯერა, რომ შეყვარებული ვარ!

410 წამი ვუყურე სულ და მოხარშულ კვახად გადავიქეცი, ისე შემიყვარდა. ეს ის დროა, როცა მაიკ ტაისონმა ფრენკ ბრუნო დასცა. იცით, როგორია მოხარშულ კვახად ყოფნა? დამიჯერეთ, ნამდვილად არ არის სასაიამოვნო მდგომარეობა. ჟიურის წევრებო, როგორ შეიძლება არ დასაჯოთ ეს მონსტრი, რომელმაც ამ დღეში ჩამაგდო?!

არავის ეცოდები, რა!

სკოლა ახალი დამთავრებული მქონდა. ვილა პამფილიში ვიჯექი სკამზე და მშვიდად ვუსმენდი «ნირვანას» ისტერიულ მუსიკას, შენ რომ გამოჩნდი... გადაპარსულ თავზე მხოლოდ ერთი კულული გქონდა და ისიც სახეზე გეკიდებოდა, ფეხზე კი ფოლადის წვეტიანი ფეხსაცმელები გეცვა... დაუჯერებელია მართლაც!

როგორც კი დაგინახე, «ნირვანა» ეშმაკს მივუგდე, სიმშვიდე დავკარგე და შენით ჩავითუთქე.

რამდენი რამ მომიყევი მაშინ! მითხარი, რომ ცნობილი მუსიკოსი იყავი, რომ ალბომი გქონდა გამოცემული, სახელწოდებით «შიტ ფორ ბრაინს», და რომ სამი ხუთსანტიმეტრიანი ნემსი გქონდა ტვინში ჩასობილი, რადგან დედაშენი ვიღაც მკერავთან გტოვებდა, სამსახურში რომ მიდიოდა.

მოხარშული კვახივით ვარ უკვე, განადგურებული და ჩრდილად დარჩენილი.

ბოლოს და ბოლოს, დამირეკავ თუ არა?

ჩაო... მე ის ვარ, ვილა პამფილიში გიტარით რომ დადის, მუსიკოსი, და მთელი სხეული რომ აქვს დასერილი. როგორც ხედავ, წერა ვამჯობინე ტელეფონით დარეკვას. მეზიზღება ტელეფონი! სხვა რამეებიც მეზიზღება, მაგრამ მგონი, ეს არ არის ის თემა, რაზეც ვისაუბრებდით. თუ გინდა, გიამბობ, რაც მომწონს. ასე ჩემ გაცნობას უკეთ შეძლებ, მიუხედავად იმისა, რომ ბოლომდე მაინც ვერავის გაიცნობ.

ესე იგი: ძალიან მომწონს ჩემი კომპოზიცია «მარჩა დურა მეტალოზა ენდ მარტორიატა», იმიტომ რომ მასში ჩემი ხასიათი გადმოიცემა.

მომწონს ჩემი ჯავშნიანი ჩექმები.

მომწონს ვილა პამფილი.

მომწონს ჩემი ძაღლი ბლექი, მიუხედავად იმისა, რომ მკვდარია უკვე.

მომწონს რეკლამა... მე მჯერა რეკლამის, რადგან მხოლოდ ის გპირდება რაღაცას და ოცნებებში გაგდებს; მხოლოდ მასში ჩანან ფოტომოდელებივით შესანიშნავი აღნაგობის დიასახლისები და არა, მსუქან-მსუქანი, თმა-წვერიანი დედები, რომლებსაც მუდამ ჩამოსტირით სახე ნარკომანი შვილების გამო ან კიდევ მოწესრიგებული, გაკოხტავებული, მოღიმარი გლეხის ქალები, ტრაკები რომ აქვთ დაჟეჟილი ყანებში მუშაობით.

ჰო, კიდევ ერთი: მე მინდა დიდხანს ვიცოცხლო, ძალიან დიდხანს და თუ იქნება შესაძლებელი, არ მოვკვდე.

ახლა უკვე რაღაც იცი ჩემზე, აზია, და გთხოვ ყურადღებით წაიკითხო ეს წერილი.

კარგად! ნიკოლასი.

P.S. ძალიან მომწონს შენ მკლავზე ტატუირებული U, ნახევარმთვარისა და ვარსკვლავების ფორმის; მაგრამ რას ნიშნავს?

ჩაო.

ძვირფასო ნიკოლას!

ახლახან მივიღე შენი წერილი და ფანჯარას მივვარდი, რომ დამენახე. ხელით მოიტანე? ფოსტის ბეჭედი არ აქვს დარტყმული...

როგორც ვატყობ, კონვერტის მარკებიც გეზარება და საფოსტო ყუთებიც... კარგი, კიდევ ერთი რაღაც შევიტყვე შენზე.

როგორ ხარ? იყავი მას მერე ვილა პამფილიში?

რაც სკოლა დამთავრდა, სულ მოწყენილი ვარ. დღევანდელი დღე მანიკურების კეთებასა და ბებერი დოსტოს კითხვაში გავატარე. «დანაშაული და სასჯელი» ჩემი ფავორიტი ნაწარმოებია.

შენ ალბათ, უკეთეს დროს ატარებ. საინტერესოც იქნება შენი ცხოვრება. ჩემი მართლა საზიზღრობაა, დამიჯერე!

მეც მოგწერ რამეს, უკეთ რომ გამიცნო.

ესე იგი, მქვია აზია და ვარ 18 წლის (თითქმის). სულ რამდენიმე თვის წინ, კრისტოფერ ლამბერტივით მქონდა თმა შეჭრილი. ხომ იცი, ვინაა ლამბერტი? – ფილმიდან «საბვეი»... თმას ვიღებავდი წყლის ზეჟანგის, არყის, ლიმონისა და გვირილას შეზავებული ნაყენით. მერე

მომწყინდა და გაზრდა გადავწყვიტე. ახლა, ძირებში უფრო მუქი ფერის წამომივიდა და ძალიანაც მომწონს.

გავიზარდე «პისტოლის» რძით, «კლაშის» ყველითა და «ბუზკოკის» ფაფებით. მერე, თანდათან სხვა მარკებზე გადავედი.

სურნელი მომწონს ჰაშიშის, შროშანის, მთის ყვავილებისა და ლეღვის ხის ფოთლების.

კერძები: კუსკუსი, კრემ-კარამელი, გასპაჩო, სპაგეტი ყველანაირი საწებლით, ზღვის მცენარეები, სუში, არაგოსტა, კრევეტები (ძალიან ვწუხვარ ამ ბოლოების გამო, მაგრამ...).

სამი თვე კრივზე ვიარე სინიორ მარიოსთან, მაგრამ დეკემბერში ფული დასჭირდა, გააუქმა სპორტდარბაზი და ტაქსიზე მუშაობა განაგრძო.

სხვა რა მოგწერო?

წინა ზაფხულში მეზღვაურის მოწმობა ავიღე; და ერთ დღეს, ჩემს მეგობარ ფიორესთან ერთად სადმე, შორს ვფიქრობ გამგზავრებას, ალბათ იემენში.

P.S. ჩემს მკლავზე გაკეთებული ტატუ – U, უტოპიას ნიშნავს.

დღეს რაღაც შეიცვალა.

მთელი ღამე შამფურზე წამოგებულივით ვიტრიალე ლოგინში. 9 საათზე ავდექი და აზიას სახლისკენ წავედი, არც დამირეკავს, ისე. თითქმის მთელი დილა ვიჯექი სადარბაზოს წინ, კიბის საფეხურზე და ველოდი მის ჩამოსვლას. რომ დამინახა, გაუკვირდა.

თავისი წერილი გადმომცა, და ფეხით გავუყევით გზას ვილა პამფილისაკენ, სადაც მთელი შუადღე გავატარეთ.

საღამოსთვის, როგორც იქნა, სკამზე ჩამოვჯექით. დავაძრე ჩემი შაბოც და ცოტა შევათბე. კრისტალები ფერფლად რომ გადაიქცა, ჩიბუხში ჩავყარე და ორივემ მოვწიეთ.

ვფიქრობ, მისთვის პირველად იყო...

როგორც იქნა, დღეს ნიკოლასი ვნახე.

სახლიდან გავედი, წერილი რომ წამეღო; და ჩავედი თუ არა დაბლა, სადარბაზოს კართან დამხვდა, ეწეოდა. წერილი გადავეცი, და მან ჩემ თვალწინ დაიწყო კითხვა (ისე, ცოტა კი შემრცხვა...). მერე ვილა პამფილის ხრეშმოყრილ გზაზე გავისეირნეთ, თან ვსაუბრობდით. ნიკოლასმა თავისი კონცერტების შესახებ მომიყვა. თქვა, რომ ერთხელ ის სცენიდან ჩამოაგდეს, რადგან გიტარაზე დამაგრებული მაშხალები შუა კონცერტის დროს გაუვარდა და ორ ტიპს მოხვდა, რომლებსაც ტანზე სარდინიელი მწყემსების ჟილეტები და ფეხებზე ბერების ფეხსაცმელები ეცვათ.

ყოველ ორ წუთში მისახელებდა გზაში დანახულ ფრინველებსა და ცხოველებს: წეროები, გედები, იხვები, ჩრდილოამერიკული კუები, წყლის ქათმები... დაუჯერებელია, ყველაფერი იცის!

როცა შეღამდა, ამოიღო მარილის კრისტალების მსგავსი ნივთიერება და შეთბობა დაიწყო. ეს შაბო იყო... იაპონელი კამიკაძეები ხმარობდნენ მას მეორე მსოფლიო ომის დროს. მისი მოწევისას, ისე მომემატა ძალა, რომ სულ თავისუფლად შევძელი ვილა პამფილიზე ათი წრის შემოვლა.

მთელი შუადღე აზიასთან ერთად.

მზე იყო ისეთი, რომ ქვას ხეთქავდა. ზოგჯერ მდინარე ტევერეს ნაპირზე ჩამწკრივებულ ბებერ ჭადრებს ვეფარებოდით და ისე ვეწეოდით. ბაზრის შესასვლელთანაც მოვწიეთ ცოტა და მერე გაბრუებულები ინგლისელების არაკათოლიკურ სასაფლაოსკენ წავედით, დედაჩემის საფლავის ნახვა გვინდოდა.

ისე, დედაჩემი იქ არ არის დასაფლავებული, ვერანოშია, მაგრამ მე მაინც მინდა ვთქვა, რომ ინგლისელების სასაფლაოზე მარხია, ასე მომწონს და ამიტომ.

აზიას ცრემლი მოერია და ერთი ვარდი ჩემთვის უცნობი ქალის საფლავზე დადო, რომელსაც ლინდა მაკკენძიე ეწერა. მოვინახულეთ შელის ფერფლიც და კიტსის ძვლებიც. ბაირონის საფლავთან კი ერთმანეთს ვაკოცეთ. სანამ იქაურობას დავტოვებდით, გრამშის საფლავს მივაფურთხე, მაგრამ აზიას არ დავანახე, მგონი, მემარცხენეებს ეკუთვნის...

აღარაფერი მესმის.

არ ვიცი, კვამლის სუნი ამდის თუ ნიკოლასის, ალბათ ორივესი...

ყოველთვის მოუთმენლად ველი მასთან შეხვედრას და მერე, მაიმუნივით ერთად გაბოლებას. მის გვერდით შემიძლია შეუჩერებლად ვიარო, სანამ ფეხები მატარებენ.

დღეს, როგორც იქნა, მოხდა...

არაკათოლიკეების სასაფლაოზე, საფლავებსა და ფიჭვებს შორის, ცნობილი ადამიანების ფერფლების წინაშე ერთმანეთს ვაკოცეთ.

ეს იყო ზერომანტიკული განცდა!

ერთი ვარდი დედამისის საფლავზეც დავდეთ, რომელიც თურმე მოცეკვავე ყოფილა და საგზაო ავარიაში გარდაცვლილა, რის გამოც მამა სამი თვის განმავლობაში კომაში ჩავარდნილა. დღეს კი გამოჯანმრთელებულია და ზღვის სანაპიროზე აშენებულ სახლში ცხოვრობს, სადაც ყვავილების მოვლითა და საკუთარ თავთან ჭადრაკის თამაშით გაჰყავს დროო, მითხრა.

ნიკოლასი ჩვეულებრივ დოკ მარტენსის მარკის ფეხსაცმელებსა და ლევისის შარვალს იცვამდა, ტანზე კი – ერთ უბრალო, შავ, გამოხუნებულ მაისურს. და როცა მისი ენა ჩემს პირს შეეხო, კვამლისა და სისხლის გემო ვიგრძენი, ოფლისიც... რაღაც ცუდი, არაჯანსაღი გემო, მაგრამ უსაშველოდ კი აღმაგზნო მაინც.

დღეს ერთი პატარა ინციდენტი მოხდა.

აზია შეწუხდა ვილა ტორლონიაში, სადაც ერთი ტიპის სანახავად მივედით, რომელსაც ფული უნდა მოეცა ჩემთვის, თან სასეირნო ადგილის შეცვლაც გვინდოდა...

ერთბაშად დაკარგა ფერი სახეზე, გაფითრდა და ცივმა ოფლმა დაასხა. თითქმის გონებადაკარგული წაიქცა სკამზე და თვალები გადაატრიალა. მე, რაც ძალა და ღონე მქონდა, ყვირილი მოვრთე. ორი სპორტულად ჩაცმული მამაკაცი მოვარდა და მათი დახმარებით, აზია უმბერტო პრიმოს საავადმყოფოში წავიყვანე. იქ ექთნებმა ინვალიდის ეტლში ჩასვეს და ერთ ოთახში შეიყვანეს, სადაც წნევა გაუზომეს და გულის მუშაობა შეუმოწმეს. ერთმა პერსონალმა, მისი ყურადღება რომ სხვა რამეზე გაემახვილებინა, მოუყვა, თუ როგორ მიიყვანეს ერთხელ ამ საავადმყოფოში კურტ კობეინი, რომელიც როიპნოლის ზედოზირების გამო, კომაში იყო ჩავარდნილი...

ცოტა სედატიური საშუალებები გაუკეთეს აზიას და როგორც იქნა, გონს მოვიდა. მე ნერვიულობისგან კბილებს ვაღრჭიალებდი და ექიმებს ფეხებში ვებლანდებოდი. კარგი შესახედავი ნამდვილად არ უნდა ვყოფილიყავი.

ცუდი შუადღე.

დღეს ისე, უბრალოდ, ვილა ტორლონიაში წავედით.

მესამე თუ მეოთხე მოწევის შემდეგ, როცა ნიკოლასი ერთი მოხუცი ქალის, ჯეტ ფირებირდის შესახებ მიყვებოდა, ვიგრძენი, გულმა როგორ დამიწყო ცემა, ყურებამდე ამომივარდა და თვალები დამიბინდდა... რომ გავახილე, ინვალიდების ეტლში ვიჯექი. ექიმები და ექთნები სტეტოსკოპით თავს დამტრიალებდნენ და პულსს მისინჯავდნენ. უკან ნიკოლასიც იდგა – ფერმკრთალი, გამხდარი და თვალებგადმოცვენილი. ძნელი მისახვედრი არ იყო, რომ ძალიან ნერვიულობდა.

ცოტა ხანში, ვიღაცამ კურტ კობეინის ამბავი მომიყვა, რომ ერთ საღამოს, საავადმყოფოს სასწრაფო დახმარების განყოფილებაში მიუყვანიათ ცოცხალ-მკვდარი. დახეული ჯინსის შარვალი ეცვა თურმე, ტანზე კი – კუნთებდახატული თეთრი მაისური; მარცხენა ხელის მაჯაზე «როლექსის» ოქროს საათი ჰკეთებია, მარჯვენაზე – «კარტიერის».

24 საათის შემდეგ მოსულა გონს, და მაშინვე სიგარეტი და ჩიპსები მოუთხოვია.

მე კი არაფერი მინდოდა, ნიკოლასის კოცნის გარდა...

აზიას დღეობა – 18 წელი.

პატარა კუბო ვუყიდე შიგ ბარბის თოჯინით. ვარდისფერია და მოღიმარი გოგონა ჩანს გულისმაგვარი ფორმის სახურავიდან. უკვე გამზადებულია ბარბის სასაფლაოზე

დასამარხად. კუბოში ჩასადები ვარდისფერი ბალიშიც ვიყიდე, ვარდისფერი ნიჩაბი მიწის ამოსათხრელად და ყვავილების გვირგვინიც.

აზიას, ცოტა არ იყოს, გაუკვირდა ასეთი საჩუქარი, მაგრამ ეტყობოდა, მაინც კმაყოფილი დარჩა, რადგან მთხოვა, მის სახლში მივსულიყავი ამ დღის აღსანიშნავად. მშობლები არ იყვნენ და ჩვენც კარგად გავერთობოდით...

სანამ მასთან მივიდოდი, ფილიპინელის ნახვა მოვინდომე, ცოტა მოსაწევი რომ მეყიდა, მაგრამ ვერსად ვნახე. მაშინ ერთი გრამი კოკაინი გამოვართვი ტიპს უბანში და აფთიაქში შევიარე ორი ერთმილიმეტრიანი ინსულინისა და წყლისთვის.

მერე წავედი აზიასთან.

დიდი დღე!

დრო კოკას წევაში და იმის კეთებაში გავატარეთ, რაც მთელი ჩემი არსებით მინდოდა კარგა ხანია.

ნამდვილი გარყვნილება!

დაუჯერებელია, მე თითქმის გავაუპატიურე ნიკოლასი ჩემი მშობლების საწოლში... მათი სახელები, არნალდო და ჯუზეპინა დავირქვით და როლებიც მათივე შევასრულეთ.

გასაგიჟებელი იყო ნამდვილად! ნიკოლასმა გათავება ვერ მოახერხა, მაგრამ დამპირდა, რომ მომავალში ორჯერ იზამდა.

მგონი, მართლა ჩათლახივით მოვიქეცი... შეიძლება კოკას ბრალიც იყო, მოვწიეთ და ვენაშიც გავიკეთეთ ცოტა, მაგრამ ფაქტი ისაა, რომ მე აწყვეტილივით ვიყავი და თავს ვეღარ ვიკავებდი.

საღამოს ფიორემ დამირეკა. კარგა ხანია, არ მილაპარაკია მასთან, ათი ან თხუთმეტი დღე მაინც. მკითხა, რა გჭირს, ასეთი ხმა რატომ გაქვსო, მაგრამ მე ვერაფერი ვუპასუხე, ნიკოლასი მაწვალებდა თითით მუცელზე, მკლავებზე, მთელ ტანზე... ფიორემ, ეტყობა, მოთმინება დაჰკარგა და ყურმილი დამიგდო.

ნაბიჭვრები! ხელისშემშლელები!

დღეს სიურპიზი გაგვიკეთეს.

ჩემთან მივედით სახლში «შიტ ფორ ბრაინის» მოსასმენად (ჩემი დისკია), სიჟიმაოდ და ჩვენს საიდუმლობებზე სალაპარაკოდ. მე აზიას მტრედების ამბავი მოვუყევი, წინ მდებარე ბინაში რომ გავანადგურე ჰაერისმსროლელი პისტოლეტითა და პლასტმასის ბურთებით. ის კი მომიყვა, რომი-ლ'აქუილას არხში რომ უნდოდა გადახტომა და თავის დახრჩობა, როგორც ერთი ოჯახი განადგურდა გასულ ზამთარს...

მერე ქვევით ჩავედით. ვეღარ ვაზროვნებდით, ისე ვიყავით ანფეტამინის ზემოქმედების ქვეშ. აი, სწორედ მაშინ ვნახეთ სიურპრიზიც:

საავადმყოფოს გაეგებინებინა აზიას ოჯახისთვის მომხდარი ამბავი და ახლა მამამისი ქვევით გვიცდიდა შემოსასვლელთან.

რა სანახავი იყო!

თმა ზოროსავით ჰქონდა შეკრეჭილი და ბეწვის საყელოიანი ქურთუკი ეცვა. ულვაშები ვილი დევილივით გაწკეპოდა. მეკობრეების ფილმიდან გეგონებოდათ გამოსული... ფუ, გულისამრევი!

ქათამივით იყო შემომჯდარი თავის «ჰარლეი სპორტსტერ 1200»-ზე და მათვალიერებდა ფეხის თითებიდან თმის ძირამდე, თან სიგარეტს აბოლებდა.

ტრაგედია.

განადგურებული და დაცლილი ვარ ნამდვილად...

ლაპარაკიც არ შემიძლია.

ყოველივე კარგი რატომ უნდა დამთავრდეს სულ?!

ყველაფერი წესრიგში იყო. საქმე კარგად და ლამაზად მიდიოდა...

ნიკოლასის სახლშიც ვიყავი ნამყოფი. სად არ გვქონდა სექსი – პიცის გაციებულ ნაჭრებზე, ჰამბურგერის ნარჩენებსა და სასმელების დაჭყლეტილ ლითონის ქილებზე... მისი პირველი დისკიც მოვისმინე, გიტარაზე რომ უკრავდა დამაყრუებლად და რიტმგარეშე... ყველაფერი კარგად მიდიოდა, სანამ არ გამოჩნდა ის ყლე მამაჩემი, საქმე რომ გაგვიფუჭა.

მეზიზღება! მეზიზღება! მეზიზღება! აღარ მომცემს ნიკოლასთან შეხვედრის უფლებას... ამას მირჩევნია, სარდაფში ჩამოვიხრჩო თავი. მერე მნახავს თავგასიებულსა და ენაგადმოგდებულს... აი, ნახავს, ასე თუ არ გავაკეთებ!

მთელი შუადღე ვილა პამფილიში.

კოკას გასაკეთებლად სასადილოს ყოფილი შენობის ტუალეტში შევედი, თან მუშებს ვუყურებდი ფანჯრიდან, სპეციალური ბადეებით როგორ იჭერდნენ ნუტრიებს.

როცა გალიების მოთავსება დაიწყეს მანქანაში, ავყვირდი და ნივთები დავუშინე მათ. ეს გრძელდებოდა მანამ, სანამ

სამუშაო უნიფორმაში ჩაცმული ორი ტიპი არ მომვარდა და არ გამაშორეს იქაურობას, თან პოლიციაში ჩივილით დამემუქრნენ.

პირზე ქაფმორეული პარკიდან გამოვედი და აზიას სახლისკენ გავწიე. რომ მივედი, ქვევით დავიცადე.

ჩამოვიდა თუ არა, ქანავ-ქანავით მივუახლოვდი მას, მაგრამ ის ვირთხა, ვილი დევილი ჩვენს შორის ჩადგა და ნაბიჭვარი მიწოდა.

ისე გადავედი ჭკუიდან, რომ პირდაპირ სახეში დავცხე და დავცხე მამამისს; სულ სისხლში ვაბანავე, და ძირს დაგდებული და ცხვირჩამტვრეული მივატოვე იქვე.

დასრულდა ნამდვილად.

დღეს ნიკოლასმა ცხვირი ჩაუმტვრია მამაჩემს და წიხლები დასცხო სახეზე.

ცოფიანი ძაღლი გეგონებოდათ... თვალები ჩაწითლებული ჰქონდა და დორბლი ჩამოსდიოდა ნიკაპზე.

ჩემს მშობლებს ფიცი მივეცი, რომ აღარ შევხვდებოდი.

დავპირდი მათ, რომ ანალიზებს ავიღებდი და თუ საჭირო იქნებოდა, სარეაბილიტაციოდ დეტოქსიკაციით მკურნალობასაც გავივლიდი.

სიტყვა მივეცი მათ, რომ ფიორესთან ერთად გავემგზავრებოდი ლონდონში, თუკი ნიკოლასს არ უჩივლებდნენ.

გავიღვიძე.

ფოლადის ერთ წყლიან ბაკში ჩავაფსი და ახლა ვზივარ აგერ, სკამზე, ოთახში და საღებავაქერცლილ კედელს მივჩერებივარ.

მთელი ღამე ვურეკავდი აზიას, მაგრამ მამამისი მპასუხობდა და არ მალაპარაკებდა. ბოლოს ალბათ, საერთოდ გამორთო ტელეფონი.

ოთხი საათისთვის აზია ჩემთან მოვიდა სახლში. დასამშვიდობებლად მოსულიყო...

ჩახუტება მინდოდა, მაგრამ თავად არ ისურვა. დივანზე დაჯდა.

მითხრა, რომ ფიორესთან ერთად ლონდონში აპირებდა წასვლას სწავლის გასაგრძელებლად.

მე ვუთხარი, რომ შემეძლო გავყოლოდი, და რომ იქ კარგ დროს გავატარებდით, ბედნიერებიც ვიქნებოდით, თანაც მისი მშობლები არ შეგვაწუხებდნენ.

მან კი, მამაჩემი გიჩივლებს, თუ მომიახლოვდები, და ჩვენი დაშორება აუცილებელიაო.

მითხრა, რომ მოწყენილი იქნებოდა ჩემ გარეშე, არასოდეს დამივიწყებდა და ა.შ.

მაგრამ მე უკვე აღარ ვუსმენდი, წამალს ვიკეთებდი...

ყვითელი ქურთუკი ეცვა, ზედ გაღიმებული სმაილი ჰქონდა დახატული, შიგნით კი – თეთრი გაუუთოვებელი მაისური.

ლაპარაკი რომ დაასრულა, დავიხარე და შავი, შელახული ბუდიდან გიტარა გამოვაძვრე...

აზია სანამ გონს მოვიდოდა, აღვმართე გიტარა მის თავზე, და რაც ძალა და ღონე მქონდა, ჩავარტყი და ჩავარტყი... კიდევ და კიდევ... კიდევ... კიდევ.

ვურტყამდი მანამ, სანამ მოძრაობა არ შეწყვიტა.

მერე ტანზე გავიხადე და დაქცეული სისხლის წმენდას შევუდექი.

გიტარის სიმებს შერჩენილი თმაც მოვაშორე.

ძალა რომ მომმატებოდა, რაც კოკა მქონდა, სულ ვიხმარე. მეტალურ მუსიკასაც რამდენიმეჯერ მოვუსმინე. სარკის წინ მოქმედებებს ვასრულებდი. ფეხებს ვიქნევდი, როგორც ფრანგულ კრივშია და გიტარის სიმებს მაგრად ვქაჩავდი, თან ველურ ხმას გამოვცემდი – ნნნნიიიაააუუოოონننნ!!!

მერე ნაგვის დიდ ცელოფნის პარკში ჩავდე აზიას ცხედარი და თავი მოვუკარი. გამთენიისას მანქანა გავაღე, სკამი საჭემდე ამოვწიე და ეს ცელოფანი უკან ჩავაკუჭე; ჩავჯექი მანქანაში და კასტელ ჯუბილეოს ჰესისკენ გავემართე.

მივედი თუ არა, გადმოვათრიე მანქანიდან და წავათრიე მდინარე ტევერეს ჯებირისაკენ. ყბები ამოკეტილივით მქონდა და კუნთები მიცახცახებდა.

გავხსენი ცელოფანი და მისი სხეული წყალში ჩავაცურე.

როცა ვაწვებოდი, წარმოვიდგინე, როგორ ცურავდა აზია თევზებს, თაგვებს, ხის ღეროებს, ტოტებსა და მძღნერს შორის.

იქაურობას არც ვილა პამფილის ნუტრიები აკლდნენ.

[1] სახელგანთქმული ებრაელი პოეტი (1924-2000)

[2] თანამედროვე ებრაელი პოეტები.